კლავდია დევდარიანი

დრო და სივრცე

»ნაკადული«
თბილისი
1975

ეს

Г 2
899.962.1-93
დ 278

კლავდია დევდარიანის მოთხრობებში გადმოცემულია ომისდროინდელი თაობის დღევანდელი ცხოვრება, ფიქრები და განცდები.

წიგნში ასახულია აგრეთვე ახალგაზრდობის ომისშემდგომი გზა. ნაჩვენებია მათი ურთიერთობა საზოგადოებასთან, სკოლასთან, ოჯახთან.

© „ნაკადული“ 1975

Д $\frac{70803-78}{М-603\ (08)-75}$ 75—75

დრო და სივრცე

მატარებელი ბროწეულას გასცდა. მალე წყალტუბოს სადგურზე ვიქნები. ფანჯრიდან გავცქერი მიდამოს. ეს ადგილები ჩემთვის უცხოა. რამდენი ვიარე, ცა და დედამიწა შემოვიარე, ჩემი ერთი ციდა ქვეყანა კი უნახავი დამრჩა... რას იზამ, ბედის ამბავია. ახლაც შემთხვევამ წამომიყვანა აქ. ფიქრს ვიცილებ. ისევ ფანჯრიდან ვიცქირები. ჩემი ერთადერთი თანამგზავრი ფანჯრიდან მისჩერებია, როგორ გარბიან ჩვენი შემხვედრი ხეები.

ჩემმა თანამგზავრმა რამდენჯერმე სცადა საუბრის დაწყება, მაგრამ მიხვდა, ლაპარაკის სურვილი არა მქონდა და თავი დამანება. გამინაწყენდა.

წყალტუბოში ნერვების დასამშვიდებლად გამომგზავნეს. ნერვები მაშინ დამიწყნარდება, ფიქრი რომ მომასვენებდეს. ძნელია ფიქრის მოცილება. ზოგჯერ კარგია ფიქრი — სწრაფი, ნუგეშისმცემელი, გამამხნევებელი. ეჰ, მაგრამ, ჩემი ფიქრები...

მატარებელი შედგა. ხალხი აწრიალდა. ყველამ კარს მიაშურა. ჩემი პატარა ჩემოდანი ავიღე, გასასვლელად გავემზადე. ჩემი თანამგზავრი კარგა ხანია ჩავიდა.

პატარა ბაქანი მომხიბლავად გამოიყურება. ფერდობიდან ლამაზი შენობები გადმოგვცქერის. კიბეზე დავეშვი. სადგურის წინ ავტობუსები ჩამწკრივებულან. ყველა მათგანზე სანატორიუმის სახელი აწერია. ავტობუსი მოვნახე. ჩავჯექი. ჩემი თანამგზავრი ვიღაცას ესაუბრება. ხმამაღლა იცინის, ხელებს იქნევს, ალბათ, რაც გზაში დააკლდა, ინაზღაურებს.

ჩემოდანი გვერდით მოვიდგი. მიდამოს ვათვალიერებ. ჩემი თანამგზავრი ამოვიდა. დამინახა. ეტყობა, არ ესიამოვნა.

— თქვენც ამ სანატორიუმში მობრძანდებით? — ჩემოდანი გავწიე. ჩემმა თანამგზავრმა თითქოს ვერ შეამჩნია ჩემს გვერდით ცარიელი ადგილი, გზა განაგრძო. ისევ ფანჯარას მივუბრუნდი.

ჩვენს ბარაქიან ქვეყანაში, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველაფერი თავისებურად ლამაზია. არ მეგონა, თუ წყალტუბო ასე ლამაზი იქნებოდა.

მანქანა სანატორიუმის წინ გაჩერდა. ლამაზი ოთხსართულიანი შენობა მაღლობიდან გადმოგვცქერის. კიბეზე ნელა ავედი. დერეფანში პატარა მაგიდასთან თეთრხალათიანი ქალი ზის. ყველა მას შემოხვევია. ჩემს რიგს მოთმინებით ველი.

მეორე სართულზე ერთსაწოლიანი ოთახი მომცეს. ოთახი აყვავებულ ბაღს გადასცქერის. ბაღში ზაფრანის ყვავილი ჭარბობს.

სუფთა ოთახი, სუფთა საწოლი. ყველაფერი თეთრად ქათქათებს. ასე განებივრებული ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ტანი რომ დავიბანე, დაღლილობა ვიგრძენი, სხეული უცნაურად მომეშვა. ჩემს სუფთა ლოგინზე გავიშხლართე, თვალი ჭერს გავუშტერე. კედელზე მზის სხივი თამაშობს.

დეიდა ქეთევანის აივანი მზიანია. ზამთრის თბილ დღეებში აქ ვთამაშობთ. როცა მარტო მე და გოგი ვართ, თამაში მშვიდობიანად მიმდინარეობს, საკმარისია პატარა ია შემოგვიერთდეს, ჩვენი მეგობრობა იშლება. არ გვიყვარს იას აივანზე გამოსვლა.

— ია ობოლია, დედა არა ჰყავს, — ამბობს დეიდა ქეთევანი და ჩვენც ვემორჩილებით.

გოგი ხანდახან იას აუხირდება და ისიც თავის ოთახში შეიყუჩება. უფრო ხშირად კი მშვიდობიანად ვთამაშობთ მზიან აივანზე. იას აუარებელი სათამაშო აქვს, არც გოგის აქვს ნაკლები. მე კი ერთი ცალთვალა ცხენი მყავს და იმასაც წინა ფეხები მოტეხილი აქვს. მე თავი მომწონს ჩემი ცხენით. როცა ჩხუბი მოგვივა, ია სათამაშოებს კალთაში ჩაიწყობს და გაბუტული თავისი ოთახისაკენ გარბის. მე ჩემს ცალთვალა ცხენს ხელს დავავლებ და ამაყად დავეშვები კიბეზე.

დღეს არ ვჩხუბობთ. იამ ახალი სათამაშო მოიტანა, მწვანე

ბაყაყი. შესახედავად ვერაფერი ბედენაა, მუცელზე ზამბარა აქვს. დაქოქავ და ხტის. ბაყაყის გარშემო ვართ ჩაცუცქული, ვუყურებთ, როგორ ლაპლაპებს მზის სხივზე მოხტუნავე მწვანე ბაყაყი. რიგრიგობით ვქოქავთ და სადავო არაფერი გვაქვს.

კარზე ვიღაც აკაკუნებს. ლოგინიდან წამოვხტი. ჩემი საწოლი მზის სხივებშია ჩაფლული, ისევე როგორც ოდესღაც დეიდა ქეთევანის აივანი. თვალებზე ხელი გადავისვი. ნუთუ მეძინა? სიზმარი იყო თუ ჩემი მოუსვენარი ფიქრები?

— მობრძანდით! — გავძახე და სარკესთან მივედი. კარებში ჩემმა თანამგზავრმა თავი შემოყო.

— ჩვენ კვლავ მეზობლები ვართ, — ამბობს ის. რას ვერჩი ამ კაცს, ვიღაც ხომ უნდა იყოს ჩემი მეზობელი.

— მობრძანდით, მეზობელო, მობრძანდით! — ზღურბლთან უსერხულად მდგარი ოთახში შევიწვიე.

— სადილის დროა, ვიფიქრე, არ დაეძინოს-მეთქი. წუხელ არ გიძინიათ! — თქვა მან. ავიმრიზე, მომეჩვენა, ჩემს სულში ვიღაც ხელს აფათურებდა.

— წავიდეთ! — სარკის წინ საკარცხელი დავდე. ჩემს თანამგზავრს გავყევი.

სასადილო ქვედა სართულშია.

ჩემმა თანამგზავრმა დაწვრილებით იცის სანატორიუმის შინაური ამბები.

— ამ სანატორიუმში ორასი კაცი ისვენებს. აქედან ოთხი ქართველი ვართ. ერთი ცოლ-ქმარი, მე და თქვენ. ცალ-ცალკე ოთახი მოგვცეს, — არ ისვენებს ჩემი თანამგზავრი. — აი, ჩვენი მაგიდა! — ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე მიმითითებს. მაგიდასთან ქალი და მამაკაცი სხედან. თანამგზავრმა თანამესუფრენი გამაცნო. ისინი თბილისელი ექიმები არიან.

ჩემი თანამგზავრი და თანამესუფრე ქალი წყალტუბოს წყლის სიკეთეზე ლაპარაკობენ. ჩემი თანამგზავრი კითხვებით არ ასვენებს. ექიმი ქალის ქმარს კარგი მადა აქვს.

მე და გოგი პატარა მაგიდასთან წელში მოხრილები ვზივართ, ვსადილობთ. ვუყურებთ, პატარები როგორ იქნევენ ფეხებს. წინსაფრის ჯიბეები ნაძვის გირჩებით აქვთ სავსე.

ია საბავშვო ბაღშია. საზაფხულოდ წაღვერში წამოიყვანეს. მე და გოგი დიდები ვართ, პატარებთან წამოსვლა გვეთაკილება, მაგრამ დეიდა ქეთევანმა მაინც წამოგვიყვანა. დედაც დეიდა ქეთევანმა წამოიყვანა ღამის მორიგედ. მას შემდეგ, რაც დედა და დეიდა ქეთევანი მარტონი დარჩნენ, განსაკუთრებით დამეგობრდნენ. დეიდა ქეთევანის ქმარი, გოგის მამა, რომელიღაც დიდ მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მამაჩემი კი ასოთამწყობი იყო.

— გავიაროთ! — თქვა ჩემმა თანამგზავრმა და წამოდგა. ჩვენ ბაღში გავედით. სილამაზის წყაროსთან წავიდეთ, — გვთავაზობს ჩემი თანამგზავრი.

მოასფალტებულ გზას მივყვებით. ექიმი ქალი და ჩემი თანამგზავრი ერთად მოდიან, ხმამაღლა საუბრობენ. ექიმი ქალის ქმარი რაღაცას მიამბობს. მე ვუსმენ.

მამა რომ გარდაიცვალა, მე და დედა უმწეოდ დავრჩით. დედამ ყველაფერი მოჩხრიკა. შავ ხალათში, მამა სტამბაში რომ იცვამდა, ხურდა ფული ჩარჩენოდა. ესაა ჩვენი ავლადიდება. დედა არ მუშაობს. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ სამუშაო ვერსად იშოვა. დედა თვითონაც ასოთამწყობია. დედა და მამა სტამბაში შეხვდნენ ერთმანეთს. გაჭირვების დროს დეიდა ქეთევანი წამოგვეშველა. დეიდა ქეთევანმა დედა სკოლაში წაიყვანა, სადაც თვითონაა მასწავლებლად, იქ დამლაგებლად მოაწყო. კარგად მახსოვს დეიდა ქეთევანის იმდღევანდელი ლაპარაკი:

— შენი მდგომარეობა ავუხსენი, კეთილი კაცია, დამთანხმდა.

კეთილი კაცი სკოლის დირექტორია. პატარა ტანის კოჭლი კაცი.

— ღმერთმა უშველოს, ულუკმაპუროდ არ დაგვაგდო! — თქვა დედამ და მთელი ცხოვრების მანძილზე მადლიერი იყო ჩია, კოჭლი კაცისა.

— აქ სურათი გადავიღოთ! — თქვა ჩემმა თანამგზავრმა.

წყალტუბოს შუაგულში პატარა ტყე შერჩენილა. სურათები გადავიღეთ. საცალფეხო გზით სილამაზის წყაროსთან გავედით. სილამაზის წყარო ჩაღრმავებულშია. ხალხი მოაჯირზე დაყრდნო-

ბილი დაჰყურებს მაღლიდან. რიგში ქალები ჭარბობენ, არც მამაკაცების სიმცირეა, გალამაზება ყველას უნდა.

დეიდა ქეთევანმა თავის სადამრიგებლო კლასში გადამიყვანა. ვოგისთან დამსვა. სკოლაში ერთად მივდივართ. შინ ერთად ვბრუნდებით. დეიდა ქეთევანმა სახელმძღვანელოები მოგვიტანა. მალე სწავლა დაიწყება. ქართული ენის სახელმძღვანელოში კარგი მოთხრობებია.

— წავიდეთ, თქვენთან წავიკითხოთ, — მეჩურჩულება გოგი.

— წავიდეთ, — ვეთანხმები მე.

— ია, წყალი მოგვიტანე, — ამბობს გოგი, ეშინია, არ აგვეკიდოს.

— არ გამეპაროთ და მოგიტანთ! — ამბობს ია და სამზარეულოში გარბის.

კიბე ფეხაკრეფით ჩავირბინეთ. იას წივილი გვესმის.

— რას მემალებით, არა გრცხვენიათ! — ია კარზე ფეხებსა და ხელებს აბრახუნებს, ხან გვთხოვს, ხან ყვირის. ჩვენ ვიცინით, კარს არ ვუღებთ.

— ხმას არ ამოვიღებ, ჩუმად ვიჯდები! — ტირის ია.

— შემოვუშვათ, — ამბობს გოგი. მე კარს ვაღებ. იას ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდის.

—ტირიასა ბანი, სამი ჯამი ფხალი! — ია თვალებს იწმენდს, იღიმება. ნოხის ნაგლეჯს ფანჯარასთან ვაფენთ.

— მეც დამსვით, მეც!

— აჰა! — ბუზღუნებს გოგი.

გოგი „ბაში-აჩუკს“ კითხულობს.

— ფაფანაკი რა არის? — გვეკითხება ია.

— შეკითხვებს თავი დაანებე, თორემ გაგაგდებთ! — ემუქრება გოგი. ია ხმას არ იღებს. „ახლა გინდა შეიტანეთ და გინდა გაიტანეთ ეგ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი“, — ია თავს ვერ იკავებს და ფხუკუნებს. ჩვენც ვიცინით. ია კმაყოფილია. ახლა მისი კისკისი მთელ ოთახში ისმის.

— ჩავიდეთ! — თქვა ჩემმა თანამგზავრმა. — ამბობენ, სილამაზის წყარო მხედველობას უხდებაო. — თავს იმართლებს. სულელური თავის გამართლებაა. სილამაზე და მშვენიერება ყველა ადამიანს უყვარს.

ბავშვთა სანატორიუმისაკენ ბილიკს მივყვებით. ბავშვები სანატორიუმის ეზოში თამაშობენ, ერთი-ორი აივნიდანაც იყურება. მათზე ჯერ არ უმოქმედია წყალტუბოს წყალს.

სანატორიუმის ვესტიბიულში კარტის თამაში გაუჩაღებიათ. ჩემი თანამგზავრი მოთამაშეებს შეუერთდა. ექიმი და მისი ქმარი კინოში წავიდნენ. მე ბაღში გავედი. ბილიკს გავყევი. ვცდილობ ზაფრანის ყვავილები დავთვალო. ნეტა რას აკეთებენ ახლა სახლში? დასავლეთს გავცქერი. ცის თაღი წითლად ლაპლაპებს. ასევე წითლად ლაპლაპებს ალბათ ცის თაღი თბილისშიც.

მამამ იას ფერადი ფანჯრები უყიდა. ია ქალებს ხატავს და ლამაზად აფერადებს. მერე გამოჭრის, სახელებს არქმევს. ია მუდამ გრძელკაბიან და ფართოქუდიან ქალებს ხატავს. ასეთი ქალები „ბიძია თომას ქოხის“ ძველ გამოცემაში ნახა. წვიმიან დღეში გვიყვარს ხატვა. იასაც უყვარს ასეთი დღეები. თავის დახატულ ქალებს გვაცნობს.

— ეს კეთილი ემილიაა. მან კარგი ზღაპრები იცის და ლამაზი თაიგულების შეკვრაც. — მებადურის ზღაპარს ემილიას მაგიერ ია გვიამბობს. — ესეც ანჩხლი კორდელიაა, საკუთარი თავის მეტი არავინ უყვარს და მეტისმეტად ბუტიაა, ეს კი ყველაზე ლამაზი და სათნო მაიკოა.

— კაცებიც დახატე, ია, — ურჩევს გოგი. მაგრამ იას თავისი შეხედულება აქვს.

— მე მარტო ლამაზების ხატვა შემიძლია, ლამაზები კი ქალები და ყვავილებია! — ამბობს ია.

— მამაკაცები ლამაზები არ არიან? — ავუხირდით ჩვენ.

ცივა. საშინლად ცივა. ჩვენ შეშა არა გვაქვს. დეიდა ქეთევანის ნახერხის ღუმელი სიცივეს ვეღარ ერევა. იმ ღამეს მე და დედა დეიდა ქეთევანმა აღარ გაგვიშვა. მე და გოგი ერთად დავწექით. ოთახი ჩაბნელებულია. ქუჩიდან შემოსული შუქი ოდნავ ანათებს.

კვირაა. ძალზე ცივა. დედამ ძაფის გორგალი მოგვცა.

— ითამაშეთ, გახურდებით! — გავერთეთ. დეიდა ქეთევანი სკოლიდან მოვიდა. „გრაფი მონტე-კრისტო“ მოგვიტანა. დღეს ჩემი დაბადების დღეა. კითხვამ გაგვიტაცა.

გადავწყვიტეთ, ყოველდღე ვიკითხოთ „გრაფი მონტე-კრისტო“. იამ პირობა დაგვადებინა, რომ მის გარეშე არ წავიკითხავთ.

დედამ საქსოვი აიღო. ქეთევანმა დედა კარებამდე მიაცილა.

— ბიჭი არ დაივიწყო! — თქვა ქეთევანმა. დედას ხმა არ ამოუღია. მოკაშკაშებულ ყინვიან ღამეში დავინახე, როგორ ჩამოუგორდა დედას ცრემლი ლოყაზე.

ხვალ დილით აბაზანის მისაღებად უნდა წავიდე.

მე და გოგი დღეს პირველად წავედით „შატალოზე“. დედამ გაიგო.

— არ დაწვე, ქეთევანთან წამობრძანდი, თქვენი ვაჟკაცობის ამბავი უნდა ვუთხრა, — თქვა დედამ, ჩემკენ არც მოიხედა, რეცხვა განაგრძო.

— რა ვაჟკაცობის ამბავი? — გავიკვირვე მე და ხალათის ღილებს ხელი გავუშვი.

— სად ბრძანდებოდით დღეს?

— დედა, გთხოვ, დეიდა ქეთევანს ნუ ეტყვი. — დედამ ხმა არ ამოიღო. ვედროს დაწვდა, წყალზე მიდის. ვედროს ვართმევ და წყალზე მივდივარ. ვედროს ონკანს ვუდგამ. აივანზე გოგი და ია დგანან. გოგის ვანიშნე — დედამ ყველაფერი იცის. — გოგიმ ვერ გაიგო. კიბე ჩამოირბინა. უკან ია მოსდევს.

— მომწყდი თავიდან, რას დამდევ კუდში! — უჯავრდება გოგი.

— დედამ ყველაფერი იცის, — ვჩურჩულებ მე.

— რა იცის? — შეშფოთდა გოგი. ონკანს ხელი შევუშვირე. იას წყალი სახეში შევასხი.

— არც ახლა მოგვცილდები? — იამ ხელი ვედროს დაავლო, გადააბრუნა, წყალი დაიღვარა. ია გაიქცა. ოთახიდან დედის ხმა ისმის.

— სად დაიკარგე, ბიჭო?

ცხელა. დედა ბაზრიდან დაღლილი მოვიდა.

ეზოში ხმაური ატყდა. აივნებიდან ხალხი გადმოდგა.

— რა ამბავია? — იკითხა ქეთევანმა. ჩვენც გარეთ გავედით.

— ომი დაიწყო! — თქვა ვიღაცამ. და ყველამ მისკენ მიიხედა.

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს სიტყვა. ჩვენი პატარა მოკირწყლული ეზო ხალხით გაივსო. არ მეგონა, თუ ჩვენს ეზოში ამდენი ხალხი ცხოვრობდა.

ყველას ახლა გაახსენდა ღმერთი, ყოველი მხრიდან ისმის:

— ღმერთო, გვიშველე!

— ღმერთო, ეს რა საშინელებაა!

ყველას სახეზე შიში გამოეხატა.

— როდის?

— წუხელ!

— გერმანიამ საზღვარი გადმოლახა.

მეორე დღემდე ყველგან შიში დააბიჯებდა. მეორე დღეს ომის შედეგმა თავი იჩინა. იას მამას უწყება მოუვიდა, ძია პეტრეს ორ ვაჟსაც. მესამე სართულზე ახალგაზრდა ინჟინერი ცხოვრობს, ყოველ დილით ვეებერთელა გირებით ვარჯიშობს. მე და გოგის გვიყვარს მისი ცქერა. უწყება იმასაც მოუვიდა.

იას მამა დაღონებულია, ახლო ნათესავი არავინ ჰყავს, ბავშვი ვის დაუტოვოს. ხვალ კომისარიატში უნდა გამოცხადდეს. ხელში ია აუყვანია და მთელი დღე ისე დაბორიალობს.

— კიდევ კარგი, ბიჭებს ჯერ ომში ვერ წაიყვანენ, — თქვა ქეთევანმა.

— რა იცი? — დედამ თავი უიმედოდ გააქნია.

— რას ამბობ? — შეეშინდა ქეთევანს.

მამამ ია ქეთევანს დაუტოვა. იას მამა სადგურზე გავაცილეთ. მატარებლის წასვლამდე ია მამას გულში ჰყავდა ჩაკრული. მატარებელი დაიძრა. იას მამა მიმავალ მატარებელს შეახტა. ია მატარებელს გაეკიდა.

— მამა, მამა! — წივის ია. იას წივილმა გამაღვიძა. ფანჯარაში მთვარე იყურება. ნეტა სადა ვარ? ეს ჩემს ოთახს არა ჰგავს. ოთახში არც მეუღლის საწოლია, არც შვილების. წამოვხტი. სკამის საზურგეზე პიჯაკია გადაკიდებული. შიფონერის სარკეში მთელი ტანით გამოვჩნდი. მივხვდი, სადაც ვიყავი, ლოგინზე ჩამოვჯექი, პაპიროსი ამოვიღე, მოვუკიდე.

— ღამით ნუ ეწევი, გაწყენს! — მესმის დედისა და მეუღლის ხმა. თავი გავიქნიე, ლოგინზე გავიშხლართე. პაპიროსის გაბოლება განვაგრძე.

მატარებელი წავიდა. ბაქანზე მყოფები გზას თვალს არ აცილებენ. დედა და დეიდა ქეთევანი ატირებულ იას აწყნარებენ.

— მამა, მამა! — თავგანწირულად გაიძახის ია, თითქოს ეს ერთი სიტყვაღა შერჩენია. ჩვენ იას შემოვეხვიეთ.

ხალხი ბაქანზე დგას. ყველა თავის დარდს შეუპყრია.

მე და გოგი იას აღარ ვეჩხუბებით, თუ რამეს ვიპოვით და ვიშოვით, მასთან მივარბენინებთ. დედამ ლურჯი ჯემპრი მოუქსოვა, უხდება, ნამდვილ იასავით გამოიყურება. თვალწინ ლურჯ ჯემპრში გამოწყობილი ია დამიდგა. სილის საათს თვალს არ ვაცილებ და ასე მგონია, იქიდან ია მიყურებს. თვალები დავხუჭე.

უ! ბნელა, ქალაქში ჩაბნელებაა. თვალთან თითს ვერ მიიტან. უმთვარო, ცივი ღამეა. მე და გოგი პურის რიგში ვდგავართ. იასაც უნდოდა წამოსვლა, დეიდა ქეთევანმა არ გამოუშვა.

— არც მე წავალ! — ჭირვეულობს გოგი.

— მე წავალ! — თქვა დეიდა ქეთევანმა და აღვა. დეიდა ქეთევანს ხომ არ გავუშვებთ პურის რიგში. რამდენი რვეული აქვს გასასწორებელი.

ცივა. გამჭოლავი ქარი უბერავს. დარაბაში შევიყუჟეთ, პურის რიგი კილომეტრზეა გაჭიმული. რიგიდან ფეხს არ ვიცვლით, გვეშინია, არ გაგვაგდონ. ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი.

პური ჯერ არ მოუტანიათ. ხალხი მოთმინებას კარგავს.

— იქნებ არ მოიტანონ!

—ვინა თქვა, არ მოიტანენო?

— დღეს არ მოიტანენო? — ფრთა შეესხა ეჭვს.

— ვარდისუბნის ქუჩაზე უკვე მოიტანეს, — ამბავი მოიტანა ვიღაცამ.

— იქ წავიდეთ!

— ახლა რაღა დროსია, იქ ორკილომეტრიანი რიგია.

— რაღა ვქნა, მართლა რომ არ მოიტანონ? — წუხს ვიღაც.

— როგორ გეკადრებათ! — ამშვიდებს მეორე.

— პური მოაქვთ! — იძახის ვიღაც.

საქმე ღონეზე მიდგა. ზოგიერთი წინ მიიწევს. პურის დარიგება დაიწყო. აღელვებული ხალხი დაწყნარდა.

— თითო კილოს მეტი არ მისცეთ!

— არ გვეყოფა.

— მთელი ღამე ვდგავარ, ერთი კილო რას გვეყოფა. შინ ოთხი მშიერი მელოდება! — ჯავრობს ის, ვინც რიგში ახლოს დგას.

მე და გოგიმ თითო კილო პური ავიღეთ. ერთი კილო პური ძალიან ცოტაა. დეიდა ქეთევანმა პური გაგვინაწილა. ერთი ნაჭერი მომაწოდა და მითხრა:

—დეიდა ელენეს აუტანე! — დეიდა ელენე იმ ინჟინრის დედაა, გირებს რომ წევდა, ავადაა, პურის მყიდველი არავინა ჰყავს.

— სოლოლაკზე წავიდეთ, პური იქ ხშირად მოაქვთ, — გოგიმ მხრებზე მოსასხამი მოიგდო.

— სკოლაში?

— რა დროს სკოლაა, შიმშილით კუჭი მეწვის.

მე დეიდა ქეთევანს ვუყურებ. დეიდა ქეთევანი არაფერს ამბობს. თითქოს არც გაუგონია გოგის სიტყვები. შიმშილი მეც მაწუხებს. რას მიზამს შავი, ქვასავით პურის პატარა ნაჭერი.

სოლოლაკზე ორ-ორი კილო პური ავიღეთ. შინ ბედნიერი დავბრუნდით.

დეიდა ქეთევანმა ჩვენი სიხარული არაფრად ჩააგდო. გამოგვკითხა, სად იშოვეთო ამდენი პური. გოგი აღტაცებული ყვება:

— რიგში დავდექით. ხალხია, რამდენი ხალხი! ვხედავ, პურის გამყიდველი მეძახის, დახლს მივვარდი. მეკითხება: — მასწავლებელი ქეთევანის გოგი არა ხარ შენ? კი-მეთქი, ვუთხარი, პური მომცა. მითხრა — ყოველდღე მოდიო. — დეიდა ქეთევანი ნაღვლიანად გვიყურებს.

— ურიგოდ არასოდეს მიხვიდეთ, ისიც გვეყოფა, ორ-ორ კილოს რომ მოგვცემს, — თქვა დეიდა ქეთევანმა და ჩვენ სიხარულს წყალი გადაასხა.

როგორ მსიამოვნებს წყალი. აბაზანაში გაწოლილს ტანზე რადიუმის ბუ'ტტუკები მეხვევა. მგონია, სადღაც სხვა სამყაროში

გადავფრინდი. თვალები მივლულე, თვალწინ იას გაბრწყინებული სახე დამიდგა. ია კიბეზე ამორბის:

— დეიდა ქეთევან, წერილი, წერილი! — ჯარისკაცის სამყურა ბარათს მოაფრიალებს ია. დეიდა ქეთევანთან თავი მოვიყარეთ. ქეთევანი იას მამის წერილს ხმამაღლა კითხულობს. ის წერილი ახლაც ზეპირად მახსოვს.

იას მამისათვის დედა წინდებს ქსოვს. ქეთევანი თბილ საცვლებს უკერავს.

სილის საათი ჩამოთავდა. წყლიდან ამოსვლა მეზარება. თვალებს ვხუჭავ, ალბათ სამოთხეში წყალტუბოს წყალი აუცილებლად იქნება. თვალს ვახელ. წყლიდან ხმაურით ამოვდივარ.

დეიდა ქეთევანის მოწაფემ ორ-ორი კილო პური მოგვცა. შინ გახარებული მოვდივართ.

მტრის თვითმფრინავები ქალაქს თავს დასტრიალებენ. ამბობენ, ვაკეში ბომბი ჩამოაგდესო. თავშესაფარში ჩასვლა ვერ მოვასწარით. ჩვენი თავშესაფარი დიდი საიმედო არ არის. მეორე დღეს მე და გოგიმ თავშესაფრის გამაგრება დავიწყეთ.

ექიმი ამბობს აბაზანის შემდეგ უნდა დაისვენოო. ჩემს ოთახს ვუბრუნდები. ოთახში დიდხანს ვერ ვჩერდები. პირველ ნომერ აბაზანისაკენ მივდივარ. ხეივანს ჩუმად მივყვები, იქ ყოველთვის სიმყუდროვეა, ეს ხეივანი ბარნოვის ქუჩას მაგონებს. იქ მე, გოგი და ია კლასობანას ვთამაშობთ. ია ცალ ფეხზე ხტის, ფეხზე ნაჭრის ფეხსაცმელი აცვია. დედამ შეუკერა. ძველი ფეხსაცმლის ჩაცმა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ფეხი აღარ ჩაუდის. გაიზარდა გოგო, ახლად ფეხადგმულ ხბოსავით მარტო კანჭებად იქცა.

საღამოს ბინდი შემოიპარა. ამაღამ დეიდა ქეთევანია მორიგე. მის მაგიერ ჩვენ ვმორიგეობთ. შინ დროზე უნდა მივიდეთ.

საღამოთი რადიოს ვუსმენთ. სულმოუთქმელად ვკითხულობთ გაზეთებს. გერმანელები წინ მოიწევენ, ეზოში ხშირად ისმის:

— უკრაინა დაიკავეს!

— ლენინგრადში ხალხი შიმშილით იხოცება!

— სტალინგრადთან დიდი ბრძოლებია!

დილით ადრიანად ხმა დაირხა:

— გერმანელებმა ქერჩი დაიკავეს! — ხალხი შეშფოთებულია, ქერჩში ყველასა ჰყავს ვინმე. საერთო მწუხარებამ ხალხი დააახლოვა. ქერჩი და ყირიმი ქართველებისათვის სასაფლაოდ გადაიქცა.

ღამის მორიგეობის დროს ალაყაფის კართან მორიგეს მარტოდ იშვიათად ნახავთ, მეზობლები მორიგესთან იყრიან თავს, გვიან ღამემდე ლაპარაკობენ. ყველას პირზე ქერჩი და ყირიმი აკერია.

იას მამაც ქერჩშია. კარგა ხანია წერილი არ მიგვიღია. ამაღამ დედაა მორიგე. მე და გოგი მის მაგიერ წამოვედით სამორიგეოდ. დედა და დეიდა ქეთევანი ფრონტისათვის წინდებს ქსოვენ.

მთვარიანი ღამეა. ია ჩვენთანაა. ალაყაფის კართან მერხზე ვზივართ. ეს მერხი მორიგეებისათვის გააკეთეს. გვიანაა, მეზობლები სახლებში გაიკრიფნენ. პროექტორები ცაზე ცისარტყელასავით გაკრულან, მაგრამ ერთ ადგილზე ვერ ისვენებენ, ხტიან და ძიგძიგებენ. ჩვენ თვალს არ ვაშორებთ პროექტორებს. იას შეშინებული თვალები დამრგვალებია, გაფართოებია. არასოდეს მიგვრძნია, თუ ია ასეთი კარგი იყო. ზეცის ყურებას თავს ვანებებ. იას შევეცქერი. გოგიმ შემომხედა, იმანაც იას შეხედა. ია ჩვენს მზერას ვერ გრძნობს. გოგი იასაკენ დაიხარა, ლოყაზე ფრთხილად აკოცა, გაოცებულმა იამ გოგის გადმოხედა, მერე კვლავ ზეცას დაუწყო ყურება. მეც მინდა იას ვაკოცო, ვერ ვბედავ. ჩვენი შემცვლელი მოვიდა.

— ძია პეტრე, ჩვენ ვიმორიგეევებთ, თქვენ შინ წაბრძანდით! — თქვა გოგიმ. გოგის ჭირივით ეზარება მორიგეობა, გამაკვირვა მისმა სურვილმა.

— არა, შვილო. უძილობა მჭირს, ბიჭებზე ფიქრი არ მასვენებს. ვინ იცის, სად არიან, მე კი... — ხელი ჩაიქნია პეტრემ. — ახალგაზრდები ხართ, ძილი თქვენთვის უფრო უპრიანია.

შინ წავედით. გოგიმ იას ხელი ჩაჰკიდა, მე გვერდით მივდევ. მაგრამ ასე მგონია, ისინი ჩემგან შორს არიან.

დედასა და დეიდა ქეთევანს არ სძინავთ. ცხელი ჩაი დაგვახვედრეს. რა გემო აქვს უშაქრო ჩაის! პატარა შავი პურის ნაჭერი მივატანეთ.

— არც ისე ცუდია უშაქრო ჩაი, — თქვა გოგიმ და ფინჯნიდან ჩაი მოხვრიპა.

დღეს გოგის ყველაფერი კარგად ეჩვენება.

დილით ადრე ავდექით. კახეთში მივდივართ. მამას მოსასხამი და შარვალი ფქვილზე უნდა გავცვალო. გოგის მამამისის კრაველის ქუდი და ჩექმები მოაქვს. სკოლაში დეიდა ქეთევანთან ახალგაზრდა ინვალიდი მასწავლებელია, იმას მივყვებით. იას სძინავს. გოგი დეიდა ქეთევანს სთხოვს ია გაგვატანოს. ქეთევანი გადაჭრით უარს ამბობს. მასწავლებელმა გამოგვიარა, გუდანაბადი ავიკარით და წავედით.

ვაგონი მთვრალი მეზღვაურებითაა სავსე. ისინი ერთმანეთს ეძიძგილავებიან, ილანძღებიან. ერთ-ერთი მათგანი გასასვლელში ჩამჯდარა და ტყავის ქამარს იქნევს. ხალხი ერიდება. ხმის გაცემას ვერავინ უბედავს. სული ყელში მოგვებჯინა. მასწავლებელმა კუთხეში მიგვკუჭა, გასაქანს არ გვაძლევს.

— კარგია. დედამ ია რომ არ გამოგვატანა,—ჩურჩულებს გოგი.

ბაზარი სავსეა, რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ იყოს: — შოთი პურები, ჩურჩხელები, ყურძნის აკიდოები, ვაშლი და ბროწეული. თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებთ, ამდენი რამე დიდი ხანია აღარ მინახავს. გოგის მამის კრაველის ქუდი ყველას მოსწონს. ვიღაც კაცი ერთ ფუთ პურის ფქვილს გვაძლევს. გოგი დაეთანხმა, მასწავლებელი კი ორ ფუთს სთხოვს, მყიდველი ჯანჯლობს. არც მასწავლებელი უთმობს. ფუთნახევარზე შეთანხმდნენ.

— ორი ჩურჩხელა მოგვცეს, — ეჩურჩულება გოგი მასწავლებელს. იმ კაცმა ერთის მეტი არ მოგვცა. ჩვენ სული მიგვდის ჩურჩხელისათვის.

— ჩურჩხელა იას წავუღოთ, — თქვა გოგიმ და ჩურჩხელა აბგაში ჩადო.

მამაჩემის მოსასხამს ყველა იწუნებს, ძველიაო.

მატარებელში ძლივს შევედით. აუარებელი ხალხია. ფეხის დასადგმელი ადგილი არსად არის, ტომრებით და კალათებით სავსეა აქაურობა. ჩვენ კარგი მარაგით ვბრუნდებით.

შინ გაამაყებული მივედით. აბგები ამოვალაგეთ. იასათვის შენახული ჩურჩხელა ამოვიღეთ. იას თვალები გაუბრწყინდა.

— ჩურჩხელა მამის წასვლის შემდეგ აღარ მიჭამია! — ია ჩურჩხელას გვაწვდის.

— ჩვენ ვჭამეთ! — ვთქვი მე.

— მაშ! — თქვა გოგიმ და ეშმაკურად გადმომხედა. კმაყოფილი ვუყურებთ, როგორ ილუკმება ია. დედა და დეიდა ქეთევანიც კმაყოფილნი არიან. წყალი გაგვიცხელეს. საჭმელი მოგვიტანეს. ოჯახის უფროსებსავით გვექცევიან. საჭმელი ვჭამეთ, მხიარულნი ხმამაღლა ვყვებით კახეთის ამბებს.

დედასა და დეიდა ქეთევანს ეტყობა, რაღაც აწუხებთ.

— ია, შვილო, ჩვენ ოთახში ჩადი, დიდი თასი ამომიტანე, ბიჭები დაღლილები არიან, — თქვა დედაჩემმა.

დეიდა ქეთევანი ჩვენკენ დაიხარა.

— იას მამა დაიღუპა!

სიხარული ჩაგვიქრა. ლუკმა პირში გაგვიჩერდა. კიბეზე იას ფეხის ხმა ისმის.

— არ შეგატყოთ, ცოდოა! — თქვა დედამ და წამოდგა.

დედა და დეიდა ქეთევანი დარდმოხსნილივით ალაპარაკდნენ. ია მხიარულია...

რამდენი დრო გასულა. მალე სადილი იქნება. ბილიკზე გადავუხვიე. სანატორიუმისაკენ დავეშვი. მეექვსე აბაზანასთან, ღია ცის ქვეშ წყალში უამრავი ხალხი ბანაობს. ამ ადგილს „დიკი ვანებს“ ეძახიან და ხალხით მუდამ სავსეა.

სასადილოში უკვე ყველა მოსულა. მაგიდასთან მხოლოდ ჩემი ადგილია თავისუფალი.

— რად დაიგვიანეთ?

— რამდენი გეძებეთ.

ექიმი ქალი და მისი ქმარი დღეს თბილისში მიდიან. ჩვენ სუფრას საზეიმო ელფერი აქვს. ნასადილევს ექიმი და მისი ქმარი სადგურამდე გავაცილეთ დავბრუნდით. საცეკვაო მოედნიდან მუსიკის ხმა ისმის. ჩემი თანამგზავრი იქ წასვლას მთავაზობს. უარს ვეუბნები. ხვალ დილით ექსკურსიაზე მივდივარ.

ადრე დავწექით. ხვალ დილით ადრე უნდა ავდგეთ. კუს ტბაზე მივდივართ. იქ ბიჭები კუს იჭერენ. ირწმუნებიან — კუს ხორ-

ცი ქათმის ხორცს ჰგავსო. ია მიგვყავს. ქალაქში ძალზე ცხელა.

რა კარგად მახსოვს ის დღე. კუს ტბაზე სიგრილეა. იამ კუზე ნადირობა არ ისურვა.

მეცოდებაო, თქვა და მინდვრის ყვავილებს დაუტრიალდა. ვეებერთელა თაიგული შეჰკრა, — დეიდა ქეთევანს უნდა მივუტანო. მამასაც გავუკეთებ, ვითომ სახლშიაო. — მე და გოგიმ ერთმანეთს გადავხედეთ.

— რა იქნება მივიდე და მამა შინ დამხვდეს! — თქვა იამ და გაბრწყინებული თვალებით შემოგვხედა, მეგონა, გულზე მუხრუჭი მომიჭირეს. გოგიმ მინდვრის ყვავილები გაუწოდა:

— შენს თაიგულს მიუმატე! წამოდი, ჩვენ საქმეს მივხედოთ! — მითხრა გოგიმ.

სამი კუ ძლივს დავიჭირეთ. რამდენი ბიჭია კუზე სანადიროდ მოსული. ნანადირევი კალათაში ჩავსვით და ქალაქისაკენ წამოვედით.

ია განსაკუთრებით მხიარულია.

— ხომ შეიძლება მივიდე, მამა შინ დამხვდეს! — ამბობს ია.

მე და გოგიმ აღარ ვიცით, რომელ მხარეს მივიხედოთ.

— ისეთ ხასიათზე ვარ, მამა უთუოდ შინ დაგვხვდება! — არ ისვენებს ია.

— შეხედეთ, შეხედეთ, მზე რა ლამაზად ჩადის! — თქვა გოგიმ. გაჩერდა და მზეს მიაჩერდა.

მართლაც, ლამაზად ჩადიოდა იმ საღამოს მზე. ისეთი მზის ჩასვლა მის შემდეგ აღარც მინახავს.

მზეს ავხედე. მზე ჩადიოდა. დასავლეთი მზის სხივს აეელვარებინა. ჩემს მეხსიერებაში ის დღე გაცოცხლდა, როცა მე, გოგი და ია ჩამავალ მზეს ვუყურებდით. ჩამავალი მზის სხივებზე ოქროსფრად ბრწყინავდა იას გაწეწილი თმა.

ვიღაც მომიახლოვდა. პაპიროსი გამომიწოდა. ჯიბიდან ასანთი ამოვიღე, პაპიროსს მოვუკიდე. სანატორიუმში დავბრუნდი. წერილების თაროს მივაკითხე. ჩემს ოთახში წავედი. მარტო მინდა წერილის წაკითხვა. იას წერილში ჩემი ბიჭის ბატიფეხურიც დევს. ეს ჩემი ბიჭის პირველი წერილია, ბარათში პატარა გოგოს ხელის

შემონახაზიცაა, წერილები რამდენჯერმე გადავიკითხე. საშოლზე ჩამოვჯექ, აქედან ვუყურებ ჩემი ქვეყნის ცაზე ავარდნილ ხანძარს.

წერილები ჯიბეში ჩავიწყე. ბაღში გამოვედი. ჩამავალი მზის სხივებზე ზაფრანის ყვავილები ლამაზად გამოიყურებიან. ბილიკს გავყევი. ზაფრანის ყვავილებს თვალს ვერ ვაცილებ. ბოსტანში რამდენჯერ მინახავს ზაფრანის ყვავილები. აქ ისინი განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებიან. ბალახიდან ვიღაც დაკვირვებით მიყურებს, შევჩერდი, კუს თავი გამოუყვია, მაკვირდება. გავჩერდი, მივაჩერდი, კუ საყვედურით მიყურებს.

ერთი თეფში კუს ხორცი ინჟინრის დედას გავუგზავნეთ, ალბათ ვერ მიხვდა, რისი იყო. საღამოზე თეფში ჩამოგვიტანა, დიდი მადლობა გადაგვიხადა.

დეიდა ქეთევანს ნახერხი მოუტანეს. მე და გოგი მთელი დღე ნახერხს ვეზიდებით. ნახერხი ძნელი საშოვნელია. ქეთევანს ქმრის ამხანაგები არ ივიწყებენ, ზამთრისათვის ნახერხს უგზავნიან.

ზაფრანის ყვავილი მოვწყვიტე. კუ დაიმალა. მე ისევ ბოლ-თასა ვცემ.

წელს საშუალო სკოლას ვამთავრებთ, ომი კი არ მთავრდება, ალბათ, ჩვენც ომში წავალთ. დეიდა ქეთევანს ამის გახსენებისაც კი ეშინია. არც დედაჩემია იმაზე ნაკლებ დღეში.

სიმართლე რომ თქვას კაცმა, ძალზე გაჭიანურდა ეს ომი. გოგის ეშინია, უცნაურად ეშინია, ომიდან დაბრუნებულ ხეიბრებს რომ დაინახავს და ამბობს:

— ასე დაბრუნებას სიკვდილი მირჩევნია!

ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა. ყოველ სახლში შიმშილმა, სიცივემ და დარდმა დაისადგურა. ჩვენს სახლში რამდენიმე ახალგაზრდაა. ზოგჯერ სიხარული გვეუფლება, ჩვენი ცხოვრება კალაპოტიდან გადმოფრენას აპირებს. წუხელ მიტოსთან შევიკრიბეთ, ჩვენ-ჩვენი ულუფა მივიტანეთ, ვინ ძეხვი, ვინ ქაშაყი, ვინ კარტოფილი. გემრიელად ვივახშმეთ. იაც წავიყვანეთ. უფროსებთან მეგობრობით იას თავი მოსწონს.

გოგი მოხდენილი ბიჭია, ყველას ყურადღებას იქცევს. კარგად

მღერის, კარგად უკრავს, კარგად ცეკვავს, ლექსებს კარგად კითხულობს. ია გოგის გვერდით ზის და თვალებში მისჩერებია.

გოგის იმედი აქვს, სკოლის დამთავრებამდე ომი გათავდება. ამის იმედი აქვს დედასაც, დეიდა ქეთევანსაც.

მიიწურა ჩვენი სწავლის დღეები.

ომს ბოლო არ უჩანს.

ქალაქში შიმშილი მძვინვარებს.

სასურსათო ბარათებმა გვიშველა. იცი, რომ შენი ულუფის გარეშე არ დარჩები. დეიდა ქეთევანი ბარათებს არავის ანდობს, ეშინია, არ დავკარგოთ. ახლა ცოტა შაქარიცა გვაქვს, ხანდახან ტკბილ ჩაისაც ვსვამთ. მე და გოგი მგლებივითა ვართ, ჩვენი ულუფა პური ერთ ლუკმად არა გვყოფნის.

— დავაკაცდნენ ბიჭები, ახლა მაგათი საყელოცა სჯამს! — ამბობს დეიდა ქეთევანი.

სამივენი მორიგეები ვართ. ქალაქში უცნაური სიჩუმეა, ეტყობა, ყველამ დაიძინა. მეზობელ სახლში დარაბა ღიად დარჩენიათ, შუქი გამოდის. მე და გოგი ვუსტვენთ, ფანჯარაში შეშინებული სახე გამოჩნდა. დარაბა დახურეს.

სიჩუმეა. სახლის წინ სკამზე ვზივართ. ია ჩვენს შუაში ზის.

— ია, როცა მარტო იმორიგეევებ, ყოველღამე მთვარეს ახედე და მოგვიგონე! — თქვა გოგიმ. იას თვალები წამოუცინცხლდა. ხმას არ იღებს. გოგიც გაჩუმდა.

— ჩვენ იქ, ფრონტზე, ყოველღამ მთვარეს შევხედავთ და მოგიგონებთ, — ვთქვი მე.

— თავი დამანებეთ, თქვენ მოსაგონებლად მეცლება? — ყვირის ია და სახლში გარბის. ჩვენ მარტონი ვრჩებით.

— სიცოცხლის დაწყებას არ გვაცლიან! — თქვა გოგიმ.

— ეჰ! — ამოვიოხრე მე.

— მოდი, გავაბოლოთ! — თქვა გოგიმ და პაპიროსი მომაწოდა.

ხელი ჩემდა უნებურად წავიდა ჯიბისაკენ. პაპიროსი ამოვიღე, მაგარი ნაფაზი დავარტყი.

— ვერ შევეჩვიე! — თქვა გოგიმ. ჩვენ კვლავ სახლის წინ ვდგავართ, ჩაბნელებულ თბილისში.

დღეს საზეიმო გამოშვება გვაქვს. დარდი ახალგაზრდობასაც ფრთებს აკვეცს.

— წამიყვანენ და წავალ. იქნებ მამაჩემს გადავეყარო სადმე, რამდენი ხანია, წერილი არ მიგვიღია, — თქვა ერთმა.

—რომ ვიცოდე, იმ ნაწილში მოვხვდები, სადაც დედაა, ახლავე წავალ! — თქვა რეზომ. მისი დედა ექიმია, დღიდან ომის დაწყებისა, ფრონტზეა.

ნეტა მამაჩემიც ფრონტზე იყოს, — ვნატრობ მე და ყურს ვუგდებ ბიჭების საუბარს.

ვფიქრობ, იმ დღეს ვიგონებ, რა დღესაც მე და გოგი სახლიდან წავედით. არაფერი აღარ მახსოვს, სრულიად არაფერი, მახსოვს მხოლოდ, რომ იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. ძლივს ჩავედით ტრამვაის გაჩერებამდე. მახსოვს — შეშინებული, ცრემლიანი თვალები. ჩემს თავზე გული მომდის, როგორ შეიძლება დაგავიწყდეს შენი ცხოვრების ეგოდენ მნიშვნელოვანი დღე!

სანატორიუმის მეკარეს პაპიროსის კოლოფი გავუწოდე. მეკარე ომის ინვალიდია, ცალი ფეხი ხისა აქვს.

ჩვენ მივდივართ, მივდივართ დაუსრულებლად. ჩვენს მისასვლელს ბოლო არ უჩანს, არც ჩვენ გვიჩანს ბოლო. მიდიან პირტიტველა ბიჭები, მხრებგანიერი ვაჟკაცები, ამათ ყველას სიცოცხლე უნდა. ყველას უნდა თავისი ხვედრი მიიღოს ამ ქვეყნიდან.

არასოდეს დამავიწყდება ის ღამე, როცა პირველად მივიღე მონაწილეობა ბრძოლაში.

ბნელი ღამეა. სიჩუმეა. აქა-იქ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ. თვალები დავხუჭე. იმ ღამის მთელმა საშინელებამ გაიელვა ჩემს თვალწინ. შიშმა, იმღამინდელმა შიშმა შემიპყრო. თვალი გავახილე. არა, ის ღამე გაქრა, სამუდამოდ გაქრა. ახლა ჩემი ოთახის პატარა აივანზე ვზივარ. ჩემი სანატორიუმი მაღლობზეა, აქედან მთელი წყალტუბო ჩანს. ძველი მთვარე მილეულა, გზააბნეული მგზავრივით ცაზე დაბორიალობს. ყველას სძინავს. ბაღს გადავცქერი. ზაფრანის ყვავილები აღარ ჩანს, სიბნელის მორევს მოუცავს ყველაფერი. მხოლოდ აქა-იქ გაიციალებს ციცინათელა. სიო განაბულა, ფოთლებს სუნთქვა შეუკრავთ. აღარ შრიალებს თუთის ხე ჩემს ფანჯარასთან. რად მაგონებს ეს ღამე ჩემი პირვე-

ლი ბრძოლის ღამეს?! მაშინაც ასეთი ბნელი ღამე იყო, მხოლოდ ცის ბნელ გუმბათზე პროექტორები მოელვარე ხმლებივით ერკინებოდნენ ერთმანეთს.

მილეული მთვარე კვლავ დაბორიალობს ცაზე, შევხარი ჩემი ქვეყნის ცას, ჩემი ქვეყნის ცა დამცქერის და სხვა ღამე მაგონდება — პირქუში, ბნელი, სულის შემხუთავი, სიმყრალისა და წამლის სუნით გაჟღენთილი.

აფეთქების ხმა შეწყდა. ტანსაცმლიდან მიწა გადავიყარე. ჩემს გვერდით გერმანელი გდია, მისი გაშეშებული ხელი გულზე მადევს. ყუმბარებისაგან გადახნულ მიწაზე აყვავებული ვაშლის ხე აგდია, ქარი ბილებს აცლის აყვავებულ ხეს და გარშემო ფანტავს. მზის ოქროსფერ სხივებში მოლივლივე მიდამოში საღამოს ბინდი ფეხაკრეფით იპარება. შორს ისმის თვითმფრინავის გუგუნი და აფეთქების გამაყრუებელი გრიალი.

დაზვერვის დროს ძლიერ მეტოქესთან მომიხდა შებმა. ძლივს მივხოხავ. არ ვიცი, სადა ვარ დაჭრილი. ფეხზე ვეღარ ვდგები. ფეხი მტკივა. ძალიან მტკივა. მგონი, ცერი მტკივა, არა, კოჭი მტკივა, იქნებ მუხლი მტკივა. უჰ! როგორ მტკივა! იმ მიწის გროვამდე თუ მივხოხდი, მიწის გროვას იქით ძველი ბლინდაჟია, ჩავგორდები შიგ, ფეხს შევიხვევ.

როგორ მტკივა ფეხი!

სწრაფად მივცოცავ. სიცოცხლე წინ მეწევა. ერთი, ორი, სამი... ვითვლი. რამდენი დათვლა იქნება მიწის გროვამდე?

მე კვლავ ვითვლი: — ოცი, ოცდაერთი, ოცდაორი. თავზე გერმანელი მადგას, გულზე ავტომატი მოუბჯენია. მანიშნებს გავყვე. რა უნდა ამ კაცს ჩემგან? მე მიწის გროვასთან უნდა მივხოხდე, იქ სიცოცხლე მელოდება, ჩემი სიცოცხლე. გერმანელი მუჯლუგუნებს მთავაზობს. სივრცეში მითითებს, მიბრძანებს, გავყვე.

უეცრად ჩემთან სიცოცხლე მოფრინდა, ბურთივით ამიტაცა. გერმანელი ქვეშაა, მე ზევიდან ვაზივარ. გერმანელის ყელს ხელებს ვუჭერ. გერმანელი ფართხალებს, გმინავს. მე კიდევ უფრო მეტი სიძლიერით ვუჭერ ხელებს და ზემოდან მთელი ტანით ვაწვები. გერმანელი გაჩერდა, აღარ ფართხალებს, აღარც ხრიალებს. სახეზე დავხედე. ხელში გაშეშებული კაცი მიჭირავს. შემზარა. ხელი გა-

ვუშვი. გაშლილ ხელებზე დავიხედე, ამ ხელებმა კაცი დაახრჩო, კაცი დაახრჩო!

ვიღაცამ მხარზე მომიგდო, მიმათრევს, ეს სიცოცხლეა. თავი გადავწიე, იმას, ვინც მიმათრევს, ყურში ჩავჩურჩულე: — იცი, შენ, მე კაცი დავახრჩვე, ამ ხელებით კაცი დავახრჩვე. მე მკვლელი ვარ. ადამიანის მკვლელი. მკვლელები კანონით ისჯებიან. მე მკვლელი ვარ, მე ადამიანი მოვკალი. რისთვის მოვკალი? იმას ჩემი სიცოცხლე უნდოდა. რად უნდოდა ჩემი სიცოცხლე? სიცოცხლე ყველა ადამიანის საკუთრებაა, მაშ, იმას რად უნდოდა ჩემი სიცოცხლე? მე ის დავახრჩვე. მე რად მინდოდა მისი სიცოცხლე? იმიტომ მინდოდა, რომ იმას უნდოდა ჩემი სიცოცხლე. ის, ვინც მიმათრევს, მეხვეწება გავჩუმდე, მაგრამ მე არ ვჩუმდები. შენც ხომ არ გინდა ჩემი სიცოცხლე? არ გინდა? არც მე მინდა. მე ჩემიც მეყოფა.

ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. მალე ისევ ფრონტს დავუბრუნდი. ჰოსპიტალში სახლიდან წერილი მივიღე. გოგი დაჭრილა. ერთთვიანი შვებულება შინ გაუტარებია. შინ ყოფნა მომინდა. გოგი და ია წერილს ერთად მწერენ. ის წერილი ახლაც უბეში მიდევს.

ფრონტზე ვარ. სიცოცხლისათვის ვიბრძვი. ფიქრისთვის არა მცალია.

სადილი დავამთავრე. ზევით ამოვედი. ყველა თავთავიანთი ოთახებისაკენ მიეშურება. მკვდარი საათი იწყება. ვესტიბიულში ტყავის სავარძელში ჩავჯექი. მატარებელი მოსულა. ახალი დამსვენებლების წყება ხმაურით შემოვიდა. ახალგაზრდა სამხედრომ მოხუცი ქალი ხელმკლავით შემოიყვანა.

ირგვლივ სიჩუმეა და მიწა გათხრილი. აქ-იქ მოთხრილი ხეები და ადამიანთა გვამებია მიმოფანტული.

აღმოსავლეთი წითლად შეიღება. მზე ამოვიდა, ნათელი და კაშკაშა, თბილი და საამო. მე შემეშინდა მზის. მე არ მეშინოდა ამობრუნებული მიწის, გარშემო მიმოფანტული გვამების. მე შემეშინდა მზის. ჩემი ცხოვრებაც ასევეა ამობრუნებული, როგორც მიწა, ასევეა განადგურებული, როგორც ეს ტყე და მე მეშინია მზის.

იმ დღეს მთელი კვირის გაზეთები მივიღეთ. „იზვესტია“ უკანასკნელ სტრიქონამდე გადავიკითხე. — ერთ-ერთ უბანზე ფაშისტების ერთმა ბატალიონმა იერიში იმ ქვეგანაყოფზე მიიტანა, რომელსაც გოგი დიდებულიძე მეთაურობდა. — ჩემი გოგი, ჩემი გოგი. — ვჩურჩულებ და კითხვას განვაგრძობ. მებრძოლებმა მტრის იერიში მოიგერიეს. იერიშის დროს ჩვენი ერთი ოცეული მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მის დასახმარებლად გოგი დიდებულიძე გაეშურა. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში ქვეგანაყოფი მტრის გააფთრებულ იერიშს იგერიებდა, მოსპო რამდენიმე ასეული ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი. — შენი ჭირიმე, ძმაო, ხედავ რა ამბავში ყოფილხარ! შენ ხომ ომში წასვლა არ გინდოდა, შენ ხომ ბრძოლა არ გინდოდა! ჩვენ არც ერთს არ გვინდოდა ომი. მე და გოგის სიცოცხლე გვიყვარს, ძალიან გვიყვარს სიცოცხლე. სიცოცხლე ყველას უყვარს. მე და გოგის კი ბავშვობიდან გვიყვარს სიცოცხლე.

სოფელი დანგრეულია. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარსადაა. ჰაერში ფანჯრის ჩარჩო ქანაობს, ჩარჩოზე გალია ჰკიდია, თუთიყუშის გალია. გალია ფანჯრის ჩარჩოსთან ერთად ქანაობს. თუთიყუშს თვალები ღია დარჩენია. პატარა გაფშეკილი ფეხები ზევით აუშვერია.

სადღაც ვიღაც კვნესის. მეჩვენება, თითქოს სადღაც ბავშვი ტირის, ბავშვი დანგრეული სახლის გროვასთან ზის და ტირის, ხელში ლეკვი უჭირავს, პატარა თეთრი ლეკვი. ლეკვი ბიუს ხელებს ულოკავს და წკმუტუნებს.

წყალტუბო პატარა კუნძულია დედამიწის ზურგზე. აქ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებას გამოქცევიან: ერთმანეთის სიყვარულს, ერთმანეთის მტრობას, შურსა და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ, ფიქრობენ ჯანსაღ სხეულზე, სილამაზეზე და სულის სიმშვიდეზე. აქ ადამიანები ცხოვრების წვრილმანს ივიწყებენ. მაშ, რად მეჩქარება აქედან წასვლა. რად ვითვლი დღეებს? ცხოვრება თავისკენ მეწევა და მე მეჩქარება აქედან წასვლა.

ერთ-ერთ უბანზე ფაშისტებმა თავიანთი ჯარისკაცების გვამები გადმოთელეს და წინა სანგრებში შემოიჭრნენ. მტერი მხეცი-

ვით ეკვეთა ჩვენი მეომრების მცირე ჯგუფს. ჩვენ რამდენიმე დღის განმავლობაში ვიგერიებთ მტრის გააფთრებულ იერიშებს.

— დაჰკარ ფაშისტ ქვეწარმავლებს! — დაიძახა უმცროსმა პოლიტხელმა, იგი გერმანელ ჯარისკაცთა რიგებში შეიჭრა და ჩვენც გაგვიყოლია.

დაცარიელებულ სოფელში ხუთი მეომრის საშინლად დასახიჩრებული გვამი ერთმანეთზე ყრია. მათი სახის აღდგენა შეუძლებელია. მიწა გავთხარეთ. ხუთივე ერთად დავასაფლავეთ.

დასაზვერად სამნი წავედით. სროლაში გართულ მეტყვიამფრქვევეს უკანიდან მივეპარეთ. ტყვიამფრქვევი ჩვენ დაგვრჩა. ამ ამოცანის ბრწყინვალედ შესრულებისათვის დამაჯილდოვეს. იქ, ნათქვამი იყო, რომ მე ოცდაათი გერმანელი ფაშისტი გავანადგურე. ჩემი ჯილდო ოცდაათი კაცის გვამთანაა დაკავშირებული.

ჩემმა ღიღინმა გამომარკვია. ზაფრანის ყვავილებით დაფარულ ბაღში დავდივარ და ვღიღინებ:

— „მოვლენ და მეც აქ დავხვდები, ამ ჩემი გორდა ხმალითა“.

— ჰერი ჰა, ჩემო კარგო, ისევ ხმალი მოგინდა?

სადღაც შაშვი ჭახჭახებს.

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, არ დაიძინოთ! — მესმის პოლიტხელის ხმა. მეძინება, ისე მეძინება, თვალებს ძლივსღა ვახელ. ვიცი, რომ არ უნდა დავიძინო. შაშვის ჭახჭახი მესმის. ზოგჯერ შორიდან პატარა ჩიტის წრიპინი აღწევს. — წვიმს! წვიმს! — წრიპინებს პატარა ჩიტი — ეს გოგია, ჩიტებს ბაძავს. არა, არ ვიცი, იქნებ გოგია, იქნებ ჩიტია. ეჰ, რას დავეძებ! მე მეძინება, მეძინება, აღარაფერი აღარ მინდა. მძინავს მე, მძინავს და ფეხები ძლივს მიათრევს მძინარ სხეულს.

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, არ დაიძინოთ! — სადღაც შორიდან მესმის პოლიტხელის ხმა.

შუშხუნა აინთო, ეს შეტევის ნიშანია. ატყდა გრიალი. მიწას ცეცხლი ეკიდება. ზევიდან მტრის თვითმფრინავები ბომბებს გვაყრის. იწვის ქალაქი. გავრბივარ. დახოცილთა შორის ნაცნობი სახე შევნიშნე. დაჭრილთა კვნესა მესმის. ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული. ყველაფერი ერთმანეთში აირია...

ტკივილი მაწუხებს. ტანი დამძიმებული მაქვს. მოძრაობა წართმეული. წამოვიწიე. სხეული არ ამყვა. ძლივს მოვახერხე ხელების ამოძრავება. გარშემო სიბნელეა. ხელების სწრაფი მოძრაობით სხეულს ვითავისუფლებ! სადღაც მთვარეს ვხედავ. მთვარე თანდათან იზრდება. ხელებს სინათლისაკენ ვიშვერ. ცოცხალი ვარ. ცოცხალი გადავრჩი. ჩამოწოლილი სიბნელე და სიჩუმე სულს მიხუთავს. გულს ისე უხარია ხმაურის გაგონება, რომ ხელყუმბარის გრიალიც გამახარებდა. მიწის ბელტებიდან ამოზიდული სხეული ჯერ ისევ დამძიმებული მაქვს. წამოვიწიე, სხეული მჩატედ ამყვა. უჰ, რა სიხარული იგრძნო გულმა.

ღილაკს თითი დავაჭირე. ოთახი განათდა. მე მიყვარს ჩემი პატარა ოთახი, ოჰ, როგორ მიყვარს!

ომის დამთავრებამ ჰოსპიტალში მომისწრო. ჰოსპიტალში სახლიდან წერილი მივიღე, მწერენ, გოგისი აღარაფერი ისმისო. ეს ერთადერთი ამბავია, რომელიც ჩემზე მოქმედებს. გოგი, ჩემი გოგი, ჩემი ცხოვრების ნაწილი, ჩემი ბავშვობის ნაწილი.

ჰოსპიტლიდან გამომწერეს.

სახლში უნდა წავიდე. იმ ადგილებს უნდა ვესტუმრო, სადაც ჩემმა მძიმე ბავშვობამ გაიარა.

დერეფანში დიდი სარკის წინ ვდგავარ. სარკიდან დაქანცული, საფეთქლებშეთეთრებული კაცი მიცქერის. მას ვერა ვცნობ. ეს მე არა ვარ? როდის გამითეთრდა თმა?

მატარებელში ვზივარ. მატარებელი თბილისისაკენ მიდის. შინ მივდივარ. ვაგონში უმრავლესობა სამხედროა. ყველა შინ მიდის. მეც შინ მივდივარ.

მიხარია?

არ ვიცი, მიხარია თუ არა. ჩემი ცხოვრების ყოველი წვრილმანი თავს ერთად იყრის და ყველაზე ბედნიერი მაინც ბავშვობაა. მე მაშინ არ ვიცოდი, რა იყო სიკვდილი, მე მაშინ ბედნიერი ვიყავი. მე მაშინ არ ვიცოდი, ადამიანები როგორ მიიწევენ ერთმანეთის მოსაკლავად, ერთმანეთის გასანადგურებლად. მე მაშინ მახარებდა ერთი კილო პურის აღება და მე ბედნიერი ვიყავი მაშინ.

წყნარი, თბილი, სასიამოვნო ღამეა. როგორ შეიძლება ქვეყ-

ნად არსებობდეს ასეთი ღამეები, და ის ღამეები, უმთვარო, ბნელი ღამეები!

გარშემო ყველაფერი გრიალებს. ცას უნდა დედამიწას დაენარცხოს. თვალებს ვხუჭავ, არა, არ მინდა მოგონება იმ ბნელი ღამეების, შეშინებული სახეების, თვალების, საიდანაც საშინელება იყურება.

„შინ მიდიხარ! შინ მიდიხარ!“ — არ ისვენებს მატარებლის ბორბლები.

სადილის შემდეგ ყოველდღე ჭადრების ხეივნისაკენ მივყვები ბილიკს. იქ სიწყნარეა. ხალხი თავს პარკში, სილამაზისა და კუჭის წყლებთან იყრის. ეს ხეივანი კი ჩემი საკუთრებაა. აქედან გავცქერი მიდამოს. დღეს ჩვეულებრივზე შორს წავედი. პატარა მინდორს წავაწყდი, მაყვლის ბუჩქებით გაბარდულს. ჩემმა მისვლამ ჩიტები დააფრთხო. ჯგუფად აფრინდნენ, ალბათ, მაყვალს ჭამდნენ. მარტო ხეტიალი მომწყინდა. სანატორიუმში დავბრუნდი. სანატორიუმში სიჩუმეა. დამსვენებლები ლექციაზე წასულან. მაიაკოვსკის მუზეუმის დირექტორი ჩამოვიდა. ლექციას კითხულობს. მეც ლექციაზე წავედი. დარბაზი ხალხითაა სავსე. სიცხეა. სული შემეხუთა. ისევ ჩემს ოთახში დავბრუნდი. ფანჯარასთან ვდგავარ და პაპიროსს ვეწევი.

— რა დაგემართა, ბიჭო, შენს მეტი არავინ ყოფილა ომში? — ეს დედამ მაშინ მითხრა, ომიდან ახალი დაბრუნებული რომ ვიყავი. დღეებს ჩვენი ოთახის ფანჯარასთან ვატარებ. ჩვენი ოთახის ფანჯრიდან არაფერი ჩანს გარდა პატარა მოკირწყლული ეზოსა და წყლის ონკანისა, რომელთანაც მუდამ ბავშვები ჭყუმპალაობენ.

ჩვენი ეზოდან ომში წასულებიდან ჩემს მეტი არავინ დაბრუნებულა, აღარ დაბრუნდა გოგი, იას მამა, ინჟინერი, ყოველ დილით გირებს რომ ეწეოდა, აღარც ძია პეტრეს ბიჭები. მე მრცხვენია დეიდა ქეთევანის, იასი და მეზობლების.

— ადე, ბიჭო, ერთი კილო პური მოიტანე! — თქვა დედა-ჩემმა. ფანჯრის რაფაზე დადებული ფული ავიღე, ეზო მოვათვალიერე და პურზე წავედი. დაბრუნებულს ძია პეტრე მომეგება. როგორ მოხუცებულა!

— გამარჯობა, შვილო!

— გაგიმარჯოს, ძია პეტრე! — ვამბობ მე და თავდახრილი ვდგავარ.

— ხანდახან ჩემთან უნდა ამოხვიდე. მართალია, არაფერი ბედენაა მოხუცთან სიარული, მაგრამ გამეხარდება, ბიჭო!

ყველა აივანზე გამოვიდა. ყველა მიყურებს და მესალმება. გული მეტკინა. სახლისაკენ გავიქეცი. დედა შუა ოთახში დგას და ჩუმად მომჩერებია. ტახტზე გულაღმა დავწექი. თვალი ჭერს გავუშტერე. როგორ მენატრებოდა სახლი. სიზმარში მუდამ სახლს ვხედავდი.

სახლში ცივა, დედა ქსოვს, დეიდა ქეთევანი რვეულებს ასწორებს. მე, გოგი და ია კუთხეში ვზივართ. „გრაფ მონტე-კრისტოს“ ვკითხულობთ. ეს წიგნი დეიდა ქეთევანმა დაბადების დღეს შიყიდა. ახლა სახლში ვარ და ვგრძნობ, რომ ძველი ცხოვრება აღარ დაბრუნდება. ცხოვრებას თავის გზა აქვს, მე განზე დავრჩი. ჩემს გულში აღარც რწმენა და აღარც მისწრაფებაა. მინდა აქაურობას მოვშორდე და წავიდე სადღაც შორს, შორს. სად? იქ არა, იქ არა! არც აქ, მაშ, სად?

ოთახში პატარა გოგონა შემოვიდა. დედას თეფში გაუწოდა.

— დედამ გამოგიგზავნათ, იქნებ ეამოსო! — თქვა პატარა გოგომ და თვალით ჩემზე ანიშნა. ასეთი მაღალკანჭება იყო ია, როცა მამამისმა ჩვენს სახლში მოიყვანა. ჭერზე იას მწვანე ბაყაყს ვხედავ. ბაყაყი ხტის და ხტის.

დედა სამუშაოდ წავიდა. მარტო ვარ. ჭერს შევყურებ. ჭერზე კვლავ იას მწვანე ბაყაყი დახტის. ვიღაც ჩემს ლოგინზე ჩამოჯდა, თავზე ხელი დამადო.

— დაიტანჯე, შვილო! — მესმის დეიდა ქეთევანის ხმა. წამოვხტი. — იყავი, შვილო! — განაგრძობს ქეთევანი, მხრებზე ხელი მომხვია. — „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“, — დაგავიწყდა, ბიჭო, ჩვენი წინაპრის ნათქვამი? აბა, შემომხედე, განა ცოტა ჭირი ამიტანია, ან ახლა რა დღეში ვარ, ჩემს გულში ჩამოიხედე. ნახე, შიგ რა ცეცხლია!

— ვიცი! — ვთქვი მე და თავი ხელებში ჩავრგე.

— დედაშენსაც შეხედე, ცოდოა, როდემდე იმუშაოს, ტყუილა გაგზარდა?

— რა ვქნა, დეიდა ქეთევან!

— ცხოვრებას უნდა დაუბრუნდე.

— არ შემიძლია!

— დრო დიდი მკურნალია!

დიდხანს ვიჯექით ჩუმად, ვგრძნობდი, როგორ კრთოდა დეიდა ქეთევანის ხელი ჩემს მხარზე.

— იმეცადინე, უნივერსიტეტში უნდა ჩააბარო, ისედაც ჩამორჩი, — თქვა დეიდა ქეთევანმა, მაგიდიდან რვეული აიღო და გავიდა.

დედა დაბერდა. მე ცხოვრებას ჩამოვრჩი...

მთელი წყალტუბო შემოვიარე, როგორ მამშვიდებს ეს დაუსრულებელი ხეტიალი. ამდენი მწვანე. რა უდარდელად მიდის აქ ჩემი ცხოვრება.

დღეს პირველად ავედი დეიდა ქეთევანის კიბეზე. მე, გოგი და ია ერთმანეთს კიბეზე არბენაში ვეჯიბრებით. გოგი გვჯობნის. გოგის მაღალი კანჭები აქვს.

კარებში გავჩერდი. ხმას არ ვიღებ. აქ ყველაფერი ძველებურადაა. დეიდა ქეთევანი რვეულებს ასწორებს. ია ოთახში დაფუსფუსებს.

— მოდი, შვილო, მოდი! — ქეთევანი ჩემკენ წამოვიდა.

— ძლივს არ გაბედე ამოსვლა? — მიღიმის ია.

შუა ოთახში უხერხულად ვდგავარ და ვგრძნობ, ყოველი მხრიდან ჩემი ბავშვობა მიყურებს.

სამივენი მაგიდასთან ვზივართ. დეიდა ქეთევანის და იას საუბარმა ენა ამომადგმევინა, ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ დაუსრულებლად. რამდენი მქონია სათქმელი!

შინ გვიან დავბრუნდი. დედა ლოგინში წევს, ხმას არ იღებს. საწყალი დედა, დაღლილია. იქნებ სძინავს, მაგრამ არა, უჩემოდ არ დაიძინებს. დედა ერიდება ჩემთან ლაპარაკს. წინათ რამდენს მელაპარაკებოდა. შემეცოდა დედა.

მეძინება. ფიქრი არ მასვენებს. რაზე ვფიქრობ? ცხოვრებამ ზღვაში ჩავარდნილი ნაფოტივით აქეთ-იქით მიმახეთქა, იმდენი შიში, შიმშილი, სიმკაცრე და სიკვდილი მაჩვენა.

ომი დამთავრდა. მე გავიზარდე, დავბერდი კიდეც. რა დავაშავეთ მე და ჩემისთანებმა, რომლებსაც აღარასოდეს დაუბრუნდებათ ბავშვობა. იას ყოველი შემოხედვა ჩემს ბავშვობას მაგონებს. მძიმე, გაჭირვებულ და ტკბილ ბავშვობას. ახალგაზრდობა ხელსა და ხელსშუა გამიქრა. ჩემი ახალგაზრდობა სიცოცხლისათვის ბრძოლაში გაილია. დიდი იყო ჩემში სიცოცხლის წყურვილი, ამ წყურვილში იას ყოველთვის მთავარი ადგილი ეჭირა. მერე, ჩემსა და ჩემიანებს შორის კედელი აღიმართა. კედლის იქით დარჩნენ: დედა, ია და დეიდა ქეთევანი. დეიდა ქეთევანი ამბობს: — ეს კედელი უნდა დაინგრესო, ეს კედელი არ უნდა არსებობდესო. ვერ შევძელი ამ კედლის დანგრევა. მეშინია ამ კედლის.

ჩემს აქ ყოფნაში დღეს პირველად წამოვიდა წვიმა, ზაფხულის შხაპუნა წვიმა, ხმაურით რომ მოდის. მსხვილი წვეთები გუბეებში წრეებს აჩენენ, ფანჯარასთან ვდგავარ, შხაპუნა წვიმას ვუყურებ. წვიმამ დამსვენებლებს დარბაზში მოუყარა თავი. კულტმუშაკი თავს არ იზოგავს, უნდა როგორმე გაგვართოს.

წვიმამ გადაიღო. ჰაერი ნესტიანია. ცაზე თეთრი ღრუბლები მიმოიფანტნენ. თეთრ, ახალშობილ ბატკნებს მაგონებენ ისინი, რომელთა შორის მთვარე მწყემსივით დაბორიალობს.

დეიდა ქეთევანის ფანჯარასთან ვდგავარ. გარეთ ვიყურები. ჩემს გვერდით ია დგას. ფანჯრის მინას შუბლით მიყრდნობია, გარეთ წვიმს. ქუჩა ცარიელია. დეიდა ქეთევანი მაგიდასთან ზის და რვეულებს ასწორებს.

აქ ცხოვრება ყოველდღე თავიდან იწყება. თენდება მზიანი დილა, ფეხაკრეფით მოიპარება საღამოს ბინდი. ფანჯარას ვცილდები. დეიდა ქეთევანს ვუყურებ, როგორ დაბერდა ქეთევანი. სიბერე ადამიანს ფეხაკრეფით, ქურდულად ეპარება, ისე შემოგეპარება, ვერც გაიგებ. ადამიანის ცხოვრებაში საღამოს ბინდს დილა აღარ ცვლის. იწყება გარდუვალი ღამე და სიბნელე.

სიბნელემ შემაშინა, გარეთ გამოვედი. ია ფანჯრიდან არ მობრუნებულა. დეიდა ქეთევანმა თვალი გამომაყოლა.

დაღმართზე დავეშვი. ქუჩაზე ტროლეიბუსები გამწკრივებულან. შუქნიშანს დაველოდე. კინოთეატრ რუსთაველის წინ ზღვა

ხალხი დგას. მილიცია წესრიგს იცავს. დღეს ახალი ქართული ფილმი გამოვიდა.

ქაშვეთის ეკლესიის წინ ორი მღვდელი ერთმანეთს ესაუბრება. ეკლესიაში სიჩუმეა. სანთლის მკრთალი შუქი ციმციმებს, სახატესთან შავით მოსილი მანდილოსანი დგას. წირვა ჯერ არ დაწყებულა. დეიდა ქეთევანი არ ლოცულობს.

შინ დაბრუნებაზე ვფიქრობ. ყოველდღე ვითვლი ოცდაოთხ დღეს, რომელიც აქ უნდა გავატარო. დღეებით ნაქსოვი ცხოვრება აქ წყნარად და მდორედ მიედინება. დამსვენებლებს არაფერი არ აშფოთებთ, აქ არც დიდი სიხარულია, არც დიდი მწუხარება. ცხოვრება მოვლენებით ღარიბია.

ოთახი ცარიელია. მაგიდაზე გაშლილი წიგნი დევს. ნეტავ რას კითხულობს ია? ფანჯარა გამოვაღე. სიოს სახე მივუშვირე. მოპირდაპირე ფანჯრიდან ახალგაზრდების ხმაშეწყობილი სიმღერა ისმის.

ოთახში ია შემოვიდა, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, იამ თვალები დახარა. გულმა უცნაურად შეიფრთხიალა, ყური მივუგდე გულის ფართხალს, ნეტავ რა უნდა გულს?

იმ ღამეს იაზე ფიქრში ჩამეძინა. ნუთუ გათავდა ჩემი უძილო ღამეები. ნუთუ იას სიყვარულს შეუძლია ჩემი მკვდრეთით აღდგენა?

ავდექი. ფანჯარა გავაღე. ქალაქს მტრედისფერი ნათელი დაუფლებია. ფანჯრის გასწვრივ შუქი ჯერ არ ჩამქრალა. ახალგაზრდები ხმამაღალი სიცილით მიდიან, სიცილი ჩემს ოთახშიც შემოიჭრა. მეხსიერებაში ასეთივე წყნარი დილა აღდგა. ჩვენც სიცილით ვბრუნდებოდით შინ.

ახალგაზრდები სიცილით მიდიან. ქუჩა განათებულია. ახალგაზრდებს არ უნახავთ სიკვდილი. ჩემმა ბავშვობამ შიშსა და მღელვარებაში გაიარა. ჭაბუკობიდან მხოლოდ სიკვდილს ვუყურე. არა, მე აღარ ვიცი სიცილი, მე აღარ შემიძლია სიცილი, მე დამავიწყდა სიცილი, გარეთ გამოვედი. ცივმა სიომ შუბლი გამიგრილა. ქუჩა ცარიელია. დაღმართზე დავეშვი. ძველი მთვარე ისევ შერჩენილა ცაზე.

დედაჩემს ჩემი წიგნები შენახული აქვს. ჩემი ფეხმოტეხილი

ცხენიც. ყველა ამ ნივთში ჩაქსოვილია ჩემი ბავშვობის საიდუმლო. ყველა მათგანს ჩვენი სული უდგას და კვლავ მესმის ჩვენი მაშინდელი საუბარი.

სამივენი მილეულ მთვარეს მიეჩერებივართ. გოგი წაკითხული წიგნის შინაარს გვიამბობს. იას გამხდარ მუხლებზე გამხდარი გრძელი მკლავები შემოურკალავს, ნიკაპი მუხლებზე დაუბჯენია, თავი ოდნავ გვერდზე გადაუხრია, თვალები დამრგვალებია და გოგის მისჩერებია.

ახალი ნაწვიმარია. ირგვლივ სველი მიწის სუნი დგას. ჩვენ კუზე სანადიროდ მივდივართ. წინ გოგი მიდის, შუაში ია, ბოლოს მე. გოგის ხელში წკეპლა უჭირავს. წკეპლით იცილებს სახეში მოტყლაშუნე სველ ტოტებს.

გარედან სიცილი შემოიჭრა. ია კიბეზე ადის და იცინის. ლოგინზე გულაღმა ვწევარ და იას სიცილი მესმის. იამ კიბეზე აირბინა. ახლა აივანზე დგას და იცინის.

რამდენი რამ მოხდა ამ ხნის განმავლობაში. დაიღუპა იას მამა, სადღაც გაქრა გოგი და ვინ იცის, რამდენი დაიღუპა.

ცხოვრება თავისი გზით მიდის. ცხოვრებას ყველასათვის აქვს თავის წილი სიცილი და ცრემლი.

წიგნის თაროზე ჩემი წიგნები ისევე აწყვია, როგორც ჩემი ბავშვობის დროს: „გრაფი მონტე-კრისტო“, ყაზბეგი, „ტარიელ გოლუა“, „რობინზონ კრუზო“, ამ წიგნებს დეიდა ქეთევანი ყიდულობდა ჩემთვის და გოგისათვის. მინდა რომელიმე მათგანი ავიღო, გადავშალო და წავიკითხო. წავიკითხო ისე, როგორც ვკითხულობდით მაშინ, ბავშვობისას. მაგრამ აღარ შემიძლია კითხვა. მივჩერებივარ წიგნების თაროზე ჩამწკრივებულ ძველ წიგნებს და ყველა მათგანს ვიცნობ. გვერდით ვიღაცის აჩქარებული სუნთქვა მესმის. მოვბრუნდი. ჩემს წინ ია დგას.

— რა დაგემართა, ია, რად გაფითრებულხარ? — ია მომჩერებია, ბაგეები ეღრიცება. ხელზე ხელს ვკიდებ, ცივი ხელები აქვს. ვცდილობ გავუთბო. ასე იყო ბავშვობისას, როცა ოთახში ციოდა, მე და გოგი ხელებს ვუთბობდით იას. ია თვალებში მომჩერებია, ჩემ ხელებს იცილებს.

— გოგი დაიღუპა? — მეკითხება ის ჩურჩულით.

— ვინ გითხრა? — ვამბობ მე.

— მაშ, სად წავიდა, სად დაიკარგა? — თქვა იამ და თვალებზე ხელები აიფარა... მხრებზე ხელს ვხვევ, გულში ვიკრავ. ორივენი ვტირით. ორივემ უნდა გამოვიტიროთ ჩვენი ბავშვობის დღეები.

წყალტუბოში მთვარე სხვანაირად ანათებს. იქ, თბილისში, ელექტრონმა ბრწყინვალება დაუკარგა. უნდა დავიძინო. ექიმმა ძილის წამალი მომცა. ახლა ყველას ძინავს. მეც დავიძინებ. ხვალ დილის შვიდ საათზე აბაზანა მაქვს დანიშნული.

დღეებსა და ღამეებს ტახტზე გაწოლილი ვატარებ. მინდა ცხოვრებას დავუბრუნდე, მაგრამ ვერ გავექეცი, ვერ დავემალე ფიქრს. ომი ჩემში ისე შემოიჭრა, როგორც ღიად დარჩენილ ფანჯარაში გრიგალი და მე ისევ ადამიანთა დასახიჩრებულ სახეებს ვხედავ. ერთმანეთში არეულ ცასა და დედამიწას.

ია ხშირად არის ჩემთან. ვიგონებთ ჩვენს ბავშობას და გოგის ისე ვიგონებთ, როგორც ცოცხალს.

ტროლეიბუსი გაფუჭდა, ვერის ბაზართან ვდგავარ. აქ ტროლეიბუსი ყოველ გავლაზე ფუჭდება. მძღოლი ჩამოვიდა, რაღაცას ჩალიჩობს. ტროლეიბუსი კვლავ დგას. კაფეს წინ ია დავინახე. ტაქსის რიგში დგას. საჩქაროდ ჩამოვედი. ტაქსმა მიმასწრო. ია ჩაჯდა და წავიდა. დამიგვიანდა. ქუჩა გადავჭერი, გაზეთის კიოსკთან მივედი, „თბილისი“ ვიყიდე. ტროლეიბუსი იქვე დგას. მძღოლი მავთულს ბერკეტს უმიზნებს. ფეხით წასვლა მეზარება. ტროლეიბუსში ვჯდები.

ვერის ბაზრის წინ ქუჩაში მწვანე მანდარინს ყიდიან.

კონდუქტორი ენამახვილი ქალია. მისი ოდნავ ჩახლეჩილი ხმა მთელ ტროლეიბუსში გაბზარული ზარივით რეკს.

— ვერის ბაზარი. თუ ბაზარში მიბრძანდებით, შეგიძლიათ გადაბრძანდეთ. ვინც წესი დაარღვია და წინა ბაქნიდან ამოვიდა, ფული გადმოაწოდოს, ნუ გრცხვენიათ, ბილეთის აღება სირცხვილი არ არის.

ესეც რუსთაველის ძეგლი. დგას რუსთაველი და თბილისს გასცქერის. წინათ ამ ადგილს ზემელს ეძახდნენ. დავივიწყოთ ძველი სახელი. ხედავთ, ზემელის აფთიაქი კუთხიდან საცოდავად გამოიყურება. ამ ვებერთელა ძეგლს კი ყოველდღე ხედავთ. თუ ვის-

მეს არ უნახავს, კეთილი ინებოს და გადმოვიდეს, ნახოს. თანაც მწვანე მანდარინი იყიდოს. იყიდეთ, სანამ დამწიფდებოდეს.

რამდენიმე დღეა გადაუღებლად წვიმს. უსაქმობის დროს წვიმები მოსაბეზრებელია. სანატორიუმის დერეფნები დამსვენებლებითაა სავსე. მიყვარს წვიმაში სიარული. ექიმი მაფრთხილებს, არ გაცივდეო.

დროს ბიბლიოთეკაში ვატარებ. დღეში ასჯერ მივაკითხავ ხოლმე წერილებს.

მთაწმინდაზე ავედით. ია სკამზე ზის, მე მოაჯირზე ვარ დაყრდნობილი. ჩვენ თბილისს გადავცქერით. ია არ ინძრევა. არც ხმას იღებს. იას გვერდით ვჯდები. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებთ. ცაზე ვარსკვლავი მოწყდა. დედამიწისაკენ დაეშვა, ჰაერში გაქრა. ია შეკრთა, ხელი ხელზე მომიჭირა.

— თითქოს ეს ვარსკვლავი გოგისი იყო, მოწყდა და სადღაც გაქრა... გოგიც უკვალოდ გაქრა, საფლავიც კი არ ვიცით, სად არის, — თქვა იამ და ჩემკენ გადმოიხარა.

— იქნებ ჩვენი ვარსკვლავიც ბეწვზე ჰკიდია, ისიც უკვალოდ გაქრეს, — ვთქვი მე და რატომღაც წამოვდექი.

— დაჯექი! — ამბობს ია და ხელს ხელზე მკიდებს.

ვარსკვლავი კვლავ წყდება და ბნელ სივრცეში იკარგება.

— ახ! — მესმის იას შეძახილი. ია თვალებზე ხელს იფარებს. მისკენ ვიხრები, თვალებიდან ხელებს ვაცლი. ის თავს მხარზე მადებს და ტირის. მე ვგრძნობ მის ცრემლებს. ნუთუ ცხოვრება თავიდან იწყება, ნუთუ მე ისევ დედამიწაზე ვდგავარ?!

გარშემო ყველაფერი ახლად იკვირტება. ყოველ გაზაფხულზე მცენარეები ცხოვრებას თავიდან იწყებენ. ადამიანები, ადამიანები როდისღა იწყებენ ცხოვრებას თავიდან?!

აბაზანიდან დავბრუნდი. მეძინება. ჩემს ოთახში ვარ, იქ, ჩემს სახლში. გარედან ყვავილების სურნელი შემოდის. საიდან? ჩემი ფანჯრიდან მხოლოდ მოკირწყლული ეზო და წყლის ონკანი ჩანს. ახალგაზრდა ინჟინერი გირებს წევს, მე და გოგი შორიდან ვუყურებთ. ია ბაწარზე ხტის, ითვლის: — ერთი, ორი, ერთი, ორი.

სადღაც დაბალი ხმით ღიღინებენ: — „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“... ვდგები. ფანჯარაში ვიხედები. ახალგაზრდებს ბაღში თავი მოუყრიათ, დაბალი ხმით ღიღინებენ. ესენი იმ დამსვენებლების სტუმრები არიან, ექიმი ქალისა და მისი ქმრის ოთახში რომ დაბინავდნენ. მათთან ქუთაისიდან ახალგაზრდები ხშირად ამოდიან. ფანჯარასთან ვჯდები. იქნებ ღიღინი კარგად გავიგონო. წვიმის შემდეგ ძალზე ჩამოცხა. ბაღში ფოთოლი არ ინძრევა.

დეიდა ქეთევანისა მრცხვენია. ვცდილობ მოვერიდო. ვგრძნობ, იასაც რცხვენია. დეიდა ქეთევანი, როცა ერთად დაგვინახავს, ღიმილით შემოგვცქერის. ჩვენთვის იღიმება დეიდა ქეთევანი და მე უფრო მრცხვენია.

მე და ია მმაჩის ბიუროდან გამოვედით. იას ხელში იის კონა უჭირავს. დეიდა ქეთევანი კარებში გვეგებება, ტკბილეულით სავსე ხონჩას გვაწვდის. გვლოცავს. ასევე დალოცავდა იასა და გოგის. გული მეკუმშება, დეიდა ქეთევანს ვეხვევი.

— მაპატიე, დეიდა ქეთევან! — ვჩურჩულებ. ქეთევანი გულში მიკრავს.

— შვილო, ბედნიერი იყავი, შვილო!

დედაჩემი იქვე დგას, მას, მართლაც, ბედნიერი სახე აქვს. მე მრცხვენია მისი ბედნიერების.

დილიდან სახლში გასაგზავნი წერილის წერა დავიწყე. დეიდა ქეთევანს მუდამ ცალკე ვწერ წერილს. ქეთევანი დაბერდა. პენსიაში გავიდა. თავი მუდამ მხნედ უჭირავს. მის თვალზე ცრემლი არასოდეს მინახავს.

ია და პატარა ბიჭი სამშობიარო სახლიდან მოვიყვანე. პირდაპირ დეიდა ქეთევანთან შევედი.

— დეიდა ქეთევან, როგორ მოგწონს პატარა გოგი? — ვთქვი მე და ბიჭი გავუწოდე.

დეიდა ქეთევანს თვალები გაუფართოვდა. მადლიერმა გადმომხედა, ბიჭი გულში ჩაიკრა.

მომეწყინა.

წყალტუბოს ერთფეროვანი დღეები აღარ მიზიდავს. ძველი დამსვენებლები მთელი დღე შინ დაბრუნებაზე ლაპარაკობენ. ყველას თავისი კერა ენატრება.

ია ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, რაც გამაჩნია. შინ დაბრუნება მეჩქარება. ია დამინახავს და თვალებში სიხარული ჩაუდგება. მე მინდა, იას თვალებში ყოველთვის სიხარული და ბედნიერება იხატებოდეს.

სამსახურიდან ვბრუნდები.

რუსთაველის გამზირზე მივდივარ.

— დაგვაცადონ რუსთაველის გამზირზე სიარული. დაგვაცადონ, ვუყუროთ პიონერთა სასახლის წინ ჩამწკრივებულ ჭადრებს. დავტკბეთ თბილისისი ცქერით! — მესმის გოგის ხმა.

პიონერთა სასახლის წინ ვდგავართ, გოგი ჭადარს ეხვევა.

ხვალ ფრონტზე მივდივართ. დაუსრულებლად დავეხეტებით თბილისის ქუჩებში.

თოვს.

— თოვლი მოდის! — ამბობს გოგი და თოვლს სახეს უშვერს.

— თბილისი ჩვენს წასვლას გლოვობს! — ვამბობ და ხელისგულს თოვლს ვუშვერ.

— ღმერთო, ნუ მოგვიშლი რუსთაველის გამზირზე სიარულს! — ამბობს გოგი.

— ამინ! — ვამბობ მე და გოგის პაპიროსის კოლოფს ვაწვდი.

აბაზანა გამიცდა. გელათში ექსკურსიაზე ვიყავით.

კიბეზე ავდივარ.

სახლიდან მუსიკის ხმა ისმის. როიალთან ია და პატარა გოგი სხედან. ისინი ოთხი ხელით იმ მელოდიას უკრავენ, რომელსაც ია და გოგი ბავშვობისას ასევე ოთხი ხელით უკრავდნენ და მღეროდნენ.

თვალთ დამიბნელდა. აღარაფერი მახსოვს...

ნერვების დასაწყნარებლად წყალტუბოში გამომგზავნეს.

კინოს წინ დამსვენებლებს მოუყრიათ თავი. დღეს უცხოურ სურათს უჩვენებენ. ბილეთი ავიღე. სავსე დარბაზში ძლივს მოვნახე ადგილი. სურათი ომის დღეებს ეხება. მოხუცი მამის წინ ტყვეები ჩაუმწკრივებიათ. ტყვეებს შორის მოხუცის ორი ვაჟია.

გერმანელი მოხუცს უბრძანებს, ვაჟებიდან ერთ-ერთი აირჩიოს. არა, არ შემიძლია, ვერ გავუძლებ...

ბაღში გავედი, მომწყინდა აყვავებულ ზაფრანებს შორის ხეტიალი, გულს შინ დაბრუნება უნდა. თვალწინ შინაურები მიდგანან.

ჩემსა და გოგის შორის რაღაც ჩამოწვა, რაღაც დიდი და გადაულახავი. შორს რჩება მწარე დღეების მოგონებები.

რა არის ეს?

ეს დრო და სივრცეა!

დრო და სივრცე ადამიანის ცხოვრების გზის მაჩვენებელია. ადამიანი თავისი დროის მონაკვეთში პატარა სივრცეს გაირბენს, სულ პატარა სივრცეს. დრო გამოუდგება. ადამიანს კვლავ უნდა ირბინოს. სივრცეები გადალახოს, ირბინოს დაუსრულებლად, მაგრამ დრო, მისი დრო თავდება და მუდამ დაუძლეველი რჩება დრო და სივრცე.

მზის სხივით სავსე კეშვი

სამუშაოდან გვიან დავბრუნდი. ადგილკომის კრება გვქონდა. ჩვენი სახლის წინ მოფუსფუსე ხალხი შევამჩნიე. ფეხი ავუჩქარე.

რა უნდა იყოს?

სადარბაზო ხალხითაა სავსე.

—დეიდა თინა გარდაიცვალა! — მომვარდა პატარა ტასიკო. კიბე სულმოუთქმელად ავირბინე.

— გარდაიცვალა, შვილო, შენი დეიდა თინა, — შემომჩივის ტასიკოს ბებია, — გარდაიცვალა! ისევე ჩუმად, უწყინრად, როგორიც ცხოვრება ჰქონდა.

ცრემლები თავისთავად ჩამომდის. მოკვდა უპატრონოდ. მის ოთახში არაკინ იყო, რომ მისი კვნესა გაეგონა.

დეიდა თინა მშვიდად წევს. თვალები დაუხუჭავს. ბაგის მარცხენა მხარეს ღიმილი ჩასდგომია, გაკვირვებული, ოდნავ დამცინავი ღიმილი.

— წუხელ ტელევიზორს ერთად ვუყურეთ, — ამბობს ტასიკოს ბებია.

— დეიდა თინა გარდაიცვალა! — ჩამძახის ვიღაც და მესმის მეზობლების ცრემლნარევი ჩურჩული. ვეღარაფერს ვხედავ, დეიდა თინას გაცივებული სახისა და მარცხენა ბაგის კუთხეში ჩამდგარი ღიმილის მეტს.

რად იღიმება დეიდა თინა დამცინავი ღიმილით? ვის დასცინის დეიდა თინა, სიკვდილს თუ თავის ცხოვრებას? ასე მგონია,

რომ დეიდა თინა ყველას და ყველაფერს დასცინის — ჩვენც, სიკვდილსაც და ცხოვრებასაც.

დეიდა თინამ სიკვდილს აჯობა. სიკვდილმა იცოდა, რომ დეიდა თინას არ ეშინოდა მისი და ჩუმად, ფეხაკრეფით მიეპარა. მიეპარა და თავს დააცხრა. დეიდა თინამ დამცინავი ღიმილი შეაგება.

„თინა", „თინათინ", როგორი უწყინარი სახელია!

არის სახელები: პატივმოყვარე, პრეტენზიული, ავი და კეთილი. „თინა", „თინათინ" ლამაზი, წყნარი და კეთილი სახელია, ისეთი, როგორიც დეიდა თინა იყო.

— წადი, შვილო, ჭამე რამე! — მეუბნება ვიღაც, მკლავზე ხელს მკიდებს, მე მისკენ ვიხედები, მაგრამ ვერა ვცნობ. ვინ არის, რა უნდა? დეიდა თინას გარშემო გულხელდაკრეფილი ქალები შემოსხდომიან. ის კი წევს წყნარად და ოდნავ იღიმება.

ჩემი მეუღლე მივლინებაშია. მარტო დარჩენის მეშინია. ვუყურებ დეიდა თინას ბაგის მარცხენა კუთხეში ჩამდგარ ღიმილს და ვიცი, რომ დეიდა თინამ სიკვდილი დაამარცხა.

მე კი სიკვდილის მეშინია. მარტო მე? ყველას ეშინია სიკვდილის. მეზობლებსაც ეშინიათ, შემკრთალი მისჩერებიან დეიდა თინას. ჩურჩულით ლაპარაკობენ. გაფართოებული, შიშჩამდგარი თვალებით უცქერიან ერთმანეთს.

კაცობრიობას ეშინია სიკვდილის, მაგრამ მაინც ცდილობს სიკვდილი დათესოს ქვეყნად.

ადამიანს სიკვდილის ეშინია!

მაშ, რად ეხმარება სიკვდილს?

პატარა ვარ, სულ პატარა. დედ-მამა ომში მიდის. ბებია ტირის და ორივეს ემშვიდობება. მე არ ვტირი. დედასა და მამას ჯარისკაცის ტანსაცმელი აცვიათ და მე მიხარია.

უ, როგორ მიხარია!

დეიდა თინა შემოვიდა. ვახტანგს დეიდა თინასათვის ხელი ჩაუვლია, ვახტანგთან მივიჭერი.

— ჩემს მამას თოფი აქვს, დედასაც თოფი აქვს! — თავს ვიწონებ მე. ვახტანგი დედამისის თეთრ კაბას გულდაწყვეტილი შესჩერებია. თვალები ცრემლებით ევსება, გული წყდება.

სადგურზე ყველანი მივდივართ. ბებია ცრემლად იღვრება. დეიდა თინასაც ცრემლები აღრჩობს.

მე კი მიხარია, მიხარია, რომ დედასა და მამას ჯარისკაცის ტანსაცმელი აცვია.

დედა ტირის, გულში მიკრავს, ქვითინებს, სიტყვების თქმა უჭირს.

— დედა, თინა, ჩემს გოგოს გაბარებთ, აბა თქვენ იცით.

თინა და დედაჩემი ერთმანეთს ეხვევიან.

— მალე დაბრუნდი! — ჩურჩულებს დეიდა თინა, — ამათი დარდი ნუ გექნება.

მატარებელი წავიდა. ჩემს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩა ჯარისკაცის ტანსაცმლიანი დედ-მამა.

შინ დავბრუნდით. ბებია და დეიდა თინა მეფერებიან.

— არ იტირო, შვილო! — მეუბნება ბებია, თვითონ კი ტირის. საიდან მოიგონა, ტირილი არც მიფიქრია.

დეიდა თინა სახლში წასვლას არ ფიქრობს. მიხარია. ყოველთვის მიხარია, როცა დეიდა თინა და ვახტანგი ჩვენთან არიან. ბებო ტირის. დეიდა თინა ამშვიდებს.

— რად მინდოდა, ექიმად რომ გავზარდე, თუ ეს დღე მომელოდა. სიძეს წაიყვანდნენ, ქალიშვილი დამრჩებოდა, ახლა რა? — ხელებს უსუსურად შლის ბებია.

— ვახტანგი სად არის? — კითხულობს ვიღაც.

— მოსკოვს ყოფილა წასული.

— მის ცოლს ქურქი ჰქონია შეკვეთილი.

— გააგებინეთ?

— ველაპარაკეთ. დღესვე გამოფრინდება.

— სამ საათზე აქ იქნება! — მესმის ჩურჩული. წუთით თვალებს ვხუჭავ.

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! — კვლავ მესმის ბებიას ხმა. — ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ. მე ჩემს შვილებს ადამიანების დახმარება ვასწავლე. ისინი კი ადამიანების მოსაკლავად წაიყვანეს.

— ისინი ადამიანების დასახმარებლად წაიყვანეს. — ანუგეშებს ბებიას დეიდა თინა.

— ღმერთო, — ტირის ბებია და ხელებს იმტვრევს. — მე თვითონ გავუშვი ორივე, გავაცილე კიდეც. კაცს ქათამს ვერ დავაკვლევინებდი, თოფის სასროლად, ადამიანების მოსაკლავად კი გავუშვი.

დეიდა თინა და ბებია დედას ლოგინზე სხედან. დეიდა თინას ბებიას ხელები უჭირავს, თითქოს უთბობსო. რად უნდა გათბობა, ისედაც ცხელა.

— უნდა მოვითმინოთ. მოვა დრო, როცა ომი საშინელება იქნება მოსაგონებლად.

— მეოცნებე ხარ, შვილო! — ეუბნება ბებია დეიდა თინას. რაც უფრო ვითარდება კაცობრიობა, ადამიანები მით უფრო მოხერხებულ იარაღებს ქმნიან ერთმანეთის გასანადგურებლად.

პატარა გოგოსა და ბიჭს ვხედავ. ისინი პირველად მიდიან სკოლაში. გვერდით ახალგაზრდა ქალი მიყვება. ეს დეიდა თინაა, რომელმაც დაგვაყენა ცხოვრების გზაზე.

— დედა, შენ წამოხვალ და ჩვენ დაგვტოვებ? — ეტიტინება პატარა ბიჭი ახალგაზრდა ქალს.

— ჰო, შვილო, სამუშაოდ უნდა წავიდე!

— მე და მაკა ვიტირებთ! — იბუზება პატარა ბიჭი.

— მე არ ვიტირებ! — თვალები უბრწყინავს პატარა გოგოს.

— არ უნდა იტიროთ, დიდები ხართ!

— „მე დიდი ვარ, მე დიდი ვარ,“ — ვფიქრობ და ვცდილობ დეიდა თინას არ ჩამოვრჩე.

— ქალბატონი დამწუხრებული იქნება. — მესმის ჩურჩული.

— ვინ ქალბატონი? — კითხულობს ვიღაც.

— პატივცემული რძალი.

დეიდა თინას რძალზეა ლაპარაკი.

მე და ვახტანგი აივანზე ვთამაშობთ. ბებია და დეიდა თინა იქვე სხედან და გვითვალთვალებენ.

— იქნებ ამათ ბედნიერებასაც მოვესწროთ, რას იტყვი, ბაბო? — ეუბნება ბებიას დეიდა თინა. ბებია ოხრავს.

— ღმერთმა ყოველ სიკეთეს მოგასწროს, შვილო, მაგრამ ხომ გაგიგონია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. გოგო არ დამიჩაგრო, დედამისმა შენ ჩაგაბარა.

საუბარს ყურს ვუგდებ და მიხარია. ისინი რაღაც დიდ ბედნიერებაზე ლაპარაკობენ.

— რად გაჩუმდი, თამაში არ გინდა? — მიჯავრდება ვახტანგი. მინდა ვუთხრა, რომ ბებია და დეიდა თინა ჩვენს ბედნიერებაზე ლაპარაკობენ, მრცხვენია, ვიბუტები, თანაც მიხარია. მე ვიცი ისინი რაზე ლაპარაკობენ, ვახტანგმა კი არ იცის.

ჩვენ ყიჟინით მივდივართ. თონესთან ვჩერდებით. თონის კარი მუდამ ღიაა, თონეში ცხელა. ირგვლივ ცხელი პურის სასიამოვნო სუნი დგას. ხაბაზი ვეებერთელა რაჭველია. ამბობენ, ინსტიტუტი აქვს დამთავრებულიო. მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხაბაზობა არჩიაო.

რაჭველი მუდამ თეთრი პერანგის ამარა, ფეხშიშველი დადის. მხოლოდ საღამოთი გამოიპრანჭება.

ვჩერდებით, ვუყურებთ, როგორ ჩაეკიდება რაჭველი თონეში, სიცხისაგან შეწუხებული ვეებერთელა ფეხის თითებს მანჭავს. მეშინია თონეში არ ჩავარდეს, ხელის ფრჩხილებს ვიკვნეტ. რაჭველი გაწითლებულია, გაჭარხლებული, წელში სწორდება, სახე ებადრება, იღიმება. ვახტანგი თვალს არ აშორებს, მასაც უნდა ხაბაზი გამოვიდეს.

ერთმანეთს აღმართის არბენაში ვეჯიბრებით. ვახტანგმა მაჯობა. ქვაფენილზე დავჯექი და ვტირი.

— რა დაგემართა? — მომვარდა ვახტანგი.

— ფეხი ვიტკინე!

— მაჩვენე, არა გიშავს! — მამხნევებს, — აბა, ადექი, — მკლავში ხელს მკიდებს, მე ვდგები. — ჩანთა მომეცი! — ვახტანგს ჩემი ჩანთა მოაქვს. ტყუილის მრცხვენია. ვცდილობ, სახეში არ შევხედო, ფეხის ტკივილი მავიწყდება. ჭიშკარში შევირბინე. ვახტანგი მომდევს. ეჭვიც არ ეპარება, რომ მოვატყუე.

სახლში გვიჯავრდებიან.

— სად დაეხეტებით, რად დაიგვიანეთ?

მე დეიდა თინას რძალი უნდა ვყოფილიყავი. ასე უნდოდა დეიდა თინას. ასე ეგონა ყველას, მაგრამ ცხოვრებამ სხვანაირად გადაწყვიტა. ზაფხული თბილისში გავატარე; ბებია ცუდად იყო და ვერ მივატოვე.

ვახტანგი ზღვაზე წავიდა. იქ გაიცნო ის. კოხტა გოგო იყო, კარგად ეცვა, მანქანასაც თვითონ მართავდა. მამამისი რომელიღაც არტელს თავკაცობდა, ფული თავზე საყრელი ჰქონდათ.

ვახტანგი ზღვიდან აღფრთოვანებული დაბრუნდა, დღედაღამ ციალას ქებაშია. უამრავი სურათი ჩამოიტანა. ციალას კინო აპარატიც ჰქონდა და ფოტოც.

დეიდა თინა ბიჭის გატაცებას ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხელ ვახტანგი ღამე სახლში არ დაბრუნდა, დეიდა თინა შეფიქრიანდა.

— რას ფიქრობს ის ბიჭი, მართლა მოსწონს ის გაკნაჭული გოგო?! — მკითხა დეიდა თინამ.

— კი, დეიდა თინა. — დეიდა თინას თვალები გაუფართოვდა.

— გაგიჟდა?!

— რატომ, დეიდა თინა?!

— რა ჩვენი საქმეა, იმათაც რად ვუნდივართ, — აფორიაქდა დეიდა თინა.

გვიან იყო.

ერთ დღეს ვახტანგმა ციალა შინ მოიყვანა. ხელიხელჩაკიდებულნი შემოვიდნენ. ციალა დამფრთხალი იყო, წარბებს ქვემოდან დარცხვენილი გამოიყურებოდა.

— ჩვენ ხელი მოვაწერეთ! — ჩურჩულით თქვა ვახტანგმა, დედას შეხედა.

ეს ამბავი დეიდა თინასათვის მოულოდნელი იყო.

— ამას თუ მიზამდა, არ მეგონა! — დეიდა თინა ჩემს ოთახში წინ და უკან დარბის. — წვითა და დაგვით გამოზრდილმა შვილმა ეს რა მიყო, სად მქონდა ჭკუა.

— უ, ძლივს გათენდა! — ჩურჩულებს ვიღაც.

თვალს ვახელ, ვხედავ მზეს, ვეებერთელა მზეს, რომელმაც ოთახში შემოიხედა.

— ფარდა ჩამოაფარეთ, ფარდა! — ისმის ოთახში დაჟინებული ჩურჩული.

— სიკვდილს ეშინია მზის, სიკვდილს მზის ეშინია! — ვჩურჩულებ და ფარდას ვაფარებ.

ოთახი ბნელდება.

სიკვდილს სიბნელე უყვარს.

ვახტანგი ჩამოვიდა. შეწუხებულია. მე და გიას არ გვცილდება. გია მივლინებიდან დაბრუნდა.

დასაფლავებაზე ყველა მსახიობი მოვიდა. დეიდა თინა წლების შანძილზე მათი მოკარნახე იყო.

დეიდა თინას დიდი ქელეხი გადაუხადეს. თბილისის ყველა არტელმა მიიღო მონაწილეობა. ჩიტის რძე არ აკლდათ, მსახიობები მოიწვიეს. ვახტანგი თავმომწონეთ დააბიჯებს, ვუყურებ, მიკვირს, როგორ იცვლება ადამიანი.

ვახტანგის ცოლს სახლში წასვლა ეჩქარება.

— მიცვალებული იყო ამ ოთახში, აქ ვერ გავათევ ღამეს, მეშინია. — ჭირვეულობს.

მეორე დღეს ციალა დამლაგებელ ქალთან ერთად მოვიდა, დეიდა თინას ოთახის გამოლაგება დაიწყეს. ციალა დეიდა თინას უჯრებს აფორიაქებს, კუთხე და კუნჭული არ რჩება უნახავი. გული მეკუმშება, ჩემს ოთახში გავდივარ. ვახტანგი მეძახის. დეიდა თინას ბინაში ვბრუნდები.

ციალა ოთახს გვის. ნაგავს სურათით იღებს და ნაგვის ყუთში ყრის. ყუთიდან სურათს ვიღებ, ეს ხომ დეიდა თინას საყვარელი სურათია, სოფელში გადაღებული, ოჯახის წევრებთან ერთად. დეიდა თინა ახალგაზრდა, ბედნიერი და მხიარული შემოგვცქერის. აქვე არიან დეიდა თინას ქმარიც, დედაც, მამაც.

უ, როგორ მებრალება დეიდა თინა!

სურათი ჩემს ოთახში მიმაქვს. დეიდა თინას ხმა მესმის:

— ახალი გათხოვილი სოფელში ჩავედი, რა ბედნიერი ვიყავი!

ციალა დეიდა თინას უჯრიდან ქაღალდებს ყრის. სავარძელში ვზივარ და ციალას შევცქერი. ჩემს ფეხებთან შავყდიანი რვეული

დავარდა. რვეულს ხელში ვიღებ. „საუბარი საკუთარ თავთან“, — აწერია რვეულს.

— ციალა, მაჩუქეთ ეს რვეული! — ციალა ეჭვიანად მომჩერებია, მაგრამ თხოვნას მაინც მისრულებს.

— წაიღეთ!

რვეული ჩემს ოთახში მიმაქვს.

სამუშაოზე მივდივარ. დეიდა თინას ოთახის დარაბები დაკეტილია.

მე და ვახტანგი სკოლაში მივდივართ, დეიდა თინა მოგვყვება, გვაჩქარებს. სამუშაოზე ეჩქარება. მე და ვახტანგს არ გვეჩქარება, ქვაფენილზე ვდგავართ, ბეღურებს ვუყურებთ.

— დედა, რამდენი ბარტყი ჰყავს ბეღურას? — დეიდა თინა დაფიქრებულია.

— ყვავილების მიწა, ყვავილების მიწა! — ყვირის მოხუცი. დეიდა თინა ამ მოხუცისაგან ყიდულობდა ყვავილების მიწას. მოხუცს მეორე ეზოდან ვიღაც ეძახის.

ვიღაცას პური მოაქვს, ვიღაცა ბაზარში მიდის, დეიდა თინა კი მოკვდა.

გია ისევ მივლინებაში წავიდა. მე მარტო ვარ, დეიდა თინაზე ვფიქრობ, ხელში მისი რვეული მიჭირავს. დეიდა თინასთან საუბარი მინდა, რვეულს ვშლი, თვალებზე ბინდი მეფარება.

„უ, როგორ მიყვარს სიცოცხლე“, — ასე იწყებს დეიდა თინა თავისთავთან საუბარს.

ადამიანი ყოველთვის ცდილობს ცხოვრებას არ ჩამორჩეს, მეც ვცდილობ.

ჩემი ცხოვრება ვეებერთელა მუხას დაემსგავსა, რომელსაც დრო გამხმარ ფოთლებს აცლის და უსაზღვრო სივრცეში ფანტავს.

გზა ამებნა. ჩემი ცხოვრების ბილიკს ვეძებ. როგორც ხეები სეტყვის წინ, ისე ვარ განაბული.

მოაჯირზე ჩიტი ზის და ჭყივის, აივანი ცარიელია. რატომ ჭყივის ჩიტი? სიცოცხლე უნდა.

ადამიანებსაც უნდათ სიცოცხლე.

ეზოში ფოსტალიონმა ჩემი გვარი დაიძახა, წამოვხტი, ფოსტა-

ლიონი დედაჩემის ბარათს მაწვდის, კონვერტში ფურცელი დევს, ზედ ვახტანგის ხელი ხატია, ჩემი ვახტანგის პატარა ხელი. ბარათს გულში ვიკრავ. ჩემს ცხოვრებას ვუღიმი. ფურცელზე დახატული პატარა ხელი ძალას მმატებს და ცხოვრების მდინარებას ახალი ბედნიერებისაკენ მივყავარ.

ქუჩა გადავჭერი, თეატრის კარი ჩამავალი მზის სხივს გაუნათებია. ასეთ დღეებში ჩემს ბიჭს აქეთ გამოვასეირნებდი ხოლმე. მაშინ მტკვარს ჯებირები არ ჰქონდა, მდინარესთან ახლოს შეიძლებოდა მისვლა.

გაზაფხულის ყოველი საღამო ისეთი გამჭვირვალე და სუფთაა, რომ ყველა საგანი, სულიერი და უსულო, მოძრაობს, სუნთქავს. ჩვენც ვემორჩილებით ცხოვრების ამ კანონს და სიცოცხლისაკენ, მზისკენ მივისწრაფით.

თეატრში შევედი, ჩემი ჯიხურისაკენ წავედი.

შეყვარებული ვარ. ჩემი ჯიხური მეფის სასახლედ მეჩვენება. ვიცი ის დარბაზში ზის, სპექტაკლს უყურებს და ჩემზე ფიქრობს.

უ, რა კარგია, როცა იცი, ვიღაც შენზე ფიქრობს.

ვახტანგი და მაკა ეზოში თამაშობენ, ჩემი მაკა, ასე ვეძახი, რაც მისი უბედური დედ-მამა ომში წავიდა. მაკას ბებიამ დაუძახა. ბიჭიც ისეა დაქანცული, ფეხზე ძლივს დგას, ტანსაცმელს ვხდი.

— დედიკო, ავთანდილმა მითხრა, მაკა შენი დაქალიაო.

— მართალი უთქვამს, შვილო!

— არა, დედა, არა! — ჭირვეულობს ბიჭი.

— რატომ? — მიკვირს მე, — ბიჭი ყელზე ხელებს მხვევს და შეჩურჩულება. სიცილს ძლივს ვიკავებ.

— არა, შვილო, — ვუხსნი რას ნიშნავს დაქალი. ბიჭი კმაყოფილია. საბანში ეხვევა და იღიმება.

დიდი ზამთარი დაიჭირა.

დეიდა ბაბო უგუნებოდაა, კარგა ხანია წერილი არ მიუღია. სიცივეში მუშაობა უჭირს.

გარეთ თოვს, ოთახს ნავთქურა ვეღარ ათბობს.

ჩემგან მსახიობი არ გამოვიდა, ვინც ჩემზე ფიქრობდა, მომტაცეს. შვილი გავზარდე, რძალმა წაიყვანა, მე ჯიხური დამრჩა.

ზაფხული სოფელში გავატარე. გულაღმა ვწევარ, მოწმენდილ ცას შევცქერი, ცა ისეთი მაღალი და მიუწვდომელია, როგორც ჩემი ბედნიერება. გარემო ლურჯ და ვარდისფერ სხივებში ბანაობს. აქ იბადება სიცოცხლით სავსე დღე. მთისწვერიდან მზემ ამოჰყო თავი. ჩიტები სულ ზევით და ზევით მიფრინავენ, თითქოს მზისაკენ მიისწრაფიან. სახე მზეს მივუშვირე, თვალი მომჭრა, სწრაფად დავხუჭე, მზეს პეშვი შევუშვირე.

ასე ვიჭერდი პატარაობისას მზის სხივებს.

პეშვი მზის სხივით ამევსო, მაგრამ თვალის დახამხამებაში თითებს შორის გამეპარა. გული დამწყდა.

წყაროსთან მივედი. ახლა ცივ წყალს შევუშვირე პეშვი. წყალიც არ გაჩერდა. ისიც თითებშუა გამეპარა.

უ, როგორ დამწყდა გული.

რაზე დამწყდა გული?

ცხოვრებაზე, ჩემს ცხოვრებაზე, რომელიც მზის სხივივით, წყაროს ცივი წყალივით თითებშუა გამეპარა და დადგა დღე, როცა მომავალი უკვე აღარ არის.

სპექტაკლი დაიწყო. ძლივს მოვიცილე წარსული დღეების მოგონება.

ადამიანს თავისი წარსული ყოველთვის მომხიბლავად ეჩვენება, მუდამ ჰგონია, რომ თავისი დრო სჯობია აწმყოს.

რატომ?

წარსულიდან მისი ახალგაზრდობა იყურება და, რაც უნდა ცუდი იყოს შენი ახალგაზრდობის დრო, მაინც კარგია, მაინც საყვარელი. იქ ოცნებაა, იმედი მომავლის. აქ ოცნება ქრება და მომავალი აღარ არის. ყოველი ნაბიჯი არარაობასთან გაახლოებს. ახალგაზრდა ამას არ გრძნობს. ახლა კი იცი, ვიღაც ჩასაფრებული გყავს და დროს ელის, როდის გწვდეს ყელში, იხტიბარს არ იტეხ, ცხოვრების გეგმებს აწყობ. ის ვიღაც კი იცინის და დროს უცდის, თავის დროს.

სუსხიანი ქარი დათარეშობს თბილისის ქუჩებში. თეატრში ვერიკო შეფუთნული შემოდის. სახე უღიმის, რაღაც უხარია.

უ, როგორ უხარია.

ვერიკო მოსასხამს იხდის და მსახიობებს ეუბნება:

— ვასილ ივანეს ძემ შემომთავაზა მის შემოქმედებით სა-

ღამოში მივიღო მონაწილეობა. მასთან ერთად ვითამაშო, თქვენ ეს გესმით, კაჩალოვთან ერთად უნდა გამოვიდე, დიალოგი წავიყვანო რუსულ ენაზე, ხალხო... ეს ხომ სიგიჟეა, ის ხომ რუსული ენის დიდი ოსტატია. მერე მისი მეტყველების განსაკუთრებული მუსიკა? — ხელს მაღლა წევს ვერიკო. — მე... ქართველი მსახიობი... არა, რა თქმა უნდა, არა, არ შეიძლება...

ვერიკოს გარს ვეხვევით, ვამხნევებთ, ვულოცავთ.

— ხალხო, არ შეიძლება, ჩავაგდებ, შევრცხვები!

— ქალბატონო ვერიკო, თქვენ შესძლებთ! — ვჩურჩულებ მე და არ ვიცი, მისი ხელი როგორ გაჩნდა ჩემს ხელში.

— მართლაც, რა ბედნიერება იქნება მის გვერდით დგომა, — ამბობს ვერიკო და ოცნებით სავსე თვალებს სივრცეს უშტერებს. — როგორ ვთქვა უარი ასეთ ბედნიერებაზე, ხალხო, როგორ?

სიცივე ვერავის აშინებს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზი ხალხითაა სავსე.

სცენაზე ვერიკოა, ჩვენი ვერიკო, კაჩალოვის გვერდით. ვერიკოს თეთრი კაბა აცვია, თეთრი გრძელი კაბა.

ვერიკო ვერასოდეს გაიგებს, რა კარგი იყო იმ საღამოს, რა მომხიბლავი, რა მშვენიერი, თეთრი, ფაქიზი.

ბუმბერაზი კაჩალოვი და მშვენიერი ვერიკო.

უ, რა მშვენიერი იყო იმ ღამეს ვერიკო!

მერე, მერე, დარბაზში ტაში ქუხდა. გეგონებოდათ ჭერი აიხადა და სივრცემ ჩანთქა ის სიამოვნება, რომელიც მაყურებელმა მიიღო.

საათს ვუყურებ, მეშინია რეპეტიციაზე არ დამაგვიანდეს. სარკის წინ ვჯდები. სახე დამეღარა. თმა გამითეთრდა. თვალები ჩამიქრა.

უ, რამდენი დრო გასულა!

დრომ, რომელიც სწრაფად გარბის, ყველაფერი თან წაიღო. საჭმელს ვჭამ და წასასვლელად ვემზადები.

საათი კვლავ რეკავს.

დრო არ მასვენებს.

დრომ ყელში თოკი ჩამაბა, თავის სურვილისამებრ დამათ-

რევს, დრო ყველაზე ძლიერია. დრო ყველაფერს ანადგურებს: შლის კედლებს, რკინას, ადამიანსა და მისი აზროვნების ყოველ მონაპოვარს.

თეატრში წასვლის წინ გასაღებს მიჩნეულ ადგილზე ვინახავ. ჩვენ ასე ვიცოდით, როცა ბიჭი სკოლაში დადიოდა.

ქუჩაში გამოვდივარ. ეს ქუჩა, ეს ხეები, სახლები, ფანჯრები, საიდანაც ყოველთვის ნაცნობი სახეები მიყურებენ.

აქ ყველაფერი ჩემი ძველისძველი ნაცნობია.

ვერიკო მოხუცი ქალის როლს ასრულებს, ზის და ქსოვს.

მე სული მეხუთება ჯიხურში.

რა ხარ შენ, ადამიანო!

დილით ადრე დგები და სამუშაოზე მიდიხარ. გეშინია, არ დაგაგვიანდეს. მთელი დღე იმუშავე და სახლში დაბრუნება გეჩქარება.

რად გეჩქარება?

სოფლის დიდ ეზოში მავთულია გაბმული და ზედ ვეებერთელა ნაგაზია მიბმული, სახლს ყარაულობს.

ასე დადიხარ შენც, სამსახურსა და სახლს შორის. ამ სიარულში სიბერე წამოგეპარება. შენ მავთულის გავლა დაგეზარება. პატრონს არ მოეწონება შენი საქციელი და სახლის უკან გადაგაბამს. თანდათან შემცირდება შენი სამყარო. ახლა მხოლოდ სახლს უკან ივლი. მერე სადგომიდან გამოსვლა დაგეზარება და მერე ყველაფერი დამთავრდება.

ჩემი ვახტანგი დამპირდა, ამ ზაფხულს მე და ციალაც შენთან ერთად წამოვალთ სოფელშიო, მოუთმენლად ველი შვებულების აღებას.

შვებულებაც ავიღე. ვახტანგმა პირობა არ შეასრულა. მე მარტო მივდივარ სოფელში.

— შენთან ერთად წამოსვლა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ იმ კვირაში აუცილებლად ჩამოვალთო, — მპირდება ვახტანგი.

ჩემი ბიჭის ჩამოსვლას ველი.

ჭიშკართან ფოსტალიონი იძახის, ალბათ ვახტანგის დეპეშაა. ფოსტალიონი კონვერტს მიწვდის. ჩემი გულის ძგერა მესმის. ჩამოყრილ მსხალს ვბოჭავ და ფოსტალიონს ვაწვდი.

— პირი გაისველე, ჩემო ექვთიმე!

— გმადლობთ, რამდენი დაუსხამს ამ დალოცვილს!

ექვთიმე მიდის.

ბებერი მსხლის ძირში ჩავჯექი, წერილს ვკითხულობ. თვალებს არ ვუჯერებ. რამდენჯერმე გადავიკითხე.

ციალას ღვიძლმა შეუტია და ტრუსკავეცში მივდივართო, თუ მოვახერხე, რამდენიმე დღით გეწვევიო, — მწერს ვახტანგი.

უ, რა სასტიკნი ვართ ადამიანები.

მსხალი ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. ავხედე ბებერ მსხალს, ნაყოფი ავიღე, მწიფე მსხალი ჩავკბიჩე, ვგრძნობ, როგორ ვატანს მარილიან ცრემლს. რამდენი დაუსხამს ამ საწყალს! წლებმა და ამდენმა ნაყოფმა გული გამოსჭამა.

გული გამოსჭამა.

ვინ გამოსჭამა გული?

დრომ.

— ვერ ვთავსდებით, დედა, ამ ბინაში, რა ვუყო? — მესმის ვახტანგის ხმა. — უჭირს ჩვენს პირობებში ცხოვრება.

— რა იყო, ბიჭო, მთელი სიცოცხლე ამ სახლში არ ვცხოვრობდით?

— მაშინ სხვა დრო იყო!

— რა დრო უნდა, შვილო, მაგას, ქალი რომ გათხოვდება, ქმართან უნდა იცხოვროს.

— ნებიერადაა გაზრდილი დედ-მამის სახლში.

— ჩვენც მოგვცემენ ბინას.

— მანამდე გადავალთ.

— ჩასიძებული კაცის ცხოვრება როგორია, ხომ იცი?

— რა ვქნა, დედა, ოჯახს ხომ ვერ დავანგრევ? — მესმის ვახტანგის ხმა.

ასე დაინგრა ჩემი ოჯახი. დავრჩი მარტო. ჩემს შვილს ათასში ერთხელ გავახსენდები.

„დედაშვილობაში ვინ ვისთვისაო, რა საკითხავია. — ვაი რომ, საკითხავი ყოფილა!“ — გამახსენდა ილიას სიტყვები.

საწყალი, ბებერი მსხალი თავის მოვალეობას არ ივიწყებს, მეც რამდენიმე შვილი რომ მყოლოდა, ნუთუ ყველა მიმატოვებდა?

ნაყოფით დამძიმებულ ბებერ მსხალს შევხედე, როგორ მიყვარდა ბავშობისას მასზე ასვლა.

გაზაფხულია. დედაჩემი უღონოდ არის, რამდენიმე დღით ჩამოვედი სოფელში.

ჩვენი ბებერი, ფუღურო მსხალიც აყვავებულა, მორთულა! თავს უამრავი ფუტკარი დახვევია და დგას ბებერი ფუღურო მსხალი თავმომწონედ, კოპწიად, გაახალგაზრდავებული, გახარებული, თეთრი ყვავილებით მორთული.

ვუყურებ ბებერ მსხალს და გული მწყდება.

რად მწყდება გული?

რა იქნება, ადამიანიც ყოველ გაზაფხულს ბებერი მსხალივით ყვაოდეს, ლამაზდებოდეს, კოპწიავდებოდეს.

რად ექცევა ადამიანს დრო ასე სასტიკად? დრო ყოველ ჭირს ერევა. ადამიანს ყოველ ჭირს ავიწყებს. მხოლოდ ერთ ჭირს უახლოებს, ყოველ ჭირზე დიდ ჭირს — სიბერეს, აქ დრო პირიქით იქცევა, მოიტანს სიბერეს და ყოველ ბილიკს ჩამოაბნელებს.

ვახტანგი სოფელში არ ჩამოვიდა. ხვალ შვებულება მითავდება. ბებერი მსხლის ქვეშ ვწევარ. ვეებერთელა მთვარე ცაზე სულ ნელა, ნელა მიცურავს. ბავშვობაში რამდენი მიოცნებია მთვარიან ღამეში. მაშინ მთვარე ძალიან მიყვარდა. ის ჩემი მესაიდუმლე იყო.

ახლა? ახლა აღარ მიყვარს. რაც ადამიანმა მთვარეზე ფეხი დაადგა, მთვარე აღარ მიყვარს.

რას წარმოადგენს მთვარე?

ვეებერთელა ლოდების გროვას, უნაყოფოს, უწყლოს, უგულოს, ვუყურებ მთვარეს, მთვარეს ცრემლები ჩამოსდის. მთვარე ტირის.

მოვა დრო, როცა ადამიანი ვეებერთელა ცოცხით ქვეყნის ზედაპირიდან ყველაფერს გამოგვის და დედამიწაც დარჩება ცარიელი, როგორც მთვარე.

შეჩერდი, ადამიანო!

ჩემი დედა

დეიდა ნინო ყვავილებს წყალს უსხამს. ასე უსხამს დეიდა ნინო ყვავილებს ყოველდღე წყალს.

ნინო გაზაფხულზე აივნის წინ ყვავილებს თესავს და ყოველდღე რწყავს. ხვიარა ყვავილები აივანს მიჰყვება.

— მთელი დღის მუშაობით წელი აქვს მოწყვეტილი, რა ეყვავილება, მაგ დალოცვილს, — ამბობენ მეზობლები.

— მიყვარს ყვავილები. — თავს იმართლებს ნინო.

ნინო პატარა სიფრიფანა ქალია, სავსე ვედროს ძლივს მიათრევს. გამხდარი და დამჭკნარი ხელები აქვს, თეთრი დამჭკნარი ხელები. ეს ცხელი წყლის ბრალია. დეიდა ნინო ჩვენი უბნის მრეცხავია. მთელი დღე ხელები ცხელ წყალში აქვს. მე არ მიყვარს ნინოს ხელების ცქერა. მეშინია ამ არაბუნებრივად თეთრი, დამჭკნარი ხელების.

ნინოს ოთახში სინათლე მარტო აივნიდან შედის. აქ ამზადებს ის კერძს, აქვე სძინავს თავისი ოთხი შვილით. ზამთრის ცივ დღეებში აქვე რეცხავს სარეცხს, ამიტომ მათ ოთახში მუდამ ცხელი წყლის ბუღი დგას.

* * *

დედა აივნის მოაჯირს დაყრდნობია. ნინოს გადმოსცქერის.

მე ვიცი, რას ფიქრობს დედა: — ცხოვრებას სამართალი არ აქვს, თორემ ნინოს ყვავილნარი უნდა ჰქონდეს. დედისაკენ ვიხედები. დედა ყურადღებას არ მაქცევს, სახლში შედის.

ჩვენი ბინიდან როიალის ხმა ისმის. დედა უკრავს. დედა მუსიკის მასწავლებელია და მუსიკა უყვარს. დედა უკრავს მოცარტს, ბახს, ჩაიკოვსკის. ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ ხასიათზეა დედა. მესმის ბეთჰოვენის მთვარის სონატას ჰანგები.

დღეს დედა სევდიანია.

რატომ?

დეიდა ნინო ბედნიერი იქნება, დიდი ყვავილნარი რომ ჰქონდეს? ვფიქრობ და დედას ვუსმენ.

დედას აქვს როიალი, დედასაც ისევე უყვარს როიალი, როგორც დეიდა ნინოს ყვავილები.

* * *

რკინის მრგვალ კიბეზე გამხდარი კაცი ადის. მისი ფეხის ხმა მთელ ეზოს ესმის.

ეს კაცი მასწავლებელია. სხვენზე მარტოდმარტო ცხოვრობს პატარა ოთახში. მასწავლებლის ოთახი ჩიტის ბუდესავითაა გადმოკიდებული. ჩვენი ეზოს ბავშვები იმ ოთახში ცხოვრებაზე ვოცნებობთ.

მასწავლებელი ძალზე ფაქიზი და კოხტა კაცია. ყოველთვის ჯოპწიად აცვია. ეზოში რომ გაივლის, იის სურნელებას ტოვებს.

ჩვენ ეზოში მასწავლებელს გულჩახვეულ კაცს ეძახიან. ის არავის ელაპარაკება, მხოლოდ ბავშვებს თუ გაგვცემს ხმას. განსაკუთრებით ირაკლი უყვარს.

ირაკლი დეიდა ნინოს უმცროსი ვაჟია, ირინეს ტყუპის ცალი.

ირაკლი მასწავლებლის ხშირი სტუმარია. მასწავლებელი წიგნებს აძლევს წასაკითხად. ირაკლი ამაყობს ამ მეგობრობით.

როცა ირაკლი რკინის დახვეული კიბით მაღლა ადის, ჩვენ შურის თვალით შევცქერით.

ეზოში კლასობანას ვთამაშობთ. გვიყვარს ეს თამაში. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ჩვენ პატარა ეზოში ასფალტი მოაგეს. ფეხის თითებს აღარ ვიმტვრევთ ქვაფენილზე.

ჩვენ ეზოში ბავშვები საკმარისად ვართ: მე, დეიდა ნინოს ირინე და ირაკლი. ისინი ტყუპები არიან, მაგრამ ერთმანეთს სრუ-

ლებით არ გვანან პატარა ტანის დალეული ირინე და ვეებერთელა მხარბეჭიანი ირაკლი.

ირინე დედას გავს, ირაკლი მამას. მამამისი არ მახსოვს, ვიცი, ომში დაიღუპა, ისევე როგორც მამაჩემი. აგერ კიდევ ვახტანგი, რუსიკო, მამუკა, გულო, კოტე.

ალიკა ჩვენს ეზოში ახლად გადმოსულია. ის ჩვენთან არ თამაშობს, დედამისი არ უშვებს. ახლაც აივანზე დგას და იქიდან გადმოგვცქერის. ხელში ვეებერთელა ბურთი უჭირავს, ეტყობა, სული მისდის, თამაში უნდა, მაგრამ ქალბატონი ჯულიეტა შეუდრეკელია. ასე ეძახიან ალიკას დედას. ის მაღალი, მოსული ქალია, ოქროსფერი თმა ბულულივით ადგას თავზე, თეთრი გადატკეცილი სახე აქვს და ყოველდღე სხვადასხვა საყურეს იკეთებს.

ირინეს მოსწონს ქალბატონი ჯულიეტა, სულ მის ბეჭდებს შესციცინებს. — იცი, როგორი მდიდრები არიან? — საიდუმლოდ მეჩურჩულება. — ისეთი სკამები მოიტანეს, ისეთი ჭაღები, ჩვენს ოთახში არც დაეტევა. როცა ცნობილი ბალერინა ვიქნები, მეც ასეთ ნივთებს ვიყიდი.

ირინეს უნდა ბალერინა გახდეს, ამაზე ოცნებობს.

მე რაზე ვოცნებობ?

— „რატომ არ ვარდება მთვარე მიწაზე?“ — ვფიქრობ და ჩვენი ეზოს თავზე გადმოკიდებულ მთვარეს შევცქერი.

— დაღამდა, სახლში ამოსვლას აღარ ფიქრობთ?! — ისმის რუსუდანის დედის ხმა და ჩვენ სახლისაკენ მივეშურებით.

* * *

წლები გავიდა.

ჩვენ წამოვიზარდეთ.

ჩვენი ეზო ისეთივეა, როგორიც მაშინ, პატარები რომ ვიყავით.

რა განსხვავებაა?

ალიკა, ირაკლი და მე ერთ კლასში ვართ. ალიკა მთელ დღეებს ჩვენთან ატარებს, დედამისი ჩვენთან თამაშს აღარ უშლის.

ირინე მალე საბალეტო სკოლას დაამთავრებს. მთელი დღე შეუძლია ბალეტზე და ვახტანგ ჭაბუკიანზე ილაპარაკოს.

დეიდა ნინო კვლავ სარეცხს რეცხავს, ხანდახან ჩვენთან ამოდის დედასთან სასაუბროდ. ხელები კიდევ უფრო მეტად დაუჭკნა. ახლა ოთახში სამნი ცხოვრობენ — დეიდა ნინო, ირინე და ირაკლი. მასწავლებელს საფეთქლებთან თმა გაუთეთრდა.

საღამოა. ჩვენ მასწავლებლის კიბეზე ვართ შეხუნძლული.

— ბავშვებს ბეღურებივით მოუყრიათ თავი. — ამბობს დეიდა ნინო.

მასწავლებელი აქ არ არის, დასასვენებლად წავიდა.

— საგზური უფასოდ მისცეს. — ამბობს ირაკლი.

— ნეტავი იმას, — იღიმება ვახტანგი.

— დამსახურებული მასწავლებელია. — თავი მოსწონს ირაკლის.

— რა არის სანატრელი, თუ მოვისურვე, ახლავე წავალ, სადაც მინდა. — ამბობს ალიკა.

— მერე რად არ მიდიხარ?! — უკვირს მამუკას. მამუკა ჩვენზე უმცროსია. უყვარს ჩვენთან ყოფნა. ამაყობს დიდებთან მეგობრობით.

— ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის. — პასუხობს ალიკა. შავ ხუჭუჭ ქოჩორში წვდება და ოდნავ არხევს. მამუკას არ მოსწონს ალიკას უხეში ხუმრობა, წარბებს ქვემოდან გასცქერის.

—ეჰ, ჩემო მამუკა, სეირნობისათვის გვცალია? წელს სკოლას ვამთავრებთ. — ირაკლი მამუკას მხრებზე ხელს ტოლივით ხვევს. მამუკას უხარია, ირაკლისაკენ იხრება და თვალები უბრწყინავს. — არც ისე ადვილია ცხოვრების გზის მონახვა! — ამბობს ირაკლი და ზეცას უყურებს.

მეც ზეცას ვუცქერი, ეზოს თავზე გადმოკიდებულ ვეებერთელა მთვარეს. პატარა რომ ვიყავი, ყოველთვის ვფიქრობდი: — რატომ არ ვარდება მთვარე მიწაზე?

ახლა კი ვიცი, რატომ არ ვარდება მთვარე მიწაზე.

— ადვილი არ არის ცხოვრების გზის მონახვა. — იმეორებს ირაკლი, ეტყობა, თავის ნათქვამი მოსწონს.

ირაკლის ვუყურებ.

— ყველაფერს ნუ აზვიადებ. — ადვილი არ არის ცხოვრების გზის მონახვა! — გამოაჯავრა ალიკამ.

— შენ ყველაფერი იოლად მოგდის. ყველასათვის ეგრე არ არის, — არ ეთანხმება ირაკლი.

— დარწმუნებული ვარ, ცხოვრება რაც უნდა დიდი წინააღმდეგობებით იყოს სავსე, მაინც გამარჯვებული გამოვალ. ხედავ. წინ რა ფართო გზა იშლება. ჩვენ ამ გზის დასაწყისში ვდგავართ, რა შემიშლის ხელს? — ალიკა ზეზე დგება. შუა ეზოში ანთებული შუქი სახეს უნათებს და მე ალიკა მეტად ლამაზი მეჩვენება.

— იოლ გზას ყოველთვის არ მოაქვს ბედნიერება. ადამიანი მუდამ ეპოტინება თავის ოცნებას

— ყოველთვის წინ უნდა იცქირებოდე. ცხოვრებაში დამარცხება ახალ ძალას აძლევს ადამიანს, ახალ ენარგიას და ამიტომ მისი დამარცხება ძნელია. ალიკას თავი გამარჯვებულად მიაჩნია. ამაყად დგას. ირაკლი დაფიქრებულია.

ბიჭები გაჩუმდნენ.

ირინე აკაციის ღეროს ფოთლებს აცლის და ჩურჩულებს:

— მიმიღებენ, არ მიმიღებენ.

— ირინე, გაგიჟდი?!

ყველანი ვხარხარებთ.

— ცხოვრების გზას ვეძებ. — იღიმება ირინე.

— იპოვე?!

— თუ ოპერაში მიმიღებენ, ცხოვრების კარი ღია მექნება.

— შენც შიგ შეფრინდები.

— მე ხომ კარგი მოწაფე ვარ?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— არსებობს ქვეყანაზე ბედნიერება?

უკან ვიხედები, მინდა გავიგო, ვინა თქვა ეს. კიბეზე ვახტანგი დგას და ნათურას შესჩერებია.

— ამბობენ, ადამიანის ბედნიერება შრომაშიაო. — თქვა ვახტანგმა და ირაკლის მხარზე ხელი დაჰკრა.

— ეგ ტყუილია! — ვცხარობ მე, თვითონვე მიკვირს, წინათ ირაკლისი მჯეროდა, ახლა თითქოს ალიკას აზრებით ვლაპარაკობ. ალიკა მიყურებს და იღიმება. — შრომაში ბედნიერებას ვერ ვხედავ. დეიდა ნინო მთელი სიცოცხლე შრომობს. ქმარი ომში მოუკლეს. ოთხი შვილი დარჩა. მთელი ცხოვრება მათთვის იშრომა.

იმოდენა სკოლას ალაგებს. ზოგჯერ მთელი ღამეები რეცხავს სხვის სარეცხს, კვირა-უქმე დღეებში ალაგებს სხვის სახლებს. სად არის აქ ბედნიერება?

— დედა ყოველთვის იძულებით შრომას ეწეოდა, მიუხედავად ამისა, ამაშიაც იყო ბედნიერება, პატარა სიხარული. დედა შრომობდა, რომ ოთხი შვილი გამოეკვება, წარმომიდგენია, როგორ უხაროდა, როცა ჩვენ არ გვშიოდა. აი, დედას შრომის შედეგი — ზურაბი ექიმია, პაპუნა ინჟინერი. ჩვენღა დავრჩით, ალბათ, ჩვენც ვეწევით ჩვენს გზას. — გაიღიმა ირაკლიმ და ირინეს გადახედა. ირაკლის ღიმილი უხდება.

— მე კი მგონია მსოფლიო მაშინ იქნება ბედნიერი, როცა ქვეყანაზე შიმშილი, სიღარიბე და ომი აღარ იქნება. — ვამბობ მე. ირაკლი გაბრწყინებული თვალებით შემომცქერის.

— ყველა ადამიანი უნდა ცდილობდეს მაგის მიღწევას, — მიდასტურებს ვახტანგი. ფეხზე დგება, ცას შეჰყურებს — მგონი, წვიმას აპირებს.

ყველა ცას შესცქერის.

— საიდან მოიგონე? — ამბობს ალიკა.

— მშვიდობიანობის მიღწევას სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ, — განაგრძობს ირაკლი.

— სახელმწიფოს ადამიანები ქმნიან. — ამბობს ვახტანგი და ჯოხით ასფალტზე რაღაცას ხაზავს.

— სახელმწიფოებს დიდი მიზნები აქვთ; მიაღწიონ მთვარეს, ვენერას, ხარჯავენ აუარებელ ფულს, ენერგიას, შრომას, ცოდნას.

— კარგი იქნებოდა აღმოეჩინათ კიბოს წამალი. — ლაპარაკს აწყვეტინებს გულო. თვალები ცრემლით ევსება. — გულოს მამა კიბოთია ავად. გულოს მუდამ კიბოს წამალი ახსოვს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

აცრემლებულ გულოს მივჩერებივართ.

— ჩემი სურვილი რამდენ ადამიანს მოუტანდა ბედნიერებას. — განაგრძობს გულო. — ახლა რა? სახელმწიფოები ერთმანეთს თავს აწონებენ, ერთმანეთს უხეირო მეზობლებივით ეჯიბრებიან.

ალიკას დედა კიბის თავში დგას. კიბეზე მუშებს სავარძლები ამოაქვთ. მოპირდაპირე კარი იღება, აქიდან მარგალიტა იხედება.

როგორ უხარია ჯულიეტას, მარგალიტამ რომ გამოიხედა. მაგრამ არ იმჩნევს. მუშებს უჯავრდება.

— ნელა ამოიტანეთ, არ დაამტვრიოთ. ძლივს იშოვა ჩემმა ამირანმა. საბჭოთა კავშირში ერთადერთი მოსულა.

მარგალიტას თვალები უფართოვდება. მოთმინება ეკარგება.

— სად იშოვეთ, ქალბატონო ჯულიეტა? — ჯულიეტა მარგალიტასაკენ მობრუნდა, თითქოს ახლა დაინახა.

— ქალბატონო მარგალიტა, ჩემმა ამირანმა ჩემი გემოვნებიის, თანაც ამოდენა ნაცნობები ჰყავს.

სადარბაზოს კიბეზე მარგალიტას ქმარი გამოჩნდა, ძია ვიქტორი ავადმყოფი კაცია, ძალზე გამხდარი, ცხვირში სინათლე გასდის. გამოჩენილი პროფესორია. მძიმე პორტფელს ძლივს მოათრევს. მარგალიტა მივარდა.

— ვიქტორ, შეხედე, ამირანს როგორი სავარძლები მოუტანია.

— რა სავარძლები? — უკვირს ძია ვიქტორს, ახლა ამჩნევს კიბეზე ამომავალ მუშებს. მძიმე პორტფელს კიბის საფეხურზე დებს.

— ბედოვლათო! — სისინებს მარგალიტა და კარს ხმაურით ხურავს.

— ეგ მანამ იქნება, სანამ ქვეყნად ორი სამყაროა. — გამომარკვია ირაკლის ხმამ.—როგორ გინდა ორი სამყარო ერთმანეთთან შეარიგო, აქ ორი მიმართულება ერთმანეთს ებრძვის. ბურჟუაზიული ქვეყნის მეცნიერები მომხრენი არიან ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის და ამტკიცებენ, რომ მიწაზე ყოველი დამატებითი შრომა იწვევს ნაყოფიერების დაცემას.

— ეს რაღა არის? — კითხულობს მამუკა და ირაკლის ამაყად უყურებს. ეტყობა, მოსწონს მეგობრის სიტყვები.

— ამ თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო საარსებო საშუალებანი — არითმეტიკული პროგრესიით. ეს გამოიწვევს მოსახლეობის ნაწილის შიმშილს, სიღარიბეს და სიკვდილს. ისინი ამბობენ: — თუ გვინდა კაცობრიობა დავიხსნათ, საჭიროა ზედმეტი ადამიანები მოვსპოთ.

— ვინ არის ეს ზედმეტი ადამიანები? — კვლავ კითხულობს მამუკა, თვალები უფართოვდება.

— ისინი გულისხმობენ უმუშევრებს, გაღატაკებულ მშრომელებს და მილიონობით ადამიანებს სოციალისტური ქვეყნებიდან.

— ბიჭოს, არ უყურებ ირაკლის, ეგ შენ ისწავლე თუ შენმა „უჩიტელმა“ გასწავლა? — სიტყვას ბანზე უგდებს ალიკა.

ირაკლის მეგობარ მასწავლებელს ჩვენ ზოგჯერ „უჩიტელს“ ვეძახით.

მამუკა შეშინებული თვალებით შესცქერის ირაკლის.

— ნუ გეშინია, მამუკა. — იღიმება ირაკლი. — ჩვენ ყველანი ვამტკიცებთ, რომ მათი თეორია უსაფუძვლოა. ტექნიკის პროგრესი მთელ დედამიწას ვეებერთელა ზოდად გადააქცევს, რომელიც ყოველ დროს შესძლებს მსოფლიო გამოკვებოს. ირაკლი ჩერდება და ალიკას უყურებს, ალიკა ირაკლის ლანჩაავარდნილ ფეხსაცმელს თვალს არ აცილებს.

გარეთ თოვს. მე და ირაკლი დეიდა ნინოს ოთახში ნავთქურასთან ვსხედვართ. ირაკლიმ ფეხსაცმელები წაიძრო. გათოშილი ფეხები ნავთქურას მიუშვირა. ირაკლის ახალი ფეხსაცმელები არ ღირსებია, მუდამ ძმების გამონაცვალი აცვია. ფეხსაცმელი ხან დიდი აქვს, ხან პატარა. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელი ძმის ფეხსაცმელია, მაღალი მხარბეჭიანი ზურაბის, თუ გამხდარი და გალეული პაპუნასი. მეცოდება ირაკლი.

— ამიტომ არ უნდა დავანგრიოთ ის სასარგებლო, რაც ადამიანებს საუკუნეების მანძილზე შეუქმნიათ... გავუფრთხილდეთ ბუნებას, ტყეებს, გარეულ ცხოველებს და ყველაფერს. ადამიანებმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ცოცხალი ბუნება. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი გემოვნებით, — როცა ქვეყანა ასეთი მშვენიერია, ჩვენ ვერ შევურიგდებით აზრს, რომ დედამიწაზე ომმა სიცოცხლე მოსპოს. განა შეიძლება, ადამიანს ეშინოდეს, რომ მის ქვეყანას, მის ხალხს, მის სახლ-კარს ომი გაანადგურებს. ვამბობ მე და ვგრძნობ, ირაკლი როგორ კმაყოფილი მიყურებს. ეზოში დეიდა ნინო შემოვიდა. ხელში სარეცხით სავსე ვეებერთელა კალათი უჭირავს. ირაკლი ლაპარაკს თავს ანებებს და დედის დასახმარებლად გარბის.

— გვიანაა! — ამბობს ვიღაც და ჩვენ ზანტი ნაბიჯებით სახლისაკენ მივდივართ.

კიბეზე ავდივარ. დაცარიელებულ ეზოს გადავცქერი. ირინეს ონკანი მოუშვია, ვედროს ავსებს. ალიკა კიბეზე დგას და ჩემკენ იცქირება.

* * *

გამოსაშვები საღამოდან დავბრუნდი. კიბე ავირბინე. დედა უკვე მოსულა. ისიც ჩვენ გამოსაშვებ საღამოზე იყო. ადრე წამოვიდა. ჩვენ კი ყველანი ერთად წამოვედით. მიძინებულ ქუჩებში ადიდებულ მდინარესავით შემოვიჭერით.

კარი დედამ გამიღო. გამიღიმა. დიდ სარკეში მთელი ტანით ვამოვჩნდი, ჩემი თავი მომეწონა, თეთრი კაბა მიხდება.

— როგორ მომქცევია კაბა, ბაფთიც. — ვამბობ და სარკეს თვალს ვერ ვაცილებ. დედა მიღიმის. თეთრ ვეებერთელა ბაფთს მხსნის.

დედამ გულში ჩამიკრა, რა კარგია დედა. ჩემი ბაფთი სათუთად დაკეცა და მაგიდის ბოლო უჯრაში ჩადო, იმ უჯრაში, რომლის გასაღებს მუდამ თან ატარებს.

ქუჩის მხარეს აივანზე გავედი. ქუჩა ცარიელია. გვიანაა. მე კი მინდა ქუჩა ცარიელი არ იყოს. მთვარიანი ღამეა. ქუჩის ელნათურები მთვარეს შუქს უკარგავს. მე კი მინდა მთვარე ანათებდეს, შორიდან ძაღლის ყეფა ისმოდეს.

— დაწექი, შვილო! — მესმის დედის ხმა.

— არ მეძინება, დედიკო!

— შენი ნებაა! — თქვა დედამ და დასაწოლად მოემზადა.

ეზოს მხარეს ფანჯარა გავაღე, გადავიხედე, ჩვენი ეზო მიყუჩებულია. ვიღაცას ონკანი მოშვებული დაუტოვებია, წყლის ჩხრიალი ისმის. ნუთუ ყველამ დაიძინა? ყველას ბინა ჩაბნელებულია. დეიდა ნინოს ბინიდან შუქი გამოდის. ალბათ, ნინო აუთოებს. ის მუდამ გვიან ღამემდე აუთოებს. დეიდა ნინომ შუქი ჩააქრო.

დავწექი.

უ, რამდენი ვიცეკვე დღეს! ყველაზე ბევრი მგონი მე ვიცეკვე: ალიკასთან, ვახტანგთან, ირაკლისთან.

ირინე ჩემზე კარგად ცეკვავს, რა გასაკვირია, ქორეოგრაფიულ სკოლას ამთავრებს!

— შევცდი, საბალეტო სკოლაში რომ შევიყვანე, სადა მაქვს მაგდენი შეძლება, კარგი ჩაცმა უნდა, კარგი დახურვა. — დარდობს ნინო.

— არა უშავს რა, თვითონ ჩაიცვამს! — ანუგეშებს დედაჩემი.

— რას აიღებს, ოთხმოც მანეთს?!

ალიკას უნდა მარტო ჩემთან იცეკვოს. ჩემ თეთრ კაბას სარკეში ვხედავ, მიხარია.

სარკეში ირინე და ალიკაც ჩანს, ახლა ისინი ერთად ცეკვავენ. ბულბულივით მსუბუქ ირინეს ალიკა ზევიდან დასცქერის. ირინე იცინის. ნეტა რად იცინის ირინე?

მე ქვევიდან შევცქერი ირაკლის. ირაკლი ყველაზე მაღალია ჩვენს კლასში, ყველაზე მაღალი და მხარბეჭიანი. ალიკაც მაღალია და უკეთესი ტანი აქვს, ასე ამბობენ გოგოები. ირაკლი ცოტა დონდლოა და ძალზე გულუბრყვილო.

ირინე და ალიკა სასაცილოები არიან, ალიკა ირინეს ბუმბულივით მიაფრიალებს.

— ბავშვისათვის მთავარია თავიდანვე შეურჩიო წრე! მესმის დედის ოთახიდან უცნობი ხმა.

— ირინე და ირაკლი კარგი ბავშვები არიან.

— ვერ წარმომიდგენია, რა უნდა იყვნენ დამლაგებელი ქალის გაზრდილნი. თქვენგან მიკვირს, როგორ აძლევთ მათთან თამაშის უფლებას თქვენ შვილს, — კვლავ მესმის უცნობი ხმა.

— ქალბატონო ჯულიეტა, მე კარგად ვერკვევი ადამიანებში, — მესმის დედის ნაწყენი ხმა.

— ბავშვები მთელი დღე უპატრონოდ ყრიან! — კარის ჭუჭრუტანაში ვიცქირები. ა, ახლადგადმოსული მეზობელი ყოფილა! რა მშვენიერი ხალათი აცვია.

— ჩემს შვილს მათთან თამაშის უფლებას ვერ მივცემ.

— ეგ თქვენი ნებაა.

— ეს არ უნდა გაგიკვირდეთ, ერთადერთი შვილი მყავს, მინდა მის აღზრდაში მცირედი შეცდომაც არ დავუშვა.

— შესანიშნავი სურვილია! — ამბობს დედა და კარებისაკენ მოდის. კარებს სწრაფად ვცილდები.

* * *

გაკვეთილები დავამზადე. ეზოში ჩავედი. კლასობანას ვთამაშობთ. ახლადგადმოსული ბიჭი აივანზე დგას. ხელში ვეებერთელა თეთრი ბურთი უჭირავს, ნამდვილი ფეხბურთის სათამაშო ბურთი, და აივნიდან გადმოგვცქერის.

— ჩამოდი, ჩვენთან ითამაშე! — ეძახის ირინე.

— თავი დაანებე, რად გინდა?! ვუჯავრდები ირინეს. დედაშისის სიტყვები მაგონდება.

ბიჭი ვიღაცას სთხოვს ეზოში ჩამოუშვას, ის ვიღაც არ უშვებს.

ჩვენ დიდხანს ვთამაშობდით ეზოში. ახლადგადმოსული ბიჭი ჩამოვიდა, ჩვენ თამაშს შორიდან უყურებს. ხელში თავისი ვეებერთელა ბურთი უჭირავს. ბიჭი ჩემთან მოვიდა, ბურთი გამომიწოდა:

— წაიღე, ითამაშე!

— არ მინდა შენი ბურთი! — ვუღრენ მე. ირინე ბურთს ხელს უშვდის.

— შენ არა, შენ არა! —ბიჭმა ბურთიანი ხელი უკან დასწია.

— თავი დაანებე! —ვუყვირი მე. ბიჭს ხელი ვკარი.

— დედა! — ღრიალებს ბიჭი და სახლისაკენ გარბის. ბურთი ეზოში მიგორავს.

ქალბატონი ჯულიეტა აივნიდან იხედება:

— საზიზღარი ბავშვებია, ბიჭს ბურთი წაართვეს! — ისმის ჯულიეტას ხმა. — ჩადი, ბურთი ამოიტანე! — უბრძანა მან ვიღაცას. ეზოში შინამოსამსახურე ჩამოვიდა. ირინე ბურთისაკენ გაიქცა.

— ნუ მეტიჩრობ! — ვტუქსავ ირინეს და ვიჭერ.

* * *

მთაწმინდიდან გვიან დავბრუნდი. დედა კონცერტზე წასულა. მაგიდაზე ბარათი დევს: — თუ ადრე მოხვიდე შენც წამოდიო, — მწერს დედა.

კონცერტზე წასვლა არ მინდა.

მარტოობა მინდა.

რად მინდა მარტოობა!

თავისუფალი დღეები გავანაწილეთ. დღეს მთაწმინდაზე ვიყავით. ხვალ ბოტანიკურ ბაღში მივდივართ, ზეგ მცხეთაში.

გამოცდებისათვის მზადებას რომ დავიწყებთ, დრო აღარ გვექნება.

მთაწმინდაზე სიმღერით ავედით.

წელს წვიმიანი გაზაფხულია. იმრავლა ყაყაჩოებმა. ყაყაჩოების ხანძარი გიზგიზებს მთაწმინდაზე.

მუხლებამდე ბალახში ვდგავარ ალიკასა და ირაკლის შუა, ჩემი სიმღერის ხმა მესმის, ასე კარგად არასოდეს მიმღერია. გარშემო აბრიალებული ყაყაჩოები მახვევია და ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობ, მგონი ახლავე ავფრინდები ზევით. ასევე ჰგონია ალიკასაც. ირაკლისაც, ირინესაც, ვახტანგსაც, რუსუდანსაც. ვე ამას მათ გაბრწყინებულ სახეებზე ვკითხულობ.

ქალაქს საღამოს ბინდი ეპარება. ჩამობნელდა. უეცრად ელნათურებმა იფეთქა, თითქოს ცა ვარსკვლავებით მოიპენდა, ასე მგონია, ცა ჩემ ფერხთით არის გართხმული და ზემოდან დავყურებ ჩაპირქვავებულ ცას.

რა კარგია, როცა ცას ზევიდან ვუყურებ.

მთვარე თანდათან ზევით იწევს. მიდამოს შუქი ემატება. სადღაც ბულბული უსტვენს. გარშემო ყველაფერი სიცოცხლითა და ახალგაზრდობით სუნთქავს; ხეც, ბალახიც, ქვაც და ჩვენც.

* * *

მთელი დღე ვუკრავ. მომბეზრდა ამდენი დაკვრა. დედას უნდა კარგად დავუკრა.

— კონსერვატორიაში მოხვედრა იოლი საქმე არ არის. — მეუბნება დედა და მე უხმოდ ვუბრუნდები როიალს.

წუხელ კონცერტზე ვუკრავდი, ჩემი ხათრით კონცერტზე მთელი ჩვენი მეზობლები წამოვიდნენ, ზოგიერთს უყვარს კლასიკური მუსიკა. ირაკლი და ირინე სიამოვნებით უსმენენ.

ალიკას კი სული მისდის; როდის გათავდება კონცერტი.

— როგორ მინდოდა დაკვრა ესწავლა. არ ისწავლა ამ შერცხვენილმა! — საყვედურობს ჯულიეტა.

დედა ჩემთან მოვიდა, შემაჩერა:

— ეგ ადგილი კარგად არ გამოგდის, გაიმეორე! — მე უკმაყოფილოდ ვიშმუშნები.

— ადამიანი უნდა ცდილობდეს თავის შინაგან ხმას ყური დაუგდოს. მეგობრადაც ისეთი ადამიანი აირჩიოს, მის ბუნებას ეგუებოდეს. თავხედობა ადამიანის ღირსებად არ უნდა მიიღო. — რად მეუბნება დედა ამას?

გადავწყვიტე, დღეს რვა საათი დავუკრა. არ მინდა დედას ვაწყენინო. თავს ძალას ვატან. ნუთუ მართლა აღარ მიყვარს მუსიკა?

საღამოა. ყველამ ჩვენს აივანზე მოიყარა თავი. მე ისევ ოთახში ვზივარ და ვუკრავ.

— ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რვა საათი დავუკრა! — ვამბობ მე.

— გაგიჟდი, რვა საათს რა დაგაკვრევინებს! — უკმაყოფილოა ალიკა.

— დაგელოდებით! — მამშვიდებს ირაკლი.

ვუკრავ, საათს შევცქერი. რა ნელა გადის დრო!

აივნიდან ჩვენი გოგო-ბიჭების საუბარი მესმის.

— ხელოვნება სტანდარტს ვერ ითმენს. ხელოვნება შორს არის ღობეშემოვლებულ ბაღჩებიდან. ამას ირაკლი ამბობს. ირაკლის უყვარს ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე ლაპარაკი. ალიკას ხმა არ ისმის, ეტყობა, ჩუმადაა და ხელის ფრჩხილებს იკვნეტს. ასე იცის, როცა მოუსვენრადაა.

მე კვლავ ვუკრავ და, ასე მგონია, დედას უხარია ჩემი სიბეჯითე.

როგორც იქნა, დავამთავრე, ზეზე ავდექი, როიალი ხმაურით დავხურე, მინდა, დედამ ყურადღება მომაქციოს, დედა საწერ მაგიდასთან ზის და წერს.

— პირობა შევასრულე! — ვეღარ მოვითმინე დედის უყურადღებობა.

— მუსიკა არც ხელობაა და არც საქმიანობა. მუსიკა მოწოდებაა! — მესმის დედის სიტყვები.

რუსთაველის გამზირზე მივდივართ.

— კინოში შევიდეთ! — ამბობს ირინე.

— კინოში ცხელა, ვაკის პარკში წავიდეთ! — ამბობს რუსუდანი.

— ვაკის პარკში ჯობია! — რუსუდანს მომხრეები გაუჩნდნენ.

— შენ რას იტყვი? — მეკითხება ალიკა.

— ჩემთვის სულ ერთია! — ვამბობ მე და ალიკას ვუღიმი.

ვაკის პარკში წასვლის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

მე და ალიკა ხელიხელჩაკიდებულნი წინ მივდივართ. წვიმის შემდეგ გარშემო ყველაფერი მწვანედ ხასხასებს. ზარივით რეკს ჩემი სიხარული, სურვილი ცხოვრებისა, და პირველად ვგრძნობ ჩემი სულის სიძლიერეს. ჩვენს შემდეგ გოგონები მოდიან. — „ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე“, — ღიღინებენ ისინი.

უკან ბიჭები მოდიან. რაღაცაზე კამათობენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის ირაკლის ხმა:

— ყოველი რეალისტი ხელოვანი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული თავის თანამედროვეობასთან.

— ირაკლი მუდამ საკამათოდ არის განწყობილი! — ამბობს ალიკა.

— ირაკლი ძალიან ბევრს კითხულობს! — ვიცავ ირაკლის.

— თუ კითხულობს, თავისთვის შეინახოს! — უკმაყოფილოა ალიკა.

* * *

მე, ალიკა და ირაკლი ერთად ვმეცადინეობთ. ადრეა, ბიჭები ჯერ არ მოვლენ, როიალთან ვჯდები და ვუკრავ, ვუკრავ და მავიწყდება ყველაფერი. ეზოს მხრიდან კაკუნი მესმის. — ეს ირაკლია. ირაკლი ყოველთვის ეზოს მხრიდან მოდის და სამზარეულოს კარებს აკაკუნებს. ალიკა სადარბაზო შემოსასვლელიდან ამოდის და ზარს რეკავს. როიალს ვხურავ. ზანტად ვდგები.

— ზარის ხმა უფრო გაგახარებდა? — მეკითხება ჩემი ორეული.

ორივეს მოსვლა ერთნაირად მიხარია.

ვინ ამბობს, რომ ირაკლის მოსვლა არ გამეხარდა. დიდ სარკეში ვიღაცას ვეჭყანები და კარისკენ გავრბივარ.

მე და ირაკლი პატარა მაგიდასთან ვზივართ. დედა წიგნს გვიკითხავს, დიდ, ლამაზ წიგნს, რომელიც მე და ირაკლის ძალიან გვიყვარს.

დეიდა ნინო შემოვიდა. დაბნეულია.

— რა იყო? — ეკითხება დედა.

—ზურაბს ჯიბეში პაპიროსის კოლოფი ვუპოვე! — ამბობს ნინო და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის. დედა ზეზე ადგა, დეიდა ნინოს მკლავში ხელი მოჰკიდა. მეორე ოთახში გავიდნენ. დედამ გამოგვძახა:

— სურათები ნახეთ, წყნარად იყავით!

სურათებიანი წიგნი გავშალეთ. შიგ არც ერთი არ ვიყურებით, ვუსმენთ, რას ლაპარაკობენ მეორე ოთახში.

— რა ვქნა, ბიჭს აღარაფერი ეყურება ჩემი! — ტირის ნინო.

— ეცადე, თავი არ მოაბეზრო, ბიჭი არ გაგიორგულდეს.

— შენი ჭირიმე, გაორგულებულია და ის არის, ის გამწლეული გოგო აბა რა ჩვენი საქმეა. დედამისი მე შემიშვებს სახლში?

— ალიკა არ მოსულა? — მეკითხება ირაკლი.

— ალბათ, მალე მოვა! — ვამბობ მე და ყურს ვუგდებ, ალიკა ზარს როდის დარეკავს. — სად იყავი გუშინ?

— მთელი დღე მასწავლებელთან გავატარე, საინტერესო საუბარი იცის.

— რაზე ისაუბრეთ?

— ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე. იცი, რა მითხრა: ლიტერატურას და ხელოვნებას ორი პოლუსი აქვს — აღმოსავლეთი და დასავლეთი. აღმოსავლეთში მთელი ძველი სამყარო შედის. ეს მზიანი დღეა, მოწმენდილი ცა, ყვავილები, საუკუნე მოკლეა, როგორც დღე, დღე კი მთელ საუკუნეს შეიცავს. კარგია არა?

საუბარში გავერთეთ. ზარის ხმა არ გაგვიგონია. ალიკა ქაქანით შემოვარდა:

— რას აკეთებდით? ამდენი ხანია ვრეკავ, მეგონა შინ არავინ იყო.

— ხელოვნებაზე ვლაპარაკობდით.

— რა დროს ხელოვნებაა, რამდენი სამეცადინო გვაქვს!

— ესეც მეცადინეობაა.
— ჩემთვის არა.
— შენც გამოგადგება, ხელოვნებაში ყველა უნდა ერკვეოდეს.
— ზედმეტი რამეებისათვის არა მცალია.
— ირაკლი, ხელოვნებაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, — ვეუბნები ირაკლის.

საღამოზე თავი მასწავლებლის კიბეზე მოვიყარეთ. ვახტანგმა მოთხრობა დაწერა, გვიკითხავს. მოთხრობაში სოფლიდან ჩამოსული ბიჭის ცხოვრებაა აღწერილი. ბიჭი ქალაქში ჩამოვიდა უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად.

— ხელოვნებას თავისი საიდუმლო აქვს, მას შეუძლია ნაწარმოები გახადოს გენიალური და სასაცილოც. ხელოვნების საიდუმლო გულმა უნდა იგრძნოს. კალენდრისათვის დაწერილი ნაწარმოები იმ დღის სიკვდილთან ერთად კვდება. ყველა ნაწარმოები ადამიანზე უნდა დაიწეროს: მის მწუხარებაზე, მის სიყვარულზე, მის გრძნობაზე. — ყველა ირაკლის მისჩერებია, ყველას უნდა გაიგოს მისი აზრი ვახტანგის მოთხრობის შესახებ. ირაკლი ჩვენს შორის ავტორიტეტია.

— ადამიანი წინათ ურმით დადიოდა, ახლა მანქანით დადის, მაგრამ გრძნობებში იგივე რჩება, — ვამბობ მე. ირაკლი კმაყოფილი მიყურებს.

— ეგ არ არის მართალი, ადამიანის ფსიქოლოგია იცვლება, მაგრამ სჯობია ფილოსოფიას თავი დავანებოთ, ამ კაცს უთხარით, შოგეწონათ თუ არა მოთხრობა. — ჯავრობს ალიკა.

* * *

დღეს პირველი გამოცდა ჩავაბარე. ამბობენ, კარგად დაუკარიო. ხუთიანი მივიღე. დედა კმაყოფილია. ყველაზე მეტად ეს მიხარია.

ირაკლი მოსკოვში წავიდა, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩასაბარებლად. კინორეჟისორი უნდა გამოვიდეს. პაპუნა დაპირდა, ფულს გამოგიგზავნიო. სტიპენდიის იმედიც აქვს.

ალიკამ ფიზიკა ჩააბარა, ხუთიანი მიიღო. დედამისი ამაყად დადის.

— მასწავლებელი სკოლაში ხუთიანს არ უწერდა, მიბრძანდეს ინსტიტუტში და ნახოს, როგორ ჩააბარა ჩემმა ბიჭმა.

რუსუდანი უცხო ენების ინსტიტუტში შედის, იმანაც ხუთიანი მიიღო.

ვახტანგს ხვალ აქვს გამოცდა. ვნახოთ, რას იზამს.

ირინემ ოპერაში დაიწყო მუშაობა. აუსრულდა ნატვრა. „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერილი იყო და ირინეს სურათი.

* * *

ჩვენმა ეზომ გაიმარჯვა.

ჩვენი ეზოს მცხოვრებნი გარეთ არიან გამოფენილი. ალიკა, რუსუდანი და ვახტანგი ინსტიტუტში მიიღეს.

ჯულიეტა მოაჯირს დაყრდნობია. საყურეები მკერდამდე სცემს.

— ჩემს ბიჭს ოქროს მედალი არ მისცეს, მაგრამ ოქროს მედალოსნებზე უკეთესად ჩააბარა. ფიზიკის გამომცდელს უთქვამს: — სწორედ ასეთები გვჭირდებაო. ენაცვალოს დედა, ხუთზე მეტი ნიშანი არ იწერება, თორემ ქიმიაში დაუწერდნენ.

მარგალიტა აივნის სვეტს გულხელდაკრეფილი მიყრდნობია, ჯულიეტას მისჩერებია. მარგალიტას შვილი არა ჰყავს. ეტყობა, შურს.

— ვერ გამიგია, როგორ ხდება, ბავშვები სკოლაში კარგად არ სწავლობენ, ინსტიტუტში კი ფრიადოსნები ხდებიან.

დეიდა ნინო ონკანთან ზის. პირველად ვხედავ უსაქმოდ. დაფიქრებულია, ალბათ, ირაკლიზე ფიქრობს.

— მაღარიჩი, ნინო, მაღარიჩი! — ისმის მოხუცი ფოსტალიონის ხმა. არ შეგვიმჩნევია ეზოში როგორ შემოვიდა. ყველანი წამოიშალნენ, ნინოს შემოეხვივნენ.

ნინოს ხელში დეპეშა უჭირავს, ნიკაპი უკანკალებს და საცოდავად იღიმება.

დედა დეიდა ნინოსთან მივიდა, გადაეხვია.

— ჩემო ნინო!

გმადლობთ, გმადლობთ! — ჩურჩულებს ნინო და დედას შეერდში ეკვრის.

— როგორ არის, ქალბატონო ნინო, საქმე, მიიღეს ბიჭი!? — ისმის მასწავლებლის აივნიდან და ყველანი იქით იხედებიან.

წლების მანძილზე პირველად გავიგონე მასწავლებლის ხმამაღალი ლაპარაკი. ორივე ხელით მოაჯირს დაყრდნობია და, ეტყობა, თვითონვე უკვირს თავისი ხმის გაგონება.

* * *

მე და ალიკა ერთად დავდივართ. ალიკა ყოველდღე გამომივლის, ჯერ კონსერვატორიაში მივდივართ. მერე ალიკა მიდის ინსტიტუტში. ჩვენი ეზოს გოგო-ბიჭები უნივერსიტეტში დადიან. შორს არ უხდებათ სიარული. ჩვენი ეზო უნივერსიტეტთან ახლოს არის.

ალიკამ ახალი ამხანაგები გაიჩინა, ერთს განსაკუთრებით დაუმეგობრდა. დიდი ბიჭია, ჩვენზე უფროსი. ძალზე უტიფარი სახე აქვს და ცუდი გამოხედვა. პირველი შეხედვისთანავე არ მომეწონა. ალიკას ძალიან მოსწონს და სულ იმის ქებაშია. „პობედა“ ჰყავს. ალიკასაც დაასეირნებს. ტარება უნდა ასწავლოს.

ერთხელ მეც გამომიარეს. სახლში მანქანით მივედი. ალიკამ მითხრა:

— ჩემს მეგობარს ძალიან მოეწონე. — ასეთი გოგო იშვიათად შემხვედრიაო.

მე მაინც არ მომწონს.

კონსერვატორიის წინ, ქუჩის კუთხეში ალიკა და მისი მეგობარი მელოდებიან. კონსერვატორიიდან გამოვედი, მათკენ გავეშურე. მეგობარი ალიკას ეჩურჩულება. ვიგრძენი, ჩემზე ჩურჩულებენ. ალიკა გაწითლდა.

— წამოდი, მანქანა გველოდება! — თქვა ალიკამ და ხელი უხეშად წამავლო მკლავში. გავაშვებინე.

— ვერ წამოვალ, დედას ველოდები!

— დედას რად უნდა ლოდინი?!

ალიკა ასეთი უხეში არასოდეს არ ყოფილა. მისი მეგობარი შორიახლო დგას და უცნაურად იღიმება.

— წამოდი, წამოდი, სისულელეს თავი დაანებე!

— თავი დამანებე! — ვყვირი, ხელს ვაშვებინებ, კონსერვატორიაში ვბრუნდები, იქიდან ვუთვალთვალებ. ისინი დიდხანს დგანან და რაღაცაზე საუბრობენ. მეგობარი რაღაცას უმტკიცებს. ალიკა მის წინ თავდახრილი დგას დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით.

ისინი წავიდნენ. მეც შინ წამოვედი.

სახლში მარტო ვარ. დედა ჯერ არ მოსულა. ბალიშებზე დავემხე და ვტირი.

რაზე ვტირი?

ზარის ხმამ გამომარკვია. ფოსტალიონმა ირაკლის წერილი მომიტანა, გადავიკითხე. ტირილი უფრო მეტად მომინდა.

ჩვენ სკოლაში მივდივართ. მასწავლებლისათვის იის თაიგული მიმაქვს. ვიღაც ბიჭი მომვარდა, თაიგული წამგლიჯა. ტირილი დავიწყე. ირაკლი ბიჭს გამოუდგა. თაიგული წაართვა და მომიტანა.

— რას გამოიდე თავი, თაიგული აღარაფრად ვარგა! — ამბობს ალიკა. ირაკლიმ თაიგულს დაბედა, საცოდავად შემომხედა:

— იებმა ვერ გაუძლეს. — ნაღვლიანად ამბობს ირაკლი.

ირაკლის წერილი კვლავ გადავიკითხე. რაღას არა მწერს. თავის მეცადინეობაზე, მუზეუმებზე, გამოფენებზე და კიდევ: მოსკოვი დიდი ქალაქიაო. არ ვიცი, მიყვარს თუ არა, ძნელია ასეთი დიდი რამის შეყვარება. ძალიან კი შევეჩვიე. მგონი, მიყვარს კიდეც! გორკის შესანიშნავი ქუჩა, პუშკინის ძეგლი და რამდენი რა ჩამოგითვალო. მე მაინც ის რაიონები მიყვარს, სადაც ვახტანგ მეექვსის დროინდელი ქართველები დასახლებულან. წერილი ყოველდღე მომწერე. მე ყოველდღე გწერ. საღამოზე, როცა წერილს გწერ, მგონია ჩვენს ეზოში ვარ, მასწავლებლის კიბეზე.

დედა მოვიდა, ირაკლის წერილი წავუკითხე.

—ირაკლი ჭკვიანი ბიჭია, იმისაგან კარგი კაცი გამოვა! — თქვა დედამ.

დეიდა ნინოსთან ჩავედი. ირაკლის წერილს ვუკითხავ. ალიკა

შემოვიდა. ჩუმად ზის და მისმენს. დეიდა ნინო ტირის. კითხვა დავამთავრე. ნინომ მაკოცა.

— ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეს, შვილო!

მე და ალიკა გარეთ გამოვედით.

— ახალი გამოგონება: წერილები ერთმანეთს ყოველდღე ვწეროთო! — დამცინავად ამბობს ალიკა. მე ხმას არ ვიღებ. — რას იზამ, ყოველდღე მისწერ წერილს?

— ეგ შენი საქმე არ არის!

— მაშ ვისი საქმეა?! — მიყვირის ალიკა და მაჯაში ხელს მავლებს.

— გამიშვი, მტკივა! — ვყვირი მე.

— იცი რა, გირჩევნია ჭკუით იყო!

— ხა, ხა, ხა, შენც გირჩევნია ჭკუით იყო. ირაკლი გჯობია. — ვამბობ და კიბეზე სირბილით ავდივარ.

* * *

მე და ალიკა შევრიგდით.

— კარგი მეგობრები ჰყავს ჩემ ბიჭს, პროფესორის შვილებია ყველა. — აქებს ჯულიეტა ალიკას ახალ მეგობრებს.

გუშინ ალიკა ისეთი მთვრალი მოიყვანეს მისმა მეგობრებმა, რომ ძლივსღა იდგა ფეხზე. კიბეზე ხელით აიყვანეს. ჯულიეტა შეშფოთდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. ამ დილით აივანზე მარგალიტას ელაპარაკებოდა:

— მომიწამლეს ბიჭი, თავი ისე სტკივა, თვალებში ვეღარ იხედება.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა.

ვიღაც ზარს რეკავს, კარის გასაღებად მივდივარ, კარებში ალიკა დგას, დარცხვენილია.

— დედა შინაა? — ჩურჩულებს ალიკა.

— შინაა.

— შეიძლება, შემოვიდე?

— რატომ კითხულობ? — მიკვირს მე და კარს ფართოდ ვაღებ.

ჩემს ოთახში ვსხდებით. ალიკა თავს უხერხულად გრძნობს, ლაპარაკს ვერ ახერხებს, არც მე ვიღებ ხმას.

— დღეს ლექციებზე არ მიდიხარ? — ამოღერღა ალიკამ.

— ჯერ ადრეა.

— ერთად წავიდეთ!

— კი, ბატონო!

— წასვლის წინ დამიძახე! მეუბნება ალიკა და მიდის.

კონსერვატორიამდე ერთად წავედით. ორივენი ჩუმად ვართ.

— მივედით! — თქვა ალიკამ.

— ჰო!

— მეტს აღარ გავიმეორებ! — ამბობს ალიკა და დამნაშავე ბავშვივით თავდახრილი დგას. მე ცრემლი მერევა. ყველაფერი ვაპატიე.

რად ხდება ასე, ახლობელ ადამიანს ნაკლს ადვილად აპატიებ. ყოველ პატიებას კი ახალი დანაშაული მოსდევს.

ირაკლის წერილი მივიღე. ვწერდი: — ქვეყანაზე რა არის ყველაზე ფაქიზი? — ირაკლი მწერს: — ყველაფერზე ფაქიზი, ყველაფერზე სათუთი, ხელშეუხებელი და ყველაზე ახლობელი — ოცნებაა. — არ ვიცი, მართალია თუ არა, მგონი მართალია.

მე, ალიკა და ირაკლი მოზარდ მაყურებელთა თეატრში მივდივართ. ტროლეიბუსიდან ჩამოვედით. თეატრის წინ მოხუცი დგას, მზესუმზირას ყიდის. ალიკამ იყიდა.

— ტროლეიბუსის ბილეთი არ მიყიდია, აი, მზესუმზირა გიყიდეთ! — ეშმაკურად იღიმება ის.

— დედას პირობა მივეცი, მზესუმზირა არა ვჭამო! — ვამბობ მე.

— არა გრცხვენია, ბილეთები როგორ არ იყიდე. მე მაგას არა ვჭამ. — ამბობს ირაკლი. შორიახლო მოგვდევს.

— წუნიას წილი გემრიელია! — იხტიბარს არ იტეხს ალიკა. მზესუმზირას მიაწკაპუნებს და ჩენჩოს აქეთ-იქით ისვრის. მეცოდება ალიკა.

— მომეცი ცოტა!

— აკი არ გინდოდა?

— გემრიელად აწკაპუნებ! — ირაკლისაკენ ვიხედები. ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და მოღიღინებს.

* * *

ეზოში ხმაური ატყდა. ყველა აივანზე გამოვიდა. მე და დედაც გამოვედით.

ამხანაგები ალიკას ძლივს მოათრევენ, ის კი ღრიალებს:

— ვინა თქვა, რომ მე მთვრალი ვარ, მე ვარ მთვრალი?!

მის ხმას ვეღარ ვცნობ. აივანზე ჯულიეტა დგას, გაფითრებულია, წარბშეკრული.

— მთვრალი კაცი არ უნახავთ? სეირის საყურებლად გამობრძანდნენ! — ამბობს ის და ქმარს ეძახის.

— რა საყურებელია ეს სისაძაგლე! — ამბობს დედა, ოთახში შედის, მეც მინდა ოთახში შევიდე, მაგრამ ვერ შევდივარ.

ალიკა კიბეზე აჰყავთ. ჯულიეტამ კარები და ფანჯრები დახურა. მაინც ისმის ღრიალი.

ყველა თავთავის საქმეს დაუბრუნდა, მარტო მე ვარ აივანზე და არ მცილდება ალიკას მეგობრის დამცინავი ღიმილი.

ყველაფერი მიწყნარდა, ეტყობა, ალიკამ დაიძინა.

— დეიდა ჯულიეტამ მოვიდესო! — ამბობს მამუკა.

— სად მიდიხარ? — მესმის დედის ხმა.

— ახლავე მოვალ.

კიბე სულმოუთქმელად ავირბინე. კარებში ჯულიეტა დგას. რად მიყურებს ჯულიეტა ასე ალმაცერად?

ოთახში შევედით. კარი ღიაა. მეორე ოთახში ალიკა ბობოქრობს. გაუგებარ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვრის.

— დაჯექით! — თქვა ჯულიეტამ და სავარძელზე მიმითითა. თვითონ ბოლთას სცემს. პაპიროსს დაჟინებით ეწევა და ბოლს თვალს ისე აყოლებს, გეგონება, რაღაცას ეძებსო.

— მინდა მოგელაპარაკოთ. ჩვენი ლაპარაკი მეტად სერიოზული იქნება. ყურადღებით მომისმინეთ. — ჯულიეტა ღელავს, პაპიროსს ქაჩავს.

— გისმენთ! — წავილუღლუღე.

— თქვენ ჩემი შვილი მოგწონთ? — კითხვა უხერხული მეჩვენა, სახეზე გაოცება გამომეხატა. — მოიცათ, არ შემედაოთ, მე ვიცი, რომ ეს ასეა, — ვუყურებ, როგორ დარბის ჯულიეტა ერთი კუთხიდან მეორემდე და მისი ქუსლების კაკუნს ვითვლი.

— ჩემი შვილი ბავშვია, ჯერ ტუჩზე რძე არ შეშრობია.

— დეიდა ჯულიეტა. — ძლივს ჩავილაპარაკე და სკამიდან წამოვიწიე.

— დამაცადეთ, მე ხომ ყველაფერი არ მითქვამს. იცით, თქვენ ვისი შვილი ხართ? არ იცით, არც არავინ არ იცის, არც მე ვიცი. რად მიყურებთ ეგრე გაოცებული, ნუთუ არ იცით, რომ თამარი თქვენი დედა არ არის?

— გაჩუმდით, გაჩუმდით! — ვინ არის ეს, რომ ყვირის? მე? სად გაქრა ჯულიეტა.

ოთახში არავინ არის. დიდ სარკეში მთელი ტანით გამოვჩნდი, არა, ეს მე არა ვარ, ეს ვიღაც სხვა არის, არა, მე ასეთი არასოდეს არ ვყოფილვარ. ოთახში დედა შემოვიდა. ხმაურს მეზობლებამდეც მიუღწევია. დედის ზურგს უკან ვხედავ მათ გაოცებულ სახეებს. დედა გაფითრებულია, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო.

— რა მოგივიდა?!

— რა მომივიდა? თქვენ მეკითხებით, რა მომივიდა, მთელი სიცოცხლე მატყუებდით, მუდამ თვალთმაქცობდით, ახლა მეკითხებით, რა მომივიდა? თქვენ ხომ გეჯავრებათ მატყუარები, თვალთმაქცები? რას მერჩოდით, რას მერჩოდით, მატყუარა, თვალთმაქცო? რას მერჩოდით?

დედამ ორივე ხელი გულზე მიიკრა, სახე გაუფითრდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ხმა არ ისმის. დეიდა ნინომ დედას ხელი შეაშველა. დედა დიდ ტახტზე დასვეს, ქალები ოთახში ფუსფუსებენ. მე იატაკზე ვარ დამხობილი.

— მოკვდა?

— სასწრაფო დახმარებას დაურეკეთ!

— ვინ დაღუპა?

— უსინდისო! — მესმის ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— კანონით უნდა ისჯებოდნენ ასეთი ბოროტების ჩამდენნი. მხრებში ვიღაც მწვდა, ამაყენა.

— ადექი, — მესმის მასწავლებლის მკაცრი ხმა და ამ გამხდარ კაცს მაგრად უჭირავს ჩემი მხრები.

ოთახში შუქი ანთია, ალბათ, ღამეა, აბა რად ანთია შუქი? დიდ ტახტზე ვზივარ, გონების კარი დახურულია და მე არაფერზე არ ვფიქრობ. არც არაფერი არ ვიცი. ვინა ვარ მე? სადა ვარ? მეორე ოთახიდან ჩურჩული ისმის, სიტყვებს ვერ ვარჩევ. როგორც გონების ისევე სმენის კარიც დახურულია. მინდა ავდგე და წავიდე, სად წავიდე? არ ვიცი, ვიცი, რომ უნდა წავიდე. მაგრამ ტახტზე თითქოს მიჯაჭვული ვარ, ვერ ვდგები.

— ნუ გეშინია, კარგად არის! — ამბობს ვიღაც, მხარზე ხელს შადებს, ხელს ვიცილებ, ხმას არ ვიღებ.

ვინ არის კარგად, ვინ არის კარგად? უაზროდ იმეორებს ჩემი გონება და კითხვა უპასუხოდ რჩება.

არ ვიცი, როდის ჩამეძინა, ჩამეძინა კი?

მაღალ გორაკზე თეთრ სამოსში ქალი დგას, გორაკი აყვავებულია, თეთრად ჩაცმული ქალი ყვავილებში დგას, გორაკი და ქალი მზის შუქით არის განათებული, ქალი ზევით იყურება, მოჭარბებული სხივით განათებულ სახეს ვერ ვხედავ. მე მეორე გორაკზე ვდგავარ და მინდა თეთრებში ჩაცმულ ქალთან ავიდე, ჩემი გორაკი დაბალია და თანდათან უფრო დაბლდება. მეშინია და მინდა თეთრ ქალთან გადავიდე. ხელებს ვიწვდი, შველას ვითხოვ, მაგრამ ქალი ზევით იყურება. შორიდან მღვრიე წყლის ზვირთები მოგორავს. ხელებს კვლავ თეთრად ჩაცმული ქალისაკენ ვიწვდი. მიწა ქანაობს და მღვრიე წყლის ზვირთები სადაცაა მომხვდება, მე ვყვირი:

— დედა, დედა! — მეღვიძება — ოფლში ვცურავ. თავი უცნაურად მტკივა.

უ, როგორ მტკივა თავი. ირგვლივ სიჩუმეა.

რად მტკივა თავი?

რა მოხდა?

ჩვენ ერთმანეთს ვერიდებით, საოცარია ერთ სახლში ვცხოვრობთ და ერთმანეთს არ ვხვდებით.

მოსასხამი წამოისხა. ნინო მის გვერდით დგას.

— ნუ წახვალ, დაისვენე.

— იქ მირჩევნია, ჩემო ნინო, — მის ხმას ველარ ვცნობ. მარტო დავრჩი. ავდექი. სამზარეულოში შევედი. გაზქურა ჩამქრალია, ეტყობა, ჩაი არ დაულევია, არც მე ვარ ჭამის ხასიათზე. სასწრაფოდ ვიცვამ, კონსერვატორიაში წასასვლელად ვემზადები.

— წამოდი, ჩაი ჩემთან დალიე, დედაშენი რომ მშიერი წავიდა, ისიც კმარა. — ნინოს შემოსვლა არ გამიგია.

— არა მშია.

— მშიერი ვერც ერთი ვერ გაძლებთ. — უკმაყოფილოდ ამბობს ნინო და მიდის.

ოთახში მივიხედ-მოვიხედე. რა ტკბილად ვცხოვრობდით, საღამოს, როცა ჩვენ ძალიან მხიარულნი ვიყავით, როიალთან ვჯდებოდით, ოთხი ხელით ვუკრავდით და ვმღეროდით. გამაჟრჟოლა. ნოტებს ხელი დავავლე, გარეთ გავვარდი. ალაყაფის კარებთან მანქანა დგას, ჯულიეტა მანქანიდან გადმოდის, თვალები დავხუჭე, სწრაფად გავირბინე.

ლექციები ისე დამთავრდა, არაფერი გამიგია, გარეთ გავედი და დალმართს დავუყევი. პურის მაღაზიას გავუსწორდი, ძალიან მშიოდა, მაღაზიაში შევედი, ერთი ფუნთუშა ვიყიდე, მეზობელ სადარბაზოში ფუნთუშა უცბად გადავყლაპე. კვლავ მაღაზიაში დავბრუნდი, ერთი ფუნთუშა კიდევ ვიყიდე. ამას სახლში წავიღებ. ჩემმა ფიქრებმა გამაოცა — სახლში, ვის სახლში? ეს ხომ მისი სახლია, ცრემლები ჩემდაუნებურად ჩამომცვივდა, მე ხომ სახლი აღარა მაქვს. რამოდენა ქალაქია და მე აქ ერთი კუნჭულიც კი არა მაქვს. ვიღაცამ ხელი მკლავში წამატანა. მივიხედე. ჩემ წინ ალიკას მეგობარი დგას, მიღიმის. პირიდან ღვინის სუნი ამოსდის.

— ძნელი არის მარტოობა! — ჩაიღიღინა მან და ჩემკენ გადმოიხარა. მკლავი გამოვგლიჯე.

— რა გინდათ ჩემგან?

— არაფერი, ჩემო კარგო, მინდა მარტოობა შეგიმსუბუქო!

— ვინ გითხრათ, რომ მარტო ვარ?

— მაშ თქვენ ჯერ არ იცით, ალიკა დედამისმა მოსკოვს წაიყვანა სასწავლებლად, მამინკი სინოკ! — დამცინავად მიღიმის ის და კვლავ ხელს მკლავში მავლებს.

— საზიზღარო! — ვყვირი, სახეში სილას ვარტყამ. დამეკარგეთ შენც და ალიკაც! — ხალხი ჩერდება.

— დედიკოსთან მიბრძანდებით? — მესმის მისი დამცინავი ხმა.

— დიახაც! — არ ვიცი, მას ვუპასუხე თუ ჩემს თავს, სახლისაკენ სირბილით წავედი. ალიკა, ალიკა აქამდე არც გამხსენებია. მართლა და სად არის ალიკა?

ოპერის წინ ირინე შემომეფეთა.

— რეპეტიცია დამთავრდა, შენთან მოვდიოდი, ერთად წავიდეთ სახლში.

შინისაკენ მივდივართ. ირინე ჩუმადაა, არც მე ვიღებ ხმას. მინდა ვკითხო — ალიკა სად არის? მეზარება. რუსთაველის ძეგლის წინ ბოშა ქალები გაჰყვირიან:

— სინკა, ლილა, სინკა, ლილა!!

გამვლელებს ლილის პარკებს უწვდიან. ერთს ხელში დაძინებული ჩვილი უჭირავს, ჩვილს პირში ხელი შერჩენია. დედის მკერდზე მიკრულს უდარდელად სძინავს. თვალს ვერ ვაცილებ მძინარ ჩვილს, ქალი ლილის პარკს მაწვდის.

— სინკა, ლილა!

გზას განვაგრძობ.

— საწყალი ბავშვი! — ვამბობ მე.

— საწყალი ბავშვი კი არა, დედა არის, როგორ წვალობს და ყველგან დაათრევს.

ხმას არ ვიღებ. წვალობს და ყველგან დაათრევს...

სახლთან მივედით.

— ჩემთან წამოდი, ვისადილოთ.

კონსერვატორიიდან გამოსულს როგორ მშიოდა. ახლა აღარ მშია. ფუნთუშაც ჯიბეში მაქვს. ვყოყმანობ. სახლში მისვლაც მეზარება. მარტო მინდა ვიყო. ირინეს უარს ვეუბნები, სახლში ავდივარ. სუფრაზე საჭმელი აწყვია. მისი ოთახის კარი მიხურულია, ეტყობა, სახლშია, ჰოლში მოსასხამი კიდია.

საჭმელს ხელს არ ვახლებ, ჯიბიდან ფუნთუშას ვიღებ და ქურდულად ვჭამ. ეს ფუნთუშა ვისი ფულითაა ნაყიდი? — ჩამჩურჩულებს ვიღაც. უკანასკნელი ლუკმა გულზე მადგება.

ლოგინზე დავეგდე, თავი ბალიშში ჩავრგე. თვალწინ მძინარე ბავშვი დამიდგა. — წვალობს და დაათრევს.

ის ოთახში შემოვიდა, ალბათ, სამზარეულოში მიდის, საბანი წამახურა.

დღეს სტიპენდია მივიღე.

გადავწყვიტე, მომჭირნედ ვიცხოვრო.

კონსერვატორიაში ფეხით დავდივარ. შავ პურს ვყიდულობ. რანაირად გავანაწილო ფული, რომ მთელი თვე მეყოს. მოწაფე უნდა ვიშოვო: ის მოწაფის აყვანის უფლებას არ მაძლევდა — სწავლაზე ხელს შეგიშლისო.

მე და ის ერთმანეთს არ ვხვდებით. ის მუდამ თავის ოთახშია შეკეტილი.

დეიდა ნინო მასთან ხშირად დადის, არ ვიცი, რაზე საუბრობენ. ის ცდილობს, როცა მე სახლში ვარ, სამზარეულოშიც არ გავიდეს. ვგრძნობ, როგორ ვავიწროებ, მაგრამ სად წავიდე.

დილით სახლიდან გამოვედი. ლექციებზე ჯერ ადრეა. მივდივარ და ვფიქრობ: — როგორი შეიძლება ყოფილიყო ჩემი დედა, შემხვედრ ქალებს ვაკვირდები. როგორ დედას ვინატრებდი?

აი, ის რა მსუბუქად მოაბიჯებს. მომიახლოვდა. არა, ეს არა. არ მინდა ჩემი დედა ასეთი მსუქანი იყოს. აი ის, არც ეს, სახე ძალზე დაღარული აქვს.

ნეტა როგორი იყო ჩემი დედა?

როგორი იყო ჩემი დედა? — თვალწინ უეცრად მისი სახე ამოტივტივდა. ვგრძნობ, სამუდამოდ ვრჩები წარსულის ტყვედ. აი, მისი ზღვისფერი თვალები, ხშირ წამწამთა ჩრდილიდან სევდიანად რომ გამოიყურება, ფეხს ავუჩქარე. გავექეცი ზღვისფერი თვალების სევდიან გამოხედვას. დღეებს აივანზე ვატარებ. ვუყურებ, როგორ ჟივილ-ხივილით აფრინდებიან ხოლმე ბელურები. ნეტა თუ იციან, რომელია მათი დედა? ვუყურებ ცაში აფრენილ ბელურებს, მათი ბედი მენატრება. ძველმანების ყუთივით ვქექავ ჩემი სულის კუნჭულებს და ვიხსენებ ყოველ წვრილმანს ჩემი ცხოვრებიდან.

ავადა ვარ, ძალიან ავად. ექიმმა გამსინჯა, თვალდახუჭული ვწევარ, ყელი მტკივა, სუნთქვა მიჭირს. ექიმისა და მისი ჩურჩული მესმის.

— დიფტერიტი აქვს, ქალბატონო!

— ღმერთო ჩემო!

— ნუ შეგეშინდებათ, ახლავე გადავიყვანთ საავადმყოფოში, შრატს გავუკეთებთ.

— საავადმყოფოში ვერ გადავიყვან, არ შემიძლია.

— გადამდებია, თქვენთვის საშიშია!

— არა, არა, მე თვითონ უნდა მოვუარო!

— ირაკლის წერილი მოგიტანე! — ფიქრი შემაწყვეტინა ირინემ.

ხელში წერილი მიჭირავს, ვცდილობ, ცრემლი შევიკავო. გული ბუდიდან გამოვარდნას აპირებს. ირაკლის წერილი, ირაკლის წერილი, იმეორებს ჩემში ვიღაც. ირაკლის ვახსოვარ, ირაკლი ჩემზე ფიქრობს. ამ წუთში ისეთი ბედნიერი ვარ. ნუთუ ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრებული იყო. მე კი ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, მეტს აღარაფერს აღარ ვითხოვ ჩემი ცხოვრებიდან. ამბობენ, ტანჯვა აკეთილშობილებსო ადამიანს, ტყუილია, ირაკლის წერილს ვკითხულობ: — მალე ჩამოვალო. — მწერს. ეტყობა, დეიდა ნინოს ჩემი ამბავი მიუწერია. ირაკლი მწერს: — „მას შენ ყოველთვის დიდი დედობრივი გრძნობით უყვარდი, ყოველთვის მეტს გაძლევდა, ვიდრე შენგან ღებულობდა, ნუთუ ამაზე არასოდეს დაფიქრებულხარ?“

არ ვიცი, რამდენჯერ გადავიკითხე ირაკლის წერილი. მთელი ღამე არ დამიძინია, წერილის შინაარსზე ვფიქრობ... „რა დანაშაული მიუძღვის შენს წინაშე? — უპატრონოდ დაგდებული შეგიფარა. შეგიყვარა. ადამიანის უსაფუძვლოდ დასჯა უგულობაა“.

კვირაა. ის დილიდანვე სადღაც წავიდა. სახლში მარტო დავრჩი, ახლა მარტო აღარ ვარ. ჯიბეში ირაკლის წერილი მიდევს, როცა მინდა წავიკითხავ.

მის ოთახში შევედი, მაგიდაზე ჩემი სურათი დევს, ლოგინთან ჩემი დიდი სურათია მიკრული. სურათებიდან ჩემი მხიარული სახე მიცინის. მის მაგიდაზე ალბომი დევს, ეს ჩემი და მისი სურათების ალბომია. ალბომს ვშლი, ღმერთო, რა ბედნიერი და კმაყოფილი სახე მაქვს. სურათებმა ჩემი ბავშვობის ყოველი დღე თვალწინ დამიყენა. ცრემლები წამსკდა. რას მერჩოდნენ, რად წამართვეს ეს ბედნიერება, უდარდელი დღეები? რად დამიცარიელეს გული, რად ჩამიბნელეს ცხოვრება? ყოველ სურათს ხარბად

დავცქერი და მე მიყვარს ისინი; მიყვარს ჩემი ცხოვრების ბედნიერი დღეები. ბავშვობის ყველა მოგონებამ თავი წამოჰყო. ცხოვრების უღრან ტყიდან გამოსავალს ვეძებ.

ალბომიდან რვეული გადმოვარდა. შავყდიანი რვეული. ასაღებად დავიხარე. თვალი ჩემდაუნებურად რვეულის გადაშლილ ფურცლისაკენ გამექცა.

„ქარს გამხმარი ხის ფოთლები დაუგროვებია. ჩვენ ზედ ვზივართ: კენჭი ავიღე, მოპირდაპირე მხარეს ხის ძირში დაგროვილ გამხმარ ფოთლებს ვესროლე. ჩიტები დაფრთხნენ, დაიჭყივლეს და აფრინდნენ... ჩიტებს თვალი გავაყოლე:

— ხედავ, გოგი, ჩვენი სიყვარული როგორ აფრინდა! — გოგი იღიმება.

სიხარული გვიპყრობს. სიხარული ჩემში არ ეტევა, ის ჩემი სხეულიდან იღვრება და ყველას და ყველაფერს ავსებს, ცელქობს, ხითხითებს, როგორც ცოცხალი არსება.

ომი.

ომი დაიწყო.

მეძინა, ის ჩემთან მოვიდა, პატარა ოთკუთხა ბარათი გამომიწოდა.

— მივდივარ, კარგო! — ქაღალდი ხელიდან გამოვტაცე.

— არ გაგიშვებ, არა! — ვყვირი მე. ის თავზე ვეებერთელა ხელს მისვამს.

— უნდა წავიდე, არ შეიძლება! — ამბობს ის და მე ვხედავ, როგორ უთრთის ყვავილის დამჭკნარ ფურცელივით გაფითრებული ბაგე.

სადგურში ვართ. უამრავი ხალხი ირევა. შვილებს, ძმებს, ქმრებს, სატრფოებს აცილებენ. ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის, მის მეტს ვერავის ვხედავ.

ის მიდის.

მე ვიცი, რომ ის სამუდამოდ მიდის. მე ვეღარასოდეს ვნახავ მას.

— მარჯვედ იყავ, აუცილებლად დავბრუნდები!

მატარებელი მიდის, იგი ხელს მიქნევს, იქიდან მეძახის:

— მალე ჩამოვალ!

სახლში დავბრუნდი. გარშემო სიცარიელეა. კარი დავკეტე.

დარაბებიც დავკეტე. ტახტზე დავწექი, არავინ მინდა დავინახო, არც არავის ხმა მინდა გავიგონო.

წავიდა, სამუდამოდ წავიდა!

რატომ წავიდა?

ვინ წაიყვანა? რა ძალა ჰქონდა იმ პატარა ოთხკუთხა ქაღალდს?

რად მართავენ სახელმწიფოებს მკაცრი და სასტიკი ადამიანები? მათი ბრალია ადამიანების ბედი მათსავით სასტიკი და მკაცრი რომ არის.

დარდი ქვის უზარმაზარი ლოდივით დამაწვა გულზე. ვტირი და ვგრძნობ, ყოველ ცრემლს როგორ მოაქვს ჩემი დარდის ფხვიერი".

დღიურმა დამაინტერესა, კითხვას განვაგრძობ.

„გარშემო სიბნელეა, ჩემს სულშიც სიბნელეა.

ზარი დარეკეს.

წერილი.

მისმა წერილმა ქარივით დაუბერა ჩემს მძიმე და ჩაშავებულ ფიქრებს და ღრუბლები გაფანტა. ჩემს სულში სინათლის სხივმა შემოაპყიტა. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთის შესახვედრად მიფრინავს ჩვენი წერილები.

მაგიდაზე წერილი მიდევს, ეს მისი წერილი არ არის. ეს სხვისი წერილია, სხვისი ხელით ნაწერი და მე მეშინია ამ წერილის.

დაიღუპა.

გმირულად დაიღუპა.

მე ვიცოდი, ის აღარ დაბრუნდებოდა. ვიცოდი, რომ მას ვეღარასოდეს ვნახავდი.

საიდან ვიცოდი?

არ ვიცი, საიდან ვიცოდი, მაგრამ მე ვიცოდი — მატარებელთან ერთად მისი სახე ჩემთვის სამუდამოდ რომ დაიკარგა.

იმ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ. ეს დღე ჩემს გულში შანთით ამოიტვიფრა და ასე დარჩა სამუდამოდ.

ჩემი ცხოვრების ნავი ნელა, სულ ნელა მიიწევს მომავლისაკენ. მომავალში მხოლოდ სიბნელეს ვხედავ. მომავლის მეშინია. სინამდვილე ძუნწია ჩემთვის, გულუხვად არაფერს იმეტებს და მეც ოცნებით შევცვალე სინამდვილე. ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ

დაგვაშორეს. მე მარტო ოცნებაღა დამრჩა. ოცნებამ ფრთები გაშალა და რამდენი რამ მიმაჩნია შესაძლებლად.

ხშირად დავდივარ იმ ადგილებში, სადაც ერთად გვიყვარდა სიარული. აქ არაფერი არ შეცვლილა“.

დღიურის ფურცლებმა დამიპყრო. ზოგიერთ ადგილს მეორედ ვკითხულობ.

„ეზოში ჩვილი ბავშვი დაუგდიათ. საწყალი ტირის. მომუჭულ უსუსურ ხელებს იქნევს, შველას ითხოვს, ვინ არის მშველელი.

მთელი ეზო შეგროვდა.

— საწყალი!

— ვინ იყო ის უსინდისო?

— როგორ დატოვა იმ მხეცმა?

— მხეციც უვლის თავის შვილს!

ხალხი აღშფოთებულია.

ჩვილი ავიყვანე. გულზე მივიკარი. ბავშვი დაჩუმდა, ალბათ, სითბო იგრძნო.

— საწყალი!

— მილიციას დავუძახოთ!

— ვინ წაიყვანს სხვის შვილს ამ გაჭირვების დროს?

— მე წავიყვან! — ვთქვი და ჩემმა ხმამ შემაკრთო.

— მე წავიყვან! — გავიგონე ჩემი ჩურჩული. გარშემო მყოფნი თვალებგაფართოებულნი შემომცქერიან.

ამ შიმშილობის დროს? — უკვირს ვიღაცას“.

ჩემს ოთახში გავედი, ბალიშში ჩავემხე, ვტირი.

გზა ამებნა. აღარ ვიცი, ვის მივეკედლო. ვგრძნობ, როგორ თანდათან მიბრუნდება ის გრძნობა, რომელიც ოდესღაც დედა-ჩემის მიმართ მქონდა. ეს გრძნობა უფრო ღრმა, უფრო მყარია. ათასნაირ წვრილმანს ვიგონებ ჩემი ცხოვრებიდან. გული მეკუმშება, როცა ვფიქრობ რამდენი უსიამოვნება მივაყენე დედას. ნეტა დედამ იცოდეს, როგორ მიყვარს ის დღეს, რა აუცილებელია ჩემთვის მისი სიყვარული.

ფანჯრიდან ჩვენს ძველ ეზოს გადავყურებ, სადაც ბავშვობისას კლასობანას ვთამაშობდი. ვიგონებ ყველა წვრილმანს, ჩემს ბავშვურ დარდსა და სიხარულს, ჩვენს ოცნებებს, ჩვენს მისწრაფებებს.

როგორ აუყრია ტანი თუთის ხეს, რომელიც ჩვენ ამოტეხილ ასფალტში დავრგეთ! ისიც ჩვენსავით გაზრდილა.

ეს იყო ჩემი პირველი დიდი, ძლიერი და უსაზღვრო მწუხარება. ჩემს წინ დედაჩემი კერპივით არის აღმართული, გაშუქებული სიკეთითა და კეთილშობილებით. მე კი ყველასაგან მიტოვებული მარტოდმარტო ვარ ამქვეყანაზე და განვიცდი ყველა დამცირებას, რომელიც შეიძლება ადამიანს თავს დაატყდეს. ზოგჯერ გულიდან ისეთი ველური კივილი აღმომხდება, ძლივს ვახერხებ მის ჩახშობას და მხოლოდ სიკვდილს ვნატრობ.

აღარ შემიძლია ძილი, აღარ შემიძლია სუნთქვა, აღარ შემიძლია ცხოვრება. ცხოვრების ტალღების გამანადგურებელმა ბობოქრობამ გულს სამუდამო იარები დააჩნია. წისქვილის ბორბალივით ტრიალებს ცხოვრება და ხვიმირასავით ძუნწად იმეტებს ბედნიერებას.

დღეს დედას დაბადების დღეა. წინათ ამ დროს ჩვენ სახლში დიდი ფაციფუცი იყო.

საყვავილეში შევდივარ და იებს ვყიდულობ.

დედა ჯერ არ მოსულა. მის მაგიდაზე ლარნაკში იის თაიგულს ვდებ. ველოდები, როდის მოვა. რომ არ მოვიდეს? იქნებ სხვაგან წავიდა. რა მეშველება. მთელი გრძნობით მივისწრაფი მისკენ და ვიცი, ჯერ შევძლებ ყველაფრის თქმას, არ შემიძლია გამოვხატო ის დიდი სიყვარული და ერთგულება, რასაც ვგრძნობ და განვიცდი. მე არ მრცხვენია ჩემი თავის, ნუთუ შესაძლებელი იყო, იმ დიდი გრძნობის დავიწყება, რაც წლების მანძილზე გვაკავშირებდა?

ფეხის ხმამ გამომარკვია. დედა მოვიდა, ოთახში შევიდა, გავიტრუნე, ჩემი გულის ძგერა მესმის, ვკანკალებ, ბაგეები მეღრიცება.

წამოვხტი, დედის ოთახში შევარდი. დედა თავის ლოგინზე ზის, ხელში ჩემი მიტანილი იის თაიგული უჭირავს, თვალები ცივ-

რცისთვის გაუშტერებია. მის წინ დავიჩოქე, მხოლოდ ორი სიტ-ყვის თქმა შევძელი:

— მაპატიე, დედა!

დედის თბილი ხელი ჩემ თავს შეეხო.

— მე უკვე დამავიწყდა, ჩემი შვილი რომ არ იყავი!

ორივენი ვტირით. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, ჩემი ცხოვრე-ბა თავიდან იწყება, ჩვენ კვლავ დავიბრუნეთ სიყვარული, რა დიდი სიყვარული!

ᲒᲘᲯ

კარი გაიღო, კარში ბიჭის ხუჭუჭთმიანი თავი გამოჩნდა, იქაურობა მოათვალიერა, დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, თვალები ეშმაკურმა ღიმილმა გაუნათა. მოაჯირს დაეყრდნო, კიბეს ჩახედა, კიბე ცარიელი იყო. მოაჯირზე შესკუპდა, წონასწორობის დასაცავად ხელები გაშალა და დაეშვა.

ქვედა სართულის ღია კარებიდან მოხუცი ქალი გამოვიდა რძის ჭურჭლით ხელში. მის წინ რაღაცამ ჩაიქროლა, შეშინებულმა დაიხია, სათვალეებსზემოდან კიბეს გადმოხედა. — „ჩემო სამშობლო მხარეო!“ — ჩაესმა ბიჭის წკრიალა ხმა. მიხვდა, ვინც იყო კიბის გმირი, თავი გააქნია და თავისთვის ჩაიჩურჩულა: — ახალი ჯინი მოუგონია!

გიამ კიბის უკანასკნელ საფეხურს ფეხი დაჰკრა და მოაჯირიდან გადმოხტა. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო. ქუჩაში სიმღერით გავიდა. კუთხეში შედგა, აქ რეზო, ზურაბი და სოსო უნდა მოსულიყვნენ. მოპირდაპირე სახლის ფანჯარას თვალი შეავლო. ღია ფანჯარაში ქარი ფარდას აფრიალებდა. გიამ საჩვენებელი თითები პირში ჩაიდო და დაუსტვინა.

ბიჭებმა ქუჩის კუთხეში თავი მოიყარეს.

— ზოოპარკში ახალი მაიმუნები მოუყვანიათ! — თქვა ზურაბმა.

— მართლა?

— ვინ გითხრა?!

— ფილიპემ!

— წავიდეთ, გაკვეთილების დაწყებამდე მოვასწრებთ ნახვას.

— წავიდეთ!

— წავიდეთ!

თბილისს გაზაფხული დაუფლებოდა. ლურჯი, მოსარკული ცა უფრო დაშორებოდა დედამიწას. ქუჩაში მოძრაობა გახშირებულიყო. აკვირტულიყვნენ ქუჩის ნაპირზე ჩამწკრივებული ხეები. მზის სხივებზე ელვარებდნენ გაბუტული ჩვილებივით დაბერილი კვირტები, მზის სხივებით თვალმოჭრილნი წამწამებს აფახულებდნენ და ღიმილს მალავდნენ.

ბიჭები დალმართს დაჰყვნენ. დალმართი კლდის ნაპირს ჩასდევდა. კლდეზე წვეთ-წვეთად ეკიდა ჩამონაყონი წყალი.

ბიჭები შედგნენ. მდინარე ვერე მხნედ მოშხუოდა, მთაში წვიმდა. ხიდს გასცდნენ. მოედანზე ტრაქტორი მორახრახებდა. ბიჭები ტრაქტორთან შეჩერდნენ.

— იცი, რამდენი ცხენის ძალა აქვს?

— ასი!

— რა იცი?

— არითმეტიკის წიგნში წერია. გუშინდელ ამოცანაში, ეჰ, შენ არ გამოგიყვანია, ჩემი რვეულიდან გადაიწერე.

— ბიჭებო, ხედავთ, რომელი საათია? — ზურაბმა მოედნის საათზე მიუთითა. — საღაცაა ზარი დაირეკება, არა, ძმაო, ზოოპარკის დრო აღარ არის!

— რას ამბობთ!

— დედაჩემი რომ კიდევ დაიბარონ, სახლში ვეღარ მივალ, იმ დღესაც გამიჯავრდა! — აიბუზა ზურაბი.

— დედას ნუ ეტყვი!

— არა, ძმაო, დედაჩემი ისეთია, ეტყვი თუ არ ეტყვი, სულ ერთია, ჩემს ყოველ ფეხის ნაბიჯს გებულობს.

— მე ზოოპარკში წავალ! — ჯიუტად გაიქნია თავი გიამ, ხელები ჯიბეებში ჩაიყო და ბიჭებს გამომწვევად გადახედა.

— მე სკოლაში უნდა წავიდე! — ზურაბი ქვევიდან მომავალ ტრამვაისაკენ გაიქცა. ბიჭებიც გამოუდგნენ.

ქვაფენილზე გია მარტო დარჩა. გუნება წაუხდა. გაკვეთილზე დაგვიანების შიში არ ასვენებდა, დაბრუნებაც არ უნდოდა.

— დილა მშვიდობისა, ძია ფილიპე! — მიესალმა გია ზოოლოგიური პარკის მოხუც დარაჯს, რომელიც ზურაბის სახლში ცხოვ-

რობდა, და გიას ძველი ნაცნობი იყო. მოხუცს უყვარდა ბიჭები, ყოველთვის უბილეთოდ უშვებდა პარკში.

— გაგიმარჯოს, შვილო!! — გაუცინა მოხუცმა.

— ძია ფილიპე, მაიმუნების სანახავად მოვედი!

— მოდი, შვილო, მოდი! — გია ალაყაფის კარებში შევიდა.

— მარტო ხარ?!

— დიახ! — გიამ თვალები აარიდა ფილიპეს მზერას.

— დანარჩენები სად არიან? — მოხუცმა ეჭვიანად შეათვალიერა გია.

— ცუღლუტობა დაგიწყია, შვილო. გაკვეთილები დამთავრდეს და მობრძანიდი, შენ კი არა, თუ გინდა, მთელ კლასს შეგიშვებთ, სიცრუე რა ვაჟკაცის საკადრისია?

გია გაწითლდა, სკოლისაკენ სირბილით წავიდა, თან გამოყვა მოხუცი ფილიპეს სიტყვები: — ტყუილი რა ვაჟკაცის საკადრისია.

ბიჭებს სკოლის შესასვლელში მისწვდა ზარის ხმა. კიბეები კისრისტეხით აირბინეს, საკლასო ოთახის წინ შეგროვილ ბავშვებში შეერივნენ, რომლებიც ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ. ყველა ცდილობდა კარებში პირველი შესულიყო. საკლასო ოთახში ყურთასმენა არ იყო.

კარებში მასწავლებელი გამოჩნდა. ის უხმოდ მიჩერებოდა ბავშვებს, მათ დაწყნარებას ელოდა. მასწავლებელი მაგიდასთან მივიდა, ჟურნალი გადაშალა, წამი და ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

ახალგაზრდა მასწავლებელი წელს პირველად დაინიშნა სკოლაში. სკოლის დირექტორმა ყველაზე „მოურჯულებელი“ კლასი მისცა სადამრიგებლოდ.

— ახალგაზრდა ხარ, ამათ კი არა, ლომს შეეჭიდები, პედაგოგიურ ნათლობასაც მიიღებ! — ამხნევებდა ახალგაზრდა მასწავლებელს დირექტორი.

გია კლასში შევიდა, სახე ასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა, დაღლილობისაგან ძლივსღა სუნთქავდა. კარებთან შედგა, თავი დახარა, ფოთლების შრიალივით დაირხა ბავშვების ხმა:

— ამოგიკითხა!!

— ჟურნალში ჩაგნიშნა!!

— დედაშენს დაიბარებენ! — გიამ ამხანაგებს წარბებქვემო-

დან გადახედა. სურვილმა შეიპყრო, მიებერტყა რომელიმე მათგანი; ამხანაგებს ზურგი შეაქცია, დაფას დაუწყო ყურება. ზურაბი დაფასთან იდგა, მაგალითს იყვანდა.

— შეცდომაა, მასწავლებელო! — წამოიძახა გიამ, — ასე როგორ შეიძლება! რად გამოიტანა ფრჩხილებს გარეთ! — გიამ ხელი ასწია, მაგრამ მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია. — შეცდომაა მასაწვლებელო! — უფრო ხმამაღლა წამოიძახა გიამ.

მასწავლებელი მერხებს შორის დადიოდა, დაფას თვალს არ აცილებდა.

ზურაბი დაფიქრდა, მასწავლებელიც დაფასთან გაჩერდა.

— ზურა, მსგავსი წევრები მონახე!

— არა დარ... — ზურაბს სიტყვა შუაზე გაუწყდა, ნამუშევარი წაშალა, გაწითლდა — შემშლია, მასწავლებელო!

— მეტი დაკვირება უნდა, მეტი!

მაგალითის ამოხსნაში მთელმა კლასმა მიიღო მონაწილეობა, მხოლოდ გია იდგა კუთხეში. მერე როგორ უყვარდა მაგალითების ამოხსნა. მასწავლებელი გულმოსულია ჩემზე. ბურთივით რაღაც ამოგორდა ყელში, კინაღამ ტირილი წასკდა, მოძალებული ცრემლი ჩაყლაპა, კარებისაკენ ფრთხილად წავიდა, გარეთ გავარდა, დერეფანში ალიკას ხმა მისწვდა.

— მასწავლებელო, გია გაიპარა! — გია შედგა, — უყურე ამ საზიზღარს! მართლა ბოლოქანქალა, თუ ჩამივარდი ხელში, ნახე რა გიყო.

სად წავიდეს? რა აკეთოს? კლასში ვეღარ დაბრუნდება. სამი დღის წინათ მასწავლებელს პირობა მისცა, აღარ ვიცელქებო და დღეს... კიდევ გააჯავრა. მივა, ბოდიშს მოუხდის. დერეფანში პირველი კლასის მასწავლებელი შეეფეთა — დეიდა ანა. გუშინდელივით ახსოვს გიას პირველი დღე სკოლაში, დეიდა ანას ტკბილი ხმა, ახლაც ტკბილი ხმით უთხრა ანამ:

— გია, გარეთ რადა ხარ?

— დამაგვიანდა, დეიდა ანა, დედა ავად არის და ექიმის გამოსაძახებლად წავედი. — დეიდა ანა ტკბილი ღიმილით უცქერდა, გიას შერცხვა.

— მგონი, მართალს არ ამბობ, გია, აბა თვალებში შემომხედე! — ისევ უთხრა ანამ, როგორც წინათ პირველ კლასში ეტყოდა

ხოლმე. გიას ღიმილი მოერია ამ ძველი ხერხის გახსენებაზე, თვალებში შეხედა დეიდა ანას და როგორც მაშინ შეკრთებოდნენ ხოლმე ტყუილის მთქმელნი, ასევე შეკრთა, გაწითლდა.

— არა, ღმერთმანი.

— მოდი, გია, ღმერთს თავი დაანებე და შენს საქციელს დაუფიქრდი.

გიამ სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა მასწავლებელს, სწრაფად მოსცილდა. პიონერთა ოთახის კარებთან შეჩერდა, აქ სად მოსულა, ხომ შეიძლება პიონერთა ხელმძღვანელი გამოვიდეს. მერე როგორ ეჯავრება თმაშეკრეჭილი მედიკო, ბიჭივით დიდი ნაბიჯებით რომ დადის. როგორმე ეზოში უნდა გავიდეს, იქიდან ადვილია ქუჩაში გასვლა.

ქუჩაში გამოსული გია დაღმართს დაუყვა, მთავარ ქუჩას გაერიდა, შეეშინდა, არავის გადაყროდა. დაფიქრებული მიდიოდა, იმ ქუჩაზე აღმოჩნდა, რომელსაც აფართოვებდნენ. ნეტავი რომელი საათია? იქნებ გაკვეთილები გათავდა კიდეც, პირველსავე გამვლელს წინ გაუჩერდა,

— ძია, რომელი საათია? — ადრე ყოფილა, სად იხეტიალოს, ისევ სახლში წავა, დედას ეტყვის, ცუდად გავხდი, გაკვეთილებიდან გამანთავისუფლეს.

კარზე დააკაკუნა. არავინ გაუღო. გასაღების ჭუჭრუტანაში შეიჭვრიტა. კარში გასაღები არ იყო. დედა შინ არ დახვდა. სამზარეულოში შევიდა, მიჩნეული ადგილიდან გასაღები გამოიღო, კარი გამოაღო. ოთახი მიულაგებელი იყო. ჩანთა მაგიდაზე დააგდო. წარბები შეიკრა. ნეტავ სად დადის დედა? — ხელი ჩაიქნია. ოთახის დალაგებას შეუდგა. არ უყვარდა არეულობა. მაგიდაზე დედის წერილი შეამჩნია: — „მეჩქარება, პური მოიტანე!“ — წერდა დედა. ფულს ხელი დასტაცა, პურის საყიდლად წავიდა.

პური მოიტანა, განჯინიდან ძეხვი გამოიღო. მადიანად შეექცა. სამზარეულოში შევიდა, იქაურობა გადმოაქოთა, ადამჟამობის დამტვრეული ყუთები, დიდიხნის მიულაგებელი უჯრები, რკინისა და მუყაოს ძველმანები, ყველაფერი შეაგროვა.

კარზე დააკაკუნეს. კარი გააღო. კარებში დედა იდგა. მტვერში ამოგანგლულ გიას შეხედვაზე შეკრთა.

— რა მოგსვლია, შვილო?

— არაფერი, რა უნდა მომსვლოდა?

— რას გავხარ? ვინ იყო?

— კარგი, დედა! — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა გიამ. — სად იყავი, დედა, ამდენ ხანს?

დედამ ჩიტივით შეიფრთხიალა. ხელები ერთმანეთს შემოკრა, მხიარულად დაიწყო:

— სად არ ვიყავი, შვილო, რამდენი საქმე მქონდა, მთელი ქალაქი მოვირბინე. ვიფიქრე, სადილის გაკეთებას ვეღარ მოვასწრებ-მეთქი და კონსერვები წამოვიღე.

— მე დარჩენილი ძეხვი ვჭამე.

— რატომ არ დამიცადე?

— როდემდე? — გიამ კედლის საათს ახედა. დედამაც შეხედა საათს.

— ოჰო, როგორ დამგვიანებია! — კორდელიასთან შევირბინე, მარტო იყო, უსადილოდ არ გამომიშვა, ძმას ხალათს უკერავს, მივეხმარე, კერვა არ ეხერხება. მარინესთანაც ვიყავი, დიდი ხანია იმათი არაფერი გამეგო. ქეთინოს ამანათს უგზავნიდა, ფოსტაში წავყევი, იქიდან ნინოსთან გამოვიარე.

— მთელი ქალაქი შემოგივლია! — გია ყურს არ უგდებდა დედას, მაგიდაზე დაყრილ ხარახურას დაჭკირკიტებდა, არჩევდა. დედა სარკესთან იჯდა და ლაპარაკს განაგრძობდა.

— ეს რა ხარახურა მოგიგროვებია?

— ექსკავატორი უნდა გავაკეთო.

—მალე ცალკე ოთახი დაგჭირდება, კედლები გაივსო! — დედამ კედელზე ჩამოკიდებული ჩონგურები, თარები, დიპლიპიტოები და ქანდაკებები შეათვალიერა.

— ცალკე სახელოსნო უნდა გავიკეთო, დედი!

— აბა, შენ იცი, ჩემო ბიჭო, დედა გაახარე. ერთ დროს მეცვძერწავდი., მაგრამ... — ჩაიქნია ხელი დედამ.

— რა კარგი იქნებოდა, დედი!

— მამაშენი მუდამ მეუბნებოდა, ყველა საქმეს ნუ ედები, შენი საქმე ძერწვა არისო, მაგრამ მდგომარეობამ ყველაფერზე ამაღებინა ხელი.

— მოდი, ახლა დაიწყე, ჩემო დედიკო!

— არა, შვილო, სად მაქვს დრო.

— რას ამბობ, დედი, განა რა საქმე გაქვს?

— გული აღარა მაქვს, შვილო, გული!

— ჩემო დედიკო, ოღონდაც ძერწვა დაიწყე, ყველაფერს მე ვავაკეთებ. — შემოეხვია გია დედას.

— სისულელს თავი დაანებე, შვილო! — მოიცილა დედამ გიას ხელები. — კორდელიასთან ჩავალ, ხალათზე ღილკილოები დარჩა გასაკეთებელი, გააფუჭებს ნამდვილად. — გიას გული ატკინა დედის საქციელმა. ხომ შეიძლებოდა დედა კარგი მოქანდაკე ყოფილიყო, რა კარგი იქნებოდა.

კარზე ვიღაცამ დარეკა, ვინ უნდა იყოს? დედა ჯერ არ დაბრუნდებოდა. კარი გააღო. კარებში ზურა იდგა. ზურას დანახვამ გიას დღევანდელი მარცხი გაახსენა.

— რას აკეთებ, გია?

— არაფერს! — გიამ თავის ხარახურას გაზეთი გადააფარა.

— მაჩვენე!

— რად გინდა?

— რა დაგემართა?

— წადი, შენს თევზებს მოუარე!

— იცი, რად მოვედი?

— საიდან მეცოდინება, არაფერი გითქვამს!

— გამომგზავნეს, დედაშენს უნდა მოველაპარაკო.

— ჭკუის დასარიგებლად? ვინა ხართ თქვენ, ვინა გკითხავთ, გაკვეთილზე დავაგვიანე, თუ შატალოზე წავედი, მასწავლებელს არაფერი უთქვამს, თქვენ ვინა გკითხავთ?! — აყვირდა გია.

— რა გაყვირებს? მაშ, ვის კითხავს, რას იბღინძები. გირჩევ, პიონერთა სასახლეში წახვიდე, საჩუქრების დამზადების საქმე არ ჩაშალო, თორემ თავზე ხელს არ დაგისვამენ.

— ვითომ რას მიზამენ?

— პიონერთა ორგანიზაციიდან გაგრიცხავენ.

— გამრიცხონ!

— დედაშენს უნდა მოველაპარაკო, დავალებული მაქვს.

— დედა შინ არ არის.

— საღამოზე პიონერთა სასახლეში წამოხვალ!

— არა!

— შენთან ლაპარაკი არ ღირს.

ზურაბის წასვლის შემდეგ გია კარგა ხანს იჯდა ჩუმად. გიტარის ხმა მოესმა, ყური მიუგდო, გიტარის ხმა კორდელიას ბინიდან ისმოდა, დედა მღეროდა. ხავერდოვანი ხმა ჰქონდა დედას. როცა დედა მღეროდა, ცისფერი თვალები უბრწყინავდა, ლოყები აუვარდისფერდებოდა, ამ დროს განსაკუთრებით მოსწონდა გიას დედა. ახლაც ყური მიუგდო სიმღერას. ნეტავ ვინ არის, დედას რომ აყვა? ეს კორდელიას ძმაა, კარგი ხმა კი აქვს, მაგრამ, დროდადრო ეხრინწება. არა, გიას არ უნდა დედის ხმასთან ერთად ამ ჩახრენწილი ხმის გაგონება, სადღაც მეხსიერებას მამის ხმის ხავერდოვანი ტემბრი შერჩენია. დედა არწმუნებს, არ გახსოვს ჩვენი სიმღერაო, მაშინ ძალზე პატარა იყავიო; ცდება დედა, გიას კარგად ახსოვს მამის სიმღერა და დედის ხმასთან ერთად ესმის კიდეც. უეცრად ქარი შემოიჭრა ოთახში, ფანჯრის მინამ ჭახანი მოიღო, გიამ ორივე ხელი სახეზე აიფარა, მაგიდაზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. დიდხანს ტიროდა გია, მერე თანდათან დაწყნარდა, ცრემლები მოიწმინდა, დღიური აიღო, დააჩერდა წითელყდიან სქელ რვეულს. ეს რვეული მასწავლებელმა აჩუქა იმ დღეს, როცა პიონერთა ორგანიზაციაში მიიღეს. რვეული გადაშალა, პირველ გვერდზე მასწავლებლის წარწერა წაიკითხა: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე და ყოველდღე შენს თავს ჰკითხე: — აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?!“

შენი ყოველი დღის სიხარული, მწუხარება და შეცდომები ჩაწერე, ამით კონტროლს გაუწევ შენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯს. გია დასჩერებოდა რვეულის ფურცელს და გული ეკუმშებოდა. ვერ გაამართლა მასწავლებლის იმედი, ვერ უწევს კონტროლს თავის მოქმედებას. რვეული გაშალა, წერა დაიწყო.

რას ჰგავს დღევანდელი ჩემი საქციელი, მე ხომ არ მინდა ასე იყოს. განა არ ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი. რა მემართება. რად მეჩრება ყველა თავის დარიგებებით. დღეს სერგო მასწავლებელს ვაწყენინე, ნეტავ ისიც სხვებივით ნატაციებს მიკითხავდეს.

* * *

ზურაბი ჩქარი ნაბიჯით ბრუნდებოდა სახლში. თევზების დაპურების დრო იყო. ეშინოდა, ცდა არ ჩაშლოდა. კიბეზე ნონა შემოხვდა.

— სად მირბიხარ, რა გითხრა გიას დედამ?

— დამაცადე, თევზები მყავს დასაპურებელი!

— ახლები მოიყვანე?

— ცდას ვაყენებ, ამოდი, გაჩვენებ!

— პურს მივიტან და ამოვალ!

ზურაბმა კიბე აირბინა. კარი ბებომ გაუღო.

— ჩქარა, ბებო, ჩქარა!

— სად იყავ, ბიჭო, ამდენ ხანს?

— ჩქარა, ჩქარა, ბებო! ჩქარა თევზები დავაპურო, თორემ ცდა ჩამეშლება! — ზურა აქვარიუმს მივარდა.

— თევზების მეტი აღარაფერი უნდა გახსოვდეს?

— მოიცა, ბებო, როგორ შემომიჩნდი, თევზები მყავს დასაპურებელი. წყალიც გამოსაცვლელია.

— ყველაფერს შინ მოათრევ, ააოხრე აქაურობა!

— ჩემო, ბებიკო, შენი ჭირიმე, რა ბუზღუნა რამ ხარ! — ზურაბმა ბებოს ხელი მოხვია და ლოყაზე აკოცა.

— თავის დროზე არც მოსვლა იცი და არც წასვლა!

— აი, მოვედი!

— ამას ეძახი მოსვლას? გიჟივით შემოვარდი.

— დღის რეჟიმს ვიცავ!

— ამას ჰქვია რეჟიმი?

— შემოდი, შემოდი! — მიუბრუნდა კარებში მდგომ ნონას ბებო. — ახლა მობრძანდა, ჭამასაც ვერ ასწრებს.

— ბებო, ზურა კლასმა გიას დედასთან გაგზავნა.

— რა უნდოდა გიას დედასთან?

— გიამ დაიგვიანა, მერე სკოლიდანაც გაიპარა.

— ასეთი კარგი ბიჭი!

— მოდი, ნონა, მოდი, თევზებისათვის ხორცი დამიჭერი, ხუთი წუთიღა დარჩა საკვების მიცემამდე.

— გაზრდილან შენი თევზები.

— მაშ ტყუილა ვშრომობ!

— ცალკე რად ჩაგისვამს?

— ცდას ვაყენებ, რეფლექსი უნდა გამოუმუშავო. ხორცი მომაწოდე და გიჩვენებ!

— გიას დედას ელაპარაკე?

— სახლში არ იყო, გიამ მე ვეტყვიო.

— რას ვეტყვიო? როდის იყო დედას ეუბნებოდნენ შატალოზე ვიყავიო? ვერ დაუცადე დედამისის დაბრუნებას?

— მითხრა, მე თვითონ ვეტყვიო!

— ეს მაინც თავისას გაიძახის!

— რადგან თქვა, უსათუოდ ეტყვის, შენ გიას არ იცნობ.

— თვითონ გიას თუ ელაპარაკე?

— გიასთან ლაპარაკი ძნელია!

— რის მეგობარი ხარ, თუ ვერ დაელაპარაკები?

— რად ცხარობ, ნონა? — იკითხა ზურას დედამ, რომლის შემოსვლა ბავშვებს არ გაუგიათ.

— დეიდა ელენე, რომ იცოდეთ, როგორ იქცევა გია. გაკვეთილებზე იგვიანებს, მასწავლებელს არაფრად აგდებს, გოგონებს ცემს!

— სამაგიეროდ ყველაზე კარგი მოწაფეა!

— კარგი მოწაფისათვის დისციპლინა საჭირო არ არის?

— ოჰო, რა გაცხარება გცოდნია! — შეაჩერა ნონა ელენემ. — კლასის დამრიგებელს უთხარით, პიონერთა ორგანიზაციაში დასვით საკითხი.

— ჩვენს პიონერთა ხელმძღვანელს სიმღერისა და ცეკვის მეტი არაფერი ახსოვს.

— უმადურები ხართ, ყველა დღესასწაულზე ჩვენი სკოლა რომ გამოდის, ხომ კარგია?

— ნონა, ვისადილოთ, თორემ გეტყობა, გშია და ძალზე მკაცრი ხარ. — შეაჩერა ბავშვები ელენემ.

* * *

გია სკოლაშიც ვერ ისვენებდა. საკლასო ოთახში უმიზნოდ დაბორიალობდა. დერეფანში გამოვიდა. სამასწავლებლოს კარებს

გასცქეროდა, თავს არწმუნებდა, დამრიგებელი დამიძახებსო, მაგრამ არავინ ეძახდა.

დამრიგებელი გამოვიდა. გიამ ნაბიჯი წინ წადგა. მივალ, ბოდიშს მოვიხდი, ვთხოვ, რომ მაპატიოს. იქნებ მოიხედოს, იქნებ დაუძახოს კიდეც. მასწავლებელი შეტრიალდა. კოჭლობით მიმავალ მოწაფეს მიუბრუნდა:

—ანზორ, როგორა ხარ, ფეხი კიდევ გტკივა?! — ბიჭს მასწავლებლის შეკითხვაზე სახე გაუბრწყინდა.

— უკეთესად მაქვს, მასწავლებელო!

ბოტანიკის მასწავლებელი სამასწავლებლოდან გამოვიდა. გიასთან ჰქონდა გაკვეთილი, გია კლასისაკენ წავიდა. უგუნებოდ მისჩერებოდა, როგორ ხსნიდა მასწავლებელი გაკვეთილს. ფიქრით კვლავ დამრიგებელთან იყო. — აი, მივიდა, ბოდიში მოიხადა. მასწავლებელმაც თავისი კეთილი ღიმილით გაუღიმა.

— გია, რას მეტყვი ძუძუმწოვრების შესახებ? — გია წამოხტა.

— არაფერს, მასწავლებელო! — მასწავლებელმა წარბები შეიკრა.

— გაკვეთილის დროს რაზე ფიქრობდი? — გიას ტყვიასავით მოხვდა მასწავლებლის გამწივანი ხმა. ვერ გაეგო, რაზე უყვიროდნენ. დაბნეული აქეთ-იქით იყურებოდა.

— გელოდები, ყმაწვილო, მითხარით, რაზე ფიქრობდით იმ დროს, როცა გაკვეთილს ვხსნიდი? — გია მასწავლებელს შესჩერებოდა და ხმას არ იღებდა. უეცრად კარისაკენ წავიდა, გარეთ გასულს ამხანაგების ხარხარი მოესმა. გაკვეთილი კვლავ მიატოვა. რატომ, რისთვის? ისევ გუშინდელი შეცდომა გაიმეორა, ერთიდაიგივე დანაშაული ჩაიდინა. მგონი, მართალია ზურაბი, გაკვეთილების მიტოვება ჩვეულებად გადაექცა. დერეფანში პიონერთა ხელმძღვანელი შემოეფეთა.

— გია! — დალიმ ყელსახვევზე ხელი წაავლო. — რას ჰგავს შენი ყელსახვევი, რად არ გააუთოვე?! — გიამ დალის შეხედა. დალიმ ბიჭურად შეკრეჭილ თმაზე ხელი გადაისვა.

ზარი დაირეკა, გია საკლასო ოთახში შევიდა. ბავშვები ერთად შეჯგუფულიყვნენ. დაობდნენ. გიას შესვლისთანავე გაჩუმდნენ. გიას სმენას ნონას გაწიწმატებული ხმა მისწვდა:

— საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება! — ნეტავ ვის საწინააღმდეგოდ ღებულობს ნონა გადამჭრელ ზომებს? უნდოდა სცემოდა ამ მეტიჩარას. მერხთან მივიდა, დაჯდა და გადაწყვიტა, გაკვეთილების დამთავრებამდე მერხიდან არ ავდგებიო. ნონა მისკენ მოტრიალდა.

— გია, დღეს მორიგე ხარ! — როგორ დაავიწყდა. ამას რომ არაფერი ავიწყდება!

გაკვეთილი დამთავრდა. გია გაუნძრევლად იჯდა. დედას დაიბარებენ. უსათუოდ დაიბარებენ, განა „წიწაკა“ მოუთმენს. როგორ ეჯავრება, როდესაც დედას სკოლაში იბარებენ. გია სკოლის დარაჯის ხმამ გამოარკვია, ის კარებში იდგა და ეძახდა:

— ყმაწვილო, სამასწავლებლოში გეძახიან! — გიას არ მოეწონა მისი კილო. როდესაც ყმაწვილოს დაუძახებდა ვისმეს, მისი საქმე ცუდად იყო.

სამასწავლებლოში დირექტორი, „წიწაკა“ და დედა დახვდნენ. დამრიგებელი ფანჯარასთან იდგა, ლაპარაკში არ ერეოდა.

დედა სკამზე იჯდა, ხელსახოციანი ხელი უღონოდ ჩამოეშვა, დირექტორის ლაპარაკს უსმენდა, რა უსუსური მოეჩვენა დედა. დედამ გია რომ დაინახა, ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა, ბავშვივით დაიწყო სლუკუნი. დირექტორი გიას წინ გაჩერდა:

— დედას ისედაც ბევრი დარდი აქვს, შენ კიდევ... — გიას თითქოს არ ესმოდა დირექტორის სიტყვები, უყურებდა, როგორ აფრქვევდა დედა ცრმელებს. დედას შეუძლია დაუსრულებლად იტიროს, როდემდე უნდა ილაპარაკოს დირექტორმა?

— არაფერი გაკლია, სწავლა შეგიძლია, მასწავლებლები შენზე ზრუნავენ, დედა დღედაღამე შენზე ფიქრობს! დედაშენის თხოვნას, მამაშენის ხსოვნას ვუწევთ ანგარიშს, თორემ დღესვე გაგაგდებდი სკოლიდან, მოგიცილებდი! — ძლივს დაამთავრა დირექტორმა ლაპარაკი.

დედამ სარკე აიღო, „წიწაკას“ მიუბრუნდა:

— რას დავემსგავსე, ქუჩაში გასვლა მრცხვენია! — თმა შეისწორა, პომადა წაისვა, კეკლუცად გაიღიმა და წავიდა. გიამ თვალი მოჰკრა, როგორ გააყოლეს თვალი დედას, სახეზე ალმური წაეკიდა. გარეთ გამოვარდა. დედა კიბის თავში იდგა, დამრიგებელს შესჩიოდა:

— თქვენ არაფერს მეუბნებით, ალბათ, უკმაყოფილო ხართ ჩემი გიასი. — გია ილია ჭავჭავაძის ბიუსტს ამოეფარა.

— არა, ქალბატონო! — დამრიგებლის პასუხზე გიამ ტუჩი ჩაიკვნიტა.

წერა დაიწყო. მერხებს შორის მასწავლებელი დადიოდა. ვიას მერხთან არ შეჩერებულა, მაგრამ ყურადღებიდან ერთი წუთით არ გამორჩენია.

გიამ რვეული გაშალა და თანდათან დაწყნარდა.

მასწავლებელმა მისთვის საგანგებოდ ძნელი ამოცანა შეარჩია. ახლა შორიდან უთვალთვალებდა, ხედავდა, გია თავაუღებლად წერდა. უნდოდა მისულიყო, ენახა, მაგრამ ეს დანაშაულის პატიება იქნებოდა!

გიამ მასწავლებელს რვეული მოუტანა, მაგიდასთან გაჩერდა.

— ვერ გაიგე?

— დავამთავრე! — მასწავლებელმა კმაყოფილების ღიმილი ძლივს შეიკავა, რვეული ჩამოართვა, არ გაშალა, გიამ ვეღარ მოითმინა.

— მასწავლებელო! დამატებითი ამოცანა მომეცით! — მასწავლებელი წუთით შეჩერდა.

— საჭირო არ არის, სჯობს გარეთ გაისეირნო!

სერგომ რვეული გაშალა. გამოყვანილ ამოცანას თვალი გადაავლო, სახეზე კმაყოფილება გამოეხატა, რა ნათელი გონება აქვს!

გიას სახლის კარები კვლავ დაკეტილი დახვდა. პირველად თავის ცხოვრებაში გაეხარდა, დედა შინ რომ არ იყო. ოთახში შევიდა, ფანჯრები გააღო. აივანზე მეზობელი ქალები ლაპარაკობდნენ.

— კორდელიას რა ენაღვლება, თუ ვისმეს მიაჩეჩებს თავის უსაქმურ ძმას?

— დაიღუპება ეგ საწყალი!

— მაშ, ტყუილად უმღერის მთელი დღე: „Выхадила на берег Катюша“.

ქალებმა გია შეამჩნიეს, ერთმანეთს გადახედეს და გაჩუმდნენ. ვისზე ლაპარაკობდნენ, რად გაჩუმდნენ, გია რომ დაინახეს?

გვიან იყო, როდესაც კიბეზე დედის ფეხის ხმა გაისმა. დედა ხმამაღლა იცინოდა, ვიღაც აცილებდა.

* * *

ზურაბის სახლობა ახალ ბინაში გადადის. ზურაბის სიხარულს საზღვარი არ აქვს. დედა დაჰპირდა: შენი ცხოველებისათვის ცალკე ოთახს მოგცემო.

ზურაბი კარადის თავზე დადგმულ აქვარიუმს ჩაჰფრენია, ეშინია არ გადმოუვარდეს.

მანქანა გაჩერდა. მუშები მანქანას შემოეხვივნენ. ზურაბმა კიბე აირბინა, ოთახის ფანჯრები ღია იყო, ნათელი და მზით სავსე ოთახები ქალაქს გადაჰყურებდა, თითქმის ყველა უბნის დანახვა შეიძლებოდა.

— ეს პატარა ოთახი ჩემი იყოს, დედიკო, მშვენიერი გადასახედია. — დასდევდა ზურაბი ოთახში მოფუსფუსე დედას.

— კარგი, შვილო, აქ შენს საწოლს დავდგამ, აქ კიდეე — მათიკოსას.

— არა, დედიკო, ეს ოთახი მარტო ჩემი უნდა იყოს!

— უყურეთ, როგორი მესაკუთრეა!

— აკი დამპირდი, ცალკე ოთახს მოგცემო!

— აბა მათიკო რას დაგიშავებს?

— ჩემი ცხოველები სადღა მოვათავსო?

— ორივეს გეყოფათ, მართლა ზოოლოგიური პარკის გახსნას ხომ არ აპირებ!

ბებია სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, სუფთა და ნათელ სამზარეულოს არ სცილდებოდა.

— მადლობა ღმერთს, მოვესწარი ცალკე სამზარეულოს, აქ რასაც დადებ, ხელს არავინ მოგიკიდებს, მერე როგორი ნათელია!

მოვიდნენ ახლო ნათესავები, ნაცნობები, დედისა და მამის თანამშრომლები.

— მოდით, სამზარეულო ნახეთ, როგორია! — იწვევდა ბებია ყველას. სტუმრები წავიდნენ, დედამ მათიკო ხელში აიყვანა.

— მათიკო, შენი ძილის დროა, ნახე, როგორ ტკბილად დაგეძინოს ახალ ოთახში!

მამა და ზურაბი მაგიდასთან ისხდნენ.

— ზურაბ, აბა შენ იცი, როგორ იმეცადინებ. ცალკე ოთახი გექნება, ხელს არავინ შეგიშლის. ეს დიდი საქმეა შენისთანა ბიჭისათვის! — მამას სიტყვები არ დაემთავრებინა, რომ ზარის ხმა გაისმა:

— საიდან სადაო, რომელმა ქარმა გადმოგაგდო ასე საგანგებოდ!

— სწორედ საგანგებოდ, მოსალოცად მოვედი!

— ძია ამირან, ძია ამირან! — კისერზე შემოეხვია ზურაბი.

— მოიცა, ბიჭო, ეს თაიგული სად დავდო?

— ამირანი და თაიგული! — გაიცინა ელენემ.

— რას იზამ, რაღვან ასეთი ბედნიერება გეწვიათ, მეც თავი აღარ დავზოგე, ახალ პინას დამშვენება უნდა! თქვენი შესაფერი ვერაფერი ვიშოვე: მოვდივარ ყურებჩამოყრილი და ვხედავ, თქვენივე შერობის ქვედა სართულში საყვავილეა, არასოდეს ვიფიქრებდი, თუ ყვავილების დანახვა ასე გამეხარდებოდა, მეც თავი მოვიქაჩლე.

— ძია ამირან, ძია ამირან! — მოისმა მათიკოს წკრიალა ხმა და ოთახში ფეხშიშველი, გრძელი ღამის პერანგით მათიკო შემოტყაპუნდა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რამოდენა გაზრდილა! — ამირანმა მათიკო ჰაერში შეისროლა.

— აღარ მეშინია, ძია ამირან, აღარ მეშინია! — კისკისებს მათიკო.

— კარგი, ამირან, არ დაგივარდეს, პატარა კი აღარ არის!

— მოდი, შენც ავისროლო! — ამირანი ელენეს დასწვდა.

— ნუ სულელობ, გამიშვი ხელი, როდის უნდა ისწავლო ჭკუა, — ელენემ ძმას ხელი გააშვებინა.

— რა დროს ჭკუაზე ლაპარაკია, ასეთი ბინა მიგიღიათ, ჭკუა თუ რომელიმეს გქონდათ, უნდა დაკარგოთ. მართლა, ზურა, შენთვის ისეთი საჩუქარი მაქვს! — გახარებული ზურაბი ამირანს მკლავზე ჩამოეკიდა.

— მაჩვენე!

— გამაწვალა ამ აბეზარმა, ავიყვანე და კალათში ჩავამწყვდიე. ვაუბატონო, ზევით ამობრძანდი! — ელაპარაკებოდა თავგადაკრულ კალათს ამირანი. — ხა, ხა, ხა, ერთი ამას უყურეთ, რა გულმოსულია, როგორ ბურდღუნებს! — ძია ამირანმა კალათიდან დათვის ბელი ამოათრია.

— ნამდვილი დათუჩა, ნამდვილი, წიგნში რომ ხატია, ისეთი! — აჟყლოპინდა მათიკო.

— ეგლა გვაკლდა, ეგლა გვაკლდა! — აბუზღუნდა ბებია და დათუჩას მტრულად გადახედა.

— უცნაური ხარ, ამირან, ჩემი სახლი ისედაც სავსეა კატებითა და ძაღლებით.

— რას ამბობ, ელენე, იცი, როგორ მართობდა, მაგრამ მაინც გავიმეტე.

— ძია, ჩემო კარგო! — იმეორებდა სიხარულით აღტაცებული ზურაბი, დათუნა კი უკმაყოფილოდ ბურდღუნებდა.

— შია მაგ საწყალს, შია. ელენე, გააჩინე რამე, თაფლი, შაქარი, არაფერს არ იწუნებს, მაგრამ რძის დიდი მოყვარულია, ბორჯომის ბოთლი მომეცით, შიგ ჩავუსხამ. — ამირანმა რძე ბოთლში ჩაასხა. დათუჩამ ბოთლი თათებში მოაქცია და გადაყლუნწა. ზურაბი და მათიკო დათუნას გარშემო ჰტოდნენ.

მეორე დღეს მთელი კლასი მოვიდა დათუნას სანახავად. გია ზურაბს ებუტებოდა, მაგრამ დათუნას ნახვის სურვილმა ისიც დასძლია.

— დათუჩა დავარქვათ, დათუჩა ლამაზი სახელია, წიგნში ასე ჰქვია!

ზურაბი შუა ოთახში იდგა და ფართიფურთობდა.

— ნამდვილი ზოოლოგიური ბაღი უნდა მოვაწყო, ნამდვილი!

— ექიმო აიბოლიტო, ამ ზაფხულს სოფლიდან მეც ჩამოგიყვან რამეს, ჩვენს სოფელში აუარებელი ზღარბია! — ჰპირდებოდა ვახტანგი.

— ჩვენ ზაფხულში ძია ამირანთან მივდივართ საზღვარზე, იქიდან სხვადასხვა ცხოველებს ჩამოვიყვანთ!

— ექიმო აიბოლიტო, აბა, შენ იცი! — გიამ ზურაბს ვიწრო მხრებზე ხელი მოხვია.

— ნახეთ, ჩემმა დათუჩამ როგორი ბურთის თამაში იცის! —

ზურაბმა ბურთი გაუგორა დათუნას. დათუჩა ბურდღუნით გამოუდგა, დაიჭირა, კმაყოფილმა თათი გაჰკრა გაგორებულ ბურთს.

საღამოზე დედამ უკმაყოფილოდ უთხრა ზურაბს:

— ზურაბ, მეტისმეტს ნუ იზამ, თორემ იძულებული გავხდები აგიკრძალო სახლში ცხოველების მოყვანა. ბებომ აღარ იცის, რა ქნას! — ზურამ ბებოს შეხედა, რომელიც ჩუმად იჯდა და მაგიდას დასჩერებოდა.

— ბებოს ჩემი ცხოველები რას უშლიან?

— აქაურობის დასუფთავებას ვეღარ აუდის!

— მე ყოველთვის ვასუფთავებ ჩემს ოთახს!

— პირობა პირობაა, რადგან დავპირდით, უნდა შევასრულოთ კიდეც! — გამოექომაგა ზურაბს მამა.

— ოთახში ცუდი ჰაერი დგება, დაძინება შეუძლებელია!

დილით ზურაბი ადრე ადგა და თავისი ოთახის დალაგებას შეუდგა. ეშინოდა, ბებომ მამაც არ მიიმხროსო. გალიები გამოასუფთავა, თევზების აქვარიუმს წყალი გამოუცვალა. კვირა იყო და ზურას შეეძლო მთელი დღე ემუშავნა. გიაც დაჰპირდა, მოვალ და ახალ გალიებს გაგიკეთებო. მათიკოც გულმოდგინედ ეხმარებოდა ძმას. ზარის ხმაზე მათიკო კარის გასაღებად გაიქცა და მხიარულად შესძახა:

— კრუზო მოვიდა, კრუზო! — ოთახში პატარა ტანის რეზო შემოვიდა, რომელსაც ყველა კრუზოს ეძახდა.

— გია არ მოსულა?

— ჯერ არა.

მათიკო სკამს ამოეფარა, ზურაბი საწოლის თავზე შესკუპდა, კრუზომ თვალებზე დახვეული გაზეთი მიიდო, აქაოდა ჭოგრიტიაო.

— მარჯვნივ, მარჯვნივ წამოდი, მათიკო, ხეებს დააკვირდი, გადანაჭრები მიმართულებას მოგანახვინებს!

— დედა, არ შემოხვიდე, არ შემოხვიდე, დაიკარგები ამ გაუვალ ტყეში! — დედა კარებში შედგა.

— რა მოხდა, რა დაგემართათ?

— დედა, ვეებერთელა დათვი მოდის შენკენ, გაიქეცი, თავს უშველე, — დათუჩა დედასთან მივიდა და ფეხების ლოკვა დაუწყო. — ხეზე ადი, დედიკო, ხეზე!

— როგორ შეიძლება, მაგდენიც არ იცი, რომ დათვი ხეზე ავა, დაწექი, დედა, დაწექი, სიკვდილი მოიგონე, დათვი აღარ მოგეკარება! — გაჰყვიროდა ზურაბი.

— დაწექით, დეიდა ელენე, დაწექით! — არ ისვენებდა კრუზოც. დედამ ყურებზე ხელი მიიფარა და ოთახიდან გავარდა.

მალე გიაც მოვიდა, პარასკევაც მოემატათ, ჩაფსკვნილი, თმახუჭუჭა ვახტანგი. სკამები გადმოაბრუნეს. თავი ერთად მოუყარეს. კრუზომ თავისი ადგილი დაიჭირა. გემის კაპიტნობა გიამ იკისრა, იალქანი აუშვეს, გემი მწვანე კონცხისაკენ გაეშურა.

— გრიგალი აპირებს ამოვარდნას, ბატონო კაპიტანო, საით გვიბრძანებთ წასვლას?! — მოახსენა მესაჭემ.

— ჩრდილოეთისაკენ აიღეთ გეზი!

— ნელა, ნელა, მესაჭევ, გრიგალი იმატებს და ჩვენ გრძედის შვიდ გრადუსზე ვართ!

— შვიდ გრადუსს მივაღწიეთ! — გაეხმაურა კრუზოც.

— მარჯვნივ, მარჯვნივ დაიჭირე საჭე, თორემ წმინდა ავგუსტინის კონცხს სიგანედის ოცდაორი გრადუსით დავცილდით.

— არის, კაპიტანო, საჭე მარჯვნივ!

— ნაპირს არ მიუახლოვდეთ, საშიშია, გემი კლდეებს დაეჯახება, ნიჩბები მოუსვით! — გასძახოდა კაპიტანი.

— რა მოხდა, რად გაჩერდა?

— საშიში მდგომარეობაა!

— გემი მეჩეჩზე გაჩერდა!

— ნავები მოიმარჯვეთ, ნავები!

— გემის აქედან დაძვრა შეუძლებელია!

— დასავლეთით მოჩანს ყურე, იქით მიმართეთ გემი! — განკარგულებას იძლევა კაპიტანი და ნაპირს ჭოგრიტით მიისჩერებია.

— კაპიტანო, ძნელია დინების საწინააღმდეგოდ ცურვა.

— მხნედ იყავით, თორემ დავიღუპებით!

— დედამ თქვა, მოდით ისადილეთო! — გამოაცხადა მათიკომ.

— რა დროს სადილია, ჯერ კუნძულზე არ მივსულვართ.

— ნასადილევს მივალთ.

— გალიები რომ არ გამიკეთებია? — დაღონდა გია.

— დარჩი, გალია თუ არ გამიკეთე, ვერსად ვერ გაგიშვებ, თუთიყუშს თოკმა ფეხი ატკინა.

— ჩვენთან ერთად ისადილე, გია! — მათიკო ძმას დაეხმარა, მათიკოს ელენეც წამოეშველა და გია სადილად დატოვეს.

— ნუ გეშინია, გია, დედა არაფერს გეტყვის, ჩვენ კვირას ადრე ვსადილობთ.

მხიარულმა სადილმა გია საგონებელში ჩააგდო, ალბათ, ასევე სადილობდნენ ისინიც, როცა მამა ცოცხალი იყო, ახლა კი გიას ხშირად მარტო უხდება სადილობა, ან რა სადილია, პური და ძეხვი?!

გია სადილის შემდეგ გალიის კეთებას შეუდგა. მალე ნონაც მოვიდა. ნონას მოსვლამ გიას გუნება შეუცვალა. როგორც იყო, შეაკოწიწა ერთი გალია.

— შინ მეჩქარება, სხვა დროს მოვალ, ყველა გალიას გამოვცვლი, ზოგიერთი ძალზე ძველია! — ზურაბი მიხვდა, გია ნონას ებუტებოდა და აღარ აუხირდა.

გია ქუჩაში გამოვიდა. მიდიოდა და მაღაზიებს ათვალიერებდა. რკინეულობის მაღაზიასთან შეჩერდა. ჯიბეები მოიჩხრიკა. ხურდა ფული ხელისგულზე დაიყარა. გადათვალა, მაღაზიაში შევიდა, წვრილი ლურსმანი და ხრახნილები იყიდა, კვლავ ქუჩაში გამოვიდა. ერთი ეზოდან ბავშვების ყიჟინი მოესმა, ალაყაფის კართან შედგა. ეზოში ონკანთან ბავშვები შეყრილიყვნენ და იცინოდნენ. გია ბავშვებთან მივიდა, უნდა გაეგო, რა აცინებდათ. ონკანიდან წყალი ჩხრიალით მოდიოდა, წყლის ქვეშ შავი არსება აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ გარშემორტყმული ბავშვები გასაქანს არ აძლევდნენ და კვლავ ონკანის ქვეშ აგდებდნენ. „ნეტავი რა არის?!“ — გაიფიქრა გიამ და ბიჭები მისწი-მოსწია. რა უნდა იყოს? როგორ უცნაურად აფართხალებს ფრთებს? კატა არ არის, ფრთიანი კატა ვის გაუგონია? ბუ! — წამოიძახა გიამ. დაენანა უმწეოდ მოფართხალე ფრინველი და ონკანს ეცა.

— რას ერჩით ამ საწყალს?

— შენ ვინა გკითხავს?

— შენია თუ?

— აბა შენია?

— მე ვიპოვე, ჩემია!

— თავს ნუ იგდებ, იმიტომ აწვალებ, რომ შენია?!

— მეტიჩარას დამიხედეთ! — წამოეპიმა ყველაზე დიდი ბიჭი.

— უკან დაიწი!

— არა მკითხე მოამბეო, მიტყეპე და მიაგდეო!

— მართლა მისატყეპი ხართ; საწყალი როგორ აბუზულა! — გიამ გაწუწული ბუ ხელში აიყვანა. ბიჭები გიას შემოეხვივნენ.

— დასვი ჩქარა, სხვის საქმეში ნუ ეჩრები, თორემ!

გია ბიჭის ყელსახვევს წაეტანა.

— დამიხედეთ პიონერს, ფრინველებს როგორ აწვალებს! — ბიჭი შედგა. გიამ ისარგებლა ბიჭის შეფერხებით, ალაყაფის კარისაკენ მოკურცხლა. სახტად დარჩენილმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. ყიჟინით გამოუდგნენ გაქცეულს. გია კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიჰქროდა. გაწუწული ბუ გულზე მიეკრა.

— ქურდი!

— ქურდი!

— დაიჭით!

— ქურდი. დაიჭით!

— არ გაუშვათ! — მიკიჟინებდნენ უკან გიას ბიჭები. გიას ვიღაც წინ გადაუდგა, გიამ თავი დახარა, გვერდზე გახტა. დასაჭერად გაწვდილი ხელები უცნობს ჰაერში შერჩა. გიამ ზურაბის სახლისაკენ მოკურცხლა. უკან ბიჭების მთელი გუნდი მისდევდა.

გია ზურაბის სახლის სადარბაზოში შეხტა, ზარის ღილს ხელი დააჭირა, ბიჭების ხმაც მოისმა, ისინი სადარბაზო კარის შესასვლელში შეჯგუფდნენ.

— აი, აქ შევიდა!

— აქ როგორ იპოვი, ეზოში გავიდოდა!

— იქნებ აქ ცხოვრობს, ზევით ავიდოდა.

გიას კარი მათიკომ გაუღო.

— რა დაგემართა? რა მოხდა?

— ბიჭები აწვალებდნენ, ხედავ რასა ჰგავს? წავართვი, წამოვიყვანე, — ზურას გაუწოდა გაწუწული ბუ. ბუს ფრთები საცოდავად ჩამოეყარა. თვალებს აცეცებდა.

— უბედური! — ზურაბმა ბუს მიუალერსა. — რად ემტერებიან. ეს ხომ უწყინარი და სასარგებლო ფრინველია. მაოიკო, მოიტანე რამე, გავამშრალოთ.

— უნდა გადავარჩინოთ, ექიმო აიბოლიტო! — მათიკომ ბუ თავის ძველ კაბაში გაახვია და მაგიდაზე დასვა.

ბავშვები ზურაბთან ხშირად იყრიდნენ თავს, გიაც დადიოდა თავის გადარჩენილი ბუს სანახავად, რომელიც მუდამ კუთხეში იყო მიყუჟული და სევდიანად გამოიყურებოდა.

* * *

კვირა დღე იყო. გია მთელი დღე სახლიდან არ გამოსულა. ამოცანებს ჩაუჯდა. ერთი ამოცანის ამოხსნა გაუჭირდა, რამდენჯერმე თავიდან დაიწყო, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა, სხვა გაკვეთილები მზად არ ჰქონდა. ამოცანას თავი მიანება, ისტორიას მოჰკიდა ხელი. მაგრამ ამოცანის პირობა აეკვიატა და მოსვენება არ მისცა. გადაწყვიტა, მასწავლებელთან წასულიყო. დედა შინ არ იყო, რვეული ჯიბეში ჩაიჩარა, ოთახის კარი დაკეტა, მასწავლებლის სახლისაკენ გაეშურა. ზარი დარეკა, კარი მასწავლებლის მეუღლემ გაუღო. კარებში გაჩერებული გია დაინახა, სახეზე შიში გამოეხატა, თვალები გაუფართოვდა. ხელი ბაგეებზე მიიფარა და გია შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. გია კარებში უხერხულად იდგა, შეშინებულ ქალს შესჩერებოდა, ოთახიდან მასწავლებლის ხმა მოისმა:

— ვინ არის?

— შენი მოსწავლეა! — მასწავლებელი აივანზე გამოვიდა.

— შენა ხარ, შემოდი, რას გაჩერებულხარ! — ქალმა გიას გზა დაუთმო.

— აი, აქ დაჯექი! — მაგიდასთან სკამი მიუწია მასწავლებელმა, გია ჩამოჯდა. მასწავლებლის ცოლი გიას თვალს არ აცილებდა. ქალის დაეინებულმა მზერამ გიას ენა ჩაუგდო.

— მაჩვენე, რა გაქვს რვეულში?! — გაუღიმა მასწავლებელმა.

— არაფერი, მასწავლებელო, ისე შემოვიარე, — დაიბნა გია და რვეული ჯიბეში ჩაიჭმუჭნა.

— მაჩვენე, მაჩვენე, როგორ ვუწამლო, თუ სატკივარი არ გავიგე. იმას ნუ უყურებ, მათემატიკის არაფერი ესმის! — სიცილით მიუთითა მეუღლეზე.

— ჩვენ რომ წასვლას ვაპირებთ?

— არაფერია, დაგველოდებიან, წადი, მოირთე!

— წავალ, მასწავლებელო, და სხვა დროს მოვალ!

— მერე შენი სატკივარი მოითმენს? დაჯექი, დაჯექი! — გიამ რვეული ჯიბიდან ამოაცოცა. მასწავლებელი რვეულს დააჩერდა და თან იმეორებდა:

— სწორია, მართალია, კარგი გზა აგირჩევია.

— რომ არ გამოდის, მასწავლებელო!

— ბოლოში ვნახო, ეს რა გიქნია, ყმაწვილო?! არც ერთი ციფრი უყურადღებოდ არ უნდა დაიწეროს, ხედავ, რა ქნა პატარა შეცდომამ!

— მე უკვე მზადა ვარ, სერგო! — შემოვიდა მორთული მეუღლე.

— ჩვენც მოვრჩით! — მასწავლებელი ადგა. — მაშ ასე, შეცდომა დავიჭირეთ. ხვალ აუცილებლად მოდი.

ისინი გარეთ ერთად გამოვიდნენ, როცა მასწავლებელი და მისი მეუღლე ტაქსში ჩასხდნენ, მეუღლე სერგოს მიუბრუნდა:

— ეგ საზიზღარი, როგორ ბედავს მოსვლას.

— ვინ?

— ეგ შენი გია!

— რა დაგიშავა?

— ქურდია!

— ვინა, ქალო?

— შენი ძვირფასი მოსწავლე.

— გაგიჟდი!

— ყველა შენი მოსწავლე კარგია?

— მაშ ქურდებსა ვზრდი?

— ჩემი თვალით ვნახე.

— რა ნახე?

— ამას წინათ რომ გიამბე, ბარნოვის ქაჩაზე მოვდიოდი, მცხეთის ქუჩიდან ბიჭმა ჩამოირბინა, გულზე საფულე მიეკრა, ბიჭები ყიჟინით მოსდევდნენ, ქურდი, ქურდიო! — მაშინ ვერ ვიცანი, სულ ვფიქრობდი, ეს ბავშვი, სად მინახავს-მეთქი.

— რას ამბობ, მოგეჩვენა, მიამსგავსე!

— მაშინ უეცრად ჩამირბინა, ვერ ვიცანი. დღეს როგორც კი კარი გავუღე, თითქო თვალები ამეხილა.

— არა, მარინე, მაგას ვერ დავიჯერებ, ჩემი თვალითაც რომ ვნახო!

— ჩემი თვალით ვნახე!

— შეგეშალა, უთუოდ შეგეშალა!

— რა უნდა შემშლოდა, პირველად ხომ არ ვხედავ. ყოველ შემთხვევაში, მე გითხარი და ფრთხილად იყავი.

სერგოს ვახშამზე ცოლის ნაამბობი დაავიწყდა. სახლში გვიან დაბრუნდნენ და მალე ჩაეძინა. სიზმარმა ვააღვიძა — გიას გულში ვეებერთელა საფულე ჩაეკრა, უკან ბავშვების გროვა მოსდევდა ყვირილით:

— ქურდი, ქურდი, დაიჭირეთ!

სერგო მაღალ სერზე იდგა და იქიდან ეძახოდა გიას:

— აქეთ, გია, აქეთ! — გია აღმართზე მობობღავს, აი, უნდა ამოვიდეს კიდეც, მაგრამ ფეხი დაუცურდა და კელაე ძირს ჩავარდა, ხელები დაუსისხლიანდა, თვალები გადმოეკაკლა, სერგო კვლავ ეძახის. გია კვლავ ცდილობს აღმართზე აფოფხდეს.

სერგო სიზმარმა ზეზე წამოაგდო, ლოგინში წამოჯდა, ელექტრონის ღილაკს თითი დააჭირა, ოთახი გაანათა, მძინარე მეუღლეს გადახედა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ თავის ოთახში იყო. გაოფლილ შუბლზე ხელი ვადაისვა, ღრმად ამოისუნთქა, ცოლის ნაამბობი მოაგონდა, ნუთუ მართალია, რაც მარინემ უამბო?

სერგოს სიზმრის შემდეგ აღარ დასძინებია. გიას ესაუბრებოდა, არიგებდა, ეკითხებოდა, არა და არა, არ შეუძლია დაიჯეროს, მაგრამ ეჭვის ჭია რაკი ერთხელ ჩაუჯდა, მოსვენება აღარ მისცა. გულიც უცნაურად შემოჭკვნესოდა — უშველე, უშველე გიას!

* * *

ეზოში ბავშვები შეგროვილიყვნენ. ომობანას მუდამ აქ თამაშობდნენ, დიდი ეზო იყო, მოკირწყლული, ეზოს შუაში თუთის ხე ომობანას თამაშის დროს დიდ დახმარებას უწევდათ, ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა, და მეციხოვნენიც თავგამოდებით იცავდნენ,

სხვა ღირსებაც ჰქონდა თუთის ხეს, მის ფუღუროებში სამხედრო საჭურველს ინახავდნენ.

მეციხოვნეთა რაზმი, რომელსაც გია მეთაურობდა, თუთის ხეს შესეოდა. გიას განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდა.

გია ჭოგრიტით ხელში თუთის ხის ტოტზე იჯდა და ციხის მიდამოს ათვალიერებდა, თვალებზე გაზეთის ქაღალდისაგან გაკეთებული ჩაფხუტი ჩამოეფხატა.

— დასავლეთით ცეცხლის ბოლი მოჩანს, ეტყობა, მტრის ლაშქარი გვიახლოვდება. მზად იყავით. ციხის მარჯვენა კარს გასწიგაჭიმე დაიცავს თავისი ცხენოსნებით, მარცხენა კარის დაცვას კი ბოლოქანქალას ვავალებ, მაშველ ჯარს კრუზო გაუწევს მეთვალყურეობას! — გიას წინ კრუზო გამოიჭიმა: — ეახსოვდეს, რომელ მხარესაც გაუჭირდება, იმ მხარეს მიეშველები, არ დაიგვიანო, ფხიზლად იყავი, ყოველი თქვენგანი ჩემს განკარგულებას უნდა ემორჩილებოდეს. მზვერავებად ნონასა და მზიას ვგზავნი. ყველაფერი მოათვალიერეთ. თუ რაიმე საეჭვო ნახოთ, მომახსენეთ. ეცადეთ, მტერს მიუახლოვდეთ და გაიგეთ მათი გეგმა. ნურაფერს ჩაიწერთ, ყველაფერი დაიმახსოვრეთ, ჩაწერილი შეიძლება მტერს ჩაუვარდეს ხელში. ფრთხილად! იარაღი გასინჯეთ, ბრძოლისათვის მზად იყავით!

ბიჭებმა ხის შუბები მოსინჯეს, ქაღალდის ქუდები შეისწორეს. მთავარსარდალი ხშირად კითხულობდა:

— მზვერავები არ დაბრუნებულან?

— არა!

— როგორც კი მოვიდნენ, მომახსენეთ! დააგვიანდათ, იქნებ მტერს ჩაუვარდნენ ხელში. კრუზო, ბოლოქანქალას იმედი არა მაქვს, თვალი გეჭიროს, ღალატის შემთხვევაში ესროლე, თუ დაბნეულობა შეამჩნიო, სწრაფად შესცვალე!

ციხის მეთვალყურემ მთავარსარდალს მოახსენა:

— ერთ-ერთი მზვერავი ბრუნდება.

მთავარსარდალმა ჭოგრიტი მოიმარჯვა.

— ვერ ვიცანი, რომელი ბრუნდება. მეორე არსად ჩანს.

მეციხოვნენი თვალს ადევნებდნენ მზვერავის მოახლოებას. მოვიდა ტანსაცმელშემოფლეთილი მზვერავი, ძირს უღონოდ დავარდა. მთავარსარდალი გვერდით მდგომ მეომარს მიუბრუნდა:

— ღვინო დაალევინეთ ჩქარა, იქნებ ჯანზე მოიყვანოს!

მეჭურჭლეთუხუცესმა ღვინო მოარბენინა. ნონამ ბაგეები გაისველა, ხელი მტრის ბანაკისაკენ გაიშვირა და ძლივს წამოილუღლუღა.

— მოემზადეთ. უამრავი მტერი მოდის!

დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას, თავიდან ფეხებამდე შეჭურვილი გია თუთის ხის ქვედა ტოტზე დადგა, მეციხოვნენი ციხე-სიმაგრის გარშემო შეგროვდნენ.

მტერმა თუ ჩვენი მზვერავი გატეხა, ჩვენი განლაგება ეცოდინებათ.

— მთავარსარდალო, ჩვენი მზვერავი არ გატყდება!

— იმედი ვიქონიოთ!

შორიდან მტრის ბუკისა და ნაღარას ხმა მოისმა.

— მტერი მოდის!

— ადგილები დაიკავეთ! გასწიგაჭიმე, ციხის მარჯვენა კარი შეურყეველი უნდა იყოს! მტერი ზარბაზნებით გავანადგუროთ!

— ვასრულებ ბრძანებას, უკანასკნელ მეომრამდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენი ციხის სიძლიერეს, სანამ ერთი მეომარიც კი ცოცხალი მეყოლება, მარჯვენა კარში მტერი ფეხს ვერ შემოდგამს.

ბრძოლა დაიწყო.

გაისმა ყიჟინა, ხმლებისა და ხანჯლების ფარებზე ჯახუნი.

სამზარეულოში მოფუსფუსე დიასახლისებმა საქმეს თავი ანებეს და აივანზე გადმოდგნენ.

— ყურთასმენა აღარ არის!

— თითქოს ჩვენი ეზოს ბავშვები არ გვყოფნიდნენ!

— გიას ბრალია!

— უპატრონოდ არის, კარგს რას იზამს!

— კვირაა და ბავშვები თამაშობენ! — გამოესარჩლათ ქეთევანი.

— სულ თამაში იქნება?

— მაშ ბავშვი რის ბავშვია?

ალაყაფის კარში კორდელიას ძმა გამოჩნდა, ღიღინით მოდიოდა.

— სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა, როცა მოვა, მოვა, თავისთავადა!

— აი, შეყვარებული ყმაწვილი! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ აივანზე.

მთვრალი აპოლონი ბრძოლის ველს მიუახლოვდა. მეომრებს თითი დაუქნია:

— აქ რა ხმაურია, ციც, ჭკვიანად, ბიჭოს, ეს რა დარტყმა იყო!

— ეს ვინ არის?

— მოწყდი აქედან!

— ხელს გვიშლი! — შემოეხვივნენ ბავშვები აპოლონს. აპოლონი ტორტმანით წავიდა კიბისაკენ. ბავშვები ყიჟინით გამოუდგნენ.

— აი, ფაშისტი!

— დასცხეთ მაგას!

— გაანადგურეთ!

აპოლონი კიბეს ბარბაცით შეჰყვა და კვლავ გაისმა მისი სიმღერა.

* * *

მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელი კვადრატულ განტოლებას ხსნიდა. მისი თვალები რამდენჯერმე შეხვდა გიას თვალებს, რომელშიც დიდი ყურადღება გამოკრთოდა. სერგომ მერხებს შორის გაიარა, კვლავ გიას თვალებს წააწყდა. როგორი მართალი გამოხედვა აქვს გიას. სერგოს ცოლის ნაამბობი მოაგონდა. არა, ამ თვალების პატრონი ცუდ გზას ვერ დაადგება.

გაკვეთილი დამთავრდა. სერგომ გარს შემოხვეულ ბავშვებს დაუწყო საუბარი. ბავშვების ჯგუფი სამასწავლებლომდე მოჰყვა. სერგო გიას მიუბრუნდა:

— გია, საღამოს ჩემთან მოდი, საქმე მაქვს.

გიას უყვარდა, როცა მასწავლებელი იბარებდა. უყვარდა მასწავლებელთან მარტო საუბარი. უყვარდა მისი წიგნებით სავსე ბინა. გახარებული მიდიოდა შინ. კიბე აირბინა, მხიარულად ღიღინებდა. დედა შინ არ იყო, ახლა ის მთელ დღეს კორდელიასთან ატარებდა.

კარი გააღო. მაგიდიდან დედის ბარათი აიღო — კორდელიასთან ვარ, დამიძახე! — სწერდა დედა. გიამ ჩანთა ტახტზე მიაგდო. გარეთ გამოვიდა. კორდელიას ოთახის კარს ბოქლომი ედო. დედა და კორდელია სადღაც წასულიყვნენ. ფანჯარაში ნატომ გამოიხედა.

— დედას ეძებ? გაფრინდა, გენაცვალე, წავიდა, კორდელიასა და მის ძმასთან ერთად. კარგი მეგობრები იშოვნა — კორდელია და აპოლონი. გაისეირნეს, კარგი დღეა. ნუ გეშინია, საქმე არ აწუხებთ. — სხაპასხუპით ლაპარაკობდა ნატო. — სადილი არ დაგხვდა? შემოდი, გაჭმევ. ვის სცალია სადილის საკეთებლად.

— გმადლობთ, დეიდა ნატო, ვისადილე, სხვაგან მივდივარ, დედასთვის მინდოდა მეთქვა. — ძლივს მოახერხა გიამ ნატოს შეჩერება და კიბე აირბინა. კარი მიხურა, არ უნდოდა გაეგონა საყვედური დედაზე. მასწავლებელთან წასვლა ადრე იყო. ფანჯარა გამოაღო და ქუჩაში დაიწყო ყურება. კარი ვიღაცამ გააღო, გია მობრუნდა. ნატო იყო, ხელში ჯამი ეჭირა.

— ჭამე, დედაშენს შენთვის არა სცალია. საწყალი მამაშენი! ცოდოა, მისი ცოლი კორდელიას მეგობრობდეს. — გია ხმას არ იღებდა. ნატო კი გაჩუმებას არ აპირებდა. — კორდელიამ ამყოლი იშოვა. ძმამაც საქმე გაუჭირა, ცდილობს ვისმეს შეუსახლოს. ბინა მის ძმას არ აქვს და სამსახური.

— დეიდა ნატო, მასწავლებელთან უნდა წავიდე! — გიამ კარი გამოუკეტა. ნატოს ტარტალმა ხასიათი გაუფუჭა. უკვე აღარ ახარებდა მასწავლებელთან შეხვედრა. ვის უნდა შეუსახლოს ძმა კორდელიამ? იქნებ დედას უნდა ოთახი მიაქირავოს? დედას ეტყვის, სთხოვს, აპოლონს ოთახი არ მიაქირაოს, ეჯავრება გიას აპოლონი. — კარგი მეგობრები იშოვა დედაშენმა. — აეკვიატა ნატოს სიტყვები. რად უნდა ასეთი მეგობრები დედას?

აი, მასწავლებლის სახლიც. სახლიდან სინათლე გამოდის. ფანჯრის იქით ვიღაც დადის. მასწავლებელი გიას ელოდება. ჯიბე მოიჩხრიკა, რვეული სახლში დარჩენია. მასწავლებელთან ვეღარ მივა. მასწავლებლის სახლს გასცდა, როიალის ხმა მოესმა, ვიღაც სულიკოს უკრავდა, ბავშვური წკრიალა ხმა ისმოდა. გია შედგა, სახლს ახედა, ეს ნონას სახლია, ნონა მღერის. წამით შეშურდა ამხანაგის ბედი. ნონასთან ასვლა მოუნდა, მისი სიმღერის მოსმენა. მაგრამ ის

ხომ ნონას მეგობარი არ არის. სახლისაკენ წავიდა. დედა მოენატრა. ჩქარა მივა და ყველაფერს ეტყვის, კიბე აირბინა. კარი ღია იყო. დედა მოსულა, გულმა რეხი უყო, მივა, ყველაფერს ეტყვის. სთხოვს — თავი დაანებოს კორდელიასთან სიარულს, აპოლონს ოთახი არ მიაქირაოს.

ოთახში არავინ იყო, ქუჩის მხრის პატარა აივნიდან დედის სიცილი ისმოდა. დედა მარტო არ იყო. კარებთან ფეხაკრეფით მივიდა, აივანზე დედა, კორდელია და აპოლონი ისხდნენ. მამაკაცი ქალებს რაღაცას უამბობდა, კორდელია იცინოდა, დედა კისკისებდა და პაპიროსის ბოლს ჰაერში უშვებდა, ვეებერთელა საყურეებიან თავს აქეთ-იქით აქნევდა. გია დედის ხელში პირველად ხედავდა პაპიროსს. დედამ კარისაკენ მიიხედა, გია დაინახა, მხიარულად მიაძახა:

— მოდი, შვილო, სტუმრებთან!

— არ მცალია! — კიამ დედას შეუტია. ოთახში შებრუნდა. დედის ხმა საწყალობლად გაისმა,

— ძნელია უმამაკაცოდ ბავშვის გაზრდა, ისიც ბიჭის. ღმერთო, რა თავისნება და უხეში გახდა გია!

— ამიტომ მეჩქარება საქმის დაბოლოება, გული მტკივა, რომ გიყურებ! — მოესმა გიას კორდელიას ხმა. ახლა დედა უკვე მხიარულად იცინოდა. როგორ ჩქარა იცვლება დედა.

გიას დიდხანს არ დასძინებია. აივნიდან სიცილი ისმოდა. გიას ბრაზი ახრჩობდა, უნდოდა წამომხტარიყო, კორდელია გაეგდო. ეყვირა, ქვეყნისათვის გაეგებინებინა, რომ კორდელიასთან და მის ძმასთან დედას საერთო არაფერი აქვს. ცრემლებმა წამოუსწრო, ოჰ, ეს ცრემლები...

გია დილით მაღვიძარამ გააღვიძა, წამოხტა, შეეშინდა, სკოლაში არ დამაგვიანდესო. დედას ჯერ ისევ ეძინა. ბაგეები მოეკუმა და გალახული ბავშვივით სლუკუნებდა ძილში. გიას უცნაურად მოუნდა დედას მიალერსებოდა. მის შემდეგ, რაც წამოიზარდა, ყოველთვის ფიქრობდა, რომ მამამ დედა მას დაუტოვა. უყვარდა გიას კედელზე დაკიდებული დედ-მამის ვეებერთელა სურათი: — სადაც მამა ასეთი მხარბეჭიანი და მაღალი, ღიმილით გაბადრული სახით იდგა და მისჩერებოდა ხის ტოტზე ჩამომჯდარ დედას, რომელიც ჩიტივით მიყუჟულიყო ფოთლებში. უეცრად გიას მზერა

სურათის ქვეშ მდგარმა პატარა მაგიდამ მიიპყრო, რომელზეც დამწვარი პაპიროსებით სავსე საფერფლე იდგა.

დედამ გაიღვიძა.

— შვილო გია, ადექი? — დედამ ხუჭუჭ თმაში ხელები შეიცოცა და ლამაზი ოქროსფერი თმა მხრებზე მიმოეფანტა. გიას ცელქი ბავშვივით გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და ანიშნა, მასთან მისულიყო: — მოდი, გია, რა გაჩვენო! — ხელი ბალიშქვეშ შეაცოცა. საყურეები გამოიღო, გაიკეთა: — ნახე, როგორ მიხდება. დედას საყურე უხდებოდა. — კორდელიამ მაჩუქა. — კორდელიას ხსენებაზე გია გაწითლდა.

— სულაც არ გიხდება!

— რათა ხარ, გია, ეგრე უხეში? წუხელ როგორ უზრდელად მოიქეცი. მეგონა გაიზრდებოდი, მეშველებოდა, შენ კი იზრდები და თანდათან უხეში ხდები. — დედამ ხელები უმწეოდ გაასავსავა.

— არ მინდა შენთან კორდელია დადიოდეს, არც მისი ძმა. გარეთ გავაგდებ, თუ კიდევ ვნახე აქ მოსული! — იყვირა გიამ.

— შენ ვინა ხარ? ვინ გკითხავს, როგორ მიბედავ, უფროსი აქ მე ვარ! — თითქოს ვისმეს დასტურს ელისო, ისე იყვირა დედამ. გია მისჩერებოდა და გრძნობდა, რომ ახლაც, გაჯავრების დროსაც, უმწეო და უსუსური იყო დედა. — ვისა ჰგავხარ! — ფანაგრძობდა დედა ცრემლნარევი ხმით. — მამაშენი სულ სხვა იყო, მუდამ მეფერებოდა, მანებივრებდა, ყველაფერს მისრულებდა. ღმერთო ჩემო, ვის ხელში დამტოვა, როგორი უბედური ვარ! — დედა წამოდგა, უჯრიდან პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

— ეგეც კორდელიამ გაჩუქა?

— დარდი მახრჩობს და იმიტომ ვეწევი, დარდი. მამაშენი დავკარგე და შენს ხელში დავრჩი. რა გინდა, როგორ მოვიქცე?!

— არაფერი არ მინდა, არაფერი! — იყვირა გიამ, ჩანთას ხელი დაავლო, სკოლისაკენ გაიქცა. როგორ უნდოდა დედისათვის ეთხოვა: — ნუ გინდა კორდელია და მისი ძმა, მე ყველაფერს გაგიგონებ, ყველაზე კარგად ვისწავლი, არასოდეს აღარ ვიქნები უხეში. ვეცდები მამას დავემსგავსო. რა ქნას გიამ, დედასთან ლაპარაკს ვერ ახერხებს.

ტრამვაი იგვიანებდა. გია ვერ ისვენებდა, ეშინოდა, სკოლაში არ დაგვიანებოდა. მანქანის ფანჯრიდან ვიღაცამ დაუკაკუნა, შე-

ხედა. მანქანაში ბოლოქანქალა გაიჭიმა და საზურგეს მიეყრდნო. მანქანამ ჩაიქროლა.

— შეხედე ამ გლახას. მართლა ბოლოქანქალა!

მასწავლებელი ალაყაფის კარებში იდგა. მოწაფეებს ესაუბრებოდა. გია შეკრთა. რა უთხრას, წუხელ რად არ მოვედიო? ამხანაგებში შეერია და ალაყაფის კარში შეუმჩნევლად შეძვრა.

— გია, სალამიც დაივიწყე? — მასწავლებლის წინ თავდახრილი გაჩერდა. მასწავლებელი დააკვირდა, გიას მოეჩვენა, მასწავლებელი დარდს მიუხვდა.

— რად არ მოხვედი გუშინ?

— არ მეცალა, მასწავლებელო! — გიას პასუხი თავხედურად მოეჩვენა სერგოს.

— ქუჩაში სახეტიალოდ გეცალა?

— მასწავლებელო! — გია თავის გამართლებას შეეცადა. თვალი შეავლო მასწავლებლის მკაცრ და გამომცდელ მზერას. დაიბნა. გაჩერდა.

სერგოც დააბნია გიას უეცარმა გაჩუმებამ. თავის მართლებას მოელოდა, გია კი დამნაშავესავით თავდახრილი იდგა. ნუთუ მართალია, რაც უთხრეს! შეეშინდა, სწრაფად მოსცილდა.

„რად მეძახის უსაქმოს, ნუთუ დარდი არასოდეს არ ჰქონია," — ფიქრობდა გია და ნელ-ნელა საკლასო ოთახისაკენ მიდიოდა. ზურაბი წამოეწია.

— რა იყო, გია, რად გიჯავრდებოდა მასწავლებელი?

— მომწყდი თავიდან!

საკლასო ოთახში ბავშვების შუაში ბოლოქანქალა იდგა.

— „ვოლგაზე" უკეთესი მანქანა არ არსებობს. მამას სამსახურში „ზიმი" ჰყავს. სახლისათვის კი „ვოლგა" ვიყიდეთ, საკუთრად ჩემია. თუ მინდა მამას არც ვათხოვებ. იცით, რამდენი ხანი იყო ჩაწერილი, რომ მანქანა მიეღო? ყველას არ აძლევენ. ძნელია მანქანის მიღება.

პირდაღებული, თვალებდაჭყეტილი ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ ბოლოქანქალას ტრაბახს.

— მალე ტარებას ვისწავლი.

— ის გირჩევნია, გაკვეთილები ისწავლო. — ეს ნონა იყო. თავის სიცოცხლეში პირველად მოეწონა ამ მეტიჩარა გოგოს სიტ-

ყველი ეიას. ბავშვების ჯგუფს გვერდი აუარა. თავის მერხს მიაშურა.

სერგო კვლავ გიაზე ფიქრობდა: — ნუთუ ხელიდან წაუვიდა? წუხელ დაიბარა და არ მოვიდა. რა საქმე უნდა ჰქონდეს ასეთი? არც ის უარყო, რომ ქუჩაში დახეტიალობდა. საინტერესოა, ვისთან ერთად დახეტიალობს. იქნებ რომელიმე თანაკლასელთან?! დედამისს დაიბარებს, მაგრამ იმას არ ეცოდინება. აუცილებლად უნდა გაიგოს, ვისთან ერთად დადის.

გაკვეთილების შემდეგ გიამ ამხანაგებს არ დაუცადა, სახლში წავიდა. ნეტავი დედა შინ დახვდებოდეს. მოეფერება, ყველაფერს ეტყვის. დედას როცა მოეფერება, ყველაფერზე დაითანხმებს.

კიბეზე ავიდა. აივანზე თავმოყრილი მეზობლები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ვიღაც დედას ახსენებდა. ყური მიუგდო.

— ქორწილში არა ხარ დაპატიჟებული?

— გაგიჟდი, ქალო, მე როგორ დამპატიჟებს ქორწილში, კორდელიას რძალი ხდება.

— ეგ რა უქნია მაგ საწყალს? — მოესმა გიას ქეთევანის დინჯი ხმა.

— თქვენგან არ მიკვირს, ქალბატონო ქეთევან, სხვას რას მოელოდით მაგისაგან! — წიწმატობდა ნატო.

— როგორ გეკადრებათ, განა გათხოვებაზე ვლაპარაკობ, ახალგაზრდა ქალია, ვინ დაძრახავს, მაგრამ ნუთუ საკაცეთი ამოწყდა, აპოლონის მეტი ვეღარავინ ნახა. აფსუს საწყალი მაგისი ქმარი.

— ქალბატონო ქეთევან, გასაკვირი ის იყო, ისეთი ქმარი რომ ჰყავდა, თორემ ეს სწორედ სამაგისოა, მაგას კორდელიაც დაუმატეთ.

— არც კორდელიას უნდა ეკადრებინა ეს საქმე.

— კორდელია თავის სარგებლობას ეძებს, გაუჭირა საქმე, კაპიკს არ არჩენს, კაპიკს. რა ენაღვლება, თავიდან მოიცილებს. კარგი ქალი, ბინა, პირველი ქმრის პენსია, სანამ ბიჭი არ წამოიზრდება, უზრუნველყოფილია.

— ბიჭის საქმე მაწუხებს, ამაყი ბავშვია, მაგისათვის ოჯახში მამაკაცი აუცილებელია, მაგრამ ყბადაღებულ აპოლონს როგორ

შეეგუება. კარგი ბიჭი დადგებოდა კარგი პატრონის ხელში, მამასა ჰგავს.

ვისზეა ლაპარაკი, ნუთუ დედაზე?

— მოხვედი? — შემოესმა სამზარეულოში მოფუსფუსე კორდელიას ხმა. გიას ხმა არ გაუცია. მეორე ოთახში გავიდა.

დიდ სავარძელზე, სადაც დედა ბავშვივით მოკუნტული წიგნს კითხულობდა ხოლმე, აპოლონი გადაწოლილიყო, ფეხები დაბალ სკამზე დაელაგებინა, ჭერს შესცქეროდა და უსტვენდა.

დედას პირისფერი კაბა ეცვა. თმებზე წითელი ვარდი გაეკეთებინა. — ვეებერთელა თაიგულს ვაზაში დებდა.

— მოხვედი, გია? — თითქოს დანაშაულზე წაისწრესო, ისე დაიბნა დედა. ვარდები მაგიდაზე დააწყო. — მიდი, შვილო, მამასთან, — და ხელი აპოლონისაკენ გაიშვირა.

გია შედგა, დედას ვედრებით შეხედა. აპოლონმა სავარძლიდან წამოიწია.

—მოდი, ბიჭო!

გია მიაჩერდა მის გაღიმებულ სახეს, გამოწვდილ ხელს. ბაგეები მოკუმა, ცრემლები წამოეძალნენ, მამის სურათს ახედა, უდარდელი ღიმილით რომ დასცქეროდა, და სწრაფად გარეთ გავარდა.

თენდებოდა, როცა გია სახლში დაბრუნდა. კიბეს აჰყვა. მთელი ტანი სტკიოდა. მუხლები ეკვეთებოდა, აღარ ახსოვს, სად იხეტიალა.

ვეებერთელა მაგიდაზე ყველაფერი უწესრიგოდ ეყარა. საჭმელი, დაღვრილი ღვინო, პაპიროსის ნამწვავები ერთმანეთში იყო არეული. მძიმე და გამაბრუებელი სუნი იდგა. მეორე ოთახში აპოლონი საწოლზე გაშხლართულიყო, დედა ფეხზე ხდიდა. აპოლონს ხელი მამის სურათისაკენ გაეშვირა და ძლივს ლუღლუღებდა:

— ციც, რას მიღიმი! შენ ნუ მომიკვდები, სასაცილო არა გაქვს რა, მე ვარ ამ ოჯახის ბატონ-პატრონი, რა გაცინებს, ბიძიკო, დიდი უჭკუო ყოფილხარ, შვილოსა, რად გინდოდა სიკვდილი? გეცხოვრა, გემღერა, გეჭამა. სამშობლოს გმირულად შესწირე თავი, ხა, ხა, ხა, ტუტუცო! ნუ ილრიჭები, თუ კაცი ხარ, აქეთ აღარ მოიხედო.

— კარგი, აპოლონ, გენაცვალე, დაიძინე, მთვრალი ხარ!

— მე ვარ მთვრალი? მთვრალი ის შენი ქმარია, აბა, ამისთა-

ნა მოწყობილ ოჯახს კაცი მიატოვებს! ჩიტი, გვრიტი მოფრინავდა! — ჩაბოლწყო აპოლონმა.

გიამ წამით თვალები დახუჭა. უკან გამობრუნდა. არეულ მაგიდას დახედა. ღვინისა და პაპიროსის სუნმა თავბრუ დაახვია. მეორე ოთახიდან კვლავ აპოლონის მსჯელობა და დედის ალერსიანი ხმა ისმოდა. რა ტკბილი ხმა ჰქონდა დედას, უყვარდა დედის ალერსიანი ხმა გიას. ახლა კი დედის ალერსიანი სიტყვები მათრახებივით ხვდებოდა და კანს უწვავდა. დერეფანში გამოვარდა. სამზარეულოს კარი ღია იყო. შევიდა. ცარიელ ტახტზე მიეგდო. თავდაღმა დაემხო. მოძალებულ ცრემლს ვეღარ მოერია, ქვითინით ვიღაცას ემუქრებოდა.

გიას სკოლაში წასვლის დრო არ გაუგია, ტირილით დაოსებულს ჩასძინებოდა, როდესაც გაეღვიძა, სამზარეულო მზეს გაენათებინა. წამოხტა. ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. საათს დახედა. ახლა ორი გაკვეთილი გათავებული იქნება. მეორე ოთახიდან დედის სიცილი ისმოდა. გიამ ყურებზე ხელი აიფარა, არ უნდოდა გაეგონა დედის სიცილი. შიმშილი აწუხებდა. არეულ მაგიდაზე საჭმლის ნარჩენები ბლომად ეყარა. იქაურობას სწრაფად მოსცილდა. პატარა განჯინიდან გამხმარი პურის ნატეხი გამოიღო. ტახტზე ჩამოჯდა და გემრიელად შეექცა.

სამზარეულო მზით იყო სავსე, გიას ადრე არასდროს შეუმჩნევია ეს. მოეწონა. ახალმა აზრმა თვალები გაუბრწყინა, დატრიალდა. ნავთქურები დერეფანში გაიტანა, ოთახში შევიდა და თავის საწოლს დაეჯიდა გასათრევად. მეორე ოთახიდან კვლავ ისმოდა დედის და აპოლონის ხმა.

— ბორჯომი არა გაქვს?

— სულ დალიეს. წუხელ ბევრი დალიე, გენაცვალე, ეგრე როგორ შეიძლება!

— მართალი ხარ, ბევრი მომივიდა. ბორჯომისთვის გაგზავნე ბიჭი.

— ბიჭი კი არა, ჩემი გია! — შეუსწორა დედამ, — ახლა სკოლაში იქნება.

— ვინ არის, იქაურობას რომ აფორიაქებს?

— ალბათ, კორდელია ალაგებს.

გიამ საწოლს, თავის მაგიდას, წიგნების კარადას, ნაძერწსა და გამოთლილ ნივთებს, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

ფეხის ხმა მოესმა. გიას შეეშინდა, სამზარეულოში არავინ შემოვიდესო, და კარს ზურგით მიაწვა. დედის ფეხის ხმა იყო. ეულისძგერით ელოდა სად გაჩერდებოდა ეს ხმა. გია მაგიდას მივარდა, აკანკალებული ხელით რვეულის ფურცელი ამოხია და დაწერა: — ეს ჩემი ოთახია. დაუკითხავად შემოსვლა ყველასათვის აკრძალულია! კარი გამოაღო, წარწერა გარედან მიაკრა, კარი მოხურა. თავის ხარახურა გადმოყარა, კარს საკეტი გაუკეთა, ჩაკეტა და დიდხანს ჩუმად იჯდა. კართან არავინ მოდიოდა. წიგნი გადმოიღო, შეეცადა, ეკითხა. კითხვას გული ვერ დაუდო. ძერწვა მოინდომა, არც ეს გამოუდიოდა. ძველი გასაღები გამოძებნა, ქლიბვა დაუწყო. კარი, უნდა დაკეტოს, როცა სადმე წავა.

ოთახში ჯდომა მობეზრდა. დღიური გადმოიღო: — დღეს სკოლაში ვერ წავედი, დავიგვიანე. აპოლონი სამუდამოდ გადმოსახლდა ჩვენთან. — წერაში გაერთო, არ გაუგია, რომ სამზარეულოს კართან ვიღაც შეჩერდა. ვიღაც მის გაკრულ ქაღალდს კითხულობს. უეცრად დედის ხმა გაისმა და კარის ნერვიული კაკუნი.

— შვილო, გია, კარი გამიღე. მე ვარ დედაშენი. ჩქარა კარი გამიღე! — ისმოდა დედის ცრემლიანი ხმა. გია კარს აეკრა, შეეშინდა, მისი გულის ბაგაბუგი არავის გაეგონა....

— მოიცა, ქალო, იქნებ არც არის შინ?! — დედა ახლა ორივე მუჭს ურტყამდა კარს. — დაწყნარდი, მეზობლები რას იტყვიან. — ამშვიდებდა აპოლონი. — ნუ ტირი, ქალო. გაიგონა ქვეყანამ! — აპოლონმა ძალით მოაცილა დედა კარს. ახლა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა დედის სლუკუნი და სიტყვები:

— ესეც ჩემი ბედნიერება!

გია შეაკრთო დედის სიტყვებმა: — რას ეძახის დედა ბედნიერებას? ნუთუ დედა ბედნიერია?

ოთახის კარი დაკეტა. გასაღები ჯიბეში ჩაიდო. ახლა თვითონაა თავის თავის ბატონ-პატრონი. მეზობლების ბინიდან ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. შეეშინდა, არავინ გადამეყაროსო, და კიბეზე ფრთხილად ჩავიდა.

—ჩვენები სად არიან? — შეაკრთო კორდელიას ხმამ. ტუჩები მაგრად მოკუმა. კიბე კისრისტეხით ჩაირბინა. — რა ტუტუცია ეს ბავშვი! — კვლავ მოესმა კორდელიას ხმა.

* * *

— მოდი, შვილო, ზურაბი თავის ოთახშია. ისა და მათიკო იქ შესვლის უფლებას არ მაძლევენ. — ელენემ გიას ჭუჭყიანი ტანსაცმელი შეათვალიერა. დედის გულმა ტკივილი იგრძნო.

— გია, სკოლაში რად არ იყავი? ექსკურსიაზე ვიყავით ქარხანაში, ნარიყალაც დავათვალიერეთ.

— ავად ვიყავი.

— ჯუნგლებში ნადირობა არ გინდა? — გიამ ახლა მიაქცია ყურადღება სანადიროდ მორთულ მათიკოსა და ზურაბს. — ხედავ, რამდენი ცხოველია? — ამ სპილოს მთელი თვის განმავლობაში ვუთვალთვალებდით. მახით ძლივს დავიჭირეთ.

— ა, ა! კრუზოც მოვიდა, კრუზოც!

— გია, შენც აქა ხარ, კარგია. ამოცანა ვერ გამოვიყვანე. შენთან ვაპირებდი წამოსვლას.

— მათიკო, თუ შეგიძლია ჩუმად იჯექი, თუ არა და, აქედან მოუსვი, უნდა ვიმეცადინოთ.

გაკვეთილების მომზადებას მორჩნენ. ელენემ ბავშვები ჩაიზე მიიწვია. კრუზომ დარჩენაზე უარი თქვა.

სასადილოში გაშლილ სუფრასთან ზურაბის მამა იჯდა:

— მოდით, მოდით, ჩაი დავლიოთ!

გია სუფრას მიუჯდა. საშინელი შიმშილი იგრძნო. შეეშინდა, არავინ შემამჩნიოსო და ყოველი ლუკმის პირში ჩადებაზე აქეთ-იქით იხედებოდა. ელენეს თვალს ბავშვის მდგომარეობა არ გამოპარვია.

გვიან იყო, როცა გია ზურას გამოეთხოვა. ტრამვაის დიდხანს ელოდა. ვაგონში მასწავლებელს მოჰკრა თვალი. არ უნდოდა შეხვედროდა. ჰკითხავდა, დღეს სკოლაში რად არ იყო.

ოთახიდან ხმაური ისმოდა. გია ლოგინზე დაჯდა: არაფერი აკლია, მშვენიერი ოთახი აქვს. უეცრად აპოლონის ლაპარაკი მო-

აგონდა მამის სურათთან და გაწითლდა. მამის სურათი აქ უნდა შემოიტანოს. ფრთხილად გამოვიდა ოთახიდან. კედელს გაეკრა. სურათისაკენ გაცოცდა. აქედან გაშლილი სუფრა ჩანდა. მაგიდის თავში აპოლონი და დედა ისხდნენ. აპოლონს სახე ასწითლებოდა. მთვრალი იყო.

— გორკა, გორკა! — გაისმა მაგიდის გარშემო მყოფთა შეძახილები, წამით სინათლე ჩაქრა. გიამ ამით ისარგებლა და საწოლის თავზე შეხტა. სურათი ჩამოიღო, გულზე მიიკრა და ფანჯრისაკენ გაცოცდა. სურათი საწოლზე დადო, საბნის ყური გადაუსვა. რა უდარდელად უღიმოდა მამა.

— აქ ორივე კარგად ვიქნებით. — გაუცინა მამის სურათს. მაშაც უღიმოდა, თითქოს უხაროდა აქ მასთან მარტო ყოფნა. — ახლა დავწვეთ. სკოლაში არ დავიგვიანოთ... დილისათვის საჭმელი რომ არ გვაქვს? — გიამ ჯიბეები მოიქექა. ხურდა ფული ხელისგულზე გადმოიყარა. — მდიდრები ვყოფილვართ. შეგვიძლია ნახევარი კილო პური ვიყიდოთ. ნახვამდის, მამიკო, დღეიდან ისე მოვიქცეთ, როგორც შენ გესიამოვნება.

გაიხადა, საბანში გაეხვია.

დილით გია სკოლაში წასასვლელად მოემზადა. ოთახში დედა შემოვიდა.

— გია, შვილო, როგორ უპატრონოდ დადიხარ, ასე არ შეიძლება. აღარაფერი უნდა იკითხო?

— ვის ვკითხო? — გიას დედისათვის არ შეუხედავს, ჩანთის ჩალაგება დაიწყო.

— ღმერთო ჩემო! — ჩვეულებისამებრ ხელი ხელს შემოჰკრა დედამ. — ხომ არ მოვმკვდარვარ? გავთხოვდი. ისიც შენი გულისათვის, პატრონი გაგიჩინე.

— აპოლონი? — გიამ დედას თვალებში შეხედა. დედამ ყურადღება არ მიაქცია მის შემოხედვას.

— შენს ნივთებს სამზარეულოში რა უნდა? მამაშენის სურათს აქ რა უნდა? როგორ გაბედე, ახლავე ჩამოიღე! — დედა გიას ლოგინზე შეხტა. გიას სახეზე ალმური წაეკიდა. დედას მივარდა, ხელში აიყვანა და ძლივს ამოიხრიალა:

— ხელი არ ახლო, არც აქ შემოხვიდეთ, გესმის! — არაადამიანური ხმით იყვირა გიამ. დედა დერეფანში გამოიყვანა და გა-

რეთ გავარდა. რამდენჯერ ასე ხელში ატაცებული შემოუტარებია დედისათვის ოთახები. მაშინ დედა ხელს შემოხვევდა და მხიარეულად კისკისებდა. ახლა კი გიას კიბეზე დედის ქვითინი შემოესმა.

— რა დაგემართა? რა მოხდა? — ეკითხებოდა აპოლონი დედას.

— აპოლონ, მიშველე, ხედავ, რა უქნია, ლოგინიც აქ გამოუტანია, წიგნებიც. ჩემი ლევანის სურათიც!

— ხა, ხა, ხა, ჭკვიანი ბიჭი ყოფილა, ყოჩაღ ბიჭო, ასე უნდა ბიძია, მიხვედრილი ბიჭია, იცის, სად არის მაგის ადგილი.

— რას ამბობ, აპოლონ, ეგ არის შენი პირობა, გიას გაზრდაში დაგეხმარებიო?

— ხა, ხა, ხა, წამოდი, ჩემო კარგო, ჩვენს თავს მოვუაროთ, სხვის საქმეში ჩარევა რა ჩემი საქმეა!

— რას ამბობ, აპოლონ, რას!. — იცრემლებოდა დედა.

* * *

მათემატიკის გაკვეთილი პირველი იყო. გიამ გუშინ ზურაბთან გამოიყვანა ამოცანა. რვეული გაშალა, გამოყვანილ ამოცანას დახედა.

მასწავლებელმა კლასს თვალი გადაავლო. ჟურნალი არ ამოუკითხავს, ისე ჩაწერა, ვინც აკლდა. მერხებს შორის გაიარა და საშინაო დავალების რვეულებს გადაავლო თვალი. გიას ჩაუარა, შეამჩნია, რომ დავალება შესრულებული ჰქონდა, მაგრამ მის რვეულთან არ შეჩერებულა. თავის მაგიდას დაუბრუნდა... კრუზოს ჰკითხა: გუშინ გაკვეთილზე რად არ იყავიო და დედის ბარათი გამოართვა. გია გაინაბა, რა უნდა უთხრას? არც დედის ბარათი აქვს. აზრის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ხმით ჰკითხა:

— გია, რად არ იყავი გუშინ?

— ავად ვიყავი, მასწავლებელო! — ანგარიშმიუცემლად წამოიძახა გიამ.

— ექიმის ცნობა გაქვს? — გიამ თავი დახარა. — დედას არ დააწერინე რად არ იყავი?

— არ მითქვამს, მასწავლებელო! — სერგოს სახეზე გაოცება გამოეხატა.

— ალეკო, მითხარი, სად ნახეთ შენ და მამაშენმა გია!

— ნავთლუღის სადგურზე, მასწავლებელო!

— რომელი საათი იყო?

— ღამის სამი საათი, მასწავლებელო!

— გია, ავადმყოფები ღამის სამ საათზე ნავთლუღის სადგურზე არ დადიან!

გიას ქვედა ყბა აუკანკალდა. ნავთლუღის სადგურზე ღამის სამ საათზე? — არ ვყოფილვარო უნდოდა ეყვირა, მაგრამ შედგა, იქნებ იყო კიდეც, არ ახსოვს, სად იხეტიალა.

— ალეკო, რად არ ჰკითხე ამხანაგს სად მიდიოდა? — უთხრა მასწავლებელმა ალეკოს.

— მე და მამას სოფლიდან პროდუქტები მოგვქონდა... ეგ ვერ მოვიფიქრე.

— ჰოო! — გააგრძელა მასწავლებელმა — აბა, გია, ისევ შენ აგვიხსენი, რას საქმიანობდი ღამის სამ საათზე ქუჩაში. იქნებ სახლიდან გაგგზავნეს. იქნებ ნათესავთან იყავი, იქნებ არ ყოფილხარ? — არ ეშვებოდა მასწავლებელი. გია კი იდგა და ხმას არ იღებდა. რომ არ ახსოვს, სად იხეტიალა. რადგან ბოლოქანქალა ამბობს, ჩანს, მართლა ყოფილა ნავთლუღის სადგურზე.

— ალბათ, ვიყავი მასწავლებელო.

— რომელ საათზე?

— ალბათ სამზე.

— ალბათ, რა არის. ალბათ რას ჰქვია? ვინ გაგგზავნა, დედამ? — იყვირა მასწავლებელმა და მხრებში სწვდა გიას. სერგოს გულით უნდოდა გიას ეთქვა, დედამ გამგზავნაო.

— მე თვითონ წავედი, მასწავლებელო! — სერგო გიას პასუხზე სახტად დარჩა. შემკრთალი ხმით ჰკითხა:

— რისთვის?

— არ ვიცი, მასწავლებელო! — სერგომ სწრაფად შეაქცია ზურგი და გაკვეთილი განაგრძო.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გია მარტო წავიდა სახლში. იცოდა, აწყენინა მასწავლებელს. გიას მასწავლებლის მოტყუება არ უნდოდა. როგორ უთხრას სიმართლე, განა შეუძლია მას-

წავლებელს უთხრას შუაღამეზე რატომ იყო ნავთლუღის სადგურზე? სირბილით წავიდა შინისაკენ, შეეშინდა, მასწავლებელი კიდევ არსად გაჩნდეს და არაფერი მკითხოსო. სახლის წინ შეჩერდა, გაახსენდა, რომ დღეს არაფერი უჭამია. პურის მაღაზიაში შევიდა, ნახევარი კილო პური იყიდა.

შინ არავინ იყო. ქეთლი ასადუღებლად დადგა. დღიური გადმოიღო. „დღეს მასწავლებელს ვაწყენინე. ყველაფერი ჩემდა უნებურად მოხდა. საოცარია, რატომ არ ესმით, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება? იქნებ უკვე იცის? გუშინ დამინახა თუ არა, ტრამვაიში რომ არ შევედი? ყველაფრის თქმა რომ შეიძლებოდეს! არა, არ შემიძლია!“.

კიბეზე ფეხის ხმა მოისმა. დედა ვიღაცას ეჩურჩულებოდა.

— ჩუმად, სირცხვილია! — აპოლონი კი ხმას თანდათან უწევდა.

— „წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...“

— სუ, სუ! — აჩუმებდა დედა, ეტყობოდა, ტუჩებზე ხელს აფარებდა. — ეგ არის შენი პირობა, მეტს აღარ დავლევო?!

— შომეშვი, ადამიანო! — „კარგად ვსვათ და კარგად ვჭამოთ, ამის მეტი რა შეგვრჩება!“ — სიძე ვარ და არ ვიმღერო, გავბედნიერდი და არ ვიმღერო?

— სახლში შევიდეთ, გენაცვალე, მერე იმღერე! — მოლბა დედა.

აპოლონი წინათ მუდამ ღიღინით შემოდიოდა ეზოში. სახლიდან მუდამ ისმოდა კორდელიას ხმა: — შავი ჭირი ჭამე, ცეცხლი ჭამე, შე უქნარა!

დიდხანს არ დასძინებია გიას. დედაზე ფიქრობდა, აპოლონზე, სკოლაზე, მასწავლებელზე. რამ მიიყვანა ნავთლუღის სადგურზე? რაღა ბოლოქანქალას გადაეყარა?

სიზმარში მამა ნახა, ის შორეული გაფრენისათვის ემზადებოდა. შუა ოთახში იდგა. თავზე ჩაჩქანი ეხურა და ხელებზე ტყავის ხელთათმანებს იცვამდა. იღიმებოდა, ისე, როგორც სურათში. გიას მამასთან უნდა მისვლა. მაგრამ მამა თვითმფრინავში ჩაჯდა. გია თვითმფრინავისაკენ გაიქცა — მამა, რაღაც უნდა გითხრა, მამა! — მამას არ ესმის. უეცრად გიას აპოლონი მივარდა, პირზე ხე-

ლი დააფარა. გია ცდილობს, აპოლონის ხელი მოიცილოს, მამისაკენ იწევს, უნდა კვლავ დაუძახოს. თვითმფრინავი გრიალებს, თანდათან ზევით იწევს, მამას არ ესმის მისი, აი, სულ მაღლა ავიდა, იქიდან მამა იხედება, დაინახა, ხელს უქნევს, ეძახის, მაგრამ გიას აპოლონი არ უშვებს.

— მამა, მამა! — დაიღრიალა გიამ და თავისავე ხმამ გამოაღვიძა. მამის სურათს ახედა. მამა ისევ იღიმებოდა. ნეტავ შეეძლოს მამას მოუსმინოს გიას. მას თავისუფლად ეტყვის, სად იყო გვიან ღამით.

გიამ დღიურში ჩაწერა: — „დედას აღარ ვუყვარვარ, წინათ როგორ ვუყვარდი, ყველგან ერთად დავდიოდით: კინოში, თეატრში, ნათესავებთან, სასეირნოდ. ახლა დედას ერთი წუთით აღარ სცალია ჩემთვის. ერთხელაც არ მკითხავს, გაკვეთილი ვიცი თუ არა, მჭირდება თუ არა რამე“.

— ჩემი აპოლონი სამსახურს ეძებს! — ხშირად ესმის გიას, როგორ დასცინიან აივანზე თავმოყრილი მეზობლები დედას. აღარავინ აღარა ჰყავს გიას... აღარავის აღარ სჭირდება ის. — თვალებზე მომდგარი ცრემლი ხელით მოიწმინდა. — დე, ეგრე იყოს, ამიერიდან გიაც აღარავიზე იფიქრებს, არავინ ეყვარება.

გია განმარტოვდა. მასწავლებელს ერიდება, იცის, ეჭვისთვალით უყურებს, ეშინია კვლავ არაფერი მკითხოსო, არ შეუძლია მიზეზი აუხსნას და რჩება დაუმსახურებელი წყენის გრძნობა.

ახლა, როცა ქვეყანაზე მარტო დარჩა, მისმა ბუნებამ ისე მოითხოვა სიყვარული და მეგობარი, როგორც დამშეულმა საჭმელი. დღეს ძალზე გაუჭირდა მარტოობა. ზურაბთან მოუხდა წასვლა. რამდენი ხანია არ ყოფილა მათთან. შინიდან გამოვიდა, ზურაბის სახლისაკენ გაიქცა, თითქოს თან მისდევდა მარტოობა, მის გარშემო რომ დაისადგურა.

ზურაბი მარტო იყო სახლში, მამა მივლინებაში წასულიყო, დედა და მათიკო კინოში. გიას გაეხარდა, ტახტზე მოიკალათეს. აბუზღული ბუ შუაში ჩაისვეს. ზურაბი ჩუმად იყო. ლაპარაკის დაწყება უჭირდა, ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი. ზურაბს სიმართლის გაგება უნდოდა, ზურაბი გიას ცუდსა და კარგს ისევე განიცდიდა, როგორც საკუთარს. არ იცოდა, ლაპარაკი როგორ დაეწყო. თავს ძალა დაატანა და წამოიწყო:

— ვია, ამბობენ, რომ შენ ძალიან გამოიცვალე!

— ვინ ამბობს მაგას? — აიმრიზა გია.

— ყველა ასე ამბობს, მასწავლებელიც გაკვირვებულია, არ იცის, რა მოხდა!

— რა უნდა მომხდარიყო? ჩემს მეტი საქმე არა გაქვთ? — აყვირდა გია და ინანა, რომ აქ მოვიდა. წამოხტა, კარი ხმაურით გაიხურა. ყველამ მის საწინააღმდეგოდ შეიკრა პირი: სკოლამ, ამხანაგებმა, დედამ, მასწავლებელმა.

გარშემო სიცარიელეა. სადღაც შორს დარჩა დედა.

ოთახის კარი გააღო და მამის გაღიმებული სახე შეეგება. სურათს შეხედა და შეჰყვირა:

— ხმა გამეცი, მამა, მითხარი რამე! — ლოგინზე დავარდა, — ყველანი ამბობენ, გამოიცვალაო, რა ვქნა, შენ მაინც მითხარი, მამა, შენ მაინც მიჩვენე გზა...

გია დიდხანს კითხულობდა. დედის ფეხის ხმამ გამოაღვიძა, დედა კართან შეჩერდა, აპოლონის ხმა მოესმა:

— დაანებე თავი, ალბათ სძინავს!

—სინათლე უნთია!

— ზის თავისთვის და ჩხირკედელაობს, რაში გჭირდება!

— ბავშვს ყურადღება უნდა, აღზრდა!

— ხა, ხა, ხა, აღმზრდელს დამიხედეთ, გვიან გაგახსენდა. — აპოლონმა დედა კარს მოაცილა. გია დაკეტილ კარს მიაჩერდა — ყოჩაღ, აპოლონ, არც ისე სულელი ყოფილხარ, კარგია, რომ ჩემს აღზრდაზე ხელს იღებ. გმადლობთ, აპოლონ!

დღიური გადმოიღო. გადაფურცლა — „დედამ მითხრა, თუ ჭკვიანად იქნები, კინოში წაგიყვანო. დედამ წუხელ ზღაპარი მიამბო. — რა კარგად მიდიოდა ჩემი და დედას ცხოვრება. საღამოთი მაგიდასთან ვიჯექით, ჩაის ვსვამდით. დედა მიამბობდა მამის ცხოვრებაზე, მის ჩვეულებებზე. ახლა მხოლოდ სიზმარში ვხედავ, როგორ მივდივართ მე და დედა სკოლაში. დაუსრულებლად ვაძლევ შეკითხვებს, ის ღიმილით მპასუხობს. იღიმება დედა, ლოყებზე ფოსოები უჩნდება და ჩვეულებრივზე უფრო მომხიბლავი ხდება. გიამ დღიური დაკეცა და მამის სურათს ახედა.

— აი, მამილო, ასე სჯობია, აბა, რა ვქნა, მამილო, გელაპარაკები და ხმას არა მცემ, იღიმები და არ ფიქრობ, რომ ღიმილი ახლა

ჩემთვის ვერაფერი ნუგეშია. დედას ჩემთვის არა სცალია. მასწავლებელი მებუტება. ამხანაგები, ამხანაგები ვერ გაიგებენ. ნუ ილიმები, მამილო, არა გჯერა, რომ ვერ გაიგებენ. იცი, ძალიანაც კარგად იცი, მაგრამ გაჯიუტდი და მხოლოდ ღიმილი ისწავლე. ახლა იცი, რაც მაწუხებს, ხომ ნახე, რაც ჩავწერე დღიურში. წაგიკითხო? რად გინდა. ნახვამდის, მამილო, დავიძინოთ. გიამ შუქი ჩააქრო, ლოგინში ჩაწვა.

დილით გია ადრე წამოხტა. ფანჯრები გამოაღო, დილის გრილი ნიავი ოთახში შემოიჭრა, მაგიდაზე გაშლილი რვეულის ფურცლებს გაეთამაშა. ოთახიდან დედის ტირილი ისმოდა და აპოლონის ხმამაღალი ლაპარაკი, მოუნდა გავარდნილიყო, აპოლონს სცემოდა, ეყვირა:

— როგორ უბედავ დედას ყვირილს! — კარებში შედგა, მთელი ტანით კანკალებდა, მის სმენას დედის ცრემლნარევი ხმა მისწვდა:

— ასე ცხოვრება არ შეიძლება, აპოლონ!

— არ იცოდი, რაც ვიყავი, ახლა შენი გულისათვის გამოვიცელებოდი, დაგპირდი რამეს? — ყვიროდა აპოლონი.

გიამ ჩანთას ხელი დასტაცა, გარეთ გამოვარდა. აღარ უნდოდა გაეგონა აპოლონის ყვირილი, დედის ცრემლნარევი ხმა. კიბის მოაჯირს გადახედა, რამდენი ხანია მოაჯირით არ ჩასრიალებულა... სკოლაში ადრე მივიდა. რამდენიმე ბავშვი კედლის გაზეთთან იდგა და ხმამაღლა იცინოდა.

— გია, ნახე რასა ჰგავხარ? — გია გაზეთთან მივიდა.

კედლის გაზეთში გია ეხატა, ლოგინში იწვა, კედელზე ვეებერთელა საათი ეკიდა და ცხრა საათს აჩვენებდა. სივრცეში სკოლის ზარი ჩანდა, რომელიც თავგამეტებით რეკდა. ზარის ენასთან ეწერა: — „გია! გია!“. ზარიც და საათიც გიას ეძახდა, მაგრამ გია შუაქილში იყო, პირდაღებული ხვრინავდა.

გიამ გაზეთს თვალი აარიდა. გარშემო შეყრილ ბავშვებს შეხედა, ისინი ხარხარებდნენ, გია დაიბნა, თვალთ დაუბნელდა, გაზეთს მისწვდა, ააგლიჯა, ძირს დააგდო და ფეხებით დაუწყო თელვა:

— ახლაც დამხატეთ, ახლაც დამხატეთ!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. გიას ნონა მივარდა, მკერდზე ხელი ჰკრა და იწივლა:

— ეს რა ჰქენი, 'აზიზღარო, ეს რა ჰქენი?

ნონამ დახეულ გაზეთს ხელი დასტაცა და პიონერთა ოთახისაკენ გაიქცა.

გია გაკვეთილზე უგუნებოდ იყო. დასვენებაზე მერხიდან არ ამდგარა. მორიგე გასწიგაჭიმე იყო. რამდენჯერმე მოუნდომა გარეთ გაყვანა, მაგრამ გიამ ყური არ ათხოვა.

დიდი დასვენების შემდეგ ნონას წრიპინმა იქაურობა გაყრუა: — ჩანთაში ფული მქონდა და დამეკარგა! — კლასი აფორიაქდა. ყველა ეძებდა. გოგონები განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ. ჩანთები ამოაქოთეს. გაკვეთილზე შემოსულ მასწავლებელს ბავშვებმა კარებშივე მიაძახეს: — ნონას ფული მოჰპარეს! — მასწავლებელმა ხელი ასწია და ბავშვები დააწყნარა, არც ერთი არ დამჯდარა, ფეხზე იდგნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— პორთფელში ჰქონდა!

— დიდ დასვენებაზე დაეკარგა!

— ვინ იყო მორიგე?

— მე ვიყავი, მასწავლებელო, კლასს არ მოვცილებივარ!

— ყველაფერი გადავჩხრიკეთ!

— არსად არაფერი არ არის!

— ვინ იყო შენს გარდა ოთახში!

— გია. რამდენჯერმე ვთხოვეთ და არ გავიდა!

მასწავლებელმა შეხედა მერხზე უძრავად მჯდომ გიას, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საერთო აურზაურში, იჯდა და ფანჯარაში იცქირებოდა.

— გია, გია! — გია თითქოს გააღვიძეს, დაფეთებული წამოვარდა ზეზე. — რას აკეთებდი დასვენებაზე კლასში? — გაკვირვებულმა გიამ მასწავლებელს შეხედა.

— არაფერს!

—რატომ არ გახვედი კლასიდან?

— არ მინდოდა!

— არ იცი, რომ დასვენების დროს კლასში არ უნდა იყო?

— მერხთან არ მიგვიშვა, მაგის ჩანთა რომ გაგვეჩხრიკა!

—მოიცათ! — დაიყვირა მასწავლებელმა, წამით სიჩუმე ჩა-

მოვარდა. მათ არასოდეს ენახათ მასწავლებელი ასე გაჯავრებული. სერგო უხმოდ იდგა ბავშვების წინ და თავში ერთი აზრი უტრიალებდა: — როცა პირველად ეჭვი ჩაეწვეთა, მაშინ რომ გადამჭრელი ზომები მიეღო, ეს აღარ განმეორდებოდა. ვერ გაიმეტა ცუდი საქმისათვის, ახლა, ახლა კი დაიღუპა, სამუდამოდ დაიღუპა. სერგომ ჩავარდნილი ხმით ძლივს იკითხა: — გია, შენს გარდა ვინ იყო კლასში?

— არ ვიცი, მასწავლებელო! — ამ უცნაურმა პასუხმა ცეცხლი წაუკიდა, თავი ძლივს შეიკავა, მერხებს შორის გაიარ-გამოიარა და ისეთი ყრუ ხმით დაიწყო, ბავშვებს ძლივს ესმოდათ:

— ყოველთვის მეგონა, პატიოსან და კარგ ახალგაზრდებს ვზრდიდი, დღეს კი ვხედავ თქვენს შორის ერთ-ერთი ცუდ გზას დასდგომია, ვთხოვ დამნაშავეს, თავის საქციელს დაუფიქრდეს, შეიგნოს, რომ მისი მოქმედება არ არის პატიოსანი ბავშვისათვის შესაფერი. სამ დღეს ვაძლევ მოიფიქროს, თვითონ აღიაროს დანაშაული. ჩვენ მას ვაპატიებთ, ზოგჯერ მოხდება უნებური შეცდომა. არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენს შორის ისეთი ურევია, რომელსაც ეს მოქმედება ჩვევად გადაქცევია. ეს შეცდომაა, შეცდომის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება, ახლა სახლში წადით, ყველა თქვენგანმა თავის საქციელზე იფიქროს.

სერგო ფანჯრიდან უყურებდა მიმავლებს, მიდიოდნენ ყიჟინით. დღევანდელ შემთხვევაზე მსჯელობდნენ. მხოლოდ გია მიდიოდა ბოლოს. მიდიოდა მარტო. თავჩაღუნული, სერგოს მოეჩვენა, გია შედგა, მობრუნებაც დააპირა, მაგრამ კვლავ გზა განაგრძო.

სერგო დიდხანს ვერ დაწყნარდა. რამ მიიყვანა გია აქამდე? არ უჭირთ — მამის კარგ პენსიას იღებენ. ჯიუტი ბავშვია, მაგრამ ცუდი თვისებები არასოდეს შეუმჩნევია, რა დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა ცოლის ლაპარაკი უყურადღებოდ დატოვა. არა, გია ცუდი არასოდეს ყოფილა. მაგრამ მოვლა უნდოდა, პატრონობა. სერგოს ვალი იყო გიას პატრონობა. როგორ უნდოდა დაეფარა ცუდისაგან. არა, ეს არაფერია, გია დაძლევს ბოროტს. უსათუოდ დაძლევს. გიას დედასთან მივა, არა, გიას დედა ვერაფერში დაეხმარება, მაგრამ იქნებ კვალს მიაგნოს.

ზარის ღილს თითი დააჭირა. ზარი რეკდა, მაგრამ არავინ გამოდიოდა. ღილის ქვემოთ უცნობი გვარის გასწვრივ ეწერა: დარე-

კეთ ორჯერ. ეს გიას გვარი არ იყო, სერგომ ორჯერ დააჭირა ზარის ღილს თითი. კარებში კორდელიამ გამოჰყო თავი.

— მე გიას მასწავლებელი ვარ, დედამისის ნახვა მინდა.

— დედამისი და მისი ქმარი ფუნიკულიორზე წავიდნენ სასეირნოდ.

— გიას დედასთან მქონდა საქმე!

— მეც გიას დედაზე მოგახსენებთ. გიას დედა გათხოვდა, ჩემ ძმას გაჰყვა, თქვენ, ალბათ, გიას საქმეზე მობრძანდით. დააშავა რამე? დიდი საძაგელი ბავშვია, შეგიძლიათ მითხრათ, რაშია საქმე.

— არა, არაფერი დაუშავებია, ცოტაოდენი საქმე მქონდა დედამისთან! —სერგო კიბეზე ჩქარი ნაბიჯით ჩამოვიდა. მაშ გიას დედა გათხოვდა, გიას მამინაცვალი ჰყავს. ძალიან კარგი, მამინაცვალს ვნახავ, იმას მოველაპარაკები, ის დამეხმარება, მისი სურვილიც იქნება ბავშვი კარგ გზას დაადგეს. გიამ რატომ არაფერი მითხრა? კმაყოფილია მამინაცვლის თუ არა!?

* * *

დიდი დასვენება დაიწყო. ბავშვების აურზაური საკლასო ოთახს იკლებდა, ძლივს ისმოდა მორიგის ყვირილი:

— გარეთ გადით, მშვენიერი დარია! — მორიგე სათითაოდ ეძიძგილავებოდა ყველას და გარეთ აგდებდა.

— მოიცა, საუზმე წავიღო!

— დამაცა, გაკვეთილი არ ვიცი!

— ნუ ყვირი!

— გია, გარეთ გადი, რას დაფიქრებულხარ, თითქოს ქვეყნის საქმეს წყვეტდე!

— მოშორდი აქედან! — ხელი აუქნია ბოლოქანქალას გიამ.

— გადი-მეთქი, გეუბნები, არ შეიძლება საკლასო ოთახში დარჩენა!

— შენ ვინ გკითხავს?

— მორიგე ვარ, არ გესმის, გადი, გუშინ დასვენებაზე დარჩი და ნონას ფული დაეკარგა!

— გაკიედი, მე რა ვიცი ნონას ფულისა!

— შენს მეტი კლასში არავინ იყო! — ვია წამოხტა, ბოლოქანქალასთან მიიჭრა:

— მე მოვიპარე ნონას ფული? — ბავშვები მოჩხუბრებს გარს შემოეხვივნენ.

— მე რა ვიცი! — აიჩეჩა მხრები ბოლოქანქალამ. — კლასში შენს მეტი არავინ იყო, ფული დაიკარგა, ან შენ მოიპარე, ან გეცოდინება, ვინ მოიპარა! — გია ბოლოქანქალას საყელოში სწვდა.

— რაო! ფული მე მოვიპარე? — შეშინებულმა ბოლოქანქალამ უმწეოდ დაიწყო თვალების ცეცება.

— ჩემთან რა გინდა, ყველა ასე ამბობს! — გიამ ბოლოქანქალას საყელოს ხელი უშვა. ამხანაგები მოათვალიერა, ცრემლები წამოეძალა.

— ვინა თქვა, რომ მე ფული მოვიპარე! — ბავშვები ჩუმად იდგნენ.

— რა დაგემართათ, გუშინ ყველანი გაიძახოდით ფული გიამ მოიპარაო, ახლა რა ენა ჩაგივარდათ, გეშინიათ? — გია კვლავ ბოლოქანქალას მივარდა, საყელოში სწვდა, შეანჯღრია. სილა გაარტყა. ბოლოქანქალას ცხვირიდან სისხლი წასკდა.

კლასში აურზაური ატყდა.

— მაგრე მოუხდება!

— რად უთხრა!

— რატომ არ უნდა ეთქვა?

— იქნებ იმას არ მოუპარავს!

— ვინ დაინახა?

— დაუმტკიცე აბა!

— მაშ ვინ მოიპარა?

— მაგის მეტი არავინ იყო!

— ბოლოქანქალა მართალია!

— რაშია მართალი?

— იქნებ ნონამ ფული გზაში დაკარგა?

— რას ამბობ, რას, საუზმე ვიყიდე და რაც დამრჩა, პორტფელში ჩავდე!

— გიამ ნახა, ფული რომ პორტფელში ჩადე?

— მე რა ვიცი, აქ კი იჯდა!

— ფულიც მოიპარა, მეც სისხლი მადინა!

— წამოდი, წამოდი, გირჩევნია, დაიბანე!

გია კლასში აღარ დაბრუნებულა, სირბილით მივიდა სახლში, კარებს ზურგით მიეყრდნო, თითქოს ვიღაც მოსდევსო, თვალთაგან ცრემლები წასკდა. ლოგინზე დავარდა, თავი ბალიშში ჩარგო. ხელით საბანს ჩაებღაუჭა. — ქურდობა დააბრალეს ამხანაგებმაც, მასწავლებელმაც, ყველამ ქურდობა დააბრალა.

ოთახში ჩამობნელდა. გია თავის ტკივილმა ზეზე წამოაყენა. ელექტრონის ღილს თითი დააჭირა. შუქმა თვალი მოსჭრა. ისეთი თავის ტკივილი იგრძნო, რომ ყვირილი ძლივს შეიკავა. სინათლე ჩააქრო. ხელის ფათურით ონკანი მოძებნა და წყალს გახურებული თავი შეუშვირა. ცივმა წყალმა ტკივილი ვერ დაუამა, ლოგინთან მივიდა, თავზე ბალიში დაიდო. პირი უშრებოდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა ამდგარიყო და წყალი დაელია. თვალებს დახუჭავს და წყალი ელანდება. წყალი, ერთი ყლუპი წყალი! — ითხოვდა ვიღაც გიას მაგიერ.

— როგორ შეიძლება დაუხურავად დაწოლა. ამოდენა კაცი ხარ და ბავშვივით უნდა გდიო! — ჩაესმა დედის საყვედური.

— სინათლეს ვერ აანთებ, ქურდივით იმალები! — ჩაესმა აპოლონის ლუღლუღი.

უეცრად ვიღაც ზეზე წამოიჭრა, საშინელი ხმით შეყვირა:

— ვინ არის ქურდი? ვინ არის! — რაღაცამ ბრაგვანი მოიღო. არა, ეს გია არ ყოფილა. გია ლოგინზე წევს და თავზე სველი ტილო ადევს, ოთახში კი ვიღაცეები დაფუსფუსობენ. ნეტავ ვინ არიან ისინი, იქნებ ქურდები შემოვიდნენ, მოიპარავენ რამეს და გიას დააბრალებენ. ოთახში სინათლე ანთია, თუ ცეცხლი უკიდია რაღაცას? ეს ვინ არის, რომ ეჭყანება და ეძახის: — ქურდი, ქურდიო! — ეს მგონი, მისი გადარჩენილი ბუ არის. აი, როგორ დაბობღავს, გაწუწულია, ალბათ, ბავშვები აწვალებენ.

აქ რამ მოიყვანა, ეს ნავთლუღის სადგურია. ეს სერგო მასწავლებელია, დგას და ვეებერთელა საათის ისრებზე ხელით აჩვენებს, ეს მატარებლის ზარია თუ სკოლის, გაუჩერებლად რომ რეკს და იძახის: — გია! გია! — როგორ აწუხებს ზარის ხმა.

რომელი სათია? სამი საათია, ღამის სამი საათია, აქ რა უნდა გიას? აპოლონს გამოექცა. აპოლონი მთვრალია და გიას დასაჭე-

რად დასდევს. გარბის გია, გარბის, არ უნდა დაეწიოს მთვრალი აპოლონი, აი ხელი გაშალა. დაიჭირეს კიდეც, გია დაუსხლტა, გვერდზე გადახტა, აპოლონი კი კვლავ მისკენ მობარბაცებს და ყვირის:

— ქურდი, ქურდი, დაიჭირეთ!

ეს ვინ არის, ჩუმად რომ ტირის? ვიღაც ამშვიდებს, ეს დედაა, აპოლონმა გააჯავრა. ახლა ზის და ტირის საწყალი დედა. გიამ აპოლონი უნდა გააგდოს, დედას უშველოს, გია ხელებს იშვერს და ყვირის:

— არ წახვიდე, დედა, აპოლონთან, არ წახვიდე! — კვლავ ტირილი ესმის.

თავი სტკივა, რა ძალიან სტკივა თავი. ბუმ ბრჭყალები ჩაუყარა და იმიტომ სტკივა, არა, ეს ბუ არ არის. ის ხომ გიამ გადაარჩინა. ეს არწივია. ოთახში სიბნელეა და ვერ ხედავს. ამ არწივმა ერთი წუთით თავიდან ბრჭყალები ამოიღოს, ერთი წუთით ამოიღოს, იქნებ დაეძინოს გიას. ზარმა კი რეკოს რამდენიც უნდა.

* * *

სერგო აღაშფოთა სკოლაში მომხდარმა ამბავმა. მთელი დღე ელოდებოდა, ფიქრობდა, გია მოვა და ყველაფერს მეტყვისო, მაგრამ გია სკოლაშიც არ მოვიდა. ბავშვებმაც არაფერი იცოდნენ მის შესახებ.

გაკვეთილები დამთავრდა, სერგომ ზურაბი გაიყოლა გიას სახლისაკენ.

კარი კორდელიამ გაუღო. სერგოს დანახვაზე წამოიწყო:

— თქვენ გიას მასწავლებელი ბრძანდებით, გია ძალიან ავად არის, ძალიან, ამბობენ ტვინის ანთებაააო! — ტარტალებდა კორდელია და სტუმრებს გიას ლოგინისაკენ მიუძღვებოდა.

გია მოკუნტული იწვა, თავგადაგდებული, დედამისი საწოლზე იჯდა და თვალცრემლიანი დასცქეროდა.

— მობრძანდით, ბატონო სერგო, მობრძანდით, თქვენ გიყვარდათ ჩემი გია. გია! — ჩასძახა, — მოიხედე, შვილო, შენს საყვარელ მასწავლებელს დაელაპარაკე! — გიამ თვალები გაახილა. „რა

უცნაურად უციმციმებს თვალები“, — გაიფიქრა სერგომ. გიამ სინათლეს ვერ გაუძლო და თვალები სწრაფად დახუჭა, სახეზე რაღაც ღიმილის მაგვარი გამოეხატა, თავი რამდენჯერმე გაიქნია, ნიკაპით მკერდს შეეხო, დაიკვნესა, ხელები ჰაერში ააფათურა და დაიყვირა:

— ქურდი! ქურდი!

— კატუშა, გარეთ გადი, კრუნჩხვა ეწყება! — გადაუჩურჩულა კორდელიამ კატუშას.

— ჩემი ბრალია, ბატონო სერგო, ჩემი, ყველაფერი ჩემი ბრალია, ყურადღება ვერ მივაქციე! — ჩურჩულებდა კატუშა და თითებს იმტვრევდა.

სერგო გიას დაეჩერებოდა, როგორ იკრუნჩხებოდა და იშლებოდა მისი სხეული. გული ეკუმშებოდა, უნდოდა მივარდნოდა, ხელში აეყვანა, შეეჩერებინა მისი სხეულის უცნაური მოძრაობა.

ვულდამძიმებული მიდიოდა სერგო შინისაკენ. დამნაშავე ვარ, ვერ მოვუარეო. რა უნდოდა შუალამეზე ქუჩაში? რად ეთაკილებოდა მამინაცვალი, მალავდა, საიდუმლოდ ინახავდა დარდს. მეც გავებუტე, არ ვკითხე, რა აწუხებდა. ფული, ნონას ფული რომ მოიპარა? იქნებ შიოდა, რად დგას გიას საწოლი სამზარეულოში?

რომ მოკვდეს? სერგო წამოწითლდა, ბაგეები გაუფიცხდა, თვალებზე რაღაც ჩამოეფარა: — არა, არ მოკვდება, — გაამხნევა ვიღაცამ. სიამაყე, თავმოყვარეობა უშლიდა ხელს. თავის საიდუმლოებაში ჩაიკეტა. სერგომ დაიგვიანა, ყველაფერში დაიგვიანა, უპატრონოდ, უმეგობროდ დატოვა გია.

გია საავადმყოფოში გადაიყვანეს, სერგო ყოველდღე დადიოდა საავადმყოფოში და რამდენიმე ღამეც გაატარა მის საწოლთან.

სერგო და გიას ექიმი დამეგობრდნენ, ხშირად ღამეს საუბარში ატარებდნენ. ზოგჯერ გამოჩნდებოდა მთვრალი აპოლონიც, მისი ყოველი გამოჩენა არწმუნებდა სერგოს, რამდენად დაიტანჯებოდა გია ასეთი მამინაცვალის ხელში. სერგომ ექიმს უამბო, გიამ როგორ მოიპარა ფული.

— შეიძლება ოჯახურმა ტრაგედიამ ბავშვს უბიძგა ბოროტი საქმისაკენ. მით უმეტეს, როცა არავინ ჰყავდა, ვისთვისაც გაეზიარებინა საიდუმლო.

— აი, ეგ არის ჩემი დანაშაული.

— თქვენი რა ბრალია, ყველა ბავშვი ერთნაირი არ არის.

— საქმეც ეგ არის, რომ ყველა ბავშვი ერთნაირი არ არის. პედაგოგსაც მეტი რა ევალება.

— სირთულეები ყველა დარგშია, ჩვენი პაციენტი. როგორც ჩანს, განსაკუთრებული რთული ბუნებისაა, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად.

— ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია დაგეიანება. თქვენ არ დაიგვიანოთ, ექიმო!

— აქამდე ძნელი იყო გადაწერილი პასუხი. დღეს კი შემიძლია მოგილოცოთ, თქვენი მოწაფე გადარჩება.

— დღევანდელი დღე ჩემი ცხოვრების ნათელი დღეა! — სერგოს ხმა აუკანკალდა, წამოწითლებულ სახეზე ოფლმა დაასხა.

— იმედი მაქვს, მალე თქვენი მოწაფე იცნობს საყვარელ მასწავლებელს, მხოლოდ წარსულის შესახებ არც ერთი სიტყვა.

სერგო კარგა ხანია, ასე მხიარული სახლში არ დაბრუნებულა. უნდოდა ხმამაღლა ეყვირა, ყველას, ყველას გაეგონა, რომ გია არ მოკვდებოდა.

გიას დღიური აიღო, წითელყდიანი რვეული, რომელიც ოდესღაც აჩუქა, ახლა ის გიას დედამ სერგოს გადასცა. აქამდე ეშინოდა წაეკითხა, ახლა კი გია იცოცხლებს, დიდხანს იცოცხლებს, — „ზურაბისაგან მოვდიოდი. ბავშვებს ბუ დაეჭირათ. ეზოში, ონკანის ქვეშ დაესვათ და წუწავდნენ. როგორ აბუზულიყო საცოდავი, შემეცოდა, გამოვიტაცე, ზურაბს მივუყვანე, მოარჩენს ექიმი აიბოლიტი. ბიჭების მთელი გროვა გამომიდგა. — ქურდი, ქურდიო! — მომძახოდნენ, ვიღაცას მართლა ქურდი ვეგონე. წინ გადამიდგა, მე თავი დავღუნე და ხელიდან დავუსხლტი. რა სასაცილოა!“ სერგომ შუბლზე ხელი გადაისვა.

„მთელი ღამე ქუჩაში დავეხეტებოდი. სახლში დილით მოვედი, ყველას ეძინა. მამინაცვალი, მერე რაა, განა ჩემს მეტს არაიისა ჰყავს მამინაცვალი? მაგრამ უბადაღებული აპოლონი, ღმერთო ჩემო, რა აქვს დედაჩემს მასთან საერთო“.

„სადილად ზურაბთან დავრჩი, დედამისმა დაჟინებით მთხოვა, უარი ვეღარ ვუთხარი, ხომ არ შემატყო, რომ მშიოდა?“

„დედას ფეხის ხმაა, შემოვა თუ არა, შემოვა თუ არა? დედა ვერა გრძნობს როგორი გულისფანცქალით შევჩერებივარ კარს,

როდის გააღებს, მომიალერსებს და თავს მხარზე დამაყრდნობს. იმედის სხივი კიდევ აქვს გულს დარჩენილი. ის და აპოლონი რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ. ნეტავ რას ეუბნება აპოლონი ასეთს, რომ დედა ასე იცინის. მიწყდა ნაბიჯი, დაიკარგა იმედიც, დედა არ შემოვიდა".

„დღეს გავიგე, ჩემი გაკეთებული მუსიკალური ინსტრუმენტები პიონერთა სასახლიდან ბრიუსელის გამოფენაზე გაუგზავნიათ. სახლში მივფრინდი, მინდოდა დედისათვის მეხარებინა, მაგრამ აპოლონი მთელი საღამო შინ არის, დედასთან ვერ შევედი, დღეს უფრო მეტად ვიგრძენი, რომ მე ხელს ვუშლი ამ ადამიანებს.

მასწავლებელთან წავედი, ქვევიდან შევაჩერდი განათებულ ფანჯარას, მასწავლებელი ბოლთასა სცემს, როგორ მინდა შევიდე და ვუთხრა: — მასწავლებელო, ჩემი მოდელები პიონერთა სასახლიდან გამოფენაზე გაუგზავნიათ. — მაგრამ ვერ გავბედე. მასწავლებელი ხომ მის შემდეგ მებუტება, რაც ბოლოქანქალამ ღამით ნავთლუღის სადგურზე მნახა".

„ძნელია სახლში დაბრუნება, იმ დროს, როცა ასეთ მარტოობას გრძნობ, როგორ მინდა ვუყვარდე ვისმეს, ძალიან ვუყვარდე, მაგრამ მე უკვე აღარავის ვუყვარვარ, აღარც დედას, აღარც მასწავლებელს, აღარც ამხანაგებს. ვიცი, დედას არ უნდა ვაწყენინო, მაგრამ ეჰ, არაფერი არ გამოდის, ისევ უნდა გავიპარო ისეთ ადგილზე, სადაც არავინ არ მიცნობს". — აქ წყდებოდა გიას დღიური, მაშ გაპარვა გადაწყვიტა, იმიტომაც მოიპარა ფული.

მეორე დღეს სერგო საკლასო ოთახში შევიდა, კლასში ხმაური იდგა, ბავშვებმა მისი შესვლა ვერ გაიგეს. სერგომ ხმა აიმაღლა, ბავშვებმა ყურადღება მიაქციეს და უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ:

— მასწავლებელო!

— იპოვა!

— იპოვა, მასწავლებელო!

— პორტფელში ჩავარდნილიყო!

— გარღვეულ პორტფელში!

— ტყუილად დავაბრალეთ გიას! — სერგომ ვერ გაიგო, რას ეუბნებოდნენ, მაგრამ რაღაც საშინელი რომ იყო, იგრძნო. სკამზე დაჯდა. სხეულის ყოველი ნაწილი დაუმძიმდა, მოძრაობის უნარი

დაჰკარგა. გაფიცხებულ ბაგეებზე ენა მოისვა. სიტყვები ყელში გაეჩხირა და უაზროდ მიაჩერდა ახმაურებულ ბავშვებს.

— საწყალი ვია!

— რა სისულელე ჩავიდინეთ!

— არც ვკითხეთ! — უკანასკნელმა სიტყვებმა მათრახის სიმწვავე აგრძნობინეს სერგოს, წამოხტა. ბავშვები შეაკრთო მასწავლებლის აფეთქებამ, გაჩუმდნენ, სერგო აჩქარებული ნაბიჯებით ბოლთას სცემდა, შეჩერდა, ჩავარდნილი ხმით იკითხა:

— ნონა, ამიხსენი, რა მოხდა? — ნონა სწრაფად წამოხტა. მასწავლებლის წინ გაჩერდა, უეცრად ცრემლები ღაპაღუპით გადმოსცვივდა.

— იმდენი ვეძებე, მასწავლებელო, იმდენი ვეძებე!

— გეკითხები, რა მოხდა?

— მე გეტყვით, მასწავლებელო! — წამოდგა ალეკო.

— დაჯექი!

— მე გეტყვით, მასწავლებელო! — ახლა ზურაბმა დაიწყო. — ნონამ ფული რომ დაკარგა, იპოვა, გარღვეულ პორტფელში იპოვა, გიას ტყუილად დავაბრალეთ! — ზურაბს ტირილი წასკდა.

— ნონა, მართალია?

— მე არ ვიცოდი, მასწავლებელო, თუ პორტფელი გარღვეული იყო! — ლუკუნებდა ნონა.

— გიას კი დაბრალდა!

— სულ გოგოების ბრალია ყველაფერი!

— კარგად მოეძებნა, მერე ეყვირა!

— ყველანი დამნაშავენი ვართ! — ზურაბის სიტყვებმა მასწავლებელი მისკენ მიახედა.

— შენ მართალი ხარ, ზურაბ, ჩვენ ყველანი დამნაშავე ვართ, დაწყნარდი, ნონა! — სერგომ მტირალ ნონას თავზე ხელი დაადო.

გაკვეთილების შემდეგ სერგო საავადმყოფოში აღარ წასულა, რცხვენოდა გიასი. ახარებდა დაკარგული ფულის პოვნა.

* * *

საავადმყოფოში აივანზე გია და სერგო ისხდნენ. გიას გამომჯობინების შემდეგ ისინი ხშირად ისხდნენ ასე და საუბრობდნენ.

გია სკოლას და ამხანაგებს არასოდეს ახსენებდა, არც სახლსა და მამინაცვალს. სერგოს გულით უნდოდა გიასათვის გაეგებინებინა ფულის პოვნის ამბავი, მაგრამ მიხვდა, რომ სკოლისა და ამხანაგების ხსენება მასზე ცუდად მოქმედებდა.

— დღეს სასიხარულო ამბავი მოგიტანე, გია!

— რა, მასწავლებელო? — გია მასწავლებელს ხელში შეაჩერდა, რომელმაც ჯიბიდან პატარა ყუთი ამოიღო.

— აი, სამკერდე ნიშანი, ბრიუსელის გამოფენიდან გამოგიგზავნეს, ესეც სიგელი, — გახსნა გრაგნილი სერგომ, გია გაშლილ სიგელს დასჩერებოდა.

— პიონერთა სასახლემ არტეკის საგზურით დაგაჯილდოვა!

— რა კარგია, აქედან პირდაპირ ბანაკში წავალ! — ძლივს ამოიღო ხმა გიამ.

— რატომ პირდაპირ, ჯერ ადრეა წასვლა!

— არა, მე აქ დავრჩები წასვლამდე — ჯიუტად გაიქნია თავი გიამ.

— ჩემები უკვე სოფელში წავიდნენ, გადმოდი, ეს დღეები ერთად გავატაროთ. გიამ შეხედა მასწავლებელს, ორივეს თვალები ცრემლებს აეწყლიანებინა, ისინი ერთხანს ჩუმად ისხდნენ.

— ეცადე, კარგად დაისვენო!

— მე მგონი, კარგად დავისვენებ, მიყვარს ზღვა.

— შენი ჯანმრთელობისათვის აუცილებელია.

— მერე?

— მერე რა?

—მერე სადღა წავიდე?

— სად უნდა წახვიდე?

— ისევ საავადმყოფოში?

— საავადმყოფოში რა გინდა?

— სახლში არ დავბრუნდები, არც სკოლაში! — გია წარბებს ქვემოდან მტრულად უცქეროდა მასწავლებელს.

— გია, ყველას უნდა აპატიო, ამხანაგებს შენი ნახვა უნდათ.

— არა, არა, მასწავლებელო! — გიას მღელვარება დაეტყო, სერგო გაჩუმდა. — სულ თქვენთან ხომ არ ვიქნები?

— ვერ გავიგე, რა გინდა, გია!

— რა არის აქ გაუგებარი, არ შემიძლია არც სახლში და არც სკოლაში დაბრუნება! — ნერვიულად წამოიყვირა გიამ.

— მერე რა არის აქ ასაღელვებელი, დავფიქრდეთ, გზა გამოვნახოთ.

— არ ვფიქრობ? რაც კარგად გავხდი და აზრი დამიბრუნდა, სულ ამაზე ვფიქრობ, სად წავიდე.

— მაგაზე ფიქრი მე მომანდე, გია!

— თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ? — გიას ხმაში საყვედური ისმოდა.

— როგორ არ მიფიქრია, — დაიწყო თავის გამართლება სერგომ, — მიფიქრია და გადამიწყვეტია კიდეც. ინტერნატში შეხვალ.

— მასწავლებელო! — გიას სახე გაუნათდა, თვალებში სიხარული ჩაუდგა. — გმადლობთ, მასწავლებელო! მე მეგონა, თქვენ ჩემს მომავალზე არ ფიქრობდით.

— არა გრცხვენია, გია! — სერგო მართლაც ბევრს ფიქრობდა გიას მომავალზე, მაგრამ ის რაც ასლა უთხრა, შემთხვევით მოუვიდა თავში.

გვიანი იყო, როცა დედა საავადმყოფოში მივიდა. მასწავლებელი წასულიყო და გია მარტო იყო. რამდენი რამ აქვს გასახარებელი გიას: ბრიუსელის გამოფენიდან მიღებული საჩუქარი, პიონერთა სასახლის ჯილდო და მომავალი ცხოვრების გეგმა, ის რადა ღირს, შინ, რომ აღარ დაბრუნდება.

დედას ცისფერი კაბა ეცვა, როგორ უხდებოდა! მისი ცისფერი თვალები ლაჟვარდ ცასავით კამკამებდა. გაეხარდა საზეიმოდ მორთული დედა რომ დაინახა, ორივე ხელი გაიშვირა მისკენ:

— რა ლამაზი ხარ, დედიკო!

— მართლა მოგწონვარ? — კეკლუცად გაუღიმა დედამ, — შენ როგორ ხარ დღეს?

— კარგად, დედიკო, აღარაფერი მტკივა!

— მაშ, დაგტოვო?

— სად ბიდიხარ, დედიკო?

— თეატრში, შვილო, დიდი ხანია მე და აპოლონი ერთად აღარსად ვყოფილვართ, დღეს ბილეთები მომიტანა, ბთხოვს თეატრში წავიდე, მომვლელ ქალს დავუბარებ, მარტო არ დაგტოვოს.

— არა, დედა, არავინ არ მინდა.

— მაშ, წავალ, შვილო, აპოლონი ქვევით მელოდება!

— მოდი, დედიკო, გაკოცო, სასიხარულო ამბებსაც გეტყვი! — გიამ დედას ხელი მოხვია და სახე დაუკოცნა.

— მოიცა, შვილო, თმა არ დამიშალო! — გიამ ხელი გაუშვა.

— წადი, დედა, წადი, მეძინება, — გიამ წუთით თვალები დახუჭა, რომ გაახილა, დედა აღარსად იყო, გაფრინდა უდარდელი ჩიტივით, არც კი ჰკითხა, რამ გაახარა. გიას წყვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან, იგრძნო, რომ მარტოდმარტო დარჩა ამქვეყნად. სადღაც შორს დარჩნენ დედა, სკოლა და ამხანაგები.

* * *

მატარებელი თბილისს უახლოვდება. გია ფანჯარას არ სცილდება, ბაქანს თვალს არ აცილებს. ვის მოელის? მას ხომ არავისათვის უცნობებია ჩამოსვლის დღე. ჯიბეში მასწავლებლის წერილი უდევს. მასწავლებელი ატყობინებს, რომ იგი ინტერნატში მიიღეს. გიას შეუძლია პირდაპირ ინტერნატში მივიდეს — ახალი მასწავლებლები, ახალი ამხანაგები და გიაც ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

ბაქანზე უამრავი ხალხი ირევა, დამხვდურთა მხიარული სახეები, ჩამოსულთა ღიმილი ერთმანეთს ცვლის. გია პატარა ჩემოდნით ხელში მიდის ხალხით სავსე ბაქანზე. ბაქანი გადაჭრა და ტრამვაის გაჩერებასთან შედგა. სიხარულით უყურებს ახალ სახლებს, სჯერა, რომ ამათ არ იციან, სკოლაში ქურდობა რომ დააბრალეს, რომ გიას მამინაცვალი ყბადაღებული აპოლონია. ტრამვაის უკანა ბაქანზე დგას გია, მიქრის ტრამვაი და უკან რჩება განვლილი გზა.

— აქ გადმოდით, ყმაწვილო, აქედან ფეხით წადით, ახლოს არის.

გია ფეხით გაჰყვა ქვაფენილს. გზა ვერის პარკის ნაპირს მიჰყვებოდა. პარკში შადრევნის შხეფები ციმციმებდა და სიყვითლეშეპარულ ფოთლებს ეფრქვეოდა.

გია დიდი თეთრი შენობის ფართოდ გაღებულ კარში შევიდა, გაუბედავად შედგა ფეხი სკოლის სადარაბაზოში. კიბის თავში ვეებერთელა წითელი პლაკატი იყო გაკრული. დარაჯმა შეაჩერა:

— სად მიდიხარ, ყმაწვილო?

— დირექტორი მინდა!

გია დიდ სარკეში მთელი ტანით გამოჩნდა. კიბის საფეხურზე ფრთხილად ავიდა, სარკეში ჩანდა გიას მზისაგან დამწვარი სახე და შეშინებული თვალები, თავის ორეულს გაუცინა.

დერეფანი ცარიელი იყო, ერთ-ერთი ოთახის კარი ღია. იქიდან ხმამაღალი სიცილი და ლაპარაკი ისმოდა. გიამ ღია კარს მიაშურა. მაგიდასთან სანდომიანი სახის, საფეთქლებთან თმაშეთეთრებული, თეთრხალათიანი ქალი იჯდა, მის გარშემო რამდენიმე ქალი იდგა და მხიარულად საუბრობდნენ. გია კარებში გაჩერდა, ქალები მიაჩერდნენ.

— მე ინტერნატში მიმიღეს, — წაიჩურჩულა გიამ.

— რა გვარი ხარ? — გიას პასუხზე მაგიდასთან მჯდომმა ქალმა დავთარი გაშალა. — ჩვენი მოსწავლე ყოფილხარ, — ქალი ადგა. — დირექტორთან წავიდეთ. ისინი დერეფანში გამოვიდნენ. პატარა ოთახში, მაგიდასთან მაღალი კაცი იჯდა, ქაღალდებს ჩასცქეროდა.

— ბატონო ლევან, ახალი მოსწავლე მოვიდა! — გამხდარმა კაცმა ქაღალდებს თავი ანება, სათვალეები მოიხსნა, თვალები მოისრისა.

— ამ მოსწავლის შესახებ სერგო დადიოდა ჩვენთან.

— აა, ვიცი, როდის ჩამოხვედი?

— ახლა მოვიდა მატარებელი.

— სერგო სად არის?

— არ დამხვედრია, ალბათ დეპეშა არ მიუღია. — გია გაწითლდა, მაშ, ისევ ტყუილი. არა, გიას აღარ უნდა ტყუილი თქვას. არა, ახალ ცხოვრებას ტყუილით არ დაიწყებს.

— შეგიძლიათ რამდენიმე დღით სახლში წახვიდეთ, ბავშვები ჯერ არ მოსულან, მოგეწყინებათ. — გია დირექტორის სიტყვებმა გამოარკვია.

— თუ შეიძლება, დავრჩები!

— მიუჩინეთ ადგილი. — დირექტორი თეთრხალათიან ქალს მიუბრუნდა.

გია და თმაშევერცხლილი ქალი დერეფანში გამოვიდნენ. ქალი დაკეტილ კართან შეჩერდა და ხმამაღლა დაიძახა:

— მომიტანეთ გასაღები! — დაბალი ქალი მოვიდა და კარი გააღო.

მზიან და ნათელ ოთახში საწოლები ჩაემწკრივებინათ.

— ამ ოთახის პირველი მერცხალი ხარ, აირჩიე საწოლი!

გია ოთახში მარტო დარჩა. ერთ-ერთ ლოგინზე ჩამოჯდა. ჩემოდანი წინ დაიდო. დედა და სერგო მასწავლებელი გაახსენდა. მათ არ იციან, რომ ასე ახლოს ვარ. მალე სწავლა დაიწყება, სკოლაში თავს მოიყრიან: — ექიმი აიბოლიტი, კრუზო, გასწიგაჭიმე, ბოლოქანქალა. სერგო მასწავლებელი გაკვეთილს დაიწყებს. ნეტა ვინ დაჯდება გიას მერხზე? აქაც მოვლენ ბავშვები, მაგრამ არც ერთი არ იქნება გიას ნაცნობი. — ფიქრები ჭაღარა ქალმა შეაწყვეტინა, რომელსაც მართას ეძახდნენ.

— წამოდი, იბანავე!

— ამ ზაფხულს იმდენი ვიბანავე!

— ნამგზავრი ხარ, არ გაწყენს!

გია მორჩილად გაჰყვა. — ეს ჩვენი შინაგანაწესია, ბანაობის შემდეგ წაიკითხე!

გია შინაგანაწესის წინ იდგა, კითხულობდა: — სამაგალითო სწავლით, შრომითა და ყოფაქცევით შეუწყოს ხელი კლასისა და მთელი სკოლის კოლექტივის განმტკიცებას. გაუფრთხილდეს კოლექტივის ღირსებას და პატიოსნებას.

გია დიდხანს დაბორიალობდა ოთახებში, ნახა: სასადილო, კლუბი, ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები. ეზოც დაათვალიერა. სახელოსნოს კარი დაკეტილი იყო, ფანჯარაში შეიჭვრიტა. თავის პატარა სახელოსნო გაახსენდა. დედას შეუთვლის ხელსაწყოები მოუტანოს.

საღამოს დირექტორმა კლუბში შეიყვანა.

— ტელევიზორს უყურე, თორემ მოგწყინდება.

— გმადლობთ, მასწავლებელო!

იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. გაახარა ბაში-აჩუკის გამოჩენამ. უყვარდა ეს სურათი. სერგო მასწავლებელმა წაიყვანა ამ სურათზე, როგორ მოეწონა, დაეწანა, რომ ახლა ასეთი გმირები აღარ არიან.

გიამ საწოლი ოთახის ყველა ფანჯარა გააღო, გარშემო სიჩუ-

მე იყო, ქარი არხევდა ფანჯარასთან აწვდილ ჩინარს და ყოველ შერხევაზე ფოთლები ფანჯარაში იჭყიტებოდნენ.

სიზმარში მამა ნახა. მამა ომში წასასვლელად ემზადებოდა, დედა ჩემოდანს ულაგებდა, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა. გია ლოგინიდან უცქეროდა ომში წასასვლელად გამზადებულ მამას.

გია დილით ადრე ადგა, ლოგინი გაასწორა. ონკანიდან მოჩხრიალე წყლით გაგრილდა. ახლა სასადილოში იჯდა და ცარიელ მაგიდას დასცქეროდა. ვინ დაჯდება მის მაგიდასთან?

სამი დღეა, რაც გია ინტერნატშია. არავინ არ აკითხავს, დაბორიალობს მარტოდმარტო, გულში მიიფერფლა იმედის ნაპერწკალი, ყველამ დაივიწყა. გამლილ წიგნს ჩააჩერდა. ჩაკითხული გვერდი ვერ გაიგო, კვლავ დაუბრუნდა წაკითხულს.

ბიბლიოთეკაში მართა შემოვიდა.

— გია, გკითხულობენ! — გია წამოხტა. გულმა ბაგიბუგი დაუწყო: — დედა თუ სერგო? დედა თუ სერგო? — თვალებს აცეცებს, მომსვლელს ეძებს. მართა დირექტორის კაბინეტში შეუძღვა. დირექტორი ტელეფონის მილს ჩასძახოდა:

— აუცილებლად, სერგო, დარდი ნუ გაქვს! სერგო მასწავლებელი რეკავს. — დირექტორმა შემოსული გია დაინახა, გიამ ტელეფონის მილი ჩამოართვა, კანკალმა აიტანა, მილის ყურთან მიტანა გაუჭირდა. — დაელაპარაკე, რა დაგემართა, ტელეფონით ლაპარაკი არ იცი?

— როგორ არა, მაგრამ გამთიშა ვიღაცამ! — ჩაილუღლუღა გიამ და მილი დადო.

— შენთან ლაპარაკი უნდოდა, ავად ყოფილა, ვეღარ მოგაკითხა. — შეწუხდა დირექტორი. — ტელეფონის ნომერიც არ ვიცი, შენ არ იცი?

— არა, მასწავლებელო! — კვლავ იცრუა გიამ და სერგო მასწავლებლის ტელეფონის ნომერი თვალწინ აუციმციმდა.

— ნასადილევს გაგანთავისუფლებ, წადი და ინახულე.

გია გამოვიდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას.

სერგო მასწავლებელი ავად არის. წევს, ალბათ, კითხულობს.

ნეტავ შეეძლოს გიას მისი ნახვა. აქედან მასწავლებლის სახლი შორს არის. გია მასწავლებელთან ვერ მივა, არ შეუძლია იმის დავიწყება, რაც მოხდა. მაშ, რა უნდა, რომ მიდის? აღარ წავა. დირექტორს რა უთხრას? ისევ იცრუოს? კვლავ ცუდად ეწყობა გიას ცხოვრება, კვლავ სიცრუე, როდემდე უნდა იყოს ასე? რამდენჯერ დაიფიცა — ტყუილს აღარ ვიტყვიო. რა უთხრას დირექტორს, როცა სერგო მასწავლებელზე ჰკითხავს?!

გაჩერებულ ტრამვაის მიაშურა, შეხტა, ტრამვაი ცარიელი იყო, გათავდა, ტყუილს აღარასოდეს იტყვის. ინტერნატში აღარ წავა. მაშ სად წავიდეს, სახლში? სერგო მასწავლებელთან? არა, ივლის ასე, მერე? რომელიმე ალაყაფის კართან მიიკუნჭება და დაიძინებს. მერე? მერე დილით კვლავ ადგება და ივლის ასე დაუსრულებლად. მერე? რას აეკვიატა ეს მერე. ჭამა ხომ უნდა, მას ხომ ფული არ აქვს! იქურდებს, მაშინ ხომ მართლა ქურდი იქნება, ნამდვილი ქურდი.

პირველსავე გაჩერებაზე ჩამოხტა, ინტერნატისაკენ წავიდა. ღამე არ დაეძინა, ვერ გადაწყვიტა, რა ეთქვა დირექტორისათვის. შეიძლება მასწავლებელმა ისევ დარეკოს. წამოხტა, ყური მიუგდო, დერეფანში მორიგის ფეხის ხმა არ ისმოდა. სინათლე აანთო. მაგიდას მიუჯდა. პორტფელი ამოქექა და წერა დაიწყო:

„ძვირფასო მასწავლებელო, მე ჩამოვედი და ინტერნატში ვიმყოფები. თქვენთან ვერ მოვედი, უნდა გამიგოთ. ჭრილობა, რომელიც თქვენ და ჩემმა ამხანაგებმა მომაყენეთ, ძალზე მტკივნეულია. არის ჭრილობა, რომელიც რჩება, მაგრამ არის ისეთი, რომელიც ადამიანს ამახინჯებს და მისი ნაკვალევი სამუდამოდ რჩება. ჩემი ჭრილობაც ასეთია. თქვენ გეჯავრებათ ცრუ ადამიანი. მე ჩემს თავს პირობა მივეცი, ტყუილი აღარ ვთქვა. არ შემიძლია ჩვენი დამოკიდებულება ავუხსნა დირექტორს, გთხოვთ დამეხმაროთ. ნუ მაიძულებთ, კვლავ ვიცრუო. არასოდეს მომაკითხოთ და არც დამირეკოთ“. წერილი დაამთავრა, თავისუფლად ამოისუნთქა. შეუძლია სერგო მასწავლებელზე აღარ იფიქროს. ლოგინში შეწვა. თავზე საბანი წაიხურა და უდარდელი ბავშვური ძილით დაიძინა.

* * *

ინტერნატი გამოცოცხლდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ბავშვები, სახედამწვარი, თვალებგაბრწყინებული. მომავლის იმედებით სავსენი.

გია გაახარა ახალი ამხანაგების მოსვლამ. მარტო აღარ იქნება. საძინებელ ოთახში, მისი საწოლის გვერდით, ვიღაც ბიჭი დახრილა და საწოლის წინ მდგარ კარადაში რაღაცას აწყობს. ოთახი სავსეა ბავშვებით. ისინი თავიანთ საწოლებთან ფუსფუსებენ.

გია საწოლთან მივიდა, ზედ ჩამოჯდა. მისი მეზობელი წამოდგა, გიას ფართო, თაფლისფერი თვალები მიაპყრო, გაუღიმა. თეთრი, მოგრძო მძივებივით ჩამწკრივებული კბილები, ნათელი ღიმილი ფერმკრთალ სახეს ისე უხდებოდა, რომ პირველსავე შეხედვაზე შეგაყვარებდა მის პატრონს.

— მეზობლები ვყოფილვართ! — გაიღიმა ბიჭმა, საწოლზე ჩამოჯდა. ფეხებს უდარდელად იქნევდა, და თითქოს იცოდა, რომ ღიმილი უხდებოდა, დაუსრულებლად იღიმებოდა, — ახალი ხარ? — გიამ თავი დაუქნია. — კარგია ინტერნატში?

— ძალიან კარგი! — ხმამაღლა წამოიძახა გიამ.

— მე კი სახლში მირჩევნია! — ბიჭს კეთილ თვალებში ნაღველი ჩაუდგა.

— მაშ აქ რად მოხვედი?

— დედა აღარა მყავს, ბებია ავად გაგვიხდა, ორი კაცის მოვლა არ შეუძლია! — ბიჭმა ბებიას სიტყვებით გასცა პასუხი.

ლაპარაკი საუზმის ზარმა შეაწყვეტინათ.

— საუზმეზე გვეძახიან! — აუხსნა ზარის მნიშვნელობა გიამ. ისინი კარებისაკენ გაეშურენ. ბიჭი გამხდარი იყო, ოდნავ მხრებში მოხრილი.

— ერთ მაგიდასთან დავსხდეთ! — ხელი ჩაჰკიდა ბიჭმა გიას.

— რა გქვია?

— გია, შენ?

— სერგო! — გიამ უეცრად გაუშვა ხელი ბიჭს და გაწითლდა.

— რა იყო, არ მოგეწონა? ბაბუას სახელია, ბებომ დამარქვა. ბაბუა ცოცხალი აღარ არის.

გია თავდახრილი მიყვებოდა ბიჭს. ბიჭი გაუჩერებლად ტიტინებდა.

გაკვეთილი დაიწყო. გიამ თავისი ადგილი დაიკავა. გიას წინ გოგონები ისხდნენ, ისინი განუწყვეტლივ ჩურჩულებდნენ. გვერდით მერხზე პჯდომი ბიჭი ჯიბეში რაღაცას ეძებდა და იქიდან ხელ-ნელა ამოჰქონდა: შურდული, ცარიელი კოჭა, ცარცის ნატეხი, ძველი მარკები და კიდევ ვინ იცის, რა.

მაგიდასთან მასწავლებელი იდგა. მოფუსფუსე კლასს ათვალიერებდა, კედელზე ვეებერთელა რუკა ეკიდა.

— სიწყნარე!. — დაიძახა მასწავლებელმა ჟურნალი გაშალა და სიის ამოკითხვა დაიწყო.

— აქა ვარ! — გაისმოდა ბავშვების ხმა. გია ყოველ მათგანს ათვალიერებდა და ცდილობდა, ყველას გვარი დაეხსომებინა. გოგონები წინა მერხზე კვლავ ჩურჩულებდნენ.

მასწავლებელმა ამოკითხვა დაამთავრა. ჟურნალი დახურა.

* * *

საძინებელ ოთახში დიდი ფაციფუცი იყო. ბავშვები სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ. სერგოს განსაკუთრებული მხიარულება ეტყობოდა. გაბრწყინებული სახით ჩანთას ალაგებდა და თან ღიღინებდა. გიას ყურადღებას აღარავინ აქცევდა.

ოთახი დაცარიელდა. გია ფანჯარასთან იდგა, უყურებდა, როგორ გარბოდნენ ბიჭები ტროლეიბუსში ჩასაჯდომად. ლოგინთან მივიდა. გულაღმა გაწვა. მზის სხივები თანდათან აიკრიფა. იქაურობას სიბნელე დაეუფლა. ასევე სიბნელე ეუფლებოდა გიას გულსაც. ოთახში მართა შემოვიდა:

— გია, დედა მოვიდა, გელოდება!

გულმა უცნაურად შეიფრთხიალა. მაშ დედა მოვიდა, დედა! წამოხტა. კიბე ჩაირბინა. დერეფანში დედა იდგა, იღიმებოდა. გიას ისე მოუნდა დედის ახლოს ყოფნა, რომ უცბად გაჩნდა მასთან.

— როგორ გაზრდილხარ, გაშავებულხარ, ვეღარ გწვდები! — ფეხის წვერებზე დადგა დედა. — რად არ გამაგებინე, თუ აქ იყავი? დღეს სერგო შემხვდა, იმან მითხრა! — გია დედას მისჩერებოდა, რაოდენ საყვარელი იყო მისთვის ეს ცისფერი თვალები და ოქ-

როსფერი ლამაზი კულულები. — სახლში წამოდი, მე და აპოლონი ვაზშმად ვართ მიწვეულნი, ვეცდები, ადრე დავბრუნდე.

— არა, დედა, მე აქ კარგად ვარ!

— მასწავლებელი ამბობს, ბავშვები შაბათობით თავთავიანთ სახლებში მიდიანო.

— სახელოსნოში საქმე მაქვს!

— აქაც ისევე მუშაობ, როგორც სახლში?! — გაიღიმა დედამ.

— დედიკო, გამომიგზავნე ჩემი იარაღები. მე ხომ სახლში აღარ ვიმუშავებ! — დედა დაიბნა.

— აუცილებლად, თუ რაიმე გადარჩა. კორდელიას უვარგისი ჰგონებია, დაუწვავს. მე სახლში არ ვიყავი. — თავი გაიმართლა დედამ. გია დედას მიაჩერდა, რა გულუბრყვილო და ბავშური გამოხედვა აქვს დედას. — მომავალ შაბათს უსათუოდ წამოდი სახლში. მეც არსად წავალ. მთელი დღე შენთან ვიქნები!

სახლებიდან დაბრუნებული ბავშვების ჟრიამულმა გია უთენია გამოაღვიძა. სერგო გაბრწყინებული სახით წამოვიდა მისკენ:

— წუხელ დაბრუნდი, გია?

— მე არსად წავსულვარ!

— რატომ?

—დედა აქ არ არის! — კიდევ იცრუა.

ბიჭებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს, ვინ ვაშლი ამოიღო, ვინ ხაჭაპური, ვინ მსხალი, ყურძენი, ყველას რაიმე მოეტანა შინიდან. სერგომ ვეებერთელა ბროწეული გაუწოდა გიას.

— ბებომ გამომატანა! — შენს ყველაზე კარგ ამხანაგს მიუტანეო.

ზარი დაირეკა. ბიჭები სასწავლო ოთახებისაკენ გაიქცნენ.

საღამოზე სერგო გიას კვირის ამბებს უყვებოდა:

— ბებო სულ წევს. ჩემი საწოლი მის საწოლთან მივდგი. მისი ხელი ხელში მეჭირა და ისე დავიძინე. დილით მამამ ცირკში წამიყვანა, ზოოლოგიურ პარკში ვიყავი პინგვინები მოუყვანიათ, სასაცილოდ დაიჯგიმებიან. სპილოც ვნახეთ. საბავირო გზითაც გვინდოდა ასვლა, მაგრამ ბებომ არ გაგვიშვა, მასთან უნდოდა ვყოფილიყავით. — გიას სახლი მოაგონდა, სკოლა, ამხანაგები. წარსული დღის ყოველი მოგონება ტკივილს აგრძნობინებდა. — ბებოს დავპირდი, მომავალ შაბათს სახლში წაგიყვან. ბებოს უნდა გნახოს.

ხომ წამოხვალ? ბებოს აქ მოსვლა არ შეუძლია! რა კარგია სახლში, როგორ ტკბილად მეძინა! აქ როცა სიჩუმეა, თავი სახლში მგონია, ბებოს გვერდით. შენ ბებია არა გყავს?

— არა!

— მომეცი ხელი, აი ასე, მეგონება ბებოს ხელია და ტკბილად დამეძინება.

მეორე დღეს გიამ თავისუფალი დრო დღიურს მოანდომა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ დღიური დღეს პირველად აიღო ხელში. კითხულობდა და ყოველი წარსული დღე თვალწინ ედგა.

„ინტერნატში თავს თავისუფლად ვგრძნობ. სახლი მაინც მენატრება, მენატრება ის დრო, როცა მე და დედა მარტონი ვიყავით.

სერგო კარგი ბიჭია, ყველა ამხანაგზე მეტად მიყვარს. როცა მის სახელს ვამბობ, ასე მგონია, ჩემს საყვარელ მასწავლებელს ველაპარაკები.

სერგო ყოველ შაბათს მოუთმენლად მოელის. სახლში ბებია და მამა ელოდებიან იქიდან დაბრუნებული მთელი დღე მათზე ლაპარაკობს, მე კი ყველამ დამივიწყა. ვეცდები, ინტერნატში ყველას ვუყვარდე“.

გია დილით საყვირის ხმამ გამოაღვიძა. საჩქაროდ ჩაიცვა. სერგოს საწოლისაკენ დაიხარა, უნდოდა გაეღვიძებია, სერგოს საწოლი ცარიელი იყო.

პირსაბანთან ორიოდე ბავშვი ტრიალებდა, ეტყობოდა, ჯერ არ იყვნენ ამდგარნი. გიამ პირი დაიბანა. კიბე ჩაირბინა. დილის ვარჯიშზე ყველაზე ადრე გამოცხადდა. ყველანი მოვიდნენ, შეივსო მწკრივები. ცივი დილა იყო, ბალახებს თქორი გადაჰკვროდა. ბავშვები ფეხებს აბაკუნებდნენ, ვარჯიში დაიწყო. სერგო არსად ჩანდა. გია ეზოში გამოსასვლელ კარს თვალს არ აცილებდა. სად უნდა იყოს? თამაზს გადაუჩურჩულა:

— სერგო არ დაგინახავს?

— არა! — გაიოცა თამაზმა და მწკრივი მოათვალიერა. ვარჯიში დამთავრდა. ბავშვები სასადილოსაკენ გაიქცნენ. ახმაურდა ჭურჭელი. სერგოს სკამი ცარიელი იყო. თამაზს აღმზრდელისათვის უნდოდა ეკითხა. გიამ ხალათის კალთაში ხელი წაატანა, გააჩერა.

— არა ჰკითხო!

— რატომ?!

— არ ვიცი!

— რა მოხდა?

— არ ვიცი, საღამოთი ერთად დავწექით!

— მერე სად უნდა წასულიყო? — მოთათბირეებს სოსოც შემოუერთდა.

— იქნებ ოთახში დარჩა!

— არა, ოთახში არ არის!

— იქნებ ავადაა და იზოლატორში წევს?

— არა მგონია! — ბიჭები გაჩუმდნენ, კარაქიან პურს ილუკმებოდნენ. ყველანი მჯდომი გოგონები რაღაცაზე ფხუკუნებდნენ

გაკვეთილი დაიწყო. სერგო არსად ჩანდა. მათემატიკაში საკონტროლო წერა აქვთ. გია მაგალითების გამოყვანას შეუდგა.

—გია, გია, სერგო სად არის? — მუჯლუგუნი წაჰკრა რეზომ.

უკვე მთელ კლასს მოედო სერგოს დაკარგვის ამბავი. ჩურჩულებდნენ, გიას უყურებდნენ და ყველა ფიქრობდა, გიამ უთუოდ იცისო, სად არის სერგო. გავიდა თუ არა მასწავლებელი, ბავშვები ხმაურით წამოიშალნენ და ერთმანეთს მიესიენ, ყვიროდნენ, ერთიმეორეს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

პიონერთა საყვირის ხმამ ყველა შეაკრთო. დარბაზისაკენ გარბოდნენ. ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რატომ არის სასწრაფო შეკრება?

—რა მოხდა?

გია დარბაზში შევიდა. იქაურობა გაჭედილი იყო. აქ იყო დირექტორი, მასწავლებლები, აღმზრდელები და პიონერთა ხელმძღვანელი. კუთხეში სკამზე სერგო მიყუჟებულიყო, სახე ასწითლებოდა. თვალები ძირს დაეხარა და დრო და დრო მხრები უტოკავდა.

კათედრასთან დამრიგებელი იდგა და სერგოს ახასიათებდა:

— კარგი მოსწავლეა, მშვიდობიანი, უწყინარი, დავალებებს ზუსტად ასრულებს. ასევე დაახასიათეს სხვა მასწავლებლებმაც, აღმზრდელებმაც და პიონერთა ხელმძღვანელმაც.

დირექტორმა მოსწავლეებს წესდება მოაგონა. კვლავ გაიმეორა, რომ ინტერნატიდან თავის ნებით სადმე წასვლა წესდებით

აკრძალულია, სერგოს დანაშაული მიუტევებელია და უნდა დაისაჯოსო.

გია კედელს აკვროდა. იქიდან უსმენდა — მაშ, სერგო გაპარულა, რატომ, რად გაიპარა, სად გაიპარა?

საღამოთი ლოგინში ჩაწოლილი გია და სერგო დიდხანს ჩურჩულებდნენ.

— ცუდი სიზმარი ვნახე, მესიზმრა, ბებია მომკვდარიყო. უძრავად იწვა და ხმას არ იღებდა. გამეღვიძა, ადრე იყო, ყველას ეძინა, ირგვლივ სიჩუმე იყო, შემეშინდა, ძალიან მინდოდა შინ წასვლა, ბებიას ნახვა. ჩუმად ავდექი და წავედი. მე ხომ ქუჩაში არ მიხეტიალია. არც არაფერი დამიშავებია. ჩვენებს ისევ ეძინათ, როგორ შეეშინდათ! მერე აღმზრდელი მოვიდა. იმან წამომიყვანა. განა ისეთი რა დავაშავე? — ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა სერგოს.

— აღმზრდელისათვის გეთქვა, გაპარვა რად გინდოდა, ყველა შეაშინე.

— მორიგე არ გამიშვებდა. მე კი არ შემეძლო არ წავსულიყავი!

— რატომ არ გამაღვიძე?

— რა უნდა გექნა?

— არ გაგიშვებდი!

— არ გესმის, არ შემეძლო, არ შემეძლო, ბებოს ნახვა მინდოდა, შენ ვერ გაიგებ, შენ ბებო არა გყავს.

* * *

ვაკვეთილების დამთავრების შემდეგ გია სახელოსნოში წავიდა სამუშაოდ. სახელოსნოში მის მეტი არავინ იყო და კარები ჩაკეტა. კარზე ვიღაც მუშტებით აბრახუნებდა. გიამ ნამუშევარი სწრაფად შეფუთა. კარი გააღო, სერგო შემოვარდა.

— რა იყო?

— დირექტორმა საჩქაროდ მოვიდესო!

— რა უნდა?

— არ ვიცი, მთელი ინტერნატი შემოვირბინე, სად არ გეძებე!

გია სწრაფად წავიდა დირექტორის კაბინეტისაკენ. დირექტორი ოთახში ბოლთას სცემდა და ხელებს იფშვნეტდა.

— გია, სახლში უნდა წახვიდე. ბინიდან დაგირეკეს. დედას შენი ნახვა უნდა, შეუძლოდ ყოფილა. — გია უხმოდ მისჩერებოდა დირექტორს. დირექტორი კი განაგრძობდა: — ახლავე შეგიძლია წახვიდე. ხვალ საღამომდე თავისუფალი ხარ.

გია ტროლეიბუსში ჩაჯდა. სახლისაკენ გაეშურა. უკანა ბაქანზე იდგა და ცარიელ გზას გასცქეროდა. — მაშ, დედა ავად არის, იქნებ ძალიან ავად არის. გიას დიდი ხანია დედა არ უნახავს. ამდენი ხნის განმავლობაში ერთელ არ იკითხა დედის ამბავი. მამამ ხომ გიას დაუტოვა დედა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. კიბე აათავა. კარებს ხელი ჰკრა და ოთახში აქოშინებული შევარდა.

სამზარეულოს კარებში კორდელია იდგა. ხელში ჯამი ეჭირა. გიას შეშფოთებული სახე რომ დაინახა, მკვახედ უთხრა:

— როგორ გიჟივით შემოვარდი!

— სად არის დედა?

— წევს, ავად არის!

— რა დაემართა?

— შენს ხელში კარგად იქნება? — გიას კორდელიას პასუხზე გულზე ბოღმა მოაწვა. ოთახში შევარდა.

დედა იწვა. გია რომ დაინახა, ორივე ხელი მისკენ გაიშვირა:

— მოდი, შვილო, მოდი! — დედამ გია გულში ჩაიკრა. ბავშვივით სლუკუნებდა, მთელი ტანით კანკალებდა. გამხდარიყო. თვალები ჩასცვენოდა. კორდელია ოთახიდან გავიდა. დედა გულში ჩაკრულ გიას ჩასჩურჩულებდა:

— შვილო, ეს რა ვქენი, ვის ხელში ჩავვარდი, რა დამიხსნის ამათი ხელიდან...

— რა იყო, დედა, რა მოხდა?

— ლოთობს, ბანქოს თამაშობს, სახლიდან ყველაფერი გააქვს და ჰყიდის, — გიამ ოთახი მოათვალიერა. დიდი სარკე, რომელიც დედას აგრერიგად უყვარდა, არსად იყო, აღარც მისი ოთახის ვარდისფერი ჭაღი ჩანდა.

— მერე რას ეუბნები? — იყვირა გიამ.

— სუ, შვილო, გაჩუმდი, შენ არ იცი, კორდელია ალბათ გვისმენს!

— რად არის აქ, რად არ გააგდებ?

— სად? — გაიკვირვა დედამ და ხელები უსუსურად გაასავ-

ხავა. — კორდელია აქ გადმოსახლდა, ოთახი გაყიდეს, ვალები ჰქონდა. — კვლავ აქვითინდა დედა. ოთახში კორდელია შემოვიდა, რძე და კარაქწასმული პური მოჰქონდა.

— რა გატირებს, ქალო, შვილი გეწვია, მე აგერ გემსახურები, ლოგინში მოგართმევ ყველაფერს.

— გმადლობთ, კორდელია, გმადლობთ, მართლაც თქვენ რომ არ იყოთ, რა მეშველებოდა, როგორ მივლის, გია, რომ იცოდე! — დედას ღაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, სახეზე უმწეო ღიმილი უკრთოდა, აკანკალებული ხელით ართმევდა კორდელიას ჭიქას.

— ოთახი გავყიდე, ამასთან გადმოვედი, უჩემობა არ შეუძლიათ, შიმშილით მოკვდებიან, აპოლონმა ჯერჯერობით სამსახური ვერ იშოვა. შენც კარგად იცი, დედაშენი როგორი მფლანგველია.

კორდელია მშვილდივით გაჭიმული იჯდა სავარძელში, გრძელი ცხვირი სიბრაზით გასწითლებოდა, თხელი ბაგეები მაგრად მოეკუმა. წვრილი, შორიშორს ჩამჯდარი თვალები ბოროტად უელავდა.

— ასეთი უქნარა დედაკაცი, დედაშენი რომ არის, ჯერ არ მინახავს. რად უნდოდა მაგას ქმარი? — გიას სიბრაზით სახე წამოუწითლდა. წარბებქვემოდან გასცქეროდა კორდელიას. დედა ორივე ხელით ჩასჭიდებოდა და ხანგამოშვებით ხელს ხელზე უჭერდა. ეს ხელის მოჭერა დამამშვიდებლად მოქმედებდა გიაზე. კორდელია ერთი წუთით არ შორდებოდა დედა-შვილს. გიამ ვეღარ აიტანა მისი ყურება.

— დედიკო, უნდა წავიდე, მეტი დრო აღარა მაქვს! — დედამ კისერზე ხელები მოხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— ნუ დამტოვებ ამათ ხელში!

გია დაფიქრებული გამოვიდა ქუჩაში, ფეხებს ძლივსღა მიაფრატუნებდა, დედის სიტყვები — ნუ დამტოვებ ამათ ხელშიო, — ყურში ჩაესწიოდა. რა ქნას გიამ, როგორ დაიცვას დედა აპოლონისა და კორდელიასაგან... გიას ინტერნატში არ ეჩქარებოდა, მას ხომ ხვალ საღამომდე ჰქონდა თავისუფალი დრო! მტკვრის სანაპიროსაკენ გაუხვია. მოაჯირს დაეყრდნო, აქედან გადასცქეროდა მტკვარს. ელნათურები აინთო. მათი ჩრდილები აციმციმდნენ მტკვრის ზედაპირზე. გია უყურებდა მტკვარში მოციმციმე ელნათურებს და კვლავ დედაზე ფიქრობდა.

ინტერნატში სინათლე ჩამქრალი იყო და კარები დაკეტილი. გიამ ფრთხილად დააჭირა ზარის ღილს თითი. მორიგე სწრაფად გაჩნდა.

— სად იყავი, ბიჭო, ამდენ ხანს?

— შინ გამიშვეს და დამაგვიანდა!

— განა არ იცი, რომ დაგვიანება არ შეიძლება?

— მაპატიეთ, დედა მყავს ძალიან ავად.

— ჩქარა შემოდი, ბავშვები არ გააღვიძო!

გიამ დერეფანში ფეხსაცმელები გაიხადა და საძინებელ ოთახში შევიდა. ყველას ეძინა. სერგო ძილში გალახულივით წუწკუნებდა, ლეკვივით მოკუნტულიყო. ნეტა რა აწუხებს, ალბათ ბებია ენატრება. გიამ ამოიოხრა, ტანსაცმელი გაიხადა.

გაკვეთილები დამთავრდა. გია სახლისაკენ გაეშურა. ფანჯრები ღია იყო. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. წინათ თვითონაც მათთან თამაშობდა... სადარაბაზო შესასვლელით შევიდა. ზარის ღილს თითი დააჭირა. კარი კორდელიამ გააღო.

— რა ხშირი სტუმარი გაგვიხდი.

— როგორ არის დედა?

— რა უშავს, ძაღლი კოპლობით არ მოკვდება. ჩემმა ძმამ იკითხოს, სნეული ქალი შეირთო.

დედას თავზე საბანი წაეფარებინა. აპოლონი იქვე ტახტზე გაუხდელი გათხლაშულიყო, მისი ხვრინვა ოთახს აყრუებდა, პირიდან ამონადენი ღვინის სუნით იქაურობა გაჟღენთილიყო. კორდელია კარებში იდგა.

— აი, ხედავ, იმის მაგიერ, რომ ცოლმა მოუაროს, მე უნდა მოვუაროო.

გია დედის ლოგინთან მივიდა, ფრთხილად დაუძახა:

— დედა! — დედამ საბანი სწრაფად გადაიხადა და გაილიმა.

— მოდი, შვილო, აქ ჩამოჯექი! — გია საწოლზე ჩამოჯდა. დაიხარა და დედას აკოცა. დედამ გიას ხელები გულში ჩაიკრა, ჩურჩულით უთხრა: — ჩემო კარგო, შვილო! — აღარ შემიძლია ამის ატანა, ალბათ ის ყურს გვიგდებს, — დედამ მეორე ოთახზე ანიშნა, საიდანაც კორდელიას ფეხის ხმა ისმოდა. გია ჩუმად იყო, ეგონა,

კორდელიას წვრილი და ბოროტი თვალები იმასაც ხედავს, გულში რა მაქვსო.

— დარჩი ამაღამ ჩემთან! — სთხოვა დედამ.

— ხვალ ისევ მოვალ, დედა! — კარის დასაკეტად კორდელია გამოჰყვა.

— როგორ უნდა მოვუარო ასეთ მძიმე ავადმყოფს, ეს რა ჭირში ჩავვარდი, — გია შედგა, პირველად თავის ცხოვრებაში კორდელიას მშვიდად შეხედა.

—რა დაემართა დედას?

— გულის მანკი აქვს, ექიმი ამბობს, მაგის დღეები დათვლილიაო, მაგრამ მე მგონი, ცდება, ჯერჯერობით საიკვდილო არაფერი აქვს.

გიამ კიბე ჩაირბინა, ქუჩაში გავიდა, კორდელიას სიტყვები გაახსენდა: ექიმმა თქვა, მაგის დღეები დათვლილიაო. აქ სად მოსულა, როდის მოვიდა? ზარის ღილს თითი დააჭირა. კარი ვეებერთელა ბაფთიანმა გოგონამ გაუღო.

— ვინ გნებავთ?

— სერგო მასწავლებელი!

— აქ აღარ ცხოვრობს, ბინა მიიღო, ახალ სახლში გადავიდა. — სხაპასხუპით უპასუხა გოგონამ.

გიამ კვირა დედასთან გაატარა. ორშაბათიდან საავადმყოფოში აწვენდნენ დედას. გიას უხაროდა, იქ მარტო ნახავდა.

ინტერნატში დაბრუნებულს სერგო შემოეგება.

— რამდენი ხანია მოვედი, გელოდი, რად დაიგვიანე?

— დედაა ავად.

—ჩემი ბებია ადგა! — სერგომ ჯიბიდან ვეებერთელა წითელი ვაშლი ამოიღო, — ბებომ გამოგიგზავნა, მალე აქაც მოვა. დედაშენიც მალე მორჩება, ნუ გეშინია.

ისინი ბიბლიოთეკისაკენ წავიდნენ. ბავშვებს ბიბლიოთეკაში მოეყარათ თავი. ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგი ტელევიზორს უყურებდა.

ორშაბათს გიას დედა ისევ შინ დაუხვდა. კორდელიამ საიდუმლოდ უთხრა:

— ექიმმა იმედი გადაწყვიტა, საავადმყოფოში წაყვანას აღარ გვირჩევს.

დედა ძალზე სუსტად იყო, პატარა ბავშვივით მოკუნტულიყო, ვედრებით შესჩერებოდა ხან გიას, ხან კორდელიას, კორდელიაც თითქოს ახლა უფრო ალერსიანად ექცეოდა. დედამ როგორც კი დაიგულა კორდელია ოთახიდან გასული, გიას სთხოვა:

— გია, ფანჯარასთან მიმიყვანე, მინდა გარეთ გავიხედო! — გიამ დედა ხელში აიყვანა, საბანი შემოახვია და ქუჩის აივანზე გაიყვანა. სხვა დროს კორდელია ალბათ გაჯავრდებოდა, ახლა არაფერი უთქვამს. გიას უფრო მეტად შეებრალა დედა.

— სავარძელში ჩამსვი, შვილო, დაიღლები!

— არა, დედიკო! — დედა ისე მსუბუქი იყო, ისე დაპატარავებულიყო.

— გია, ხომ მაპატიე?

— რა, დედიკო? — დედამ აღარაფერი თქვა, გიას მხარზე თავი დაადო და გიამ იგრძნო, როგორ ეფრქვეოდა დედის ცრემლები.

* * *

გიას ტელეფონით დაურეკეს: — დედა ცუდად არის და საჩქაროდ მოდიო.

დირექტორის ოთახში მასწავლებლებს მოეყარათ თავი. გია დაინახეს და ერთმანეთს გადახედეს. დირექტორმა გიას ფული გაუწოდა.

— ტაქსით წადი, მალე მიხვალ. დამრიგებელი წამოგყვება.

გიამ იგრძნო, საქმე ცუდად იყო. კიბეზე სირბილით ჩავიდა, ამხანაგებმა თვალი გააყოლეს. თავისი სახლის კიბეც სირბილით აიარა. ოთახის კარი ღია იყო, ოთახის წინ მეზობლებს მოეყარათ თავი. დედა თვალებდახუჭული იწვა. მძიმედ სუნთქავდა, კორდელია და აპოლონი ლოგინთან იდგნენ.

— კატუშა, გია მოვიდა, შენი გია მოვიდა! — ჩასძახა კორდელიამ. დედამ ძლივს ასწია დამძიმებული ქუთუთოები. თვალისჩინი ჩაჰქრობოდა, სივრცეში უაზროდ იცქირებოდა. გია ლოგინთან ჩაიკეცა. თავი დედას გაციებულ ფეხებს დაადო.

დედის დასაფლავებაზე მთელი ინტერნატი მოვიდა. გია დედის თავთან იდგა და დასჩერებოდა. დედას თითქოს ეძინა, ოღონდ ვარდისფერი ლოყები აღარ ჰქონდა და ბაგეებიც მაგრად მოეკუმა.

გიამ მხოლოდ მაშინ მოაცილა მის სახეს თვალი, როდესაც ოთახში სერგო მასწავლებელი და ძველი ამხანაგები დაინახა.

მაშ, დედა მოკვდა, პატარა დედა, ბავშვივით დედა, რომელიც მამამ გიას დაუტოვა, გიამ კი ვერ მოუარა, ახლა დედა გაუნძრეველად წევს და აღარ იცინის. საწყალი დედა! მაპატიეო სთხოვდა, რა ჰქონდა დედას საპატიებელი?

— მოდი, გია, გამოეთხოვე დედას! — გიამ მასწავლებელს ახედა და ანგარიშმიუცემლად გაჰყვა. დედის წინ დაიჩოქა. რა ცივი და უმოძრაო ხელები ჰქონდა დედას, ამ ხელებმა თითქოს უცბად მოიცილეს გია, ის სწრაფად წამოდგა. დედასთან კორდელია მივიდა, დაემხო, გიას მოუნდა კორდელიას დასწვდომოდა და დედისაგან მოეგლიჯა.

— დააცადეთ, დაისვენოს დედამ! — ძლივს ჩაიჩურჩულა, აღარ ახსოვს, სერგო მასწავლებელმა როგორ გამოიყვანა. ისინი ვიღაცის საფლავის ქვაზე ისხდნენ და სერგო მასწავლებელი შუბლზე ხელს უსვამდა. მანქანით მივიდნენ სახლთან, აქ ერთ დროს გია და დედა ცხოვრობდნენ, ახლა დედა საჰაფლაოზე დატოვეს, სახლში კორდელია და აპოლონია. რა უნდა აქ გიას?

— გადმოდი, გია, მოვედით!

—არა! — გიამ ჯიუტად გაექნია თავი.

— სახლში მოვედით, გია!

— ინტერნატში წავიდეთ, მე აქ არ მინდა!

ნელა ადიოდნენ კიბეზე გია და სერგო მასწავლებელი, გიას ეგონა, დედა იქ, სახლშია, ჩვეულებრივ იცინის, პაპიროსს აბოლებს და პატარა ფეხებით დაბაკუნობს ოთახში.

განადგურებული იყო გია. შეგრძნება, რომ ქვეყანაზე აღარავინ ჰყავდა, რომ ის აღარავისათვის საჭირო აღარ იყო, ის აღარავის აღარ უყვარდა, კიდევ უფრო მეტად გულჩახვეულს ხდიდა.

წინათ, როცა გია ინტერნატში რჩებოდა, არ აწუხებდა სადმე წასვლის სურვილი, ახლა კი, როდესაც წასასვლელი აღარსად ჰქონდა, და უყურებდა, როგორ ემზადებოდნენ ბავშვები შინ წასასვლელად, მასაც მოუნდა წასვლა; ახლობელი მოუნდა, დედა, მამა, და, ძმა, თბილი სიტყვა, თანაგრძნობა. პატარა მარინე სახლში არასოდეს მიდიოდა, მაგრამ დღეს რა გაბრწყინებული სახით

ემზადება. მამიდამ ამბავი მოუტანა, შენი დედ-მამა შერიგდნენო და უხარია გოგოს. გიას კი არც მამიდა ჰყავს, არც დეიდა.

დერეფანში ისმოდა დამლაგებელი ქალის ფეხების ფრატუნი. ზოპირდაპირე სახლის აივანზე პატარა ბიჭი მტრედებს ეძახდა. ბიჭს მტრედები თავს დასტრიალებდნენ. ერთი მათგანი მხარზე დააჯდა. გიას მოსწყინდა ბიჭის ცქერა და კვლავ დერეფანში გავიდა.

* * *

კვირა დილით გიასთან მორიგე მივიდა და უთხრა:

— გია, შენთან ვიღაც ქალი მოვიდა! — გია შეკრთა, ქალი მას დედის შემდეგ აღარავინ ჰყავდა.

— ელენე დეიდა! — ძლივს წაიჩურჩულა გიამ. ელენემ გულში ჩაიკრა გია.

— რამოდენა გაზრდილხარ, შვილო, — ესმოდა გიას დეიდა ელენეს ჩურჩული. — როგორ ყველანი დაივიწყე, მაგრამ ჩვენ უფრო დამნაშავენი ვართ შენთან. გია, შვილო, დღეს მათიკოს დაბადების დღეა, მთხოვეს წაგიყვანო. — ელენემ გიას ყოყმანი შეამჩნია. — უარი არ მითხრა, შვილო! — ელენეს მორიგეც წაეშველა:

— წადი, გია, ინტერნატიდან ყველა წასულია, რა გაგაჩერებს შარტო?

— აბა, ჩქარა, გია, გველოდებიან!

ისინი ქუჩაში გამოვიდნენ. რაც სერგო მასწავლებელი მოსკოვში წავიდა, გია ინტერნატიდან გარეთ აღარ გამოსულა. თითქოს პირველად ხედავდა გია თბილისის ქუჩებს. ამწვანებულიყო, გალამაზებულიყო ვერის პარკი.

რამდენი ხანია გია ამ სახლში აღარ ყოფილა, მაშინ ეს ყველაზე ახალი და დიდი სახლი იყო ამ ქუჩაზე, ახლა რამდენი ახალი და ლამაზი სახლია ირგვლივ! ეს კი უკვე დაძველებულა, დაუკარგავს სიახლის ელფერი. კარი ბებიამ გაუღო. ოთახიდან ჟრიამული ისმოდა, ელენეს დაძახებაზე: — მოვიყვანეო! — კარი უეცრად გაიღო და გამოცვივნდენ ზურაბი, მათიკო, ნონა, ბოლოქანქალა, გასწიგაჭიმე, კრუზო და ვინ გინდათ, რომ აქ არ იყო.

— დამაცალეთ, დამანახვეთ! — აცილებდა შემოხვეულ ბიჭებს ბებია გიას.

როგორ მოხუცებულა ბებია, თვალები ჩაქრობია, ბებრულად დაკუნკულებს, ხმაც შეცვლია, ბიჭებსაც გამოცვლიათ ხმები. ვეღარავის ცნობს. მათიკო კი დგას თვალებგაბრწყინებული, სახე აწითლებული, იღიმება, ლოყებზე ფოსოები უჩნდება. გიამ თვალი შეავლო მის წვრილ წელს, საოუთ მხრებს, მის გამოწვდილ ხელს. ხელი შეაგება. არა, ვერასოდეს ვერ იფიქრებდა გია, რომ მათიკო ასე გამოიცვლებოდა.

— რა იყო, გია, ვერ იცანი მათიკო? — შეაწყვეტინა ფიქრი ელენემ. გია ჭარხალივით გაწითლდა, მათიკოს მზერა მოაცილა, მაგრამ თვალები კვლავ მარტო მათიკოს ხედავდა.

— მობრძანდით, ოთახში მობრძანდით! — აფუსფუსდა ბებია.

ოთახში გიასათვის ყველაფერი ნაცნობი იყო, ის მაგიდა, სადაც გიასაც ხშირად უსადილია. მაგიდის გარშემო ყველა ძველებური წესით დაჯდა.

გიამ ამხანაგები შეათვალიერა, კრუზო ჯმუხი, ჩასკვნილი ბიჭია, ზურაბი ისეთივე წვრილი და მაღალია, წინანდებურად მხრებში ოდნავ მოხრილი, მხოლოდ სათვალე შეუცვლია და ახლა შავ, ვეებერთელა სათვალეს ატარებს, რომელიც მთლიანად უფარავს პატარა სახეს. გასწიგაჭიმეს დონდლო შეხედულება აქვს. ბოლოქანქალა კი ყველაზე მომხიბლავია, მას მოდური კოსტიუმი აცვია, მოსული მხრები, წვრილი წელი სასიამოვნო შესახედავს ხდის. ახლა ბოლოქანქალას აღარ ეძახიან. ის მათიკოს გვერდით ზის, თავს თავისუფლად გრძნობს. თავხედურ და უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ყურადღების ცენტრშია, ეტყობა, გოგონებს მოსწონთ, ყოველ წუთში გაისმის:

— ალეკო, მომაწოდე!

— ალეკო, რას ამბობ!

კარგა ხანია გიას ცხოვრებაში ასეთი დღე აღარ ყოფილა. მსუბუქი ნაბიჯით ბრუნდება შინ. რა სჯობია — ასეთი მყუდრო ოჯახი, როგორიც ზურაბს და მათიკოს აქვთ, თუ ინტერნატი? ინტერნატში მყოფ ამხანაგებს არავის ჰქონდა ასეთი ოჯახი, როგორიც ზურაბსა და მათიკოს. ზოგს დედა არ ჰყავს, ზოგს მამა. ყოველ ოჯახს აკლდა რაღაცა. ინტერნატიც ალბათ ასეთებისათვის არის მოგონილი. ინტერნატმა თვით უნდა მისცეს სითბო იმ ბავშვებს, რომლებსაც ოჯახური სითბო აკლია.

ცხოვრება ყოველთვის თავისი გზით მიდის, ამარცხებს დარდს. ასევე დაემართა გიასაც, დედის დარდსა და მოგონებას თითქოს მათიკოს სახე აეფარა წინ, ახლა როცა დედას იგონებს, დედის სახეს სწრაფად ცვლის მათიკოს მომღიმარი სახე.

ახლა გია ყოველ კვირა დღეს დეიდა ელენესთან ატარებს.

შაბათ საღამოს გიას უცნაურად მოუნდა დეიდა ელენესთან წასვლა, დიდხანს ებრძოდა თავის თავს, — უმტკიცებდა, შაბათს წასვლას რა ჭკუა აქვს, კვირა დილით წავალ და მთელი დღე იქ ვიქნებიო, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ინტერნატის კიბე სწრაფად ჩამოირბინა. ტრამვაიში შეხტა, უკანა ბაქანზე იდგა და გრძნობდა, გულის ბაგაბუგი როგორ უერთდებოდა ტრამვაის ბორბლების ხმაურს და ორივე ერთად თითქოს ვიღაცას გამოსაჯავრებლად იმეორებდნენ — მივდივარ, მივდივარ, მივდივარ! — ჩამოხტა, მათიკოს სახლამდე სირბილით მივიდა, ფანჯრები ღია იყო, სადარბაზო კარის წინ მათიკო იდგა, ხელში წითელი ვარდი ეჭირა, გვერდით ბოლოქანქალა ედგა, რაღაცას ხელების ქნევითა და აღელვებით ელაპარაკებოდა. გია შედგა, მობრუნდა და ისე გაიქცა, თითქოს უკან ვიღაც მოსდევს და სახრით ერეკებაო. ინტერნატში მისული გულაღმა გაწვა და ელნათურას თვალს არ აცილებდა. ახლა ვიღაც აუჯანყდა და მოსვენებას არ აძლევდა — აბა, რად გამოიქეცი. უხასიათო და ჯიუტი ხარ. დედას გამოექეცი, სერგო მასწავლებელს, არა, არასოდეს აღარ წავალ დეიდა ელენესთან. რატომ? გიამ თავი ვეღარ გაართვა ამ ფიქრებს და ფანჯარას მიაპყრო თვალი, საიდანაც მთვარე ეშმაკურად იცქვიტებოდა. — „ადამიანის სიცოცხლე ცარიელია, თუ მას სიყვარული არ ათბობს, — გაახსენდა გიას დირექტორის სიტყვები. — გიას კი ათბობს ვინმეს სიყვარული? უყვარდა დედა, დაკარგა, უყვარდა მასწავლებელი, დაშორდა. არა, დღესაც ქვეყანას ურჩევნია სერგო მასწავლებელი, ამხანაგებიც. მაგრამ რაღაც კიდევ უფრო სხვა უნდა გიას. უფრო მეტი, უფრო ახლობელი. მობეზრდა მარტო ყოფნა. ინტერნატში დღეს უფრო მეტად განიცდიდა მარტოობას. ამ მარტოობის წინააღმდეგ გაილაშქრა მისმა მთელმა ბუნებამ, არა, გიას ახლა წინ ვერავინ გადაუდგება, იგი უსათუოდ იპოვის ცხოვრებაში სიყვარულს.

დილით გია ადრიანად გამოვიდა ინტერნატიდან, ელენე დეიდასთან მისვლა ჯერ ადრე იყო, იქნებ ამდგარნიც არ არიან. ვერის

პარკში შევიდა, პარკში მარტო მოხუცები და ჩვილები იყვნენ. გია სკამზე ჩამოჯდა და მჩქეფარე შადრევანს მიაჩერდა.

გია სირბილით ავიდა კიბეზე.

ერთ დროს ასევე სირბილით ადიოდა ამ კიბეზე, გულში სველი ბუ ჰყავდა ჩაკრული, მაშინ მთელი ხროვა ბავშვებისა ყიჟინით აცილებდა, ახლა კი ირგვლივ სიჩუმეა და მარტო გიას ფეხის ხმა არღვევს მყუდროებას.

— გია, შვილო, მოდი! მოდი! — აფუსფუსდა დეიდა ელენე. — ბავშვები შინ არ არიან, ალეკომ გამოუარა, ჯვარზე წავიდნენ. დაიბარეს: ადრიანად მოვალთო, არა, შვილო, არ წახვიდე, განა ჩემთან არ შეიძლება ყოფნა, თუ მოგბეზრდა აი ბავშვების ოთახი.

გია ზურაბის მაგიდას მიუჯდა და კითხვა დაიწყო, მაგრამ როგორც კი დეიდა ელენე ოთახიდან გავიდა, მაშინვე მათიკოს მაგიდასთან მივიდა. დასცქეროდა წიგნებს, რვეულებს და ხელის ხლებას ვერ ბედავდა. იცოდა, რომ ყველას და ყველაფერს მათიკოს თეთრი ხელები ეხებოდა.

ძია ლევანი დაბრუნდა, ჭადრაკს მიუსხდნენ და დროც შეუმჩნევლად გავიდა. ბინდის ჩამოწოლასთან ერთად აწრიალდა დეიდა ელენე, არ ასვენებდა ჭადრაკის მოთამაშე ქმარსა და გიას:

— რა იქნენ ბავშვები, რად იგვიანებენ, იქნებ სადმე დაამტვრია იმ თავქარიანმა ბიჭმა.

შუქი აანთეს, ახლა ძია ლევანსაც დაეტყო მღელვარება, ჭადრაკის თამაშს თავი დაანება, ჩუმად ბოლთას სცემდა ოთახში, დეიდა ელენემაც თავი ანება წუწუნს და ერთთავად საათს მისჩერებოდა, ხან აივანზე გადიოდა, ხან შემოსასვლელ კართან მიდიოდა, ბებია კი მღელვარებას ვეღარ ფარავდა.

— სად უნდა იყვნენ ამდენ ხანს? — გია ენაჩავარდნილი ზის. საათს მისჩერებია, თვალწინ თეთრკაბიანი მათიკო უდგას, ვარდით ხელში, ნუთუ ეს ყველაფერი სიზმარი იყო.

— გია, წამოდი, შვილო! — უეცრად სავარძლიდან წამოხტა ელენე.

— სად მიდიხარ? — ვედრებით შეხედა ლევანმა.

— არსად! — ისინი ჩუმად ჩავიდნენ კიბეზე, მანქანები წყნარად მისრიალებდნენ ქუჩაში. ელენემ გულხელი დაიკრიფა, თვალ-

შოუცილებლად გასცქეროდა გზას. გია სადარბაზო კარს მიეყრდნო, არაფერზე არ ფიქრობდა. ჩუმად ითვლიდა მანქანებს. არ გაუგია, როგორ გაჩნდა მანქანა მათ წინ, მხოლოდ მათიკოს შეძახილმა გამოარკვია:

— დედა! — მანქანიდან გადმოვიდა, ხელში მინდვრის ყვავილების ვეებერთელა თაიგული ეჭირა. სახე ყაყაჩოსავით ასწითლებოდა. მათიკო დედას მივარდა, ცალი ხელი მოხვია და ვედრებით უთხრა:

— გვაპატიე, დედა, შეგაშინეთ! — ახლა დანარჩენებიც გადმოვიდნენ და დეიდა ელენეს გარს შემოეხვივნენ.

— გია, შენც აქა ხარ? — მიუბრუნდა მათიკო გიას, როგორ უბრწყინავდა თვალები მათიკოს. — გმადლობთ, გია! — მათიკო გიასთან მივიდა და ლოყაზე აკოცა. გიამ გაფართოებული თვალები მათიკოს მიაშტერა. გიას აღარაფერი ესმოდა, ლოყა ეწვოდა და გარშემო ყველაფერი ტრიალებდა. უეცრად ხელი ლოყაზე მიიჭირა, თითქოს ეშინია მათიკოს კოცნა არსად დამეკარგოსო, და გაიქცა. არავის გაუგია მისი წასვლა. გია კი გარბოდა სულმოუთქმელად, ლოყა ეწვოდა და ყველაფერი ტრიალებდა მის გარშემო.

* * *

დამთავრდა ინტერნატის ცხოვრება. დღეს თუ ხვალ გია ცხოვრების დიდ გზაზე გავა, პროფესიას აირჩევს და დაიწყება დამოუკიდებელი ცხოვრება. გიას დაფიქრებული სახე აქვს, მაგრამ დარდი არ ეტყობა. თვალები უციმციმებს, დერაფანი სავსეა ამხანაგებით, ყველას სახეზე ღიმილი უკრთის.

ერთხელ კიდევ დაირეკება ზარი, ერთხელ კიდევ შევლენ საკლასო ოთახებში, დასხდებიან თავიანთ მერხებთან და მერე მშვიდობით, ინტერნატო, საკლასო ოთახო, დაიხურება მათი ცხოვრების ერთი თავი.

დერეფანში დამრიგებელი გამოჩნდა, ის ჩვეულებრივი მსუბუქი ნაბიჯით მოდიოდა, სახე უღიმოდა, — რა მხიარულია, — გაუელვა გიას, ნუთუ უხარია უკანასკნელი გაკვეთილი! რა ფაქიზად აცვია. თუმცა დამრიგებელს ყოველთვის ფაქიზად ეცვა. მაგრამ დღეს სწორედ ის კაბა აცვია, რომელიც გიას უყვარს.

— აბა, კლასში შედით! — გაუცინა მასწავლებელმა საკლასო ოთახის წინ მდგომ მოსწავლეებს. — ერთხელ კიდევ დაიკავეთ თქვენი ადგილები. — მასწავლებელი ღელავს. შუა ოთახში დგას და თვალს არ აცილებს მოპირდაპირე კედელზე სურათს, ასეიცის, როდესაც რამის თქმა უნდა.

— დღეს ჩვენი გზები იყრება, დღეიდან თქვენი ცხოვრების დიდი გზა იწყება, დამილოცნიხართ და ეცადეთ, ცხოვრებაში დიდი ილიას სიტყვებით იხელმძღვანელოთ: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“ — ყოველ ადამიანს ცხოვრების გზას ეს სიტყვები უნდა უნათებდეს. როგორ ფიქრობთ, ნიჭი უფრო დიდი ჯილდოა ადამიანისათვის თუ შრომისმოყვარეობა? გახსოვდეთ: — მხოლოდ ნიჭით ადამიანი დიდს ვერაფერს ვერ შექმნის. ნიჭი და შრომის უნარი აი, ეს ორი ერთად იძლევა ყოველ სიკეთეს, რაც კაცობრიობას ესაჭიროება. დიდი შრომა და სიძნელეების გადალახვა სჭირდება ადამიანს, სანამ მისგან რაიმე გამოვიდოდეს, სანამ იგი შეიძლებდეს ცხოვრების დიდ ნაშენებლობაზე ერთი აგური მაინც დადოს და ცხოვრების დიდ გზაზე მცირე ნაკვალევი მაინც დატოვოს. ბედნიერია ის, ვისი ნაკვალევიც ამ გზაზე მკაფიოდ გამოჩნდება, ვის ნაკვალევსაც სხვა გაჰყვება.

თქვენი ასაკი ბრწყინვალე ასაკია, ზღაპრული ნატვრის თვალი თქვენს ხელთ არის, მაგრამ გაკლიათ ცხოვრების გამოცდილება, ამ გამოცდილებას კი ცხოვრების ყოველი დღე იძლევა.

ყველა ასაკი თავისებურად უყურებს ცხოვრებას, ყველა ადამიანი თავისებურად ფიქრობს — ცხოვრებაზე, აქედან გამომდინარე ყოველ ასაკს თავის ბედნიერება აქვს, ყველგან და ყოველთვის ძირითადი მაინც სიყვარულია — სიყვარული ფართო მცნებით: — სიყვარული მოყვასისა, სიყვარული სიცოცხლის, სიყვარული ცხოვრების, აი, რა ქმნის ბედნიერებას.

საღამოთი გია დეიდა ელენესთან წავიდა. თავი დატვირთული ჰქონდა ფერადფერადი ოცნებებით. ახალგაზრდის ოცნებისათვის მიუღწეველი არაფერია და გიას თვალთახედვის წინ ფერადი ბუშტებივით ფრიალდება სურვილები.

გია კარგა ხანს რეკავდა ზარს, სახლიდან ხმაური გამოდიოდა და ზარის ხმა არ ესმოდათ. გიამ ზარს თითი დააჭირა და აღარ აუშვა.

გაიგონა, როგორ წამოვიდა ბებია ფეხების ფრატუნით კარისაკენ.

— მოდი, გია, მოდი, ყურთასმენა აღარ არის, ზარის ხმა ძლივს გავიგონე.

ოთახში მათიკოსა და ზურაბის ამხანაგებს მოეყარათ თავი. ისინი სკამზე, ფანჯრის რაფებზე, ტახტზე და სად გინდოდათ, რომ არ ისხდნენ. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, შუაში ჩამდგარი ბოლოქანქალა სახე აწითლებული გრძელ ხელებს იქნევდა და ცდილობდა, სხვების ხმა დაეფარა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

— გიას გაუმარჯოს!

— გიას ვკითხოთ, რას იტყვის, გიას! — ჩამოფრინდა ფანჯრის რაფიდან მათიკო. — გია, რა გინდა გამოხვიდე?

— როგორ გინდა იცხოვრო?

— რა დარგზე შეხვალ? — კითხვებს კითხვებზე აყრიდნენ. გია შედგა ყველას გადახედა.

— ყველა ახალგაზრდის სურვილი უნდა იყოს — ისწავლოს და რაიმეში გამოადგეს თავის ქვეყანას.

— აი, ხედავ?! — ნიშნის მოგებით გადახედა ბოლოქანქალას მათიკომ და ტაში შემოჰკრა.

— ეჰ, ეგ ძველისძველი ზღაპრებია, გიამ რა იცის ამ ქვეყნის.

— შენ რაღა იცი! — შეუტია მათიკოს ამხანაგმა.

— მე რომ ბევრი ფული მქონდეს, წიგნს ხელშიც არ ავიღებდი, ვიმოგზაურებდი სხვადასხვა ქვეყნებში, მექნებოდა კარგი მანქანა.

— ხა, ხა, ხა, ნეტავ რად გინდა მოგზაურობა, თუ არაფერი გეცოდინება. — დააყარეს სიცილი ბოლოქანქალას.

— თქვენ რა გაგეგებათ, თითოეული მოგზაურობა თითო უნივერსიტეტია, — გაიმეორა ბოლოქანქალამ სადღაც გაგონილი ფრაზა.

— ეგ იმისათვის, ვინც რაიმეში გამოიყენებს.

— ერთადერთი სამუშაო, რომელზედაც უარს არ ვიტყოდი, კინომსახიობობაა.

ალეკო მთელი ტანით ჩანდა სარკეში და ეტყობოდა თავი ბოსწონდა.

— ვინ მოგახსენა, კინომსახიობს მუშაობა არ სჭირდებაო?

— გარეგნობის იმედი გაქვს?

— არა, ბიძია, წავიდა ის დრო, როცა მარტო გარეგნობა იყო საკმარისი, ახლა ნიჭი და შრომა აუცილებელია.

— მაშინ ისღა დამრჩენია, მდიდარი ან დიდი კაცის ქალი შევირთო, — იოხუნჯა ალეკომ.

სავარძელზე გადაწვა, თან ცდილობდა, მომხიბლავი პოზა დაეჭირა.

— დაანებეთ თავი ლაყბობას, დედა ჩაიზე გეძახით! — ხელი ჩაიქნია მათიკომ და ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა.

* * *

ინტერნატი საზეიმოდ მორთულა. უამრავი ხალხი მიეშურება იქით. ფერად-ფერადი ალმებით და ნათურებით მორთული ინტერნატი ყველას იზიდავს.

ახალ კოსტიუმში გამოწყობილი გია სამკერვალოდან გამოვიდა. მსუბუქი ნაბიჯით წავიდა ინტერნატისაკენ. ალმებით მორთულ შესასვლელში შეჩერდა. კიბე აირბინა, კიბის თავში მდგარ ვეებერთელა სარკეში თავის გამოსახულება დაინახა, წუთით შეჩერდა, თმაზე ხელი გადაისვა, მხრებში გასწორდა, კმაყოფილმა გაიღიმა და გაახსენდა პირველი დღე ინტერნატში; მაშინაც ასევე ჩანდა ამ დიდ სარკეში, როგორც დღეს. მაშინდელი გარუჯული, გამხდარი გია შეშინებული თვალებით ახლანდელს შეადარა.

გაჩირაღდნებულ დარბაზში ხალხს თავი მოეყარა. ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა დარბაზი. გიამ დარბაზს თვალი მოავლო, მათიკოს ეძებდა და აი, კარებში შემოვიდნენ ბოლოქანქალა და მათიკო. მაღალმა, მხარბეჭიანმა, კოხტა კოსტიუმში გამოწყობილმა ბოლოქანქალამ, რომელსაც ასეთი მომხიბლავი თანამგზავრი ახლდა, ყველას ყურადღება მიიქცია. გიას გუნება წაუხდა. შემოსულებს თვალი აარიდა. მათიკო თვალით ვიღაცას ეძებს, გია დაინახა და მისკენ გამოეშურა. მათიკოს გულუბრყვილო სახე აქვს, ზღვისფერი თვალები მხიარულად უციმციმებს, იღიმება და ლოყაზე ფოსოები უჩნდება.

— გია, როგორ გიხდება ახალი კოსტიუმი, გამოცვლილხარ! — გიამ გაიღიმა და არაფერი უპასუხა.

— დედა და მამაც მოვლენ, მე აღარ დავუცადე, მეჩქარებოდა! — სულმოუთქმელად ტიტინებდა მათიკო. გიასაც უნდოდა რაიმე სასიამოვნო ეთქვა, მაგრამ ახლა თითქოს ყველა სიტყვა დაავიწყდა. მუსიკის ძლიერმა ჰანგმა დაჰფარა მათიკოს ტიკტიკი... მათ წინ ბოლოქანქალა გაიჭიმა, ხელები საცეკვაოდ გაუწოდა მათიკოს. მათიკომ თავი ჯიუტად გაიქნია და გიას მიუბრუნდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, დაგასწრეს, მე გიასთან ვცეკვავ-

— კეთილი, დედოფალო! — ბოლოქანქალამ ფეხი ფეხს შეშოჰკრა.

დაჰქრიან ისინი დარბაზში, მათთან ერთად ტრიალებს ათასფრად აფერადებული დარბაზი. გია ვერაფერს ხედავს მათიკოს მომღიმარი სახის მეტს, რომელსაც ლოყებზე ფოსოები უჩნდება. თითქოს ფრთები შეესხა, არა, ის და მათიკო კი არ ცეკვავენ, ფრინავენ და უნდათ, მუდამ ასე იფრინონ, მუდამ ასე ბედნიერები იყვნენ. გიამ უეცრად სერგო მასწავლებელს შეასწრო თვალი, ის მარტო იდგა კედელთან, დაფიქრებული სახე ჰქონდა, თვალები ოდნავ უციმციმებდა, იგრძნო გიამ, სერგო მასწავლებელი რომ მასზე ფიქრობდა, რომ მასწავლებელი მარტო მას ხედავდა და უხაროდა გიას ფრენა და გრძნობდა, დღეანდელი წუთი სჯობდა მისი წარსულის ყოველ დღეს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

დრო და სივრცე	8
მზის სხივით საკვე პეშვი	37
ჩემი დედა	51
გია	84

Девдариани Клавдия Мануиловна
ВРЕМЯ И ПРОСТРАНСТВО
(на грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1975

რედაქტორი ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მხატვარი ვ. ხ ი დ ე შ ე ლ ი, მხატვრული რედაქტორი შ. დ ო ლ ი ძ ე, ტექნიკური რედაქტორი ვ. პ ი რ ვ ე ლ ი, კონტრ-კორექტორი ლ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. კორექტორი თ. შ ი ნ-დ ა გ ო რ ი ძ ე., გამომშვები ვ. ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ძ ე

გადაეცა ასაწყობად 15/IV-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-75 წ. ანაწყობის ზომა 6×8³/₄; ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 9,76; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.13.

ტირაჟი 10.000; შეკვეთა 1438; უე 00437
ფასი 33 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული". თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси ул. Марджанишвили № 5

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19